



საკითხავი მასალა საგნისთვის: „მშვიდობის თეორიები“

TP 5050

სერგი კაკანაძე

ვაკვასიის უნივერსიტეტი
სახელმწიფო მართვის სკოლა

2018 წელი



Funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union



საკითხავი მასალა საბნისთვის:
„მშვიდობის თეორიები“ TP 5050

კავკასიის უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის სკოლა

2018 წელი

ლექტორი:

სერგი ვაპანაძე

პროფესორი, საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

პროგრამა:

საერთაშორისო ურთიერთობებისა და დიპლომატიის სამაგისტრო პროგრამა

მთარგმნელი:

ხათუნა ოყროშიძე

თარგმანის ენობრივი რედაქტორი:

ციცო ჩუბინიძე

კურსის საკითხავი მასალა (რიდერი) მომზადდა **ერასმუს + პროექტის**

„Creation of the Graduate Curricula in Peace Studies in Georgia (PESTUGE)“ ფარგლებში

სარჩევი

მიკერძობა და მიუკერძოებლობა საერთაშორისო მედიაციაში პიტერ ჯ. კარნევალე და შარონ არადი	7
კონფლიქტის მედიაცია ცენტრალურ ამერიკაში პოლ ვერი და ჯონ პოლ ლედერაქი	20
კონფლიქტის გადაჭრის გზები პიტერ ვოლენსტინი.....	39
შეიარაღებული კონფლიქტები და სამშვიდობო შეთანხმებები პიტერ ვოლენსტინი.....	49
კონფლიქტის გადაჭრის მიდგომები პიტერ ვოლენსტინი.....	70
კონფლიქტის მოგვარების ანალიზი პიტერ ვოლენსტინი.....	100
კონფლიქტის მოგვარება სამოქალაქო ომებში პიტერ ვოლენსტინი.....	123
კონფლიქტების მოგვარება სახელმწიფოს ფორმირებაში პიტერ ვოლენსტინი.....	158
კონფლიქტების ძირითადი მიზეზების გააზრება: რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო კრიზისის სამართავად? მარი დუკი	200
ბიბლიოგრაფია	208

მიკერძობა და მიუკერძოებლობა საერთაშორისო მედიაციაში

პიტერ ჯ. კარნევალე და შარონ არადი¹

მედიაცია გავლენის მოხდენის საუკეთესო საშუალებაა. მედიატორის სურვილია შუამავლობის პერიოდში ზემოქმედება მოახდინოს მოკამათე მხარეებზე, მათ დამოკიდებულებაზე, აღქმასა და ქცევებზე. დაპირისპირებულ მხარეებს სურთ გავლენა მოახდინონ არა მხოლოდ შუამავალზე, არამედ თვითონ პროცესის იმ ფორმაზე, როცა შუამავლობა მისაღებია და ხელსაყრელი შედეგები არ დაფიქსირებულა. შუამავლობის და გავლენის მოპოვების შესახებ მთავარი კითხვებია: მედიატორის რა თვისებები უწყობს ხელს წარმატების მიღწევას? (მაგალითად, შუამავლის მიმღებლობა, ცეცხლის შეწყვეტა, საკითხის მოგვარება) სადავო საკითხების ან მოკამათე მხარეების რა მახასიათებლები გააძლიერებს იმის ალბათობას, რომ შუამავლობა იმუშავებს? მედიაციის რა სტრატეგიები და ტაქტიკა გამოიყენება, როდის და რა შედეგით?

ეს კითხვები მედიაციის შესწავლის უპირატეს მიდგომაზე მიუთითებს: ეს არის სიტუაციის ანალიზი. ამ მიდგომის თანახმად, მედიაცია არის გარემოებების ცვლილების ადაპტაცია დინამიურ სამყაროში. მედიაციაში გავლენის მოხდენა, როგორცაა შუამავლის სტრატეგია და ტაქტიკა, სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული - მათ შორისაა შინაარსობრივი და პროცესის ცვალებადობა, ასევე კონფლიქტების მახასიათებლები და შუამავლის თვისებები (იხილეთ ბრეკოვიჩი, 1991; კარნევალე, ლიმი და ლაუგლინი, 1991).

ამ თავში ყურადღება გამახვილებულია შუამავლის ფუნქციებზე, რომელიც მიუკერძოებლობასა და მიკერძოებას ეხება. განხილვა ძირითადად სპეკულაციურია, შეზღუდულია სტატისტიკური კვლევების ნაკლებობით, მიუკერძოებლობისა და მიკერძოების შესახებ, საერთაშორისო და მედიაციის დანარჩენ ასპარეზზე. მიუხედავად ამისა, არსებობს ზედპირული ინფორმაცია შესაბამისი შემთხვევების შესახებ, ასევე რამდენიმე ლაბორატორიული კვლევა. რამდენიმე მათგანი წარმოდგენილია ქვემოთ, რომელიც მიუთითებს თუ როგორ იმუშავებს მედიაცია მიკერძოებისა და მიუკერძოებლობის შემთხვევაში.

დაინტერესებული მედიატორი

მედიატორებს ინტერესები და სტიმული ამოძრავებთ, რომელიც კონფლიქტში მათი მონაწილეობის ხელშემწყობი ფაქტორია (იხილეთ კარნევალე, ლიმი და ლაუგლინი, 1989; რუბინი 1992). მაგალითად, იუნგი (1972) ამტკიცებს, რომ მედიატორის ჩართულობა კამათში ხარჯებისა და მოგების გაანგარიშებით წარიმართება: „ეს სავსებით შესაძლებელია იმ სიტუაციების წარმოსაქმნელად, სადაც შუამავლის როლი მკაფიოდ განსაზღვრულია, თუმცა რომლის ფარგლებშიც ვერცერთი მესამე მხარე ვერ მიიჩნევს თავს ღირებულად, იმ დროს, როცა საკუთარ თავზე იღებს ამ როლს“ (გვ. 55). როდესაც მედიატორები საკუთარი ინტერესებით მოქმედებენ, ისინი გარკვეულ რისკზე მიდიან ამ კონფლიქტში. რისკები შესაძლოა იქვე დაყენებული საკითხებიდან ან უფრო ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური კონტექსტიდან მომდინარეობდეს და ნებისმიერ მხარესთან ურთიერთობას გულისხმობდეს.

1 Carnevale Peter J. and Arad Sharon. "Bias and Impartiality in International Mediation." In Resolving International Conflicts, The Theory and Practice of Mediation, edited Bercovitch Jacob, 39-53. Boulder, Colorado, Lynne Rienne Publishers, 1996.

მედიატორისთვის სარგებელი შეიძლება იყოს ჰუმანიტარული ან მატერიალური; ამასთან, შეიძლება შეიცავდეს როგორც ხელფასს პროფესიონალებისთვის, ისე არამატერიალურ ჯილდოებს, როგორცაა პრესტიჟი, დებატებში მონაწილეებისაგან მადლიერება და ფართო საზოგადოებიდან, პირადი კმაყოფილების გრძობა, რეპუტაციით სარგებლობა, რაც პოლიტიკური კარიერის ზრდას უწყობს ხელს, ასევე, მიღწეული ან დაცული პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენა. დანახარჯები მოიცავს დროისა და ენერჯის ხარჯვას, მატერიალური რესურსების დაკარგვას, იმედგაცრუების განცდას (განკუთრებით მარცხის შემთხვევაში), პოლიტიკური კაპიტალის ხარჯვას და ა.შ. (იხილეთ გულივერი 1979:217; მიტჩელი, 1988; ტუვალი და ბარტმანი, 1985).

მიკერძოებული შუამავალი რისკზე მიდის და უფრო ახლოსაა ერთ მხარესთან, ვიდრე მეორესთან - პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. მიუკერძოებელი შუამავალი აშკარად დაბალანსებულია, ვიდრე „ნეიტრალური,“ თუნდაც იმ გაგებით, რომ მას არ გააჩნია თავისი მოსაზრება კონფლიქტთან მიმართებაში, თუმცა შესაძლოა ეს ნაკლებ სავარაუდო იყოს. მიკერძოებული მედიატორის ტერმინოლოგია კარგავს ან იღებს ახალ მნიშვნელობას - დეტალურ ანალიზში ჩანს რამდენადაა ეს გავლენის მომხდენი მედიაციაში.

მედიაციაში შუამავლის გავლენა შეიძლება წარმოიშვას მიუკერძოებლობის ან პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. აქ შუამდგომლობის რამდენიმე ძირითადი ფორმა არსებობს, რომლებსაც მოგვიანებით განვიხილავთ, სხვადასხვა ფორმის ურთიერთქმედების შედეგად შუამავლის მოქმედება უფრო ეფექტური და მისაღები ხდება. მაგალითად, როგორც ქვემოთ მონაცემებშია წარმოდგენილი, მიკერძოებული შუამავლის კომბინაცია მიუკერძოებელთან მედიაციას უფრო ეფექტურს ხდის.

მიუკერძოებლობის გავლენა

იდეა, რომ მედიატორები მიუკერძოებლები უნდა იყვნენ კონფლიქტებში, საკმაოდ გავრცელებულია. იუნგის მიერ ციტირებული განაცხადების გათვალისწინებით: „მესამე მხარის მნიშვნელობის არსებობა დამოკიდებულია იმ მხარეებზე, რომლებიც მიუკერძოებლები არიან (იმ თვალსაზრისით, რომ არანაირ დახმარებას არ იღებენ პროტაგონისტებიდან და შეუძლიათ გრძობების გაკონტროლება) პროტაგონისტების თვალში“ (1967: 81). სტილბერგი მოითხოვს, რომ მედიატორი იყოს (1) “ნეიტრალური”. შუამავალს არ უნდა ჰქონდეს პიროვნული უპირატესობა, რომ დავა გადაწყვიტოს მხოლოდ ერთი გზით ... (2) მიუკერძოებელი. შუამავალმა ყველა მხარის პოზიცია უნდა განიხილოს შედარების საფუძველზე, არსებითად და პროცედურულად. მედიატორმა უნდა შეძლოს მხარეთა რიტორიკის და ემოციის ზღვრის გადალახვა“ (გვ. 37). შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ საუკეთესო შუამავალი „საჭურისია მარსიდან“, შორეული და უანგარო, კონფლიქტების და მსგავსი საკითხების მიმართ ინდიფერენტული. რატომ?

ამ არგუმენტში, მიუკერძოებლობა მედიატორის გავლენის მთავარი წყაროა. შუამავალი ინფორმაციის ეფექტურად მიმღებია და მისი მოსაზრებები იმდენად მყარი, რამდენადაც ის დაპირისპირებული მხარეებისგან განცალკევებით დგას. მიუკერძოებელი მედიატორის შემოთავაზება სამართლიანია. მედიაციაში სამართლიანობა და ნდობა შუამავლის მთავარი დამახასიათებელი ნიშნებია (არსებობს ამის მტკიცებულება, კარნევალე და პრუტი, 1992), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მიუკერძოებელ მედიატორს უპირატესობა აქვს. მთავარი იდეა აქ ისაა, რომ მედიატორებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება სადავო საკითხებზე, არცერთ მხარეს არ უნდა დაემორჩილონ, რათა თავიანთი სანდობა არ დაკარგონ.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ორივე მხარე მივა იმ დასკვნამდე, რომ მედიატორი მტრულად განწყობილი ან მიკერძოებულია? მსგავსი შეხედულებები ნაჩვენებია, როცა მოკამათე მხარეები მედიატორს არ იღებენ (ველტონსი და პრუტი, 1987). მიკერძოებული შუამავლის შემთხვევაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი მედიატორის შემოთავაზებები მიიღონ, პირველ რიგში უნდა მოხდეს მედიატორის, როგორც შუამავლის აღიარება და მიღება - რაც კონფლიქტის წარმატებით მოგვარებას უზრუნველყოფს.

ინტერესების და მიკერძოების საფუძველზე გავლენის მოხდენა

განსხვავებული მოსაზრება არსებობს შუამავლობაზე, როგორც მოლაპარაკების გაგრძელების ფორმაზე, რომელსაც ტუვალი და სხვა მეცნიერები იზიარებენ. ეს არის სამმხრივი მოლაპარაკების ფორმა, სადაც მედიატორი მთავარი მოთამაშეა, საერთაშორისო ან ინტერპერსონალური პოლიტიკის „რეალისტურ“ ჩარჩოში (ტუვალი, 1975, 1982, 1985, 1992; იხილეთ ასევე ტუვალი და ზარტმენი, 1985).

მედიაცია განიხილება, როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი და არჩევანის დროს უპირატესი ალტერნატივა. ამ ალტერნატივის ფარგლებში უმჯობესია მივიღოთ კონკრეტული შუამავალი ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. თუ უარს ვიტყვით მედიატორზე, ეს კონფლიქტს ჩიხში შეიყვანს და ხანგრძლივი კონფლიქტი უფრო ძვირად დაგვიჯდება (ზარტმენი და ტუვალი, 1985). მედიატორის გადმოსახედიდან, უმჯობესია შუამავლის როლის შესრულება, რათა მხარეთა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები დაიცვან და გააფართოვონ..

მიკერძოებულობა რეალურად დიდ როლს თამაშობს მედიაციაში, როცა ის ემატება შუამავლის უნარიანობას და სურვილს მეორე მხარეზე გავლენის მოსახდენად. მედიატორს უნდა გააჩნდეს პოტენციალი, რომ აშკარა მიკერძოებების მიუხედავად, დათმობასა და შეთანხმებას მიაღწიოს.

მაგალითები მოიცავს ალჟირელი შუამავლების როლს ირანის მძევლების კრიზისში, რომელთაც „რევოლუციური რწმენა და სამუშაოსთვის აუცილებელი საერთაშორისო კავშირები ჰქონდათ“ (სლიმი, 1992:228; იხილეთ სიქი, 1985). ასევე კარგი მაგალითია იტალია-იუგოსლავიის დაპირისპირება და ანგლო-ამერიკული შუამავლობა ტრიესტზე 1954 წელს (კემპბელი, 1976) და ამერიკული მედიაცია ისრაელ-არაბეთის კონფლიქტში და ა.შ. (ტუვალი, 1975). ამის ნათელი მაგალითები ძირითადად შიდა საქმეების კონტექსტში გვხვდება. ხელმძღვანელობა მოლაპარაკებას მართავს მედიაციის გზით მუშა კლასის ინტერესების დასაცავად, ამ დროს კარგად ჩანს მედიატორის დიდი შესაძლებლობები ინტესიური მოლაპარაკებების წარმოებაში. (კრესელი, 1972).

გარდა ამისა, როდესაც ერთი მხარე ხელსაყრელ პირობებშია, მას შეუძლია კარგი ურთიერთობა შეინარჩუნოს შუამავალთან, მეორე მხარეს, რომელიც არახელსაყრელ პირობებშია, მოუწევს გამონახოს გზა მედიატორის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად (ტუვალი, 1975). ეს გავლენა გამყარებულია შუამავლის უპირატესობებით, რომლითაც შეუძლია დათმობა და თანამშრომლობა. ყველას სურს, რომ საქმე ჰქონდეს დიდი შესაძლებლობების მქონე მედიატორთან, ამის კარგი მაგალითია, თუ როგორ ცდილობდა სადათი, ამერიკის სახელმწიფო მდივნის, კსინჯერის, როგორც მედიატორის, გამოყენებას (ბორბოუ, 1981).

ასევე არსებობს ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის (**Insider-Partial**) კონცეფცია, რომელიც ვეჰრის და ლედერახის მიერ იქნა შემუშავებული. ეს არის მედიატორის ტიპი, რომელიც კონფლიქტში ჩნდება და რომლის ჩართულობაც მხარეთა შორის პოზიტიურ, ნდობაზე დაფუძნებულ კავშირს წარმოადგენს. მედიატორი ხელს უწყობს მომავალი ურთიერთობების განვითარებას დებატების მონაწილეებსა და მედიატორს შორის. ლიები (1985) აღნიშნავს, რომ ირანი და ერაყი დათანხმდა ალჟირელი მედიატორების ჩართულობას, განსაკუთრებით მუსლიმი ლიდერის (ბუმედიანე) ჩართულობას, რომელიც მუსლიმური თემის წარმომადგენელია.

ეს დაკვირვებები გამოწვევაა მიკერძოებული მედიატორებისთვის, მათი ინტერესები შეუთავსებელია წარმატებასთან, მაგრამ ისინი გვთავაზობენ ძალაუფლების გაძლიერების გზას და იმ გზით წარმატების მიღწევას. მიკერძოებული მედიატორი კონფლიქტის მთავარი მომგვარებელი არაა, მაგრამ ის შუამავალია, რომელსაც დიდი გავლენა აქვს მხარეებზე, რომლებიც ცვლილებას საჭიროებენ.

მიკერძოებული მედიატორის ქცევის გავლენა შუამავლის ქცევაზე

ტუვალის დაკვირვების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მედიატორის მიღება ეს არაა ცალკეული მოქმედება და გადანყვეტილება მოლაპარაკების დაწყების წინ, არამედ ეს საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული მიდგომაა. როგორც კალბის წიგნშია აღწერილი (1974), კისინჯერი, რომელსაც მუდმივმოქმედი რწმუნებათა სიგელი ჰქონდა მინიჭებული, მიუკერძოებელი მედიატორი იყო. ტუვალის და ბარტმენის აზრით, მედიატორს შეუძლია გამოთიშოს მიკერძოება. რა შეიძლება გააკეთოს მედიატორმა მიკერძოებაზე დამოკიდებულების შესამცირებლად?

1966 წელს ე. ტაშვენტში, ქაშმირზე ინდოეთ-პაკისტანის კონფლიქტის დროს, ალექსეი კოსიგინმა, საბჭოთა კავშირის პრემიერმა, ინდოეთში ძლიერი კავშირების მიუხედავად, მიუკერძოებლობა შეინარჩუნა. ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ ძალისხმევას არ იშურებდა, რათა ორივე მხარეს პრესის დაბალანსებული გაშუქება შეენარჩუნებინა, რაც გამოიხატებოდა საბჭოთა გამოსვლებში თითოეული მხარის მიმართ დაბალანსებული მიმართვებით და თუნდაც რიტუალური მონაცვლეობით, თუ ვისი სახელი იქნებოდა ნახსენები პირველ ადგილზე.

დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის კონფლიქტი ფოლკლენდის კუნძულებზე მედიაციის კიდევ ერთი კარგი მაგალითია. ამერიკის შეერთებული შტატები დავაში ადრეულ ეტაპზე ჩაერთო. ბრიტანეთთან უფრო მჭიდრო კავშირის მიუხედავად, აშშ-მ შეინარჩუნა ნეიტრალური პოზიცია და განაცხადა, რომ ბრიტანეთს არახელსაყრელი შეთანხმების ემინოდა. ვარაუდი გამოითქვა, რომ შეერთებულ შტატებს ორივე მხარესთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება სურდა (პურსელი, 1982).

ლაბორატორიულ კვლევაში, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ მედიატორები თავიანთ მიკერძოებას ერთი მხარის მიმართ ავლენენ, როდესაც მათ გრძელვადიანი ინტერესები აქვთ დავის მონაწილეებთან. ჩვენ წამოვაცენეთ ჰიპოთეზა, რომ მიკერძოებული მედიატორები, რომელსაც მომავალი ურთიერთქმედების პოტენციური შესაძლებლობა ჰქონდათ, განსაკუთრებით შემფოთებულები იყვნენ, რომ მათი მიკერძოება არ გამოვლენილიყო. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოდავე მხარეებს შორის შედეგების გათანაბრება კონფლიქტში მათი ჩართულობის გასამართლებლად.

ექსპერიმენტულ დიზაინში შედის ორი ფაქტორი: მედიატორის მიკერძობების ხარისხი (მიკერძობა/მიუკერძობელობა) და მედიატორის სამომავლო პოტენციალი (პოტენციური/ არა პოტენციური). თითოეული სუბიექტი - უნივერსიტეტის სტუდენტი - კომპიუტერთან იჯდა ორ სხვა მონაწილესთან ერთად იმიტირებულ მოლაპარაკებაში. ისინი თვლიდნენ, რომ თითოეული მათგანი სამ ქვეყანას წარმოადგენდა: ორი ქვეყანა (დასავლეთი და აღმოსავლეთი) ერთმანეთთან კონფლიქტში იყო, მესამე ქვეყანა (ჩრდილოეთი) შუამავლის როლს ასრულებდა. ფაქტობრივად, თითოეული ქვეყნის მთავარი ამოცანა იყო შუამავლის ხელშეწყობა, რათა მოკამათე მხარეებს შორის შეთანხმება შემდგარიყო.

ამოცანა ნაჩვენებია ცხრილში 2.1. ციფრები წარმოადგენს მონეტარულ/ფულად გადახდებს. თუ მოხდებოდა შეთანხმება, მომლაპარაკებლები უნდა შეთანხმებულიყვნენ ერთ შინაარსზე. თემები ნაჩვენები იყო მომლაპარაკებლების სიებით და შეეძლოთ დაენახათ, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის საგადახდო ღირებულებები უარყოფითად იყო დაკავშირებული ერთმანეთთან. ამასთან, განემარტათ, რომ ვერც დასავლეთი და ვერც აღმოსავლეთი ვერ დაინახავდა სხვების გადასახადებს.

მომლაპარაკებელმა პირებმა (კომპიუტერული პროგრამა) გააკეთეს შეთავაზება (წერილი სიიდან) და მედიატორს (სუბიექტი) სთხოვეს, რომ მხარეებისთვის არასავალდებულო რეკომენდაციები შეემუშავებინა იმ მიზნით, რომ დანარჩენი საკითხები მომლაპარაკებელ პირებს თავად გადაეწყვიტათ (ასევე წერილი სიიდან). ექვსი რაუნდის შემდეგ მოლაპარაკება შეწყდა და სუბიექტებს სთხოვდნენ კითხვარზე პასუხის გაცემას.

ექსპერიმენტის არაობიექტურ პირობებში, სუბიექტის მიერ განხორციელებული გადახდები შეესაბამებოდა დასავლეთის გადახდებს და ნეგატიურ თანაფარდობაში იყო დასავლეთთან (იხილეთ ცხრილი 2.1.). ობიექტურ პირობებში, სუბიექტების გადახდების სიას იგივე ღირებულება ჰქონდა, როგორც ჩამონათვალში არსებულ ყველა წერილს (315, სიის საშუალო ღირებულება მიკერძობებული შუამავლობის პირობებში). სამომავლო ურთიერთქმედების დრო მოსალოდნელია მანიპულირება: პოტენციური შუამავლობის პირობებში, სუბიექტებს უთხრეს, რომ 5 განსხვავებული მოლაპარაკება იქნებოდა და პირველ რიგში შუამავლები ისინი იქნებოდნენ.

ცხრილი 2.1.

საგადასახადო ნუსხა, რომელიც სუბიექტის მიერ არაობიექტურ პირობებში განიხილება

წინადადება	ჩრდილოეთი	დასავლეთი	აღმოსავლეთი
ა	420	840	220
ბ	409	819	241
გ	399	798	262
დ	388	777	283
ე	378	756	304
ვ	367	735	325
ზ	357	714	346
თ	346	693	367
ი	336	672	388
კ	325	651	409
ლ ^ბ	315	630	430
მ	304	609	451
ნ	294	588	472
ო	283	567	493
პ	273	546	514
ჟ ^გ	262	525	535
რ	252	504	556
ს	241	483	577
ტ	231	462	598
უ	220	441	619
ფ	210	420	640

შენიშვნა: ა. ჩრდილოეთის გადახდა იყო 315 ყველა დონეზე, ობიექტურ პირობებში

ბ. შუალედური და თანაბარი ბარალის წერტილი

გ. მიახლოებითი, თანაბარი მოლაპარაკებების შედეგი

ძირითადი დამოკიდებული ცვლადი იყო გადახდების ღირებულება, რომელიც შუამავლებმა საკუთარ თავს მისცეს შუალედური რაუნდების პარალელურად (იხ. ჩრდილო სვეტი 2.1 ცხრილში). ობიექტურ პირობებში, სადაც შუამავლების გადახდები გათანაბრებული იყო ყველა შესაძლო შედეგთან, ჩვენ ვიყენებდით ისეთ გადასახადებს, რომელიც ობიექტურ პირობებს შეესაბამებოდა, გადასახადების ჩამონათვალს ჩრდილოეთისთვის ობიექტურ პირობებში. როგორც 2.2 ცხრილის მე-2 რიგშია ნაჩვენები, მიკერძოებული შუამავლები ნაკლებად აფასებდნენ თანასწორუფლებიანი მოლაპარაკებების შედეგებს, უფრო მეტად მაშინ, როცა მომავალი შუამავლობის პოტენციალი არსებობდა. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ

მიკერძოებულ შუამავლებს სამომავლო შუამავლობა მიუკერძოებლად ჰქონდათ, როგორც ეს იყო მიუკერძოებელი შუამავლობის პირობებში (2.2 ცხრილის მე-3 რიგი).

ცხრილი 2.2

მონაცემები მიკერძოებული შუამავლების ქცევის შესახებ

დამოკიდებული ცვლადი	მომავალში მედიაციის გარეშე		მედიაციით	
	მიკერძ.	მიუკერძ.	მიკერძ.	მიუკერძ.
მხარი დაუჭიროს დასავლეთს აღმ. მეტად	4.07	2.94	3.50	3.13
საერთო რეკომენდაციები	352.00	303.00	329.00	306.00
მნიშვნელოვანია წარმოჩნდეს როგორც მიუკერძოებელი	4.00	4.56	4.56	4.53

საინტერესო შედეგი გამოვლინდა მიუკერძოებელი მედიატორების ქცევის შედეგად. ასეთი შუამავლების შედეგები განსხვავებული იყო ყველა შესაძლო შედეგთან მიმართებაში, თუმცა მათი რეკომენდაციები შუა წერტილთან უფრო ახლოს იყო. თუ მათ სურდათ თანაბარი შედეგების მაქსიმალურად გაზრდა მომლაპარაკებლებისთვის, მაშინ „პ“- ესთვის რეკომენდაცია უნდა გაეწიათ.

ამ შედეგების ორი შესაძლო განმარტება არსებობს: (1) თანაბარი პირობების წესის თანახმად, თითოეული მომლაპარაკებელი მაქსიმალური გადახდისთვის საჭირო თანხას გამოყოფს, (2) მათ სურთ სამართლიანი რეკომენდაციების შემუშავება, როდესაც რიცხობრივ ანგარიშსწორებას მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია შუა წერტილთან ახლოს ყოფნა. ბოლო ინტერპრეტაციის თანახმად, შუამავლებს აღელვებთ ის, რომ უფრო სამართლიანები ჩანდნენ, ვიდრე რეალურად არიან.

მიკერძოებული მედიატორის გავლენა შუამავლობისადმი სადავო რეაქციების თაობაზე

ექსპერიმენტში, რომელიც ზემოთ არის აღწერილი, ნაჩვენებია, რომ შუამავლებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი საქციელი - მათ შეუძლიათ უკან დახევა, მიკერძოების შეზღუდვა, ზრუნავენ იმაზე, რომ დაპირისპირებული მხარეებისთვის მისაღები იყვნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუკერძოებელი მედიატორის საქციელმა მედიაციაში შუამავლის მოსალოდნელი მიკერძოება შეიძლება გამოააშკარავოს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიკერძოების ორი ძირითადი ფორმა არსებობს: (1) შინაარსის მიკერძოება, რომელიც ეხება შუამავლის ქცევას: მაგალითად, როდესაც ერთ მხარეს უპირატესობა აქვს – შუამავლის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე; (2) ძირითადი ფუნქციის მიკერძოება, რომელიც ეხება შუამავლის მოლოდინებს, რომელიც წარმოიშობა მედიატორის პირადი, პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირებისგან. პრუიტი (1983) ამტკიცებს, რომ წინა ტიპის მიკერძოება არახელსაყრელ მხარესთან ართულებს ეფექტურ შუამდგომლობას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში მოკამათე მხარეებს შეუძლიათ მიკერძოების ამ ფორმის იგნორირება. ორივე ფორმის მიკერძოებას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა შუამავლის გადანყვეტილებებზე და წინადადებებზე. ეს მტკიცებულებები არასრული და ზედაპირულია.

ერთ-ერთ ლაბორატორიულ კვლევაში ჩვენ ვამბობდით, რომ შუამავლის წინადადებების შინაარსი უფრო მეტ გავლენას ახდენს შუამავლის მიღებაზე, ვიდრე მის მახასიათებლებზე.

იმ შემთხვევაში თუ შუამავალი არახელსაყრელ, მიკერძოებულ წყაროს ეყრდნობა, მისი ხელსაყრელი წინადადებებიც კი უნდობლობას იწვევს. უკანასკნელი გავლენა შეიძლება შევადგასოთ როგორც „ტროას ცხენის“ ეფექტი, ეს რაღაც ხელსაყრელია, რომელსაც ჩვენ ველოდებით იმ მხარისგან, რომელიც ჩვენი წინააღმდეგია და ეს უნდობლობას იწვევს (ვიტმერი, კარნევალე და ვოლკერი, 1991).

შემდგომი კვლევისას ჩვენ გვყავდა უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებიც ლაბორანტის როლს ასრულებდნენ, როგორც მომლაპარაკებლები, როგორც ადრე განვიხილეთ. სტუდენტებს ურთიერთობა ჰქონდათ შუამავალთან (რეალურად კომპიუტერულ პროგრამასთან), რასაც რეკომენდაციების სახით მოჰყვა შედეგები. იქ იყო ორი დამოუკიდებელი ცვლადი:

1. წყაროს მიმართ მედიატორის მიკერძოება: (1) უსარგებლო მიკერძოება: შუამავლის შედეგები უარყოფითად იყო დაკავშირებული წყაროსთან (საპირისპირო); (2) ხელსაყრელი მიკერძოება: შუამავლის შედეგები პოზიტიურად იყო დაკავშირებული წყაროსთან (იდენტური); (3) შეთანხმებით დაინტერესება: მედიატორის შედეგები დამოკიდებული იყო ვალდებულებებზე მხოლოდ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე; ან (4) არადაინტერესებული; მედიატორს არანაირი წინადადება არ წამოუყენებია.
2. შინაარსის მიმართ მედიატორის მიკერძოება: მოლაპარაკების შემდეგ მედიატორის რეკომენდაციები ან (1) სტუდენტის მიმართ დადებითად განწყობა; (2) მიუკერძოებლობა; (3)) სტუდენტის მიმართ ნეგატიური განწყობა; ან (4) მედიატორი არ იღებს რეკომენდაციებს შედეგებზე.

ცხრილი 2.3-ში მოცემული მონაცემები ეხება სტუდენტების შეფასებებს, თუ რამდენად სამართლიანი იყო მედიატორი მოლაპარაკებაში. ზოგადად მედიატორები, რომელთაც მიუკერძოებელი შეთავაზებები ჰქონდათ, ყველაზე სამართლიან შუამავლებად ითვლებიან, ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქცევა მოლაპარაკებაში, თავიდანვე სწორი პოზიციის დაკავება და სხვა მახასიათებლები. იმ შემთხვევაში როცა მედიატორის წინადადებები არახელსაყრელია, ითვლება, რომ ეს შემთავაზება სამართლიანია, რადგან მიკერძოებული არ არის რომელიმე მხარის მიმართ. ასეთ ქმედებას „კუშინგის ეფექტის“ (**cushing effect**) იარლიყს აკრავენ. (2) მედიატორი ყველაზე მეტად მიღებულია იმ შემთხვევაში, როდესაც მოლოდინს თავიდანვე ამართლებს, ორივე მხარეს ათანაბრებს და ძალიან სუფთა, მიუკერძოებელ გადანყვებილებებს ღებულობს, რასაც „სამართლიანობის ეფექტს“ უწოდებენ.

ცხრილი 2.3

მედიატორის სამართლიანობის აღქმა, როგორც მიკერძოებული შუამავლის ორი ფორმის ფუნქცია

მედიატორის რეკომენდაციები

შუამავლის მდგომარეობა	მხარდამჭერი	მიუკერძოებელი	არამხარდამჭერი	არცერთი
მხარდამჭერი	2.44	3.57	2.29	3.88
არამხარდამჭერი	2.27	4.36	1.20	3.07
მიუკერძოებელი- დაინტერესებული	2.20	4.25	1.43	4.06
მიუკერძოებელი - ინტერესის გარეშე	2.19	4.60	1.53	3.71

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიკერძობას მედიაში ორი ასპექტი აქვს: მიკერძობა ქცევაში და მიკერძობა ზოგადად მხარეების გათანაბრებასთან მიმართებაში - მიკერძობის ეს ორი ფორმა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად მიღებულია მედიატორი.

არაობიექტურები (Partisans) და ობიექტურები (Non-Partisans)

ბოლო დროს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღქმული მიკერძობა მაყურებლის თვალთ ვეღაზე კარგად ჩანს (არადი და კარნევალე, 1994). ჩვენ გამოვყავით ორი დამხმარე ჯგუფი: ერთი ჯგუფი, რომელიც ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მომხრეა (ძირითადად ებრაელი სტუდენტები ილინოისის უნივერსიტეტში) და მეორე ობიექტური (**Non-partisans**) ჯგუფი, შედარებით ნეიტრალური, ნაკლებად მცოდნე და კონფლიქტში ნაკლებად ჩართული. სუბიექტებს იერუსალიმში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მოგვარების თაობაზე შუამავლის წინადადება გადაეცათ, მათ სთხოვდნენ, რომ კონფლიქტის სამართლიანობა შეეფასებინათ, ასევე იმ პიროვნების სანდობა შეემოწმებინათ, ვინც ეს შეთავაზება წარმოადგინა. ჩვენ მოვახერხეთ მედიატორის (წყაროს მიკერძობა) და მისი შემოთავაზებული წინადადებების (შინაარსის მიკერძობა) კეთილსინდისიერების განსაზღვრა, არაობიექტური და ობიექტური ჯგუფის რეაქციები ამ საკითხზე განსხვავებულია. ეს რეაქციები A 2x2x4 ფაქტორული დიზაინის მეშვეობით იქნა შესწავლილი.

სუბიექტის მხარდაჭერა, ნებისმიერი მიმდევარი (ისრაელის მომხრე სტუდენტები თემებში და კლუბებში) ან არამიმდევარი (ნეიტრალური);

1. შუამავლის წინადადებების შინაარსი მიკერძობებულია, სადაც ან ისრაელის მიმდევრები არიან ან მიუკერძობლები;
2. მიკერძობებული წყარო, სადაც მედიატორს ან ისრაელის მომხრის (ა), ან პალესტინელების მომხრის (ბ) იარლიყი აქვს მიკრული, ნეიტრალური პოზიცია აქვს (გ) ან უცნობია მისი შეხედულება (დ).

არაობიექტურები (Partisans) - მიკერძობაზე ჩატარებული კვლევების თანახმად, სამართლიანობის ხარვეზებს კვლევაში ხშირად პირადი ინტერესები იწვევს (ტომსონი და ლოვენშტეინი, 1992). არაობიექტური არიან ის ინდივიდები, რომლებსაც ეგო აქვთ ჩართული, ისრაელის მომხრეები არიან და მედიატორის სამართლიანობის განსასჯელად პირველ რიგში პირად ინტერესებზე აკეთებენ აქცენტს. არაობიექტური ჯგუფი განსაკუთრებით მედიატორის წინადადებების შინაარსზე ამახილებს ყურადღებას, რამდენად კეთილსინდისიერი და სამართლიანია მისი შემოთავაზება.

ობიექტურები (Non-partisans) - ობიექტური მედიატორი არის ნეიტრალური პიროვნება, რომელიც კონფლიქტში არც ერთი მხარის სასარგებლოდ იკავებს პოზიციას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ გრძნობები არ აქვთ. ისინი ცდილობენ ნეიტრალურობა შეინარჩუნონ და ხშირ შემთხვევაში, სადავო საკითხებში შუალედურ პოზიციას იკავებენ. ობიექტური მედიატორები თავიანთ პირად ინტერესებს იცავენ სამართლიანობის ფარგლებში, მაგრამ ნეიტრალიტეტს არ არღვევენ. შეფასების დროს, ინდივიდები, რომლებიც შუალედურ პოზიციას იკავებენ, ნეიტრალურები და მიუკერძობლები არიან.

ამგვარად, ობიექტური პირების მიუკერძობებლობა და ნეიტრალიტეტი არის სტანდარტი მათ განსასჯელად, მედიატორის სამართლიანობის და ნდობის შესაფასებლად. ისინი

დარწმუნებულნი არიან, რომ მედიატორის წინადადებები მიუკერძოებელი უნდა იყოს, რაც იმას გულისხმობს, რომ მიუკერძოებელი წინადადებები სამართლიანია და მედიატორები, ვინც ეს წინადადება მოამზადა, სანდოობას იმსახურებენ. შუამავლისადმი ნდობა მიბმული უნდა იყოს მედიატორისთვის დამახასიათებელ ნეიტრალურ წყაროსთან.

ცხრილი 2.4 მხარს უჭერს მოსალოდნელ განსხვავებებს არაობიექტურებსა და ობიექტურებს შორის თავის დამკვიდრებაში მიკერძოებულობის შესახებ, როდესაც საუბარია მედიატორში გადანაცვლებების მიღებაზე. არაობიექტურები (**Partisans**) და ობიექტურები (**Non-partisans**) განსხვავდებიან სანდო მედიატორის შეფასების დროს: არაობიექტური პირები სარგებლობენ მედიატორის ხელსაყრელი წინადადებებით, როცა ობიექტური პირები სარგებლობენ მედიატორის მიუკერძოებელი შეთავაზებებით.

ცხრილი 2.4

შემთავაზებული წინადადების სამართლიანობის მნიშვნელობა და შუამავლის საიმედოობა, როგორც შინაარსის და მხარდაჭერის მიკერძოების ფუნქცია

წარდგენილი წინადადების მიკერძოებული შინაარსი

	ისრაელის მომხრეები	მიუკერძოებლები
შემთავაზების სამართლიანობა	3.43a {3.15a}	2.78b {2.91a}
ისრაელის მომხრეები	2.20a {2.48b}	4.37d{4.19c}
ობიექტური ჯგუფის მომხრეები		
სანდო მედიატორი	4.20a {4.12a}	3.37b {3.52b}
ისრაელის მომხრეები	3.07b {3.52b}	4.13a {3.62b}
ობიექტური ჯგუფის მომხრეები		

წყარო: არადი და კარნევალე (1994)

შენიშვნა: უმაღლესი რიცხვები შეესაბამება 6 პუნქტს. წინადადების სამართლიანობის შესაფასებლად, 1 = უკიდურესად უსამართლო / მიკერძოებული და 6 უკიდურესად სამართლიანი / მიუკერძოებელი. შუამავლის ნდობისთვის, 1 = უკიდურესად არასაიმედო / არასანდო და 6 = ძალიან სანდო / საიმედო. ფრჩხილებში თანხები არის კვადრატის საშუალო ანუ დადგენილი და კოვარიაციული. წინადადების სამართლიანობის შესაფასებლად კოვარიაციული მონაცემები არის სანდო მედიატორი. იმავე ტიპის საშუალებები (დაკვირვება, ადაპტაცია), რომლებიც იგივე ინდექსს იზიარებენ, სტატისტიკურად განსხვავებული არ არის.

ცხრილში 2.5 ჩანს, რომ მედიატორის წინადადებები არახელსაყრელია, არაობიექტურ ჯგუფზე (**Partisans**) დადებით გავლენას ახდენს მედიატორის წყაროს მახასიათებლები, მიკერძოებული წყაროს - „კუშინგის ეფექტი“ (**cushing effect**) ჩვენ გამოვიყენეთ ადრეულ კვლევაში.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს მონაცემები არაობიექტური ჯგუფის (**Partisans**) და ობიექტური ჯგუფის (**Non-partisans**) დამოკიდებულებას აჩვენებს ნეიტრალური შეფასების და მიუკერძოებლობის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სამართლიანი და მიუკერძოებელი მედიატორის, როგორცაა ობიექტური ჯგუფის (**Non-partisans**) თვალში, ისეთივე არასამართლიანი და მიკერძოებულია მედიატორი პარტიზანისთვის.

მიკერძობა, ნეიტრალიტეტი და გავლენა

როგორც ამ თავის დასაწყისშია აღწერილი, მიკერძობებისა და მიუკერძოებლობის შესახებ მთავარი კითხვები დაკავშირებულია იმასთან, თუ რამდენად ახდენენ ისინი გავლენას მედიატორზე. როდის არის მედიატორი მიკერძობებული ან მიუკერძოებელი, რომ ხელი შეუშალოს ან შეუწყოს წარმატებას? დავის რა თავისებურებებს და სადავო საკითხებს აძლიერებს მიკერძობებული ან მიუკერძოებელი შუამავალი და როგორ მუშაობს ეს მახასიათებლები? რა ტაქტიკა და სტრატეგიები გამოიყენება შუამავლობის დროს, როცა მიკერძობებული ან მიუკერძოებელი მედიატორები მოქმედებენ?

ცხრილი 2.5

შემთავაზებული წინადადების სამართლიანობის მნიშვნელობა და შუამავლის საიმედოობა, როგორც სუბიექტის მხარდაჭერის და შუამავლის მიკერძობების ფუნქცია (მხოლოდ მიუკერძოებელი შუამავლის წინადადებების პირობები)

წინადადების სამართლიანობის მხარდაჭერა			სანდო მედიატორის მხარდაჭერა	
მიკერძობებული წყარო	ისრაელის მომხრეები	ნეიტრალურები	ისრაელის მომხრეები	ნეიტრალურები
ისრაელის მომხრეები	2.45 ^a	4.28	4.15 ^a	3.94
ნეიტრალურები	3.14	4.40	3.59	4.73
პალესტინის მომხრეები	2.33 ^a	4.12	2.89 ^a	3.77
განუსაზღვრელი	3.18	4.77	2.82	4.00

წყარო: არადი და კარნევალე (1994)

შენიშვნა: უმაღლესი რიცხვები შეესაბამება 6 პუნქტს. წინადადების სამართლიანობის შესაფასებლად, 1 = უკიდურესად უსამართლო / მიკერძობებული და 6 უკიდურესად სამართლიანი / მიუკერძოებელი. შუამავლის ნდობისთვის, 1 = უკიდურესად არასაიმედო / არასანდო და 6 = ძალიან სანდო / საიმედო.

ა. შუამავლების წყაროსთან დაკავშირებული ნომრები, „კუშინგის ჰიპოთეზა“ (იხილეთ ტექსტი)

შუამავლის მიკერძობების ფუნქცია

ჩვენი აზრით, მიკერძობა და მიუკერძოებლობა დიდ როლს თამაშობს მედიაციაში. ორივე პოზიცია გავლენას ახდენს მედიატორზე და ზოგჯერ დებატების მონაწილეთა მზადყოფნა აქტიურდება. მტკიცებულებათა თარიღისთვის - შემთხვევები, რომელთა იდენტიფიცირება მოხდა ტუვალის და სხვათა მიერ, ასევე ლაბორატორიული კვლევა, რომელიც მიუთითებს, რომ მიკერძობულ შუამავლებს შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას თავიანთი მიკერძობების მიუხედავად, მათ შეუძლიათ იმოქმედონ გარკვეულწილად მიუკერძოებელი მანერით, რაც წარმატების მიღწევაში ხელშემწყობი ფაქტორია. მიკერძობებული მედიატორის განსხვავებული ფორმები მოქმედებს მომლაპარაკებელი მხარეების აღქმაზე მედიაციაში.

არადის და კარნევალეს მონაცემების თანახმად, მედიატორი, რომელსაც განზრახული აქვს არაპოპულარული შეთავაზების გაკეთება, პირველ რიგში ევალება, რომ წინადადების ადრესატი დაარწმუნოს იმაში, რომ ეს შეთავაზება მისთვის საუკეთესო ინტერესებს შეიცავს. ამ გზით მედიატორი სარგებელს მიიღებს „კუშინგის ეფექტისგან“. ეს არის ერთგვარი ხრიკი, რომელიც მოითხოვს სიმარჯვეს და ეშმაკობას (ზარტმენი და ტუვალი, 1985) ან ფრთხილი

„მიკერძოებული მანიპულირება“ როგორც ტომი ეძახის მას (1992), ამიტომ შუამავლის სანდოობა შენარჩუნებულია ყველა მხრიდან.

არსებობს ეჭვი, რომ ხილული მიკერძოებლობა ზრდის მედიატორის მიმზიდველობას და გავლენას, როგორც ეს მოხდა ვატიკანის შუამავლობის შემთხვევაში ჩილე-არგენტინას შორის კონფლიქტის დროს (**Beagle Channel Conflict**) (პრინსენი, 1987). ორივე მხარე წინააღმდეგი იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ყოფილიყო მედიატორი ამ კონფლიქტში, ისინი ფიქრობდნენ, რომ აშშ-ს ჰქონდა ინტერესები არხის ბუნებრივ რესურსებთან მიმართებაში, რაც დამაბრკოლებელი ფაქტორი იყო. მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ ისეთი მედიატორი შეერჩიათ, რომელსაც სადავო რესურსების მიმართ ინტერესი არ ექნებოდა.

ფაქტები მეტყველებს იმაზე, რომ მიკერძოებული მედიატორის გავლენას მნიშვნელოვანი მიკერძოება აქვს მედიაციაში და პოზიტიური შედეგებიც შეიძლება გამოიწვიოს (ვერი და ლედერახი, 1991). მიკერძოებას და პირად ინტერესებს შეუძლია მოტივაცია მისცეს მედიატორს, რომ მისაღები შედეგებით დაასრულოს კონფლიქტი. ამის კარგი მაგალითია განქორწინების დროს წარმოქმნილი დავა ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებით, როდესაც მიკერძოებული მედიატორი ერთ მხარეს ართმევს ყველა უფლებას. მედიატორები ამ დროს თავს არიდებენ მკაცრ ნეიტრალურობას, რადგან კონფლიქტი წარმოქმნილია ერთ-ერთი მშობლის დესტრუქციული ქმედების შედეგად (კრესელი, ფრონტერა, ფორლენბა, ბუტლერი და ფიში, 1994). შუამავლები, რომლებიც ნაკლებად არიან დაინტერესებული ნეიტრალურობის შენარჩუნებით, კოგნიტურად აქტიურები არიან. უფრო მეტად სავარაუდოა, რომ მედიატორებმა შეისწავლონ და იზრუნონ ჰიპოთეზის სრულყოფაზე კონფლიქტებთან მიმართებაში, ასევე სავარაუდოა, რომ მოძებნონ დისფუნქციური დამოკიდებულება, აღქმა და ქცევა. ასეთ შემთხვევებში, კონფლიქტის გრძელვადიანი მოგვარების ალბათობა იზრდება. მედიატორები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ნეიტრალურობის შენარჩუნებით, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გამოიძიებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას და რთულ საკითხებს დადებენ მაგიდაზე.

გარდა ამისა, შუამავლის ნეიტრალიტეტს ზოგჯერ კონფლიქტის გამწვავება შეუძლია. ასეთი შემთხვევის სარწმუნო მაგალითია 1982 წლის აპრილში არგენტინელების ფოლკლენდის კუნძულებზე შემოჭრა. ისინი ელოდნენ, რომ აშშ ნეიტრალურ პოზიციას შეინარჩუნებდა და დასავლეთის ჰემისფერულ წყლებში ევროპული გემების შემოსვლას ხელს შეუშლიდა (პურსელი, 1982). ეს იყო მცდარი მოსაზრება. პრუტი (1983) ამტკიცებს, რომ მომხდარი სამხედრო კონფრონტაციის დროს ბრიტანეთის მხარეს მკაფიო, საჯარო გზავნილი ხელს შეუშლიდა შეჭრას. როდესაც შეჭრა ხდება გზაზე, მხარდაჭერის შესახებ მკაფიო, მიზნობრივი დანიშნულების განცხადება უფრო კარგად ახშობს დაპირისპირებას, ვიდრე შუამავლის შუამდგომლობა(გვ. 2).

პოლიტიკურ პოზიციას შეუძლია მესამე მხარის ნეიტრალურობის ჩაკეტვა, ამ კონტექსტში ღირებული არაფერია. შეერთებულ შტატებს ჰქონდა ინტერესი, რომ ნეიტრალიტეტი დაეცვა და ურთიერთობა შეენარჩუნებინა არგენტინის ანტიკომუნისტურ ხელმძღვანელობასთან. თუ არგენტინას ექნებოდა მოლოდინი, რომ აშშ ბრიტანეთს შეუერთდებოდა, 1982 წლის აპრილში ფოლკლენდის კუნძულებზე შემოიჭრებოდა? აღმოჩენის და პრევენციის ცნება, რომელსაც ვერი „სტრატეგიულ მედიაციას“ უწოდებდა, მესამე მხარის ინტერვენციას ეფექტურ გრძელვადიან სტრატეგიად მიიჩნევდა.

მედიტორის ინტერესებს კონფლიქტის გამწვავებიდან გამოიწვევა შეუძლია. მოკამათე მხარეებს

ზოგჯერ ულტიმატუმს აქვთ იმ მიზნით, რომ სარგებელი მიიღონ მედიატორისგან, რომელსაც მათი დაცვის ინტერესი აქვს (ზარტმენი და ტუვალი, 1985). ეს არის ლაბორატორიული მონაცემები, რაც გულისხმობს იმას, რომ მოლაპარაკების დროს მხარეები იყენებენ თანამშრომლობას როგორც საშუალებას მედიატორისგან სარგებლის მისაღებად. ეს გარემოება განსაკუთრებით იმ შემთხვევებს ეხება, როცა მედიატორს ფსონი აქვს კონფლიქტის შედეგზე დადებული და კომპენსაციის შეთავაზება შეუძლია (ჰარის, კარნევალე, 1990).

დასკვნა

როდესაც მედიაციის ორივე მხარეს პარტიზანები არიან, ისინი შუამავლის ქცევას პირადი ინტერესებიდან გამომდინარე უყურებენ. თუმცა კონფლიქტებში, განსაკუთრებით საერთაშორისო კონფლიქტებში, მხოლოდ პარტიზანები არ არიან ჩართული, ასევე პირები, რომლებიც ადამიანთა კეთილდღეობის, სტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, მონაწილეობენ კონფლიქტში. ეს პირები შედარებით ნეიტრალურები არიან, ნაკლებად არიან ინფორმირებული კონფლიქტის შესახებ, შესაბამისად ნაკლებად არიან ჩართული კონფლიქტში. თუმცა მათი იდეები და ქმედება შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს მედიაციის წარმატებულად განხორციელებისთვის. არადის და კარნევალეს კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მედიაციაში პრაქტიკული პრობლემა არსებობს, როდესაც მედიატორს სჭირდება არა მხოლოდ მოკამათე მხარეების ნდობა, არამედ არაპარტიზანი მონაწილეების. მიუკერძოებელი მედიატორის ქცევამ შეიძლება გავლენა მოახდინოს არაპარტიზანებზე, ისევე როგორც მიკერძოებელი მედიატორის ქცევამ მოკამათე მხარეებზე.

მიკერძოება და მიუკერძოებლობა მედიაციაში გავლენის მოპოვებას ემსახურება, თუმცა სხვადასხვა მარშრუტების მეშვეობით. მიკერძოებელი შუამავალი ზოგჯერ პოლიტიკურ პროცესს წარმოშობს, რომელსაც ბერკეტების სისტემა ახასიათებს, წონა ან სტაფილო და ჯოხები (ზარტმენი და ტუვალი, 1985). ხანდახან მიკერძოებელი მედიატორი სანდო და მისაღებია (კრესელი, 1972; ვერი და ლედერახი, 1991). მიუკერძოებელი მედიატორი ზოგჯერ ქმნის შეთანხმებულ პროცესს, რომელიც შუამავლის სამართლიანობას და ნდობას უწყობს ხელს. საჭიროა ზოგადი მოდელი, რომელიც მიკერძოებელი და მიუკერძოებელი მედიატორებისთვის სასაზღვრო პირობებს და გავლენას განსაზღვრავს შუამავლობის პროცესებზე.

კონფლიქტის მედიაცია ცენტრალურ ამერიკაში

პოლ ვერი და ჯონ პოლ ლედერაქი²

შესავალი

კონფლიქტების მოგვარების რეგიონული პროცესი ბოლო პერიოდში ცენტრალურ ამერიკაში განვითარდა, რომლის ძირითად ჩარჩოს 1987 წლის ესკიპულას შეთანხმება (**Esquipulas II Agreement 1987**) წარმოადგენს. ამ თავში ჩვენ ვაანალიზებთ შუამავლობის პროცესს ესკიპულას შეთანხმების ფარგლებში თავდაპირველად როგორც ფართო რეგიონულ პერსპექტივას, რომელიც შემდგომში გამოყენებულ იქნა ნიკარაგუაში კონფლიქტების გადაჭრისა და შუამდგომლობისთვის. რა გზით განხორციელდა შუამავლობა ამ ისტორიულ პროცესში, ამას შესაძლებელია გარკვეული გავლენა ჰქონოდა შუამავლის როლის და მესამე მხარის ჩართულობის წარმოსაჩენად სტუდენტების და პრაქტიკანტებისთვის.

ჩვენ ვინწყებთ მედიაციის საკითხების განხილვას, როგორც თეორიული კონცეფციისა ასევე, რა გავლენა მოახდინა ესკიპულას თემის ანალიზმა და ჩვენმა ჩართულობამ ნიკარაგუას საშუამავლო პროცესებსა და ჩვენს წარმოდგენებზე მედიატორის როლთან დაკავშირებით.

ჩვენ ვავითარებთ მედიატორების შიდა ჯგუფის (**Insider-Partial**) კონცეფციას, როგორც შუამავლობის ტიპს. ამის შემდეგ, ჩვენ ვაგრძელებთ მედიატორის როლის განვითარებას ესკიპულას (**Esquioulas**), ისტორიული პროცესის ფარგლებში, რომელიც დროთა განმავლობაში აწარმოებს, რეაგირებს და გარდაქმნის მოვლენებს. პროცესი გულისხმობს ქმედებას. მედიაციის დროს კი მესამე მხარე ცდილობს მიიყვანოს კონფლიქტი დასრულებამდე. მას შემდეგ, რაც შუამავლები ამ მდგომარეობამდე მიიყვანენ პროცესს, არანაკლებ მნიშვნელოვანი ხდება თუ ვინ არიან და რას აკეთებენ მედიატორები. მაგალითად, ოსკარ არიას სანჩესი იყო მთავარი შუამავალ-მომლაპარაკებელი ესკიპულას პროცესში.

ჩვენ ვაპირებთ განვიხილოთ ესკიპულას (**Esquioulas**) შუამავლობა სტრუქტურული თვალსაზრისით, ვაგრძელებთ ესკიპულას (**Esquioulas**) პროცესების განხილვას სტრუქტურული თვალსაზრისით, რომელმაც შექმნა კონფლიქტების გადაწყვეტის - წესები, დღის წესრიგი, პრინციპები, ვადები და ასევე ორგანიზაციები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ კონფლიქტების მოგვარებისათვის. თანმიმდევრულობის პრინციპი (ჰოფმანი 1988) განმარტავს ამ პროცესების განხორციელების ეტაპებს და შესასრულებელ დავალებებს, რომელიც წარმოადგენს ესკიპულას მედიაციის სტრუქტურას.

შემდგომში, ჩვენ განვიხილავთ ესკიპულას (**Esquioulas**) შუამავლობის პრინციპს და მესამე მხარის ძალისხმევას იმისათვის, რომ მოხდეს ფართო მასშტაბიანი ზეგავლენის მოხდენა კონფლიქტზე. კონფლიქტის კვლევა მიმართულია საკითხის მოგვარების დაჩქარებაზე პირდაპირი შუამავლობის წესით. მნიშვნელოვანია ფართო კონტექსტი ან გარემო, რომელიც გავლენას მოახდენს კონფლიქტის გადაჭრაზე ან მის გადაუჭრელობაზე. ესკიპულას (**Esquioulas**) შემთხვევაში, ეს კონტექსტი თავს იჩენს, როგორც სპეციალური იმპორტი. აშშ-ს პრეზიდენტთა და მათი ადმინისტრაციების ცვლილება, საერთაშორისო მოხალისეები და არასამთავრობო ორგანიზაციები ნიკარაგუაში საშუამავლო პროცესის წარმატების განმაპირობებელი არიან.

2 Wehr Paul and Lederach John Paul. "Mediating Conflict in Central America." In Resolving International Conflicts, The Theory and Practice of Mediation, edited Bercovitch Jacob, 55-74. Boulder, Colorado, Lynne Rienne Publishers, 1996.

ჩვენი თავი აჯამებს გარკვეულ თეორიული და პრაქტიკული შედეგებს, ესკიპულას (**Esquioulas**) მიერ გარე ნეიტრალური (**outsider-neutral**) და შიდა მედიატორების (**insider-partial**) საშუამავლო როლებს. ჩვენი მთავარი რეკომენდაცია - შუამავლების უფრო აქტიური ჩართულობა და შუამავლების უფრო სისტემური შერჩევაა.

ჩვენი დასკვნის თანახმად, მედიატორები მეტად უნდა იყვნენ ინფორმირებულნი თუ რა გავლენას მოახდენს შუამავლობა კონფლიქტის შედეგებზე და რამდენად შეიძლება შუამავლის როლის მხარდაჭერა.

შუამავლობის კონცეფცია

ჩვენი შუამავლობის კონცეფციაზე დიდი გავლენა მოახდინა ჩვენი, როგორც დამკირვებლისა და პრაქტიკოსის ჩართულობამ კონფლიქტების მოგვარების პროცესში, ცენტრალურ ამერიკაში. ერთ-ერთმა ჩვენგანმა, როგორც მედიატორმა, მთელი წელი გაატარა ნიკარაგუას სამოქალაქო ომის ორ მთავარ კონფლიქტურ ნაწილში. მედიატორის როლი საშუამავლო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად ხასიათდება, შუამავლის სამუშაო ხასიათდება სხვადასხვა ხარისხით და განსხვავებული ხასიათით, უნარებით, თვისებებითა და პოზიციებით, რომლებსაც ისინი სამუშაოს დროს ამჟღავნებენ.


ცენტრალურ ამერიკაში მიღებული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ასეთ მახასიათებლებს უნდა დავუმატოთ შუამავლობის ისეთი მოდელი, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ როგორც მედიაციის მნიშვნელოვან ნაწილს. თავდაპირველად განვიხილავთ, თუ ზოგადად რას გულისხმობს მედიაცია , შემდეგ კი - როგორ აისახება ჩვენი კონცეფცია მასზე და რამდენად განავრცობს და შეავსებს ის ზოგადად მედიაციის მნიშვნელობას .

მთავარი კონცეფცია, რაც მედიატორის ეფექტურობაზე ახდენს გავლენას, არის გარე ფაქტორები, რომლებიც კონფლიქტური სიტუაციის გარედან მოდის_ და ნეიტრალიტეტ (ანუ რამდენად ინარჩუნებს მხარე მიუკერძოებლობას). ჩრდილოეთ ამერიკაში ინტერჯგუფური და ინტერპერსონალური კონფლიქტების მართვის სფეროში, შუამავლობა არის განსაზღვრული, როგორც ვიწრო, ფორმალური აქტივობა, რომელშიც ნეიტრალური მესამე მხარე მიუკერძოებელია და უზრუნველყოფს პირდაპირ მოლაპარაკებებს. მისი ნეიტრალურობა გულისხმობს, რომ ის არ არის კონფლიქტში მონაწილე მხარე. ის მხოლოდ აგვარებს კონფლიქტს და შემდგომ აღარ ერევა მხარეთა ურთიერთობაში. ზრდის ფასილიტატორის როლს პირდაპირი წესით წარმოებულ მოლაპარაკებებში. ჩრდილოეთ ამერიკაში ეს დისტანცია შუამავალსა და დაპირისპირებულ მხარეს შორის რთულად არის გამოსახული; შუამავლები განიხილებიან, როგორც “ნეიტრალური მესამე მხარე”. ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს შუამავლების როლს, უფლებებს. ეს არის რაციონული ტიპის უფლებამოსილება როგორც მას ვებერი (1947) აღწერს და რასაც ჩვენ გარე-ნეიტრალიტეტს ვუწოდებთ.

გარეშე პირები ინარჩუნებენ დისტანციას მოკამათე მხარეებისგან. მათი შერჩევა ხდება იმ მიზეზით, რომ მათ არ აქვთ უშუალო კავშირი კონფლიქტთან ანუ მიჩნეულნი არიან მიუკერძოებელ პირებად.

გარე-ნეიტრალეები დაკავშირებული არიან მოკამათე მხარესთან მხოლოდ კონფლიქტის მეშვეობით, მათ აკავშირებთ მხოლოდ შუამავლობის პროცესი მედიატორის ფუნქციების შესაბამისი გზებით/ფორმებით. კონფლიქტის მონაწილეთა და შუამდგომელ მხარეთა ცხოვრების მხოლოდ მცირე ნაწილი იკვეთება ერთმანეთთან, ის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია კონფლიქტთან.

ცხრილი 3.1.



ამ შეხედულობის თანახმად, ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფა მედიაში ქმნის შუამავლის ლეგიტიმურობის, პროფესიონალიზმისა და მიუკერძოებლობის აუცილებელ აღქმას. მედიატორი მუშაობს თავისი ნეიტრალურობის წარმოსაჩენად, რათა მოახდინოს სანდოობის დემონსტრირება იმგვარად, რომ განისაზღვროს ის სიტუაცია, რომელშიც მოლაპარაკებები ნეიტრალურად და მიუკერძოებლად ხორციელდება (გოფმანი, 1959). ნეიტრალიტეტი და მიუკერძოებლობა განიხილება ნეგატიურ კონტექსტში, თუ შუამავალი არ არის. მესამე მხარე არ არის დაკავშირებული სხვა მოკამათე მხარესთან, არ არის ტენდენციური რომელიმე მხარის მიმართ და არ ელოდება რაიმე განსაკუთრებულ ჯილდოს რომელიმე მათგანისგან (მორი 1986: 15-16).

საერთაშორისო მნიშვნელობის მედიატორი

საერთაშორისო მედიაცია გაცილებით უფრო ფართო თვალსაზრისით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკული შეხედულება ჯგუფთაშორის და ინტერპერსონალურ მედიაციაზე. საერთაშორისო და კულტურათაშორისი კონფლიქტების სირთულე შუამავლის როლის მეტ ნაირსახეობას ითვალისწინებს; აქედან გამომდინარე, სხვებთან ერთად ჩვენ შორისაა მედიატორი-ბროკერი (ტუვალი, 1982) და მედიატორი-შუამავალი (იაროუ, 1978). კონცეპტუალიზაციის ყველა სახე ხაზს უსვამს საერთაშორისო მესამე მხარის მიერ შესრულებულ განსხვავებულ როლს ან ფუნქციას. ტუვალს სხვადასხვა შუამავლის როლის და კონცეპტუალიზებული შემოთავაზებების განხილვის შესაძლებლობა აქვს, რომელსაც საერთაშორისო მედიაციის კონცეფცია როგორც დიად ტოვებს. ამასთან, არსებობს სხვა ტერმინები, რომლებიც ჩვენი მიმოხილვიდან გამომდინარე, მესამე მხარის ლიტერატურისთვის ანალოგიურად შეუსაბამოა. მაგალითად, ნეიტრალიტეტი, ამ შემთხვევაში ითარგმნება, როგორც სამართლიანი/მიუკერძოებელი ან თუნდაც დაბალანსებული, როგორც იაროსის მიერ **კვაკერის დახასიათებაშია მოცემული**: „დაბალანსებული მიკერძოებულობა“.

ზოგადად, თეორეტიკოსები ვერხედავენ შუამავლების ნეიტრალიტეტისა და სამართლიანობის/ მიუკერძოებლობის, როგორც წარმატებული საერთაშორისო მედიაციის, აუცილებელ პირობას. მართლაც, ზოგიერთ შემთხვევაში შუამავალის კავშირი და ტენდენციურობა ხელს უწყობს კონფლიქტის დარეგულირების ხელშეწყობას. წარმატებული შუამავალი გარედან უნდა ჩაერთოს კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვაში.

ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფი (Insider-Partial Concept)

ჩვენ ვთვლით, რომ დამატებითი შუამავლის როლის (რომელიც შესაძლებელია მნიშვნელოვანი იყოს უფრო ტრადიციული საზოგადოებისათვის) ეფექტურობა არ არის დამოკიდებული არც გარე ფაქტორებზე და არც ნეიტრალიტეტზე, არამედ დამოკიდებულია საპირისპირო თვისებებზე, კერძოდ კი, შიდა გარემოებებსა და მიკერძოებულობაზე. ამასთან, ჩვენ ვთვლით, რომ ცენტრალურ ამერიკაში საშუამავლო პროცესის დაკვირვების

გათვალისწინებით, შუამავლობის ეს მეთოდი (**Insider-Partial Concept**) სასარგებლოდ ავსებს ამ პროცესს იმ შუამავლებით, რომლებსაც გარედან შემოაქვთ ნეიტრალიტეტი კონფლიქტურ სიტუაციაში.

ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის (Insider-Partial Concept) მიდგომა არის “მედიატორი კონფლიქტის შიგნიდან”, რომელთა მიმღებლობა კონფლიქტის მონაწილეთათვის დამკვიდრებულია არა კონფლიქტიდან მოშორებით ან საკითხებისადმი ობიექტური მიდგომით, არამედ კონფლიქტის მხარეებთან კავშირით და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობებით.


ნდობა ნაწილობრივ ჩნდება იმ გარემოებიდან, რომ შუამავლები არ ტოვებენ მოლაპარაკებათა შემდგომ პროცესებს. ისინი მის ნაწილად რჩებიან და ვალდებულეა აქვთ გაიზიარონ მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგები. მათ უნდა გააგრძელონ ურთიერთობა კონფლიქტის მხარეებთან, რომლებიც თავიანთი მოვალეობის ერთგულნი არიან, საქმის სამართლიანი და დროული მოგვარებით. მსგავსი ტიპის მედიატორები უფრო მეტად ტრადიციულ-კულტურულ გარემოში იზრდებიან, სადაც ძირითადად პირისპირ ურთიერთობები განაგრძნობს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გაცვლას და სადაც ტრადიცია ნაკლებად არის განადგურებული თანამედროვეობის მხრიდან.

ბოლოდროინდელ ეთნოგრაფიულ კვლევაში, ლედერახმა (1988) აღმოაჩინა, რომ ნეიტრალიტეტი ის არ არის, რასაც ცენტრალური ამერიკელები ეძებენ კონფლიქტის გადაჭრის დახმარების საქმეში, ისინი პირველ რიგში ეძებენ ნდობას, *confianza*. მოდელში “*confianza*” (იხ. სურათი 3.2), შუამავლობის უფლებამოსილება ნაწილდება მესამე პირზე, დაპირისპირებულ მხარეებს შორის არსებული პირადი ურთიერთობების მეშვეობით, და არა მეორეხარისხოვანი როლით, როგორცაა გარე შუამდგომელი პირი. ეს არის ის, რასაც ვებერი (1947) უწოდებს ტრადიციულ ხელისუფლებას.

ნდობაზე დაფუძნებული მედიაცია დაგროვილ, ზოგჯერ ისეთ ღრმა ცოდნას იძენს, რომელიც დამხმარე პირსა და დახმარებულთა შორის იცვლება. მას ვისაც შეუძლია „*confianza*-ს დეპონირება” სხვა პერსონაში ამ პერსონას ზედმიწევნით კარგად იცნობს. ისინი დაკავშირებული არიან სხვადასხვა გზებით, არა მხოლოდ შეზღუდულად შესრულებული მომსახურებით.

ცხრილი 3.2

ნდობაზე-დაყრდნობილი მოდელი



როგორც ზიმელი წერდა: “რაც უფრო მეტი გვაქვს საერთო სხვასთან, მთლიანობაში, როგორც პერსონასთან, მით უფრო მარტივად ჩავერთვებით მასთან სრულად, ყველა სახის ურთიერთობაში” (1950: 44). მხოლოდ ამ გავებით, **ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის (Insider-Partial Concept)** მიდგომა არ უკავშირდება კონფლიქტის მხარეებს უბრალო ინტერვენციის მეშვეობით. მათი სანდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა უფლებას აძლევს მათ პრობლემა ერთობლივად გადაჭრან.

სანდოობის გათვალისწინებით, ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის მეთოდი არ არის სხვა მოდელისგან დიამეტრულად სანინააღდეგო. პირადი ნდობა ყოველთვის საყურადღებოა მედიატორების შერჩევისას; თუმცა, ეს არის შერჩევის მთავარი კრიტერიუმი. პირველ რიგში, მათ გამოცხადებული აქვთ ნდობა ყველა მხარისგანან. გარე-ნეიტრალეებისგან განსხვავებით, რომლებიც შერჩეულნი არიან კამათის მონაწილეებთან კავშირის არ ქონის გამო, ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფიდან პირები შერჩეულნი არიან სწორედ დადებითი კავშირებისა და თვისებებისათვის, რისთვისაც ისინი არსებობენ და იღწვიან: ისინი აღიარებულნი არიან ყველა მხარის მიერ და ეს ცნობილია თითოეული მათგანისათვის. ეს “Confianza” (ნდობა) უზრუნველყოფს გულწრფელობას, გახსნილობას, გაცხადებულობას და ეს არის მოლაპარაკებათა ინიცირებისა და წარმოების გზა.

შემდგომში, ჩვენ ვთავაზობთ, ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფზე ტიპოლოგიის ტიპებისა და საერთაშორისო მედიატორების როლების დამატებას. გარე-ნეიტრალურებთან და სხვა სახეობებთან მათი პოტენციალის სასარგებლო კომბინაციით, ჩვენ გვჯერა, რომ ეს გახდება ხილული, რამდენადაც ჩვენ წარმოვაჩინთ თუ როგორ მოხდა ზოგიერთი მათგანის გაერთიანება “Esquipulas”-ის საშუამავლო პროცესში.

“Esquipulas”-ის საშუამავლო პროცესი

“Esquipulas”-ი არის უახლესი მცდელობა ისტორიაში სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის შუამავლობის გზით გადაჭრისა, რათა მოეხდინათ რეგიონული ინტეგრაცია ცენტრალურ ამერიკაში. ცენტრალური ამერიკის კონფედერაცია, 1823-1838; ცენტრალური ამერიკის სასამართლო ორგანო, 1907-1917 და რეგიონული ფედერაცია - ყველა, რომელთა რატიფიცირება მოხდა 1923 წელს და ასევე ცენტრალური ამერიკის საერთო ბაზარი 1962 წლიდან მოყოლებული ჩართული იყო კონფლიქტში. არსებობდნენ ასევე, საპირისპიროდ მოქმედი ძალები: სასაზღვრო კონფლიქტები, როგორც იყო 1969 წლის ე.წ. სოკერის ომი (Soccer War) ელ სალვადორსა და ჰონდურასს შორის; მეცხრამეტე საუკუნის ფილიბუსტერის ომები (Filibuster Wars) საშხედრო მთავრობები, რომლებმაც ეროვნული თვითმყოფადობა რეგიონულზე უპირატესად ცნეს მაშინ როდესაც, სანდინისტას მოძრაობამ (Sandinista) დაამხო სომოზას რეჟიმი (Somoza regime) 1979-ში. ამ სახის სანინააღმდეგო ძალები ცდიდნენ რეგიონის თვითგამორკვევის საუკუნოვან სურვილს.

სანდინისტურმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტები ცენტრალურ ამერიკაში, განსაკუთრებით ნიკარაგუაში. ამგვარმა ქმედებებმა ვერ აღმოფხვრა კლასთაშორისი კონფლიქტი, თუმცა გამოიწვია ორი ახალი კონფლიქტი. პირველი, სანდინისტას მოძრაობის ძალისხმევამ მოეხდინათ ატლანტის სანაპიროს ხალხების ინტეგრირება რევოლუციურ სახელმწიფოში, გამოიწვია შეიარაღებული წინააღმდეგობა აღმოსავლეთით. მეორე მხრივ, სანდინისტების მარქსისტულმა, იდეოლოგიურმა მიდგომამ მმართველობისა და ერის მშენებლობისადმი (ხელისუფლების პოლიტიკისადმი) მათივე რიგებიდან დემოკრატიის წახალისება გამოიწვია. ბევრი ამ დისიდენტთაგანი, სომოზისტას რეჟიმთან ერთად, 1982 წლის შემდეგ, აშშ-ს მიერ ორგანიზებული ამბოხისათვის ნედლ მასალას წარმოადგენდნენ. ნიკარაგუას საზოგადოებიდან უფრო მეტი კონსერვატიული ელემენტი, კათოლიკური იერარქიის ხელმძღვანელობით და მათგან გადარჩენილი მაღალი კლასით, გამოდიოდა სანდინისტას პოლიტიკის სანინააღმდეგოდ და შეამბოხეთა მოძრაობისთვის გარკვეული მხარდაჭერის აღმოსაჩენად.

ნიკარაგუას რევოლუციამ მხარდი მილიტარიზირებული ფორმა მიიღო საბჭოთა

კავშირისა და კუბის მხარეთა ჩართულობით. აშშ-ს მიერ დაფინანსებულმა სამხედრო შენაერთებმა ელ სალვადორსა და ჰონდურასში დაასრულეს რეგიონის პერსპექტივა, რომელიც უფსკრულისაკენ მიექანებოდა. მეამბოხის მიერ ჰონდურასსა და კოსტა-რიკაში გავრცელებულმა კონტრქმედებამ გარდაუვალი გახადა ამ ერების ჩართვა ნიკარაგუას კონფლიქტში. ეროვნული კონფლიქტის ამგვარი ტრანსფორმაცია რეგიონული ზესახელმწიფოს კონფრონტაციაში გადაიზრდა, რამაც მეზობელი ქვეყნების სახელით, მექსიკის მიერ ფორმალური მშვიდობის ძალისხმევის ინიცირება მოახდინა.

კონტრადორა

კონტრადორას ინიციატივა 1983 წლის იანვარში პანამას, მექსიკის, ვენესუელასა და კოლუმბიის მხრიდან დაიწყო, როგორც ექსპერიმენტი ერთობლივ მედიაციაში. მის მიზანს წარმოადგენდა ცენტრალური ამერიკის კონფლიქტების გამოყოფა აშშ-საბჭოთა კავშირის უფრო ფართომასშტაბიანი შეჭრიდან და მათი სამხედრო დონიდან დიპლომატიურ დონეზე აყვანა. კონტრადორას ჯგუფმა ცენტრალური ამერიკის ჯგუფთან კონსულტაციით (გვატემალას, ელ სალვადორის, ნიკარაგუას, კოსტა რიკას და ჰონდურასის პრეზიდენტები) და კონტრადორას მხარდამჭერმა ჯგუფმა (პერუ, ბრაზილია, არგენტინა, ურუგვაი) 1986 წლის ხელშეკრულების პროექტი წარმოადგინა. დოკუმენტის პროექტი წარმოადგენილი იყო ცენტრალური ამერიკის კონფლიქტების დემილიტარიზაციისა და მოლაპარაკებათა გზით მათი გადაჭრისათვის.

1986 წლის მეორე ნახევარში კონტრადორას ინიციატივა ჩიხში შევიდა, რეიგანის ადმინისტრაციის ბენოლის ქვეშ და მათი სამხედრო ძალების მზარდი რაოდენობით არსებობის გამო, ჩაიშალა შეთანხმების ხელმოწერა (Buvollen, 1989a). აშშ თანდამიდევრულად კონტრადორას იგნორირებასა და კრიტიკას ახორციელებდა, ამავდროულად მათ სამხედრო შესაძლებლობებს მთლიანად რეგიონში აკვირდებოდა. ამიტომაც, აშშ, დიპლომატიური გზით, ერთსა იმავე დროს ძირს უთხრიდა კონტრადორას პროცესს (Bagley, 1987) და თან აძლიერებდა კონტრადორას კონფლიქტს შუამავლობის მოთხოვნის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ კონტრადორას ჯგუფმა მარცხი განიცადა თავისი მიზნების მიღწევის საქმეში, უფრო ფართომასშტაბიან სამშვიდობო პროცესში მეტად პროდუქტიულად იყო დანახული, ვიდრე ამის წარმოდგენა შეიძლებოდა. კონტრადორამ შექმნა ბაზა, რომელზეც შესაძლებელი იყო ესკიპულას პროცესის განვითარება. მან უზრუნველყო კონსულტაციური ისტორიისა და სტრუქტურის შექმნა, და რეგიონის კონფლიქტებისათვის ღრმა და ზუსტი დიაგნოზის დასმა. ყველაზე მნიშვნელოვანი კი, ალბათ ეს იყო, ცენტრალური ამერიკის რეგიონული დამოუკიდებლობის მაგალითი. კონტრადორა განხორციელდა არა მხოლოდ მის გარეშე, არამედ ამერიკის პოლიტიკის მიუხედავად.

სინამდვილეში, ჩვენ ვხვდებით კონტრადორას დიდ ნაწილს ესკიპულას პროცესში. კონტრადორას ინიციატივის რვა დოკუმენტი აღიარებულია ესკიპულას შეთანხმების მიერ, როგორც მისი წინაპირობა (გომარიზი, 1988, p. 355). კონტრადორას წევრი სახელმწიფოები მონაწილეობდნენ ორივე პროცესში: საერთაშორისო კონტროლისა და მხარდაჭერის კომისიაში და გაეროს დამკვირვებელი ჯგუფის - ცენტრალური ამერიკის მშვიდობისმყოფელეთა ძალებში. როგორც ჩანს, ესკიპულას ურთიერთობები განყვეტილი არ ჰქონდა კონტრადორასთან (Robinson, 1988), როგორც ამას ზოგიერთი მხარე აღნიშნავდა, არამედ ეს იყო ამ პროცესის გაგრძელება განსაკუთრებით ცენტრალური ამერიკის ფარგლებში.

მიუხედავად იმისა, რომ ესკიპულა დაეყრდნო კონტრადორას, მის მოტივაციას ამ უკანასკნელის წარუმატებლობაც წარმოადგენდა. ერთ-ერთ მსგავს სტიმულს ჰონდურასის მიერ კონტრადორას კანონის ხელმოწერაზე უარის თქმა წარმოადგენდა. ეს იყო წარუმატებლობა, რომელმაც პროცესი მიიყვანამეამბოხეთა წინააღმდეგ კონგრესის მიერ სამხედრო დახმარებისგანახლებამდე. მოვლენათა საგანაგამო გზით განვითარებამ აიძულა კოსტა-რიკის ახლად არჩეული პრეზიდენტი ოსკარ არიას სანჩესი გამოსულიყო ახალი ინიციატივით. არიასი ჩართული იყო კონტრადორას მოლაპარაკებათა დასკვნით ნაწილში; მას წინ ჰქონდა პრეზიდენტობის ოთხნობიანი ვადა რეგიონის ყველაზე სტაბილურ პოლიტიკურ სისტემაში და გააჩნდა ბევრი რესურსი, რომელიც საერთაშორისო შუამავალს სჭირდებოდა (იანგი 1967).

არიასმა მუშაობა მოლაპარაკებათა მიზნების გამარტივებით დაიწყო კონტრადორას პროცესის განხილვა უსაფრთხოების თემების წინ წამოწევით რთული იყო ამიტომ არიასმა დროებით გვერდზე გადადო უსაფრთხოების თემატიკა. მან გაავრცელა შეთანხმების მარტივი პროექტი თავის კოლეგა პრეზიდენტებს შორის, ორტეგას გამოკლებით. მისი წარმატება ითვალისწინებდა "Acta de Contradora" -ს შედარებით სიგრძეს (22 გვერდი) და ესკიპულას შეთანხმებას (6 გვერდი).

განვლილი გზა

1987 წლის თებერვლისთვის, არიასმა მისი კოლეგა პრეზიდენტების მხარდაჭერა მიიღო. ამას მომდევნო თვეებში, რეიგანის ადმინისტრაციის მხრიდან მზარდი წინააღმდეგობა მოჰყვა. რეიგანის გეგმის გამოცემა ცენტრალური ამერიკის ჯგუფის სამიტის აგვისტოს შეხვედრამდე ორი დღით ადრე, ჯგუფის მიერ აღიქმებოდა, როგორც სამშვიდობო პროცესის შელახვის მცდელობა. ჰომმანს (1988) სჯეროდა, რომ ხუთი პრეზიდენტის მიერ შეთანხმების ხელმოწერა მნიშვნელოვანი იყო, მათ ასევე მოუწოდეს აშშ-ს კონგრესის ზოგიერთ წევრს ხელი მოეწერათ "ცენტრალურ ამერიკაში მდგრადი და გრძელვადიანი მშვიდობის დამყარების პროცედურაზე" (Procedimiento para Establecer la Paz Firme y Duradera en Centroamérica (Gomariz, 1988:355-361). ხელმომწერ მთავრობათა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის მოლაპარაკებებში შუამავლობისათვის ჩარჩო შეიქმნა.

შეთანხმებამ განსაზღვრა კონკრეტული დონისძიებები: კონფლიქტის დემილიტარიზაცია ცეცხლის შეწყვეტით გზით, მოწინააღმდეგეთა ტერიტორიის გამოყენებასა და მათ მხარდაჭერაზე უარის თქმის მეშვეობით, ეროვნულ დონეზე შერიგების მიღწევა შესაძლებელი იყო მოლაპარაკებების გზით, მეამბოხეთა ამინისტიით, ლტოლვითა რეპატრიაციით, პოლიტიკური სისტემების დემოკრატიზაციით, თავისუფალი და ღია არჩევნების მეშვეობით, საგანგებო მდგომარეობის დასრულებით, ადამიანის უფლებების დაცვით, რეგიონულ დონეზე კონსულტაციების გაგრძელებით, პერიოდული სამიტებისა და პარლამენტის მეშვეობით; მომდევნო სამიტებმა შეაფასა შუალედური პროგრესი, დაზუსტებული განრიგები, მოწვეული მესამე მხარის ჩართულობა, ხელშეკრულებების გადახედვა. სან ხოსეს (San Jose meeting (1988)) შეხვედრამ მაგალითად, მხარეები სანდინისტასთან ცეცხლი შეწყვეტასა და მოწინააღმდეგეებთან მოლაპარაკებამდე მიიყვანა. სან სალვადორის სამიტმა (San Salvador summit (1989)) გამოაქვეყნა შეთანხმება ნიკარაგუას არჩევნებსა და მოწინააღმდეგეთა დემობილიზაციასა და რეპატრიაციაზე. ტელას შეთანხმებამ (1989) დემობილიზაციის გრაფიკი დაამტკიცა და მათი ზედამხედველობა კონტროლისა და მხარდაჭერის საერთაშორისო კომისიას დააკისრა. მონტელიმარის სამიტზე (The Montelimar summit 1990) მოხდა ნიკარაგუას გარდამავალი პროცესისა და მოწინააღმდეგეთა დემობილიზაციის შეთანხმების

რატიფიცირება და გაძლიერება, რომელიც სანდინისტასგან ძალაუფლების გადმოცემითა და მოწინააღმდეგეთა განიარაღებისაკენ იყო მიმართული.

1990 აგვისტოსთვის, ნიკარაგუაში, გვატემალასა და ელ სალვადორში ეროვნული შერიგების კომისიები არსებობდა და მოქმედებდა შესაბამისად. ნიკარაგუაში, სამშვიდობო პროცესმა რამდენიმე, ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრეცედენტი დაუშვა: არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლების ჩართულობით და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა, რევოლუციური მთავრობის გონივრულად ლოიალურ ოპოზიციად ტრანსფორმაცია; განიარაღების პროცედურასა და ამბოხებულების სამოქალაქო ცხოვრებაში რეინტეგრაცია. **ნიკარაგუაში, ესკიპულას პროცესი გეგმებს ერთგულად მიჰყვებოდა, რომ არა შეთანხმების განხორციელების განრიგი.** თუმცა, სხვაგან, ცენტრალურ ამერიკაში, ესკიპულამ ვერ ჰპოვა რეალური სიმშვიდე.

ლიდერები პროცესში

ესკიპულას სამი მონაწილე პასუხისმგებელი იყო მის სრულფასოვან ამოქმედებაზე: ოსკარ არიასი, კოსტა რიკას პრეზიდენტი, მისი ხელმძღვანელობისა და შუამავლობისათვის, ვინიცო ჩერეცო, გვატემალას პრეზიდენტი ინიცირებული სამიტების ორგანიზებითა და მასპინძლობით და ნიკარაგუას სრულუფლებიან მონაწილედ ჩართვის დაუნიშნული მოთხოვნით, და მისი შემდგომში ჯგუფში, როგორც მათი სანდო მხარდამჭერის როლით და დანიერ ორტეგა, ნიკარაგუას პრეზიდენტი, რომელიც გამოირჩეოდა მოლაპარაკებათა მოქნილი ტექნიკით და საკვანძო პუნქტებზე მნიშვნელოვან დათმობებზე წასვლით.

არიასი იყო ცენტრალური ფიგურა, როგორც შუამავალი და მომლაპარაკებელი. მას შემდეგ, რაც კოსტა რიკა იყო სრულ შესაბამისობაში პროცედურებთან (“Procedimiento”), მას ჯგუფში მიენიჭა განსაკუთრებული სტატუსი. როგორც ჩანს მან გააერთიანა საგარეო და საშინაო მიდგომები კონფლიქტის მართვის საკითხებში (ბერკოვიჩი 1984). არიას გარანტირებული ვადა კოსტა რიკაში და მისი, როგორც ნობელის პრემიის ლაურეატის სტატუსი წარმოადგენდა კარგ რესურსს შემდგომი განვითარებისათვის. ის იყენებდა შუამავლობის ღია ტაქტიკას (რობინსონი 1988): **ორტეგას ადრეული პირადი კონფრონტაცია ნიკარაგუას მოქნილობის საჭიროებასთან მიმართებაში** ჰონდურასის დაუყოვნებლივ მიღებაზე შეთანხმების მიღწევას; შეხვედრების დროისა და ვადების გამოყენება აშშ-ს ქვე-ვერსიას გამორიცხავს - ესკიპულას შეთანხმება II-ის განხორციელებას.

ესკიპულას სტრუქტურა

1988): **ერთდროული** (ამოღებულია პრობლემა “ვინ მიდის პირველი” - **ეკლიანი**, მოწინააღმდეგეთა დემობილიზაციისა და არჩევნების მხედველობაში მიღებით); **კალენდარული** (“ვინ რას და როდის აკეთებს”); და **გამჭვირვალე** (“როგორ უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ამას აკეთებენ”). შემდეგი პრინციპების გამოყენებისათვის კომისიები შეიქმნა: შემონმებისა და მხარდაჭერის კომისია; შერიგების ეროვნული კომისია; ყველა ქვეყანაში შერიგების ადგილობრივი კომისიები შეიქმნა საჭიროებისამებრ; (იხ. ცხრილი 3.3.). კომისიის წევრები შერჩეული არიან თავიანთი ხელმძღვანელობის მორალური თვისებებით, კონფლიქტის მხარეებთან სასარგებლო ურთიერთობების დამყარებით, რომლებიც მათ გააჩნდათ, და მათი, როგორც შუამავლების გამოცდილების გათვალისწინებითაც. ისინი ახდენენ დაკავშირებული, სანდო, ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის მეთოდით (**Insider-Partial Concept**) მესამე მხარის ილუსტრირებას. ეს კომისიები წარმოიქმნენ გარე-ნეიტრალების, როგორც მედიატორების გამოსაყენებლად და მორიგეობით გამოყენებულ

იქნა მათი მხრიდან. შემდგომში ჩვენ განვიხილავთ, როგორი იყო ესკიპულას სტრუქტურა წარმატებით გამოყენებული ნიკარაგუაში.

შერიგების ეროვნული კომისია

სანდინისტას წინააღმდეგ მიმართული კონფლიქტი მისი საერთაშორისო და სამხედრო გავლენის გათვალისწინებით, ესკიპულას წუხილის მთავარი საგანი იყო. კარდინალი ობანდო უბრავო (Obando y Bravo) არჩეულ იქნა ნიკარაგუას შერიგების ეროვნული კომისიის (NRC) ხელმძღვანელად. ის არ იყო შერიგების მისი ნეიტრალიტეტის გამო, მისი მტრული დამოკიდებულება სანდინისტას მიმართ კარგად იყო ცნობილი. თუმცა, მისი როგორც სულიერი წინამძღოლის სტატუსი, მისი ახლო კავშირები მოწინააღმდეგე ელემენტებთან და მისი სახე, როგორც ეროვნული სიმბოლოსი, სასარგებლო შუამავლის შერიგებისათვის გათვალისწინებულ იქნა. ორი მხარის შეხვედრა შედგა 1988 წლის დასაწყისში ობანდოს შუამდგომლობით.

რამდენიმე თვიანი მოლაპარაკებების შედეგად მიღწეულ იქნა საპოას შეთანხმება (Sapoa agreement) და შემდგომ ცეცხლის შეწყვეტა, თუმცა, პირდაპირი მოლაპარაკებები შეწყვეტილი იყო მეამბოხეების მხრიდან და არ გაგრძელებულა წელიწადზე მეტ ხანს.

ცხრილი 3.3.

აღმასრულებელი კომიტეტი (საგარეო საქმეთა მინისტრები)	სამიტების შეხვედრები	საერთაშორისო კომისია შესწორებისა და მრავალპარტიულობისათვის
ქვეკომიტეტი ერთობლივი ქმედებებისათვის		უსაფრთხოების კომისია
ქვეკომიტეტი ტექსტებისათვის		ქვეკომიტეტი (საგანგებო წარმომადგენელი ICVS)
ქვეკომიტეტი დევნილთათვის	შერიგების ეროვნული კომისიები	
ქვეკომიტეტი სოციო- ეკონომიკური საკითხებისათვის	უნწყებრივი კომისიები	
ქვეკომიტეტი რეგულაციების საკითხებზე	სხვა კომისიები	

ობანდოს შუამავლობა მეტად ხელშესახები გახდა 1990 წლის ეროვნული არჩევნებისთვის და მოწინააღმდეგეთა დემოკრატიზაცია გამოიწვია. დელიკატურ მოლაპარაკებათა რამდენიმე რაუნდი იყო საჭირო, სხვადასხვა დროს მოწინააღმდეგეთა ხელმძღვანელის, შესწორებისა და მხარდაჭერის კომისიის, სანდინისტას მთავრობის, გაეროს, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციების (OAS), UNO-ს ოპოზიციის ჩართულობით და 1990 წლის 25 აპრილის შემდეგ ჩამორს მთავრობის ჩართულობით (Chamorro government). მარტის არჩევნების შემდეგ, აპრილში ძალაუფლების გადაცემამდე რთული პერიოდის განმავლობაში, კარდინალი ობანდო იყო ყველაზე თვალსაჩინო შუამავალი. ნათელი არ არის, რამდენად აქტიური და დირექციული იყო მისი მედიაცია, თუმცა მისი მხრიდან ნებისმიერი ჩარევის დროს შედეგად - საპოა, ტონკონტინი, გარდამავალი მოლაპარაკებები და მთავარი, გრძელვადიანი შეთანხმება იქნა მიღებული.

შერიგების კომისია

მედიაციის მეორე მცდელობამ მოიცვა სანდინისტას მთავრობა და ატლანტიკური სანაპიროს წინააღმდეგობა გამოიწვია. ინდიელები და კრეოლები, ისტორიულად იზოლირებულ იქნენ წყნარი ოკეანის სანაპიროდან. ბრიტანული და ამერიკული ეთნიკური ჯგუფების მანიპულაციამ წაახალისა ეს იზოლაცია (ჰალე 1988; ბრუკსი. 1989). მაშასადამე, კოსტენოსი (costeños) ნაკლებად იყო ჩართული სომოზას წინააღმდეგ აჯანყებაში და არ მიესალმებოდა რევოლუციურ ნიკარაგუას.

სანდინისტას მცდელობა აღმოსავლეთ სანაპიროს ინტეგრაციის თავიდან ეჭვით, ხოლო შემდგომ წინააღმდეგობის განწევს სურვილით მიიღეს. სიტუაცია მალევე გადაგვარდა და შეიარაღებულ კონფლიქტში გადავიდა, რომელმაც 30 000 ლტოლვილი ჰონდურასსა და კოსტა რიკაში გაამწესა, რამაც მისკიტოს ჩრდილო-აღმოსავლეთით განსაკუთრებული ნგრევები ნგრევა გამოიწვია. 1984 წლისთვის სანდინისტას მთავრობამ, ძველი შეცდომების გაანალიზებით შერიგების ახალი სტრატეგია წამოიწყო ორი მიმართულებით. პირველი მიმართულება ატლანტის სანაპიროს ლიდერების მოლაპარაკებების ინიცირებას ახდენდა, რასაც შედეგად მოჰყვა ეროვნული ავტონომიური კომისია (1984), ადგილობრივი დაზავების შემთხვევები, არჩეული მშვიდობა და ავტონომიური კომისია, ეროვნული ავტონომიური კანონის პროექტის მომზადება და მისი რატიფიკაცია მრავალეთნიკური ასამბლეის მიერ (1987 (Buvollen, 1989b; Sollis, 1989)). ეს ხანგრძლივი საკონსულტაციო პროცესი ატლანტის სანაპიროს ეთნიკურ კომპლექსურობას ასახავდა, ოთხ ენაზე მოსაუბრე ექვსი ჯგუფით. მიუხედავად იმისა, რომ ამ ჯგუფებში ადამიანთა რაოდენობა 300,000 - ით განისაზღვრებოდა, რაც ნიკარაგუას მოსახლეობის მეათედს შეადგენდა, მათი რეგიონის სახმელეთო ტერიტორია წარმოდგენილი იყო ერთი მესამედით და მისი ბუნებრივი რესურსების მარაგის დიდი ნაწილით.

ამ ავტონომიის მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთიდან ზოგიერთი პატივსაცემი ადამიანის ჩართვა, რომლებიც სოლიდარობას უცხადებდნენ რევოლუციას, ამგვარად ისინი იმსახურებდნენ ორივე მხარის ნდობას სანდინისტას და ადგილობრივი ლიდერებისაც (Freeland, 1989). ისეთმა შუამავლებმა, როგორც იყვნენ მირა კუნიგამი და ჰუმბერტო კამპბელი დიალოგი საბოლოო შეთანხმებამდე მიიყვანეს. ისინი არიან შემდგომი მაგალითები ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის წარმომადგენლებისა, რომელთა სანდოობისა და ურთიერთგაგების ხარისხი, კონფლიქტის მხარეებს შორის ავტორიტეტის ქონა და ორივე მხარესთან ურთიერთგადამკვეთი კავშირები, მედიატორის უფლების მისაღებად უმნიშვნელოვანესია.

მეორე მიმართულება მოიცავს სანდინისტას მოლაპარაკებას შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთა ლიდერებთან, რომლებიც გადასახლებაში იყვნენ და YAMATA-ს შეუერთდნენ 1987 წელს. მათი ამოცანა იყო ისტორიული ინდური ტრადიციებისა და ტერიტორიული უფლებების აღდგენა, და არა მრავალეთნიკური რეგიონული დამოუკიდებლობა, რომლის შესაძლებლობასაც ავტონომიური სამართალი იძლევა. ესკიპულამ უზრუნველყო სანდინისტა-იატამას (Sandinista-YATAMA) კონფლიქტისათვის ახალი საშუამავლო სტრუქტურის არსებობა. მაშინ როდესაც კათოლიკური ეკლესიას ჰქონდა მნიშვნელოვანი საშუამავლო როლი სანდინისტა-იატამას კონფლიქტში, აქ მთავარი მედიატორი იყო მორავიული ეკლესია.

ისევე როგორც კათოლიციზმი იყო გაბატონებული დასავლეთში, ასევე იყო მოვარიული ეკლესია ატლანტის სანაპიროზე. მისკიტოს, რამასს, სუმოსებსა და კრეოლათა შორის დამკვიდრებული, მოწინააღმდეგე მხარის სხვადასხვა ლიდერის ნდობით სარგებლობდა

და თანმიმდევრულ შუამავალს წარმოადგენდა. 1980-იანი წლების დასაწყისში მორავიული ეკლესია განიხილებოდა როგორც ანტირევოლუციური სანდინისტების მხრიდან. სანდინისტა-ინდოეთის ომში მოვარიული ეკლესია მნიშვნელოვნად დაზარალდა. მან დაკარგა მღვდლები, ეკლესიები, სკოლები, საავადმყოფოები.. თუმცა, 1983 წლიდან, მორავის პროვინციის საბჭომ და სანდინისტას მთავრობამ ურთიერთობების გასაუმჯობესებაზე იმუშავა. ეკლესიის წინამძღოლებმა ხელი შეუწყვეს ცეცხლის შეწყვეტისა და ავტონომიური კონსულტაციების წარმოებას. საბჭოს წევრები იყვნენ ლიდერების სკოლის მეგობრები, მთავარი მოწინააღმდეგეები და მათ ეს კავშირები შეინარჩუნეს.

მოულოდნელი იყო, რომ იატამამ მორავის ლიდერების შუამავლობა ითხოვა სანდინისტა-იატამას მოლაპარაკებებში. მთავრობაც დაეთანხმა მორავის ამ როლში მობრუნებას, მაშინ როდესაც აცნობიერებდა, რომ ისინი არც ნეიტრალურები არიან და არც მიუკერძოებლები. როგორც შინაგან საქმეთა მინისტრმა ტომას ბორგემ აღნიშნა: “ისინი იქ მეტნი არიან ვიდრე აქ”. “გარკვეული ბალანსით, რომელსაც დასავლეთიდან დანიშნულები უზრუნველყოფენ, გუნდმა დაიწყო პირდაპირი მოლაპარაკებების მედიაცია 1988 წლის იანვარში. მორავის პროვინციის საბჭომ, გუსტავო პარაჯონმა CEPAD-ის წევრები (პროტესტანტების დამხარებისა და განვითარების სააგენტო) შერიგების კომისიის წევრებად დაასახელა.

1988 წლის განმავლობაში კომისია მედიატორობდა სერიოზული შეზღუდვების პირობებში. ოლივერ ნორსი, ჩრდილოეთში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის (CIA) თანამშრომლები ყველანაირ ღონეს ხმარობდნენ სანდინისტა-ინდიანის შეთანხმების აკრძალვისათვის, გაერთიანებული ნიკარაგუას წინააღმდეგობის თავიდან ასაცილებლად.

ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დაფინანსებით, მედიატორები გადაურჩნენ გატაცების მუქარებსა და მკვლელობის მცდელობებს მათ წინააღმდეგ, რადგან ისინი თავიანთ სამუშაოს ასრულებდნენ.

იატამას ლიდერებს შორის შეჯიბრებითობამ და სანდინისტას გადაუწყვეტელობამ ასევე შეანელა პროგრესი, მაგრა 1988 წლის დასასრულს მიღწეულ იქნა შეთანხმება ნახევარზე მეტი პრობლემების თაობაზე. თუმცა 1989 წლის სექტემბერამდე არ ყოფილა სრულყოფილი შეთანხმება საჯაროდ აღიარებული, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯიმი კარტერის ჩართულობის დამატებასთან დაკავშირებით.

შერიგების კომისიის მედიაცია ასახავდა, წინასწარ განხილულ ნდობით-მთავონებულ (confianza), ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის მოდელს. მისი წარმატება დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ნეიტრალიტეტსა და გარე ფაქტორებზე, არამედ გრძელვადიან, ნდობაზე დაფუძნებულ თანამშრომლობაზე, რომელიც მათ წევრებს გააჩნდათ კონფლიქტის მხარეებთან. პირისპირ მოლაპარაკებების მიმდინარეობის დროს, კომისიის წევრები იატამას ლიდერებთან ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ. ისინი სადილობდნენ და ისვენებდნენ ორივე მხარესთან ერთად. ცოდნასა და კავშირებს ორივე მხარე იყენებდა თავიანთი ხედვებისა და ამოცანების ერთმანეთისთვის ასახსნელად. შესაბამისად, კომისია დაკავებული იყო სადავო საკითხების განხილვით, ვიდრე ნეიტრალიტეტზე- დაფუძნებული მედიაციით.

მისი ფუნქციები უფრო ფართო იყო ვიდრე ვიწრო. მისი რიგი ამოცანები, მოგზაურობის დაგეგმვიდან დაწყებული და მოკამათე მხარეებისთვის დღიური განრიგის შედგენისა და მათი ოჯახური პრობლემების გადაჭრით დასრულებული, მიმდინარეული იყო ომში ჩართული ეროვნული მთავრობების ცეცხლის შეწყვეტის საკითხებზე მოლაპარაკებებში

ჩართვისაკენ. ასეთი მრავალფეროვანი ნარევი არ ტოვებს მესამე-მხარეს, საერთაშორისო ჩარევის კომპეტენციის მიღმა (პრუტი და რუბინი 1986), მაგრამ ის სთავაზობს ტენდენციური მედიატორების მრავალგანზომილებიან როლს უფრო, ვიდრე ვინც სპეციალიზაციაზე ორიენტირებულ გარე-ნეიტრალურისას. კომისრების, როგორც მედიატორების ლეგიტიმურობა, მათი კონფლიქტების დისტანცირებიდან გამომდინარეობდა, თუმცა მათი პირადი კავშირებიდან, რაც მონინააღდეგეებში ნდობას აღვივებდა. კონფლიქტის მონაწილეთა შორის ასეთ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობები მოლაპარაკებისთვის უსაფრთხო სივრცეს ქმნიდა.

ამასთან, კომისიის, როგორც მესამე მხარის ლეგიტიმურობა, მათი ფუნქციების ხანგრძლივობიდან და სიღრმიდან გამომდინარეობდა. გარე-ნეიტრალი ჩვეულებრივ, საკითხის მოგვარებიდან მალევე ტოვებს კონფლიქტს. შიდა ნაწილობრივი, მედიაციის მოდელი კონფიანზა (confianza) გულისხმობს მედიატორ-მოკამათის უწყვეტ კავშირს. 1988 წლის ცეცხლის შეწყვეტის შემდგომ, მორავიასა და CEPAD-ის წარმომადგენლებმა გააგრძელეს თანამშრომლობა ორივე მხარესთან მშვიდობის განმტკიცებისათვის.

კომისიის მრავალჯერადი ფუნქციები კონფლიქტის სხვადასხვა დონეზე ხორციელდებოდა. წევრები მუშაობდნენ მშვიდობისა და ავტონომიის კომისიებთან და ამ სახით, პროცესის ადგილობრივ დონეზე დაკავშირება ხდებოდა. შერიგების პროცესის ფარგლებში, ისინი თან ახლდნენ დევნილ ლიდერებს თავიანთ მშობლიურ სოფლებში. კომისია შუამავლის როლს ასრულებდა სანდინისტა-იატამას მოლაპარაკებებში, ეროვნულ დონეზე. საერთაშორისო მასშტაბით, ის მუშაობდა ნიკარაგუელ დევნილებთან ერთად ჰონდურასსა და კოსტა რიკაში და თავი მოუყარა სამი ეროვნების დევნილებს აღმოსავლეთ სანაპიროდან, იატამას მომლაპარაკებელი ჯგუფის შესაქმნელად.

ამ მრავალმხრივი და განგრძობითი/უწყვეტი ფუნქციების სხვადასხვა დონეზე მიღებით, კომისიის მედიატორები ითვლებოდნენ უფრო საერთო პროფილის წარმომადგენლებად ვიდრე სპეციალისტებად. მათი ეფექტურობა თანაბრად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იყვნენ ისინი კონფლიქტის მხარეებთან ურთიერთობაში (და არა იმაზე ვინ არ იყვნენ) და რა გააკეთეს მათ (არა იმაზე, თუ რას აკეთებდნენ ისინი).

ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის (**Insider-Partial Concept**) მედიაციის შედეგად საკითხი დროებით მოგვარდა. თუმცა, საბოლოო და საბოგადო შეთანხმება გარე-ნეიტრალიტეტის მომხრე ჯიმი კარტერის ხელშეწყობით იქნა მიღწეული, რომელიც თავისუფლად არჩეული სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს თავმჯდომარე იყო, ნიკარაგუას ეწვია, 1990 წლის არჩევნების გამჭვირვალედ და ლეგიტიმურად ჩატარების მონიტორინგის მიზნით. მან შუამავლობა შესთავაზა სანდინისტა-იატამას შორის აზრთა სხვადასხვაობის გამო, ინდოეთის ლიდერების თავისუფლად დაბრუნებისა და წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესანარჩუნებლად.

კარტერს სთხოვეს იატამა-სთვის პოლიტიკური რეინტეგრაციის საკითხებში იგივე პირობები შეეთავაზებინა, რაც მონინააღდეგეებზე ვრცელდებოდა - შეიარაღებულ ამბოხზე უარის თქმა, პოლიტიკურ სისტემაში ჩართვა, ყველა შეიარაღებული დაპირისპირების, დემობილიზაციის დახმარება. მხარეები საჯაროდ შეთანხმდნენ წინასწარ განსაზღვრულ პირობებზე იმ კვირის განმავლობაში, როცა კარტერ-ბორგესთან შეხვედრა შედგა, ბრუკლინ რივერა და იატამას სხვა ლიდერები ნიკარაგუაში დაბრუნდნენ.

კარტერმა კარგად გამოიყენა თავისი შესაძლებლობები: სანდინისტას ძალიან უნდოდა არჩევნების ლეგალიზაცია. დროც მისთვის მუშაობდა. მოახლოებულ არჩევნებზე ბენოლა და მათი მაღალი **ხილვადობა** მსოფლიოში, მოკამათებს შორის წარმოქმნილ მანევრირების საშუალებას წარმოადგენდა, რომელიც ერთი წლით ადრე არ არსებობდა. კარტერი სხვა, მესამე მხარისათვის სასარგებლო ფუნქციების შესრულებას აგრძელებდა, როგორც კოორდინატორი და შემრიგებელი, თვითონ არჩევნების განმავლობაში და არჩევნების შემდგომ, რთულ გარდამავალ პერიოდში.

სანდინისტა-იატამას კონფლიქტის რეზოლუციაში, ჩვენ ვხედავთ თუ როგორ იყვნენ გამოყენებულნი ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის წარმომადგენლები და გარე-ნეიტრალურები, როგორც შუამავლები რთულ დროსა და სხვადასხვა პირობებში. **ავტონომიური შერიგება** ეყრდნობოდა ისეთ შუამავლებს, რომლებიც სანდო იყვნენ ორივე მხარისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ორივეს ეკუთვნოდნენ. ესკიპულას (Esquipulas) ფარგლებში, შერიგების კომისიამ, სანდინისტა-იატამას კონფლიქტთან მიმართებაში მნიშვნელოვან წარმატებას “შიაღნია”, როგორც “მედიატორებმა შიგნიდან”, რომელსაც ორივე მხარის ნდობა ჰქონდა. საბოლოოდ, კარტერის ინტერვენცია გამოვიდა ჩიხიდან, რამაც საშუალება მისცა იატამას ლიდერებს დაბრუნებლიყვნენ, ამგვარად, ხელი შეეწყო ესკიპულას დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის მიზნებს. მედიაციისადმი ეს განსხვავებული მიდგომები ურთიერთშემავსებელი იყო. ყველაფერი ეს მნიშვნელოვან ნდობას მოითხოვდა შუამავლებს შორის. მიუკერძოებელი გარე მედიატორი, სანდო შუამავლებთან ერთად, ჩართული იყო ნიკარაგუას გრძელვადიანი სამშვიდობო პროცესის კონფლიქტში შუამდგომლობის საქმეში.

აქ ასევე უნდა აღინიშნოს გარე-ნეიტრალურების მეორე ჯგუფიც. ესენი იყვნენ საშუამავლო სააგენტოები კონფლიქტის სტრუქტურაში ჩართულები შესწორებისა და მხარდაჭერის საერთაშორისო კომისიის მეშვეობით, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ესკიპულას მეთანხმებაში, თუმცა ფაქტოვრივად 1989 წლის აგვისტოს ტელას სამიტამდე არ **ფუნქციონირებდნენ**. ამ კომისიამ რეპარტიაცია განახორციელა, მონინააღმდეგეთა დანაყოფების განიარაღება და გადასახლება. ICVS-ში წარმოდგენილი იყო აშშ-ს სახელმწიფოების ორგანიზაცია, კონტრადორას ჯგუფი და გაეროს დამკვირვებელთა ცენტრალური ამერიკის ჯგუფი, ესპანური და ვენესუელას სამშვიდობო ჯარების 800 კაციანი კონტიგენტი. მაშინ, ესკიპულაში სტრუქტურირებული იყო სამი საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაცია, მისი წარმატებების დადასტურებისა და მონიტორინგისათვის, მის მთავარ საზრუნავს გეგმის წარმატებით შესასრულებად წარმოადგენდა: გაერო, აშშ სახელმწიფოთა ორგანიზაცია (OAS) და კონტრადორას ჯგუფი. 1990 წლის ივნისისთვის, კომისიას ჰყავდა 15,000-დან 11,000 განიარაღებული აჯანყებული და გარანტირებულად მშვიდობიანი სანდინისტა, ოპოზიციისათვის ძალაუფლების გადაცემა, ეს უდავოდ ისტორიაში ყველაზე მშვიდობიანი სამშვიდობო ოპერაცია იყო.

ესკიპულას კონტექსტი

ჩვენ წარმოვადგინეთ ესკიპულას მედიაცია ორი სახით, როგორც დროში გაჭიანურებული პროცესი და განვითარებული საშუამავლო სტრუქტურა. მესამე პერსპექტივა, კონფლიქტის უფრო ფართო აღქმას გულისხმობს. ეს სტრუქტურა შექმნა მოქმედმა სუბიექტებმა, რომლებიც პირდაპირი წესით არ იყვნენ ჩართული მედიაციაში. რა თქმა უნდა, მათ ვისაც რეიგანისგან განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ დაკარგეს მისი მეორე ვადით არჩევნის

სურვილი. ცენტრალურ ამერიკაში მიმდინარე სამოქალაქო ომებმა სწრაფად დაკარგეს გარე მხარდამჭერები, როგორც კი რეიგან-გორბაჩოვის მეგობრობით ცივი ომის გაღწევა დაიწყო. ვაშინგტონისა და მოსკოვის გადანყვეტილებებმა, შეენწყვიტათ ნიკარაგუას კონფლიქტანტების დახმარება, დიდად შეუწყო ხელი ესკიპულას მედიატორების ძალისხმევას გაძლიერებას.

1989 წელს, როდესაც რეიგანმა თანამდებობა დატოვა, მისი ცენტრალური ამერიკის პოლიტიკური გუნდიც თან გაიყოლა. ამ ჯგუფმა ყველა ღონე იხმარა ესკიპულას ჩაძირვისა და ოსკარ არიას დისკრედიტაციისათვის, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს, ელიოტ აბრამსს. კოსტა რიკას ოიფიციალური პირები იუნყებოდნენ, რომ არიასმა გადადო ესკიპულას სამიტის გამართვა, სანამ აბრამსი თანამდებობას არ დატოვებდა.

აშშ-ს კონგრესმა გავლენა მოახდინა მედიაციის კონტექსტზე ორივე მიმართულებით, მისი მხრიდან, ჯიმი ვრაითის, ქრისტოფერ დოდის და სხვების მეშვეობით კონტრადორას წახალისებითა და 1986 წლის ზაფხულში, არიასის ინიტიაციისათვის ირან-კონტრას საქმის გამოძიების მეშვეობით, არეალის გახსნით.

ზუსტად მაშინ, როცა კონტრადორამ ფუნქციონირება შეაჩერა, აზრთა დიდი სხვადასხვაობა გამოაშკარავდა, რამაც სხვა ალტერნატივების რეგიონული ძიება განაახლა. ეს გარემოება, სანდინისტა-იატამას კონფლიქტის მემბოხეთა ომისაგან პროგრესული გამოყოფის საშუალებას იძლეოდა, განცალკევების, რომელიც უფრო ამარტივებდა ორივე პრობლემის გადაჭრას. სენატორმა კენედიმ, ინდოეთის ადგილობრივი მოსახლეობის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის მოთხოვნით აიძულა სანდინისტა მოერგო მისი ქმედებები ადგილობრივი მოსახლეობის უფლებებთან ამერიკულ-ინდური მოძრაობის ჩართულობა მნიშვნელოვანი იყო, მიუხედავად ორაზროვანი შედეგებისა, სანდინისტასა და ატლანტიკის-სანაპიროს ხალხებს შორის კონფლიქტის მოგვარების საქმეში. არიასის ნობელის პრიზმა ესკიპულას ხელახლა შესძინა ლეგიტიმურობა. ამან გაამხნევა მედიატორები, და იმედი მიეცათ აშშ-ს კონგრესის მხარდაჭერის მოლაპარაკების პროცესში, ასევე ევროპის მთავრობების და საზოგადოების ჩართულობის გაზრდის. ჯილდომ განაპირობა ორივეს, ნიკარაგუას განვითარების და ესკიპულას მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, რომელიც უკვე ევროპიდან მოდიოდა.

გაეროს გავლენა სულ უფრო მზარდი გახდა ესკიპულას პროცესში და უფრო მეტად კონფლიქტის მოლაპარაკების გზით დარეგულირების საქმეში. 1989 წლის 27 ივნისის ტელას სამიტზე გენერალური ასამბლეის რეზოლუციამ სტიმული მისცა შეთანხმებას ნებაყოფლობითი დემობილიზაციის, რეპატრაციის შესახებ. შემდგომში გაეროს დაფინანსება და UNOG-ის, ცენტრალური ამერიკის კადრებით დაკომპლექტება და მისი მხრიდან მშვიდობის პროცესის მხარდაჭერა შეუფასებელი აღმოჩნდა ნიკარაგუელი ამბოხებულების განიარაღებისა და რეინტეგრაციის საკითხეში. მესამე მხარის მონაწილეობამ 1990 წელს ნიკარაგუაში ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა უფრო სანდო გახადა.

ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის მოქალაქეთა მოხალისეები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მედიაციის პროცესში. ისინი პრობლემის მოგვარებაზე მუშაობდნენ ორივე მიმართულებით, სამინაო და სამხედრო მოქმედებების წარმართვის კუთხით. აშშ-ში, მშვიდობის აქტივისტები პირდაპირ გავლენას ახდენდნენ სამთავრობო პოლიტიკაზე და საკითხის პოლიტიკური და დიპლომატიური გზით მოწესრიგებით, სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილებაზე. აშშ-ში ცენტრალური ამერიკის მშვიდობის მხარდაჭერა, ისეთი

ჯგუფების მეშვეობით, როგორებიცაა მეგობრული ქალაქები, მონმეები მშვიდობისთვის, თავშესაფარი, წინააღმდეგობის გამოხატულება და CISPES (ელ სალვადორის ხალხის სოლიდარობის კომიტეტი - The Committee in Solidarity with the People of El Salvador), ესკიპულას საზოგადოებისა და კონგერსის მხარდაჭერის მოპოვების საქმეში დაეხმარა.

ცენტრალურ ამერიკაში, მსგავსი მშვიდობიანი მოძრაობის ორგანიზაციები უზრუნველყოფდნენ “თანამგრძობი მესამე მხარის” არსებობას, რომლებიც კონფლიქტის გასაწეიტრალეზად მუშაობდნენ. ათასობით ადამიანი სტუმრობდა და ცხოვრობდა ნიკარაგუაში, ელ სალვადორსა და გვატემალაში, როგორც მოხალისეები, ტექნიკური ექსპერტები, ადამიანის უფლებათა დამცველები, მუნიციპალური მთავრობების და პროფკავშირების წარმომადგენლები. მოქალაქის მესამე-მხარის არსებობა შერბილებულ კონფლიქტს და მედიაციისათვის მეთად მხარდაჭერ გარემოს ქმნიდა. ეს ცენტრალური ამერიკის მთავრობების მოქნილობას ახალისებდა, რომლებსაც სურვილი ჰქონდათ წარმოეჩინათ გონივრულები და არა-ძალადობრივები. ამან შეამცირა ძალადობა სამხედრო ქმედებების ადგილზე ანგარიშგების გზით. ცენტრალური ამერიკელებისთვის ეს წარმომადგენდა ფართო სამოქალაქო მოძრაობას ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში, რომელიც იბრძოდა გადაუდებელი პოლიტიკური ცვლილებების განსახორციელებლად და ტანჯვის შესამსუბუქებლად. ამბოხებული ამერიკელი მოხალისის, ბენჟამინ ლინდერის მკვლელობაზე 1987 წელს გამოხატულმა რეაქციამ, გაახანგრძლივა მსგავსი შეზღუდული მილიტარიზაციის არსებობის მნიშვნელობა.

ბევრი ამ პირთაგანი მუშაობდა ნიკარაგუაში არასამთავრობო ორგანიზაციების (NGOs) მფარველობის ქვეშ. არასამთავრობო ორგანიზაციებს ჰქონდათ ძლიერი გავლენა რეგიონზე. ისინი კონფლიქტს პასუხობდნენ პოლიტიკური ცვლილებებისა მხარდაჭერით, რათა მომხდარიყო სამოქალაქო ომის შესუსტება და მშვიდობის მხარდაჭერა. მაგრამ ჩვენ დავინახეთ ესკიპულას კონტექსტში ახალი უფრო ფართო, მეთად აქტიური NGO-ს როლი შერიგების პროცესში, რომელიც მედიატორის როლს შეითავსებდა. ეს იყო პროტესტანტული და კათოლიკური ეკლესიების წარმომადგენლები და სეკულარულ ორგანიზაციები, როგორებიცაა კარტერის ცენტრი ატლანტაში (Carter Center in Atlanta), მორავიული ეკლესია, CEPAD, და მენონიტის ცენტრალური კომიტეტი ისინი მიმართავდნენ ყველა გზას მოლაპარაკებებისათვის, მედიაციის მხარდაჭერის ქსელიდან მსოფლიო საეკლესიო საბჭოს ჩათვლით. მორავიული ეკლესია ნიკარაგუაში იმ დრომდე ღრმად იყო ჩართული კონფლიქტის ტრანსფორმაციის საკითხებში (ლედერახი 1990) - თანამგრძობი მესამე მხარის უწყვეტი ჩართულობა კონფლიქტის ფარულიდან ღიაზე გადასვლასა და მოლაპარაკებების ეტაპებს გულისხმობდა. ეს არის გრძელვადიანი ძალისხმევა, რომელიც უფრო სუსტი მხარეებისათვის უფლებამოსილების გაფართოებას, ნდობის აღდგენას, კონფლიქტების უნარ-ჩვევების განვითარებას და სხვა ელემენტებს კონფლიქტური სიტუაციის მდგრად მშვიდობად გარდაქმნას მოიცავდა.

თეორიული მოსაზრებები და ძირითადი შედეგები

1990-იანი წლების შუაში, ესკიპულას პროცესი რეგიონის სტაბილური მშვიდობისაკენ მიყვანის საქმეში მხოლოდ ნაწილობრივ იყო წარმატებული. ელ სალვადორსა და გვატემალაში, სამოქალაქო კონფლიქტი და სახელმწიფო რეპრესიები აგრძელებდა ეკონომიკის ნგრევასა და კლავდა ათასობით ადამიანს, თუმცა მიმდინარეობდა წინასწარი მოლაპარაკებები მეამბოხეებსა და მთავრობას შორის, ორივე საკითხთან მიმართებაში.

ესკიპულას კრიტიკოსები მიუთითებენ, რომ ნიკარაგუა წარმომადგენდა ცვლილებების მთავარ ფოკუსს., კონფლიქტის წარმომშობმა გარემოებებმა ესკიპულას შეხვედრებზე, სხვა

მონაწილე ქვეყნებში, ნაკლები ყურადღებას დაიმსახურეს, და ამ მხრივ, ერთდროული მუშაობის პრინციპი გაზიარებული არ იქნა.

მეორე მხრივ, ნიკარაგუის კონფლიქტები, წარმატებული მმართველობის გზაზე იდგა. სამხედრო კონფრონტაციის დასასრული, აჯანყებულების განიარაღება და რეინტეგრაცია, სამხედრო **სამსახურში განვების დამთავრება** და დიდი შემცირებები სამხედრო ძალებში, კლასიკური, პლურალისტული არჩევნები და ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა, ატლანტიკისა და წყნარი ოკეანის რეგიონების ინტეგრაციის ავტონომიური პროცესი - ყველა ეს წარმატება მიღწეულ იქნა ესკიპულას დახმარებით ან მის ფარგლებში.

კონფლიქტის მენეჯმენტის მოდელი ყველაზე ადრე ნიკარაგუაში უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ესკიპულაში რათა მოგვარებულიყო ძირეული პრობლემები ეს მოდელი სოციალურ კონფლიქტებსა და სახელმწიფო ძალადობას მოიცავდა და შეიძლებოდა ღია ყოფილიყო პროცესისადმი თუმცა დრო და მოვლენები იტყვის თავის სიტყვას და გვაჩვენებს რა იქნებოდა უკეთესი.

ჩვენი სწავლება ესკიპულას შესახებ განიხილავს ზოგიერთ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხს. უნდა გაფართოვდეს თუ არა შუამავლის როლის კონცეპტუალიზაცია მსოფლიოს განვითარებადი ნაწილის ჩათვლით, როგორც ამას ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის (**Insider-Partial Concept**) მეთოდი გულისხმობს? უნდა განხორციელდეს თუ არა მედიატორების იდენტიფიკაცია და შერჩევა უფრო სისტემატიურად, მეტი სიფრთხილითა და გარე და შიდა კონფლიქტების კრეატიული ურთიერთქმედებით და მოდერაციის რესურსების შესაძლებლობით? უნდა მიეჩვენოს თუ არა მეტი ყურადღება საერთაშორისო მედიატორების ფართო კონტექსტის შეცვლას ისე, რომ ინტერვენციას მეტი მხარდაჭერა ჰქონდეს?

მედიატორის კონცეფციის გაფართოება

ჩვენი გამოკვლევა ვარაუდობს, რომ ამ სფეროში გამართლებული იქნებოდა მედიაციის ყოვლისმომცველ განსაზღვრაზე შეჯერება, რომელიც განასხვავებს მედიატორის, როგორც მკვლევარის როლს და პრაქტიკას ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ მედიაციის განსაზღვრას, როგორც მესამე-მხარის-ხელშემწყობით მოლაპარაკებების გამართვას, ხოლო მედიატორის, როგორც პირის “ვინც ცდილობს დაეხმაროს ხელმძღვანელობას ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევაში” (პრუიტი და რუბინი 1986:166). ასეთი მარტივი, ყოვლისმომცველი განსაზღვრების ფარგლებში, ასე, რომ ვთქვათ, ათასობით ყვავილს შეუძლია იხაროს. ესკიპულამ, მედიაციის ძირითად თემატიკაზე დაყრდნობით, წარმოადგინა რიგი ვარიაციებისა, რომელსაც ჩვენ ლიტერატურაში ვერ ვხვდებით.

ჩვენ ვთავაზობდით ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის კონცეფციის (**Insider-Partial Concept**), როგორც მეტად თვალსაჩინო ნიმუშის ასახვას ნიკარაგუას მედიაციის პროცესში. ჩვენ გამოვყავით ეს გარე-ნეიტრალურების კონცეფციისგან ჩრდილოეთ ამერიკაში, მედიაციის მახასიათებლებთან მიმართებაში და მედიატორის საერთაშორისო როლისგან, რომლებიც ძირითადად განიხილავენ მესამე მხარეს, როგორც აუცილებლად კონფლიქტის გარედან მომავალს. ჩვენ ვაჩვენებთ თუ, როგორ შეთანხმებულად ურთიერთქმედებდნენ შიდა ჯგუფის მედიატორები და გარე-ნეიტრალურები წინააღმდეგობის მიუხედავად ნიკარაგუას მედიაციაში. თუმცა, შესაძლებელია ისეც იყოს, რომ საგარეო და ნეიტრალური ჩაითვალოს მიმართულებებად ან უწყვეტ პროცესად, რომელთან ერთადაც ყველა მედიატორი მარცხდება. ეს მიმართულებები შესაძლებელია იყოს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ვიდრე ერთმანეთთან კავშირში მყოფი ტიპები, როგორც ჩვენ ვგულისხმობთ.

თუ გარე-ნეიტრალურები და ტენდენციური მედიატორების ტიპები არიან ქმედითუნარიანი, თითოეულ მათგანს განსხვავებული სარგებელი მოაქვს იმავე კონფლიქტისათვის, ისევე, როგორც ჯიმი კარტერსმა და შერიგების კომისიამ გააკეთა.. რა ძირითადი შედეგების გამოყოფა შეიძლება მათი გპარტნიორებით მედიაციის პროცესში? ისინი შესაძლოა არ მუშაობდნენ ერთად ფიზიკურად, თუმცა ერთმანეთს კონსულტაციას უწევენ, იყოფდნენ ფუნქციებს, ახდენდნენ შუამავლების კოორდინაციას და ა.შ. თუ ისინი განსხვავებული ტიპები არიან, რომელთაგან ყოველი მათგანი ასრულებს სხვადასხვა, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვან ფუნქციებს საშუამავლო მოლაპარაკებებში, ეს გავლენას მოახდენს მედიატორების შერჩევის პროცესზე. სასარგებლო იქნებოდა ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფის (Insider-Partial Concept) კონცეფციის შემდგომი შესწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ წარმოვადგინეთ რეგიონის სპეციფიკაზე მორგებული და კულტურათა შესაბამისად განსაზღვრული მოდელი, მას შესაძლოა ჰქონდეს თანარი მნიშვნელობის სასარგებლო ფუნქციები მსოფლიოს ნებისმიერ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში.

ესკიპულა გვთავაზობს სხვა დამატებებს შუამავლის როლის ჩამონათვალში. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ის საშუალებები, რომლითაც ოსკარ არიასი მოქმედებდა იყო როგორც მედიატორის, ასევე მომლაპარაკებლის. ის კონფლიქტის შიდა პროცესებში ჩართული იყო და ყველა მხარის ნდობით სარგებლობდა, თუმცა მისი სტატუსიც შესუსტებული ჩანდა. მედიატორ-მომლაპარაკებელსა ან ესკიპულასგარკვეული შემთხვევები კისინჯერის ჰქონდა იომ კიპურის ომისა (Yom Kippur War) (რუბინი 1981) და ვალესა (1987) პოლონეთის სოლიდარობის მოლაპარაკებებში, რომელთაგან ორივე ორმაგ თამაშს თამაშობდა. თუ ეს არ არის მედიაციის ახალი სახეობა , უკიდურეს შემთხვევაში, შეტანილი უნდა იყოს თუ არა ის შუამავლის ტიპების შორის იქნებოდა თუ არა ადგილი ასევე, შუამავალი-ლევალისატიორისათვის, როგორადაც ხასიათებოდა ობანდო უ ბრავო (Obando y bravo) და რომლის როლის ბევრად მეტი იყო ვიდრე კარგი ოფისების უზრუნველყოფა ? ეკლესიის მორალური ავტორიტეტი სრული წონადობით ჩანდა მის პიროვნებაში, რომელმაც დააკანონა მსგავსი ტიპის მოლაპარაკებები და გარანტირებლად იღებდა პასუხისმგებლობას მათი შედეგების განხორციელებაზე. ერთი საკითხი, რომელიც ასეთი ტიპის განხილვის დროს წამოიწყო, მდგომარეობს იმაში, უნდა იყოს თუ არა შუამავლის არჩევა ასეთ შემთხვევებში უფრო უკეთ გააზრებული და მიზანმიმართული ვიდრე ახლა არის. შუამავლის ფუნქციების მოთხოვნით არსებობდეს ხელმისაწვდომი პირები და სააგენტოები. მაგალითად, თუ კარტერისა და შერიგების კომისიის ჩართულობა იქნებოდა კოორდინირებული და ფუნქციები სწორად გადანაწილდებოდა შესაძლებელი იქნებოდა დრო ერთი წლით დაზოგილიყო. ჩვენი შეთავაზებით, შუამავლების შერჩევა უნდა იყოს უფრო სისტემატური და პროცესისთვის ცნობილი.

მედიაციის კონტექსტის შეცვლა

ჩვენი კვლევა განიხილავს მედიაციის კონტექსტის მნიშვნელობას - ღონისძიებებით, პიროვნებებით და მიდგომებით, რომლებიც მედიაციაზე შორი მანძილიდან ახდენენ გავლენას. დრომ და ისევე, ესკიპულამ გადაარჩინა მოლაპარაკებები ჩიხში შესვლისგან, კონტექსტის ტრანსფორმაციით. ამის გასაოცარ მაგალითს 1991 წლის შეთანხმება წარმოადგენდა სანდინისტას მთავრობასა და გაერთიანებულ ოპოზიციას შორის, თავისუფალი და ღია არჩევნებისათვის. ეს მიღწეულ იქნა სატელევიზიო მარათონის მოლაპარაკებებში, რომელიც მოგვითხრობდა 1980 წელს პოლონური სოლიდარობის დაკანონებაზე (Weht, 1985). სანდინისტასა და გაერთიანებული ოპოზიციის შეთანხმებამ გამოიწვია გარღვევა სამი დღის შემდეგ ტელას შეთანხმებისათვის კონტრას დემობილიზაციაზე, რომლის კონტექსტიც შემუშავებული იყო მის მოსაგვარებლად.

შუამავლების კონტექსტში მოაზრებული, ორივე მხარდამჭერი და მოწინააღმდეგე ძალა, იმ დროს როცა მედიატორები ვერ აკონტროლობდნენ მათ, გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულები. თუ მედიაციის წარმატებაში მეტი ინტეგრაცია განხილული იქნებოდა უფრო ფართო გაგებით, მესამე მხარეს საშუალება ექნებოდა გაენანილებინა მთავარი გავლენის მქონე პირები, როგორც წინასწარ გადადგმული ნაბიჯი მოლაპარაკებათა დარეგულირების პროცესში მეტი მხარდამჭერის მოსაპოვებლად.

თუ უფრო ფართო გარემოს განვიხილავთ, როგორც მეტად ინტეგრირებული მედიაციის წარმატებას, მესამე მხარის ჩარევით შესაძლებელია ავსახოთ ის კონტექსტი, რამაც შესაძლოა ძირითადი გავლენა მოახდინოს, ეს იქნება წინასწარი ნაბიჯი მოლაპარაკებების მოგვარებისთვის უფრო მეტი მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

შესაძლებელია თუ არა მედიატორების მხრიდან პირდაპირი წესით უფრო დიდი გავლენა იქონიონ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებზე, მაგალითად, ვინ ადგენს საკითხებს, ახასიათებს მოქმედ პირებს და დიდწილად განსაზღვრავს მედიაციის რეგულაციების კონტექსტის ნახალისებისა თუ ხელშემშლელ პირობებზე? მასმედია უკიდურესად გავლენიანი იყო ნიკარაგუის შუამავლობის კონტექსტში (ჩომსკი 1987). შუამავლების გუნდში უნდა ჩაერთონ თუ არა ექსკლუზიური პასუხისმგებლობის მქონე პირები ინტერვენციის მეტად მხარდასაჭერად და კონტექსტის უკეთ გამოსახატად?

კონფლიქტის მოდერატორების არსებობა მედიაციის მხარდამჭერი ელემენტი იყო ესკიპულას კონტექსტში, ზემოაღნიშნული თანამგრძობი მესამე მხარე. კონფლიქტის მოდერატორია მესამე მხარის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენდა. ეს უფრო მეტად რეალისტური მიზანი იყო ვიდრე მუდმივი რეზოლიცია, რომელიც ნაკლებად შესაძლებელი იქნებოდა (ტუვალი 1982). უჩვენებს თუ არა ესკიპულას გამოცდილება კონფლიქტის-შემჩერებელ მესამე მხარეს, რომ ისინი სასარგებლონი არიან მედიაციის კონტექსტში და გააზრებული ძალისხმევა იქნება განუვლი მათ მესამე მხარედ, სასურველ კომპონენტად ჩასართავად საერთაშორისო თანამონაწილობის პროცესში ?

მედიაცია კონფლიქტის ფარგლებში

ესკიპულას პროცესმა გვაჩვენა, თუ რამდენად მდიდარი შეიძლება იყოს ბუნებრივი რესურსები კონფლიქტის შეკავებისა და მოლაპარაკებათა მშვიდობიანი დარეგულირებისათვის მსოფლიოს განვითარებად ნაწილში. ტენდენციური მედიატორების შიდა ჯგუფი, მოდერატორ-მომლაპარაკებლები, მოდერატორ-ლეგალიზატორები, თანამგრძობი მესამე მხარე, რომელთაც გააჩნიათ კონფლიქტის მართვის უნარი, სავარაუდოდ ცენტრალური ამერიკის მიღმაც სასარგებლონი არიან. ასეთი ადგილობრივი რესურსების ეფექტური გაერთიანება გარე მესამე მხარესთან ესკიპულაში შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც კონტრიბუცია მესამე მხარის საერთაშორისო ჩართულობის თეორიასა და პრაქტიკაში.

ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო მედიაცია ყოფილიყო მეტად ეფექტური, სადაც სხვადასხვა საგარეო და შიდა მედიატორების სისტემატური იდენტიფიცირება და სიაში შეყვანა ხდება: მოტივირებული მოქალაქე ნებაყოფლობით არის ჩართული, გარე-ნეიტრალურებისა და ტენდენციური მედიატორებისგან შემდგარი შიდა გუნდის სახით. გაჭიანურებული კონფლიქტის ტრანსფორმაციის ჯგუფი ღრმად მუშაობს კონფლიქტის სიტუაციაზე. გაურკვევლი რჩება გამოიღებს თუ არა პოზიტიურ შედეგებს, ესკიპულას ინოვაციური მიდგომები კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების საქმეში, ცენტრალური ამერიკის სხვა

სახელმწიფოებში, ისევე როგორც ნიკარაგუაში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა (UN) და სხვა საერთაშორისო შუამავლების უწყვეტ ჩართულობას შეუძლია ასეთ შედეგებამდე მიყვანა. ამ დროისათვის, ესკიპულა წარმოადგენს მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს კონფლიქტების რეგიონულ მართვაში, მოდელს, რომელიც ერთნაირად იპყრობს, როგორც მეცნიერების, ასევე პრაქტიკოსების ყურადღებას.

კონფლიქტის გადაჭრის გზები

პიტერ ვოლენსტინი³

1.1 მშვიდობისმყოფელობა, როგორც ახალი გამოცდილება

ცივი ომის დამთავრებიდან, გაცილებით უფრო მეტი სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო, ვიდრე მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ პერიოდში. ბევრი ასეთი შეთანხმებით წარმატებით შემცირდა ძალადობა და კონფლიქტები ტრანსფორმირდა ქვეყნებს, ხალხებს და ჯგუფებს შორის თანამშრომლობაში. ხოლო დანარჩენებმა მარცხი განიცადეს და მხოლოდ ქაღალდზე ხელმოწერით შემოიფარგლნენ, ომის საშიშროების წინაშე მდგომი ადამიანებისათვის ცხოვრებაში სასურველი შედეგის მოტანის გარეშე. შესაბამისად, არსებობს კონფლიქტის მოგვარების ახლებურად გააზრების აუცილებლობა. ეს არ არის საკმარისი გარესამყაროსთვის, მოწინააღმდეგე მხარეებს შორის მოლაპარაკებათა წარმოებისა და კონტაქტების დამყარების სანარმოებლად. არსებობს ასევე, მხარეთა შორის განსახილველი საკითხების შეთავაზების საჭიროება, მათი შეთანხმების გზების, როგორ შეიძლებოდა ხელშეკრულებები განხორციელებულიყო რეალობაში და თუნდაც, როგორ შეიძლება გრძელვადიანად დარეგულირებული კონფლიქტების მიღწევა და ახალი თაობებისათვის ომიანობის მწარე გამოცდილების განმეორების თავიდან აცილება. მნიშვნელოვანია, ისიც, რა შეიძლება ისწავლებოდეს კონფლიქტის ეფექტური პრევენციისათვის, რომელიც უშვებს სწრაფვას განვითარებისაკენ, სისტემური და წინასწარგანზრახული ძალადობის გარეშე.

1990-იანი წლების დასაწყისში კონფლიქტების მოგვარების ცოდნა შეზღუდული იყო. მოლაპარაკებათა შიდა პოლიტიკური საკითხების სერიოზული აღქმა არსებობდა, რომელიც საზოგადოებიდან და პირობებიდან გამომდინარეობდა და თავის თავში გულისხმობდა მცირე ძალადობასა და ომს. ეს იყო მიმართული საერთო ღირებულებებისა და ნორმების სიტუაციებისაკენ, სადაც კულტურული საზღვრები დარღვეული იყო. თუმცა, კონფლიქტის მოგვარების გზამ სულ სხვა მიმართულება აიღო, როდესაც მხარეები ცდილობდნენ ფიზიკურად გაენადგურებინათ ერთმანეთი. დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის კონფლიქტის მართვაში არსებობს გაფიცვებისა და ლოკაუტების საფრთხე. ეს არ არის იგივე, როდესაც მომლაპარაკებლები, მათი ოჯახები, ნათესავები, მეგობრები და კოლეგები შეიარაღებული თავდასხმის ერთ მხარეს არიან. სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხების გათვალისწინებით, ომი თვისობრივად განსხვავდება კონფლიქტისაგან.

მოლაპარაკებებს და ომების მშვიდობიან დასასრულს, მნიშვნელოვანი გამოცდილება შეუძლია შეგვძინოს, მაგრამ ამ პროცესს დიდი პრობლემებიც თან სდევს. ასეთი ანალიზის მთავარი გადასატრეული საკითხი შეუთავსებლობაა, რაც ბევრ კითხვებს ბადებს საზოგადოებაზე და მის მიმართულებებზე. ასევე საკვანძო საკითხია, თუ როგორ სრულდება ბრძოლა. ეს უნდა გააკეთდეს ომის გზების გამეორების გარეშე. ეს პროცესი უნდა აკმაყოფილებდეს სამართლიანობის სტანდარტებს და ამავე დროს დაპირისპირებული მხარეების ფიზიკური დაცვა უნდა უზრუნველყოს. საჭიროა კომპენსაციის გაღება იმ მხარეებისთვის, რომლებიც ისე არიან დაზარალებულნი, რომ ამ ზარალის ანაზღაურება და გამოსწორება შეუძლებელია. ადამიანური ურთიერთობების ნორმები ძალადობრივად გატეხილია, ეს რთული ამოცანაა, რის საფუძველზეც ახალი ურთიერთობები უნდა ჩამოყალიბდეს. მოთხოვნა არსებობს, რომ

³ Wallensteen Peter. "Understanding Conflict Resolution." In Understanding Conflict Resolution, 1-14, London, SAGE Publications, 2015.

დაპირისპირებულმა მხარეებმა თანაბრად აიღონ ვალდებულება და მიაღწიონ შეთანხმებას. ისინი პასუხისმგებლობით უნდა შეხვდნენ იმ პირობებს, რომელიც საზოგადოებისთვის შესაძლოა სიახლეს წარმოადგენდეს. ამდენად, ანალიტიკოსების მოსაზრება არსებობს იმის თაობაზე, რომ ომის შემდეგ მშვიდობის დამყარება შეუძლებელია. ასეთი შეხედულებები ჯერ კიდევ არსებობს. რამდენად არის ეს შესაძლებელი, ამაზე ჩვენ მთელ წიგნში ვისაუბრებთ.

1990-იანი წლების დასაწყისში, მსოფლიო ცდილობდა ომის შემდეგ მშვიდობის დამყარებას. ცივი ომის პერიოდში, ხელშეკრულებები და მოლაპარაკებები, რომელიც შეიარაღებას ეხებოდა, ძალიან შეზღუდული რაოდენობით არსებობდა. სამშვიდობო შეთანხმება დაიდო ინდოჩინეთში 1954 წელს, რომელიც მისი მემკვიდრის მხრიდან, 1973 წელს, სწრაფად დაირღვა. 1965 და 197 წლის ომების შემდეგ ინდოეთსა და პაკისტანს შორის კონფლიქტი მოგვარდა, დაძაბულობამ იკლო, მაგრამ შეუსაბამობა მხარეებს შორის მაინც დარჩა. წამყვანი სახელმწიფოების მხრიდან ყურადღება გამახვილებულია დროში კონფრონტაციაზე, მათი აზრით, ცივი ომი იყო გამარჯვება და არა კომპრომისი. იდეოლოგიურმა კომპონენტებმა და ისტორიულმა ჩანაწერებმა ცივი ომი ეგზისტენციალურ ბრძოლად ჩამოაყალიბა. ეს იყო შეჯიბრი სწორ და არასწორ მიდგომას, დემოკრატიასა და დიქტატურას, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, თავისუფლებასა და იმპერიალიზმს შორის. კომპრომისი აქ მორალურად საეჭვო ჩანდა. იგივე დამოკიდებულება იყო ამ პერიოდის სხვა მიდგომებთან მიმართებაში, მიუხედავად იმისა, ეხებოდა ეს ცივი ომს თუ არა.

ბევრი მიზეზი არსებობდა კონფლიქტის მოლაპარაკების გზით მოსაგვარებლად. 1983 წლის სექტემბერში, მიუნხენში დადებული ხელშეკრულების წარუმატებლობამ ზოგიერთი აქტორი შეაშინა. ამ პერიოდში დემოკრატიულმა ქვეყნებმა (ბრიტანეთი და საფრანგეთი) შეთანხმებას მიაღწიეს ტოტალიტარულ (ნაცისტურ) გერმანიასთან ურთიერთობის დარღვევაზე, ნაცვლად იმისა, რომ დაეცვათ პატარა, დემოკრატიული ქვეყანა, ჩეხოსლოვაკია. ჰილტერმა ამ შეთანხმებას მხარი არ დაუჭირა. ამ ფაქტმა ბიძგი მისცა მთელ რიგ მოვლენებს, რამაც ომამდე მიგვიყვანა. დასავლელ ლიდერებს დიქტატორებთან კომპრომისზე წასვლა უშედეგოდ მიაჩნდათ. შერიგების პოლიტიკა მოლაპარაკების სინონიმად აღიქმებოდა. 1939 წლის აგვისტოში, საბჭოთა ხელისუფლებამ ანალოგიური დასკვნები გააკეთა ნაცისტურ გერმანიასთან გარიგების თაობაზე, რაც იმას ნიშნავდა, რომ მეორე მსოფლიო ომი გარდაუვალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს სურდათ ომი თავიდან აეცილებინათ და გავლენის სფეროები გადაენაწილებინათ აღმოსავლეთ ევროპასა და ბალტიის რეგიონში, ნაცისტური გერმანია მაინც დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, ორ წელზე უფრო ადრე. ცივი ომის პერიოდში, ორივე მხარემ აღიარა დამარცხება და ნაცისტურმა გერმანიამ ოპონენტებთან მშვიდობის საფრთხე იგრძნო. ორივე მხარემ გააცნობიერა, რომ ხანგრძლივი მშვიდობა სოლიდურ გამარჯვებას მოითხოვდა. შედეგად, ათწლეულების მანძილზე, ძალიან ცოტა ხელშეკრულება დაიდო პოლიტიკურ საკითხებზე შეიარაღებულ კონფლიქტებში.

გასაოცარი იყო იმის აღმოჩენა, რომ მოლაპარაკებები კონკრეტულ სფეროში ჯერ კიდევ მუშაობდა. მაგ: შეიარაღების კონტროლი და განიარაღება. ისეთი ხელშეკრულებები არსებობდა, რომლებიც ბირთვული იარაღის გამოცდას კრძალავდა, ხომალდების მშენებლობას ზღუდავდა და საერთო ჯამში ყველა კატეგორიის შეიარაღების შემცირებას უწყობდა ხელს. ეს შეთანხმებები წამყვან სახელმწიფოებს შორის უიმედო ომის რისკს ამცირებდა, მათი ფუნდამენტური შეუთავსებლობის გარეშე. ეს იყო მცდელობა კონფლიქტების მართვის საქმეში იმ რწმენის დასამკვიდრებლად, რომ წამყვანი ქვეყნების ძალაუფლება კონტროლიდან უნებლიედ აღარ გამოვიდოდა. მიუხედავად ამისა, ცივი ომი ახალი კრიზისების

სათავე გახდა. უნდობლობა და კონფრონტაცია, ბირთვული კონფლიქტის არსებობის გზით, მართავდა ხელმძღვანელობას. სხვა ყველა სახის კონფლიქტი დაშვებული იყო: ომები იმართებოდა მარიონეტული გზით, საიდუმლოდ, როგორც ინტერვენცია. ლოკალური კონფლიქტების გაღვივების საფრთხეს ქმნიდა ბირთვული იარაღი, რომელიც სერიოზული განსჯის საგანი იყო. ცივმა ომმა გვაჩვენა მაგალითი, რომ შეიარაღების შემცირებამ მცირე წვლილი შეიტანა კონფლიქტების მოგვარებაში. ნებისმიერი კონფლიქტის სათავე პოლიტიკურ საკითხებშია, რაც ძირითადი მამოძრავებელი ფაქტორია და რომელსაც შემდეგ შეიარაღების გამოყენებამდე მივყავართ, რომელიც ასეთი ინტერესების დაკმაყოფილებს ემსახურება. კონფლიქტების მართვა კრიზისის რისკებს ამცირებს, გარკვეულ ნდობას წარმოშობს და დაზარალებულებს ანუგეშებს (პოტენციურად ან რეალურად). კონფლიქტების მოგვარება ამბიციური საკითხია, ის გავლენას ახდენს კონფლიქტის მხარეებზე, მათ შორის შეუსაბამობაზე და ძირითად საჭიროებებზე.

1.2. მშვიდობის კვლევა და კონფლიქტების მოგვარება

კონფლიქტების დარეგულირება თანამედროვე სამყაროში, წარმოქმნილი გაგების საფუძველზე ყალიბდება. ომის შედეგად მიღებული გამოცდილება, იარაღის კონტროლთან და განიარაღებასთან, ასევე კონფლიქტის დინამიკასთან დაკავშირებით, დასკვნების გაკეთების საშუალებას გვაძლევს. ის თვისებრივ და რაოდენობრივ შესწავლას გულისხმობს. თუმცა შეიარაღებული კონფლიქტების დარეგულირება კვლევის ერთ-ერთი მთავარი საკითხია, ჯერ კიდევ არაა შემუშავებული კვლევაზე დაფუძნებული წინადადებების თანმიმდევრული კომპლექტი. მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელსაც ბევრი მეცნიერი იზიარებს, შედარებითია. ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული მეთოდები დომინანტურია. სისტემური რაოდენობრივი კვლევა დაიწყო. ამ წიგნის საფუძველს წარმოადგენს შეჯამებული მიდგომების ნაკრები, რის საფუძველზეც შეგვიძლია ვივარაუდოთ რომელი სტრატეგია მუშაობას ან რომელი ხელშეკრულებაა მყარი? უფრო მეტიც, ეს წიგნი აერთიანებს სარწმუნო შეხედულებებს, რომელიც გვეხმარება პოლიტიკური დილემის გამოყოფაში და მეტი კვლევის სტიმულს გვაძლევს. მშვიდობის კვლევა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა კვლევა, რომელიც სოციალურ საკითხებს ეხება, რა თქმა უნდა, ისტორიული ცვლილებებით და მოვლენებითაა შეფერილი. მშვიდობის კვლევას აქვს ამბიცია, რომ ძალადობის მიზეზები გაიაზროს და მათ შესამცირებლად გზები მოძებნოს. ასეთი ცვლილებებისადმი ის ძალიან სენსიტიურია. ზოგჯერ, ეს ცვლილებები არსებულ კვლევებთან დაკავშირებულ გამოწვევებს ასახავს და ამგვარად, ახალი საძიებო დარგები იკვეთება. სხვა დროს, ისტორიულმა მოვლენებმა არსებული დღის წესრიგის მნიშვნელობა დაადასტურა. ნებისმიერ შემთხვევაში, რეალობასთან დიალოგი მუდმივად რჩება. როგორც ცხრილში 1.1 ჩანს, სამშვიდობო კვლევებმა გასული საუკუნის ტრავმული გამოცდილების გათვალისწინებით დღის წესრიგი შეიმუშავა და იმედისმომცველი მოვლენები ასახა, რომლებიც მოვლენების ნაკადში განუყოფელი არიან (ვოლენსტინი 2011ა, 2011ბ). ცხრილი 1.1 - 18 ძირითად თემას განსაზღვრავს, რომლებიც დღის წესრიგის გაფართოებას ემსახურება და აჩვენებს, თავდაპირველი შეზღუდული თემა რა იყო. სამშვიდობო კვლევა გაჩნდა, როგორც სფერო, რომელიც ომის მიზეზების გაანილიებას მიეძღვნა. ინოვაციური კვლევის მართვა ბევრ განზომილებას აერთიანებდა, განსაკუთრებით A წერტილის მუშაობას, სოროკინი (1973) და ქვინზი (1942). ომის გამომწვევი მიზეზები ფუნდამენტური კვლევის საგანი იყო. მას შემდეგ, რაც ომების წარმოშობის პრობლემა დადგა, ანალიტიკური საკითხების ფართო სპექტრი გაფართოვდა. ცხრილი 1.1 აჩვენებს, ეს საკითხები როგორ ახდენს აღნიშნული პრობლემის მოგვარებას.

ცხრილი 1.1

ტრავმა და იმედი, რომელიც სამშვიდობო კვლევის დღის წესრიგს აყალიბებს

მოვლენა		შემთხვევების ანალიზი	სამშვიდობო კვლევის თემები
პირველი მსოფლიო ომი	ტრავმა	კრიზისზე კონტროლის დაკარგვა, 1914	ისტორია, ომის გამომწვევი მიზეზები
ერთა ლიგა	იმედი	წესებისთვის საჭირო აგრესია	საერთაშორისო სამართალი
მეორე მსოფლიო ომი	ტრავმა	კვლავ კონტროლის დაკარგვა	სტრატეგიული ცოდნა V. სამშვიდობო კვლევა
ჰიროსიმა	ტრავმა	მეცნიერება, რომელიც ომისთვის გამოიყენება	განიარაღება, შეიარაღებული კონტროლი
განდი ინდოეთში	იმედი	არაძალადობრივი საშუალებების გამოყენება	ისტორია, არაძალადობრივი შემთხვევები
გაერო	იმედი	საერთაშორისო თანამშრომლობა	საერთაშორისო ორგანიზაცია
ჰოლოკოსტი	ტრავმა	გენოციდი, ეთნიკური ძალადობა	ადამიანის და კოლექტიური უფლებები
ცივი ომი	ტრავმა	პოლარიზაციის საფრთხე	კონფლიქტის თეორია, თამაში
ევროგაერთიანება	იმედი	მტრობის დაძლევა	ინტეგრაცია და დემოკრატიის თეორია
ვიეტნამის ომი	ტრავმა	დამოკიდებულება, იმპერიალიზმი	სტრუქტურული ძალადობა
განხეთქილება (Dissidence)	იმედი	პოპულარული ნაბიჯები დემოკრატიისთვის	არასამთავრობო ორგანიზაციები (NGOs), პოპულარული მიდგომა
დეტენტე (detente)	იმედი	ნდობის გამყარება	თანამშრომლობა, საერთო თემები
გარემოსდაცვითი საფრთხეები	ტრავმა	იმედი ან კონფლიქტის მიზეზი	დეფიციტი, კონფლიქტი და თანამშრომლობა
ბოსნია	ტრავმა	ეთნიკური იდენტობა, როგორც ელემენტი	ეთნიკური უსაფრთხოების დილემა
მშვიდობის მშენებლობა	იმედი	ომების დასასრული	კონფლიქტის მოგვრება და მშვიდობის მშენებლობა
ემანსიპაცია	იმედი	გენდერი და მშვიდობა	სქესი, როგორც ცვლადი / პარადიგმა
2001 წლის 11 სექტემბერი	ტრავმა	ტერორიზმი	წინასწარი შეყვანა v. ადამიანის უსაფრთხოება
არაბული გაზაფხული	იმედი/ტრავმა	პოპულარული აჯანყებები რეპრესიებთან ერთად	არა-ძალადობა, სოციალური მედია

ცხრილში თანაბარი მონაცემებია ნაჩვენები ნეგატიურ და პოზიტიურ გამოცდილებასთან დაკავშირებით, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ახალი შესაძლებლობები შევქმნათ. ტრამვები დაკავშირებულია ადამიანების ტანჯვასთან, გარეშე ძალის მხრიდანაც. იგივე შეიძლება ვთქვათ პოზიტიურ გამოცდილებაზე, რომელიც იზოლირებული მოვლენა კი არ არის, არამედ გლობალურ ყურადღებას იპყრობს.

ტრავმებისა და იმედის საერთო მახასიათებლები ჩვეულებრივ სიბრძნეს ეწინააღმდეგება, რამაც შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს ტენდენციებში და პარადიგმებშიც კი. ტრავმები კი ვარაუდობს, რომ შეზღუდვები გადალახონ და პროცესში მათი როლი განსაზღვრონ. იმედი გვიჩვენებს რეალობას, რომელიც ბევრ სიურპრიზს გვთავაზობს. ზოგი მათგანი უტოპიურ, თეორიულ აზრებზე წარმოიშობა, რომლებიც მოულოდნელად მატერიალურ ფორმებს იღებს. კვლევის რეალობის ეს სიახლოვე, ზოგადად, სოციოლოგიის თავისებურებაა, მაგრამ სამშვიდობო კვლევაში გახსნილობის კულტურა და სხვათა მოსაზრებების გამოწვევის სურვილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

ცხრილში 1.1 არაფერი ექსკლუზიური არ არის ნათქვამი მშვიდობის კვლევაზე. მიუხედავად ძლიერი განვითარებისა, სამშვიდობო კვლევა ომის და მშვიდობის სრული შესწავლის ფინანსურად შეზღუდული სფეროა და ორგანიზაციულად განსხვავდება საერთაშორისო ურთიერთობების, საგარეო პოლიტიკის, სოციოლოგიის, ეკონომიკისა და საერთაშორისო სამართლისგან. სამშვიდობო კვლევა ადმინისტრაციულად და ინტელექტუალურადაა ჩართული სხვა დისციპლინებში. დებატები, ცივი ომის პერიოდში, რომელიც სამშვიდობო კვლევებთან მიმართებაში სტრატეგიულ კვლევებს ეყრდნობოდა, 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ განახლებული ფონით წარმოიშვა. უსაფრთხოების ყოვლისმომცველი კონცეფცია საერთოა ორივე მხარისთვის, მათი საერთო გაგება გაიზარდა იმ წერტილამდე, სადაც დღეს მკვეთრი ხაზის გავლება საჭირო აღარ არის. თუმცა, ერთი ისეთი წერტილი არსებობს, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ქვეყანაში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან და ძალის გამოყენებასთან წამყანი ქვეყნების მხრიდან. ძალადობის გამოყენება, გათვლილად, ისევ სტრატეგიად რჩება, რაც სამშვიდობო კვლევებში უცხოა. იდეა ისაა, რომ მშვიდობა მშვიდობიანად იქნას მოძიებული (გალტუნგი 1996). საბრძოლო სტრატეგიები არ შეიძლება განვითარდეს სამშვიდობო კვლევით დაწესებულებებში. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ვალდებულების იდეა იცავს გენოციდის ან ეთნიკური დევნის რისკის ქვეშ მყოფ მოსახლეობას სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, მაგრამ პრაქტიკული სტრატეგიის ფორმირების გარეშე. ეს უსაფრთხოების საკითხებზე ადამიანთა შემფოთებას ესადაგება, როგორც მომავალი ტერორისტული რისკის შემცირების საშუალება.

როგორც ცხრილიდან 1.1 ჩანს, კონფლიქტის მოგვარება თანამედროვე კონცეფციაა. მას ფესვები აქვს, როგორცაა კონფლიქტის თეორია, თანამშრომლობა და ინტეგრაცია, რაც საერთაშორისო სამართლის მიხედვითაც დასტურდება. 1990-იან წლებში მან ახალი, სერიოზული მნიშვნელობა შეიძინა. 1980-იან წლებში ამ კონცეფციის სისტემური შესწავლა დაიწყო, მაგრამ ბოლო წლებში ამ მიმართულებით ლიტერატურა უფრო მრავალფეროვანი გახდა. ამგვარი გაკვეთილების შეგროვება, სისტემატიზაცია და მათი აშკარა გახანგრძლივება, წინსვლაა. ამ წიგნის მიზანია გაარკვიოს სამშვიდობო ხელშეკრულებები ხანგრძლივი ვადით მუშაობს თუ არა. ეს მოითხოვს კონფლიქტების სხვადასხვა ტიპის ანალიზს. ხელშეკრულებებს საფუძვლად უდევს საკამათო საკითხები და შეუსაბამობები. უფრო მეტიც, აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, საიდან წარმოიშვა ეს შეთანხმება, რადგან ზოგჯერ თვითონ პროცესი აღწერს ხელშეკრულების ტიპს და აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შეფასდეს

შეთანხმების გამძლეობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია დაკვირვება კონფლიქტებს შორის ურთიერთქმედებასა და საერთაშორისო საზოგადოებაზე ერთი და იგივე რეგიონში. ცივი ომის შემდეგ, კონფლიქტის მოგვარების ხელშეკრულებები ეფუძნებოდა კონფლიქტის თეორიას, ანალიზს, მოლაპარაკებებსა და მედიაციას. ეს წიგნი ეყრდნობა ჩანაწერებს, რომელიც იმედია ხელს შეწყობს პრაქტიკულ კვლევებს ამ სფეროში.

1.3 კონფლიქტის მოგვარების განმარტება

სანამ ჩვენ გავაგრძელებთ მსჯელობას, საჭიროა კონფლიქტის მოგვარების წინასწარი განმარტება (დეფინიცია) ჩამოვაცალიოთ. ამ დეფინიციაზე ჩვენ, უფრო დანვირილებით, მე-2 თავში ვისაუბრებთ. კონფლიქტის მართვასა და კონფლიქტის მოგვარებას შორის განსხვავებას უკვე გავეცანით. ჩვენ ასევე განვიხილეთ სამშვიდობო შეთანხმებების ბოლოდროინდელი მოვლენები. ისინი კონფლიქტის მოგვარების განუყოფელი ნაწილია. კონფლიქტის მხარეების შეთანხმებების ცალკეული ფორმების გარეშე, კონფლიქტის რეგულირებაზე საუბარი რთულია. მიუხედავად ამისა, სამშვიდობო ხელშეკრულება, თუნდაც განხორციელებული, არაა საკმარისი ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველსაყოფად. მშვიდობა, მხარეებს შორის, მოითხოვს გარიგებაზე მეტს. სამშვიდობო შეთანხმება აუცილებელი ნაბიჯია გრძელვადიანი მშვიდობის დასარეგულირებლად. ამრიგად, შეიძლება წინასწარ განისაზღვროს კონფლიქტის მოგვარება, როგორც სიტუაცია, სადაც კონფლიქტის მხარეები შედიან შეთანხმებაში, რომელიც მათ ცენტრალურ შეუსაბამობებს წყვეტს და ერთმანეთს ღებულობენ, როგორც მუდმივ მხარეებს და ერთმანეთის წინააღმდეგ ყველა ძალადობრივ ქმედებას წყვეტენ. ეს ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტის მოგვარება ის პროცესია, რომელიც კონფლიქტს აუცილებლად მოსდევს. პირველ რიგში, კონფლიქტის ანალიზისთვის ჩვენ გვჭირდება კონფლიქტის კონცეფცია და ინსტრუმენტები. ეს ყველაფერი ეხება კონფლიქტის თეორიას. კონფლიქტის მოგვარებას „კონფლიქტის თეორიის კონტექსტში, ჩვენ მეორე თავში განვიხილავთ.

მოდით, ამ დეფინიციაში, ძირითადი ელემენტები გავაანალიზოთ. შეთანხმება, ჩვეულებრივ, ფორმალური, მეტ-ნაკლებად საზიგმო პირობებში ხელმოწერილი დოკუმენტია. თუმცა მხარეებს შორის შეიძლება არსებობდეს უფრო არაფორმალური, დაფარული ურთიერთგაგება. ასეთი შეთანხმებები შეიძლება არსებობდეს საიდუმლო დოკუმენტებში, მაგალითად, გადამწყვეტი დაპირება ფორმალური ღონისძიებების წინაპირობად მიიჩნევა ან გარიგება, რომელშიც მხარეები მეტ-ნაკლებად ნათელია. ხშირ შემთხვევაში, სავარაუდოა, მსგავსი არაფორმალური შეთანხმებების განხილვა, როგორც ფორმალური დოკუმენტების. გარდა ამისა, ასეთი არაფორმალური გარიგებები მხარეებს შორის ნდობას მოითხოვს. ისინი ნაკლებად სავარაუდოა განხორციელდეს ფორმალური შეთანხმების გარეშე. ამდენად, შეთანხმებული დოკუმენტი, ნებისმიერი სამშვიდობო პროცესისთვის, მნიშვნელოვანია.

ეს განმარტება განსაზღვრავს მხარეთა მიერ ერთმანეთის მიმღებლობას, ხანგრძლივი ურთიერთობებისთვის. ეს მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მშვიდობიან ჩანაწერს განასხვავებს შეთანხმებული ვაპიტულაციიდან. ვაპიტულაციის შეთანხმება გამარჯვებასა და დამარცხებას შორის ყველაზე მტკიცე თანხმობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ერთი მხარე დებს იარაღს, გამოდის მისი ორგანიზაციიდან, ტოვებს სადავო ტერიტორიას და მოკლედ, წყვეტს თავის გავლენას და მნიშვნელობას. ამის მაგალითია ძალების გაყვანის ხელშეკრულება. ეს არაა შეთანხმება, სადაც ერთი მხარე თანახმაა, რომ თავისი ჯარები სადავო ტერიტორიიდან გაიყვანოს და ეს ერთადერთი საკითხია, რომელიც შეთანხმებას არეგულირებს. გაყვანის

მხარე კაპიტულაციის საკითხს, სავარაუდოდ, არ განიხილავს. თუმცა ხელშეკრულების არსებობით უნდა დასრულდეს მონაწილე მხარის კონფლიქტში ჩართულობა. ამის კარგი მაგალითია საბჭოთა ჯარების გაყვანა ავღანეთიდან, რომელზეც შეთანხმება 1989 წლისთვის მოხდა და განხორციელდა. ამითი დასრულდა საბჭოთა კავშირის გავლენა ავღანეთის შიდა საქმეებში. მეორე მაგალითია, მთავრობის ლიდერის ხელისუფლებიდან გადადგომა, როდესაც ის ტოვებს ქვეყანას. 2003 წელს, ლიბიაში, ჩარლზ ტელიორმა სამოქალაქო ომი დაასრულა და ომისგან განადგურებულ ქვეყანას შანსი მისცა გრძელვადიანი მშვიდობა დაემყარებინა. ბოლო პერიოდში, არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, როცა მხარეებმა გამარჯვება იზეიმეს ხელშეკრულების ან კაპიტულაციის აქტის გარეშე. 2003 წლის 1 მაისს აშშ-მ ერაყის დამარცხება გამოაცხადა, რაც ტერორიზმის დამარცხებად იქნა მიჩნეული. 2009 წელს, შრილანკამ, ტამილურ ვეხვებზე გამარჯვება მოიპოვა, დამარცხებული მხარის ფორმალური თანხმობის გარეშე. 2011 წელს, ლიბიაში, კადაფის რეჟიმი ლიდერის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა.

თუმცა აქ ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების შესახებ შეთანხმებები კომპლექსურია. ისინი იმ დოკუმენტებს მიმართავენ, სადაც მებრძოლები ერთმანეთს სამომავლო ურთიერთობებში მხარეებად აღიქვამენ. ეს ნიშნავს იმას, რომ არავინ იმარჯვებს, აქ გამარჯვება არაა და არც არავინ მარცხდება, რადგან დამარცხება არაა. ასეთი ღონისძიებების მხარდაჭერა რთულად ხდება, ეჭვგარეშეა, რომ ისინი უფრო ხშირია, რადგან, პირველ რიგში, აღიარებულია. სიტყვა „მიღება“ მხარეთა მხრიდან ყველა საკითხზე თანხმობის მიღებას არ გულისხმობს, არც იმას, რომ მათ ერთმანეთი ყველა ასპექტში „მოსწონთ“. ეს სიტყვა გულისხმობს იმას, რომ მხარეები ერთმანეთს ღებულობენ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა ხელშეკრულების გასაფორმებლად და იმპლემენტაციისთვის დაპირისპირებულ მხარეებს შორის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფორმულირებაა, რომ მხარეები ერთმანეთის წინააღმდეგ ყველა ძალადობრივ ქმედებას წყვეტენ. ხშირ შემთხვევაში ეს შეთანხმების ნაწილია, მაგრამ ეს შეიძლება გაკეთდეს, როგორც ცალკეული ვალდებულება. ხშირად, ძალადობის შეწყვეტა ხდება საჯაროდ, მაშინ როცა სამშვიდობო ხელშეკრულება ფორმდება. ფართო საზოგადოებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ ომი მთავრდება და სიკვდილიანობის საფრთხე მცირდება. თუმცა ხანდახან ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები წინ უძღვის მხარეებს შორის შეუთავსებლობის მარეგულირებელი ხელშეკრულების ნამდვილ დასკვნას. დებატები მიმდინარეობს იმის თაობაზე ცეცხლის შეწყვეტა წინ უნდა უძღვოდეს ხელშეკრულებას, ერთდროულად უნდა მოხდეს, თუ პოლიტიკური შეთანხმების დადების შემდეგ. დროებითი ზავის გრძელვადიანი ხელშეკრულებებიც არსებობს, რომელიც სამშვიდობო შეთანხმებად არ გადაიქცა. 1949 წელს, ისრაელს შეიარაღებული ძალების ხაზი, არაბული მეზობლებისგან გამოყოფდა, რაც 30 წლის შემდეგ ეგვიპტესთან ხელშეკრულებაში აისახა. ტერიტორიული დაყოფის იგივე საკითხი დგას ისრაელსა და პალესტინას შორის, რათა საბოლოო ხელშეკრულების გაფორმება მოხდეს. ასეთი გამყოფი ხაზები 65 წელია არსებობს. კორეაში ორ სახელმწიფოს შორის გამყოფი ზოლი 1953 წლიდანაა გავლებული და მალე საპატიო ასაკს მიაღწევს. იგივე სიტუაზიაა კვიპროსზე, სადაც 1974 წლიდან არსებობს ასეთი დაყოფა და საბოლოო შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორისაც არსებობს გამყოფი ხაზი ცეცხლის შეწყვეტის პერიოდიდან, 1992 წლიდან.

იგივე ტერიტორიული დაყოფა შეესაბამება ისრაელისა და პალესტინის საბოლოო შეთანხმებისთვის. ხაზები უკვე 65 წელზე მეტია არსებობდა. 1953 წელს კორეის ორ ქვეყანას შორის გამყოფი ხაზები მალევე შედიან ვეტერებლზე. შესაძლოა, შეთანხმება

მიღწეულ იქნას ადრეულ კვიპროსში, სადაც ტერიტორიული დაყოფები, რომლებიც დღევანდელი დისკუსიისთვის 1974 წლიდან არის მოხსენიებული. დღეს სამხრეთ ოსეთის საქართველოდან გამოყოფილი ხაზი 1992 წლის ცეცხლის შეწყვეტას ეწინააღმდეგება. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებით არ სრულდება. ბევრად უფრო უსაფრთხოა, როცა მხარეები სამშვიდობო შეთანხმებას აფორმებენ, ამით ისინი ძირითადი შეუთავსებლობის პრობლემას წყვეტენ. თუ ხელშეკრულება ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტას არ გულისხმობს, მაშინ ასეთი შეთანხმება სანდო არ არის. ის ხელშეკრულებები, რომლებიც კონფლიქტის მოგვარების ღონისძიებებს შეიცავს, ორ პრობლემას ერთად აგვარებს. ეს არის შეუთავსებლობა და ბრძოლის დასრულება.

1.4 კონფლიქტის მოგვარების შეზღუდვები

კონფლიქტის მოგვარება სულაც არ არის მშვიდობის იდენტური. არსებობს მნიშვნელოვანი გადაფარვები. თუმცა, მშვიდობის ცნება უმეტესად ემყარება ომის არარსებობას ან მის დამთავრებას. კონფლიქტი, როგორც ჩვენ ახლახან განვმარტეთ, არ არის გადანწყვტილი, ან არ მოიცავს შეიარაღებული ბრძოლის დასასრულს. ამავე დროს, ეს არაა საკმარისი, რომ იგი მხოლოდ ბრძოლის დასრულებად განიხილებოდეს. კონფლიქტის მოგვარება უფრო მეტია, ვიდრე მშვიდობის შეზღუდული განმარტება. ეს უფრო მეტია, ვიდრე ომის არარსებობა. მხარეები თანხმდებიან ერთმანეთისადმი პატივისცემაზე და ემზადებიან თანაცხოვრებისათვის. თუმცა, არსებობს უფრო ფართო გაგება, თუ რა არის მშვიდობა, ესაა თანამშრომლობის არსებობა, სამართლიანობა და ინტეგრაცია. კონფლიქტის მოგვარება შეიძლება იყოს, ან არც იყოს ასეთი დიდი ღირებულებების შემცველი. ეს დამოკიდებული იქნება კონკრეტულ სიტუაციაზე. სასურველი განმარტება, აპრიორი არ მოიცავს გარკვეულ ელემენტებს. განმარტება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სურთ მხარეებს ან რაზე შეუძლიათ შეთანხმდნენ. კონფლიქტის მოგვარება შეიძლება იყოს, ან არ იყოს, ფართო ასპექტების შემცველი.

უკიდურეს შემთხვევაში, სამშვიდობო შეთანხმებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფართო ღირებულებებზე. აქ მოყვანილი შეთანხმებები იდება შეიარაღებულ მხარეებს შორის. ისინი უფრო ძლიერი სამხედროები არიან, ვიდრე სხვა საზოგადოებაში. ამრიგად, არსებობს საფრთხე იმისა, რომ კონფლიქტის მოგვარების შეთანხმებული ფორმა შეიცავდეს შეიარაღებული ძალების პრივილეგიებს საზოგადოების სხვა ინტერესების ხარჯზე.

ამის ბევრი მაგალითი არსებობს, მაშინაც კი, როდესაც ადამიანები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან განადგურებაზე თავის თავზე იღებენ სახელმწიფო პოზიციებს, რითაც ხდება იურიდიული ძალაუფლების ხელში აღება. ასეთი განვითარება საზოგადოების გარკვეულ ნაწილში შიშს თესავს. კონფლიქტის მოგვარების თვალსაზრისით, აუცილებელია ასეთ შეთანხმებებთან მიმართებაში სიფრთხილე. ისინი შეიძლება შეიცავდეს განახლებული კონფლიქტის მარცვალს ან სრულიად ახალი კონფლიქტის დინამიკის ინიციატივას.

გარიგება, მოსახლეობის გადმოსახედიდან, არის ის, როცა პრივილეგიების მინიჭებით ომი შეწყდება. შეიძლება გაჩნდეს იმედი, რომ ეს პრივილეგიები გამოწვეული იქნება ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების მიერ, ომის დასრულების შემდეგ. მშვიდობის პირობები შეიძლება მოითხოვდეს ახალი ტიპის ხელმძღვანელობას, ხოლო სამშვიდობო შეთანხმება ხელს არ შეუშლის პროცესის ასეთ განვითარებას; უკეთესი პოზიცია ისაა, რაც რეალურად ხელს უწყობს

მას. კითხვა, რომელიც უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს, ომის დროს ჩადენილ დანაშაულს ეხება, როგორც ამ ომის, ბრძოლის ნაწილის დაცვას. აღსანიშნავია, რომ 1993 წლის იუგოსლავიის კონფლიქტისთვის შეიქმნა საერთაშორისო ომის დანაშაულის ტრიბუნალი, რომელსაც ერთი წლის შემდეგ მოჰყვა მსგავსი ტრიბუნალის შექმნა რუანდაში. 1998 წლის ზაფხულში საერთაშორისო ხელშეკრულებით შეიქმნა სისხლის სამართლის სრულფასოვანი საერთაშორისო სასამართლო (ICC). 2004 წლისთვის, საკმარისი რატიფიცირების შედეგად, ICC გახდა ქმედითი მექანიზმი (მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მ გააკეთა არჩევანი მის გარეთ დარჩენილიყო და თავდაპირველად ცდილობდა შეესუტებინა ეს საერთაშორისო მიღწევა). ICC არის დრამატულად ახალი განვითარება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გერმანიასა და იაპონიაში პასუხისმგებელი პირებისთვის შეიქმნა ომის დანაშაულების ტრიბუნალები. ისინი არ იყო მუდმივი ინსტიტუტები და მომდევნო ათწლეულებში, ომის დანაშაული იშვიათად ვითარდებოდა საერთაშორისო დონეზე, ერთადერთი თანმიმდევრული ძალისხმევა, რომელიც გარკვეულმა ქვეყნებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიიღეს, ჰოლოკოსტის საქმის ტრიბუნალისათვის გადაცემა იყო. ცივმა ომმა საერთაშორისო კონსენსუსი გამოაცხადა ომის დანაშაულებზე. ამრიგად, მხოლოდ ცივი ომის შემდეგ, ომის დანაშაულებზე, საჭირო პროცედურებსა და სასჯელზე კვლავ შეიქმნა საერთო გაგება. მიუხედავად ამისა, არსებობს ბოლო დროის სამშვიდობო შეთანხმებები, რომლებიც მოიცავს ამინისტიის სხვადასხვა ფორმებს, ლიდერებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის. ამინისტია უკვე განიხილება, როგორც მომლაპარაკებლების მიერ ნებისმიერი შეთანხმების ყველა დონეზე დასრულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლიდერებს შეუძლიათ დაიცვან საკუთარი თავი სამართლებრივი პროცედურებისგან, დაპირისპირებული მხარეებისა და საკუთარი მოსახლეობის ლეგიტიმური აღშფოთებისაგან. 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენების თანახმად, ამგვარი შეთანხმებების არსებობა სულ უფრო ნაკლებად სავარაუდოა. ისინი არაა მარტივად მისაღები საერთაშორისო დონეზე. ამ თვალსაზრისით, დღეს კონფლიქტის მოგვარების პროცესი სულ უფრო მეტად მოთხოვნადი ხდება, ვიდრე ეს ცივი ომის დამთავრებისთანავე იყო. ICC- პირველი საბრალდებო დასკვნა უგანდაში აჯანყების ლიდერს შეეხო, ამავე დროს, ამას მოჰყვა კიდევ უფრო მეტი მოლაპარაკებები სამოქალაქო ომის დასრულებასთან დაკავშირებით.

ამგვარად, განიხილება ომის დანაშაულებზე აქცენტირების შედეგები. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ კონფლიქტის გახანგრძლივებას საფრთხე ემუქრება, რადგან მხარეები შიშობენ, რომ სასამართლოში მიყვანით, მცირე ბიძგს აძლევენ იმ შეთანხმებების გატარებას, რომლებიც საფრთხეს უქმნის საკუთარი თავის კონტროლის საშუალებებს. სხვები ამტკიცებენ, რომ მხარეები პირველ რიგში ომის დაწყებისგან იკავებენ თავს, რადგანაც ICC ზრდის იმის ალბათობას, თუ რა მოხდება სამხედრო დანაშაულების კანონიერად მიდევნების შემთხვევაში და შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში ახალ ომებს თავიდან იცილებენ.

და ბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ კონფლიქტის მოგვარება არ არის იგივე, რაც სრული განიარაღება. შეთანხმებამ შესაძლოა მხარეებს გარკვეული არსენალი შეუნარჩუნოს. თუმცა, სავარაუდოდ, ეს უფრო დაბალი იქნება, ვიდრე ის, რაც ომში გამოიყენებოდა.

მხარეებმა შეიძლება მაინც შეინარჩუნონ, რომ მათ განსაკუთრებული დაცვა სჭირდებათ. ამკარაა, რომ აუცილებელია დაცვისა და შეთანხმების უფრო მაღალი დონე, მით უფრო სავარაუდოა, რომ ეს ქმნის დაუცველობას საზოგადოებაში. ამდენად, სავარაუდოა, რომ უსაფრთხოების ყველა სექტორში მშვიდობის ცვლილება გამჭვირვალობის, მთლიანობისა და პროფესიონალიზმისკენაა მიმართული, რომელიც მოიცავს ადამიანის

უფლებებს. კერძოდ, უთანხმოების, დემობილიზაციისა და რეინტეგრაციის (DDR) პროგრამები გახდა ცენტრალური ძალისხმევა მშვიდობის მშენებლობის საქმეში ომის დასრულების მიღვენებით.

მშვიდობის სხვა ასპექტებიც არსებობს. კონფლიქტების მოგვარება თავის თავს ხედავს, როგორც ხიდს მშვიდობის ძალიან ვიწრო კონცეფციასა (ომი არ არის) და ძალიან ფართო (სამართლიანობა) კონცეფციას შორის. როგორც კონფლიქტის მოგვარების გზით, მხარეების მიერ განსაზღვრულმა კონცეფციამ აჩვენა, რთულია ერთი სიტუაციის მეორესთან შედარება. თუმცა, ფაქტია, რომ არსებობს უფრო მეტად დამკვიდრებული ნორმები საერთაშორისოდ მისაღები სამშვიდობო შეთანხმებების შინაარსით. საერთაშორისო სამართალმა შექმნა გარკვეული სტანდარტები სახელმწიფოთა შორის კონფლიქტის მოგვარების მიზნით.

ცივი ომის დასრულებამ ასევე გამოიწვია შიდა კონფლიქტების მოგვარების გაფორმება; ესენია დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, სისხლის სამართლის, მართლმსაჯულების, შერიგებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის პრინციპები. ამ თვალსაზრისით, კონფლიქტის მოგვარების საერთაშორისო გაგება . ეს ხელს უწყობს კონცეფციის შემუშავებას მართლმსაჯულების მიმართულებით, ან რა შეიძლება ითქვას მშვიდობიანობის ხარისხზე და არა უბრალოდ ძალადობის შეწყვეტაზე.

1.5 მოცემული წიგნის მონახაზი

არსებული სამშვიდობო შეთანხმებები ამ ნაშრომის მნიშვნელოვან წვლილს წარმოადგენს. თუმცა, ანალიზი უნდა იწყებოდეს იმ ფენომენით, რომელიც წინ უსწრებს რაიმე შეთანხმებას და საბოლოოდ შეცვლის კონფლიქტს. საჭიროა შეიარაღებული კონფლიქტისა და შედეგების გაცნობის გარკვეული ინსტრუმენტები. მე -2 თავი იძლევა ინფორმაციას კონფლიქტებისა და სამშვიდობოების შესახებ. შემდეგ კი მივდივართ თეორიული საფუძვლებისაკენ, რათა განვიხილოთ თანამედროვე კონფლიქტის თეორიის ელემენტები, რომლებიც აუცილებელია სამშვიდობოებისთვის (თავი 3). აქედან გამომდინარე, ჩვენ მივდივართ საბაზისო კონფლიქტების ანალიზისათვის საჭირო ინსტრუმენტებისაკენ. ეს მოცემულია 1-ელ თავში, რომელიც წარმოადგენს კონფლიქტის სამ გავრცელებულ სახეს, კონფლიქტის ტრიქოტომიას და მოითხოვს სხვადასხვა სახის შეთანხმებებს. ეს საკითხი ასრულებს 1-ელ ნაწილს. მე-2 ნაწილში განხილულია სამშვიდობო შეთანხმებები ცივი ომის შემდეგ, ისევე, როგორც წინა გამოცდილებები, დაკავშირებული ამ სტრუქტურასთან, რომელიც ემსახურება გრძელვადიანი ხელშეკრულებების მახასიათებელ თვისებებს (თავები 5, 6 და 7). მესამე ნაწილი განიხილავს განსაკუთრებით რთულ საკითხებს კონფლიქტურ ანალიზში. ეს ეხება კონფლიქტებს რეგიონების ფარგლებში, დიდი სახელმწიფოების ჩართულობით ან მათი ჩართვის გარეშე, (თავი 8). (თავი 9). გაეროს და რეგიონალური ორგანიზაციების როლს კონფლიქტის მოგვარებაში; თავები: 10 და 11, ფოკუსირების ახდენს გამოყენებულ ინსტრუმენტებზე და ბოლოს, მე-12 თავში განიხილება კონფლიქტის მოგვარების ახალი გამოწვევები.

შეიარაღებული კონფლიქტები და საგზვიდობო შეთანხმებები**პიტერ ვოლენსტინი ⁴****2.1 კონფლიქტის კონცეფცია**

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველანაირი კონფლიქტი მოგვარებადია. ეს სულაც არ არის იდეალისტური ან ოპტიმისტური პოზიცია. გარკვეულ მომენტში დგება კონფლიქტის გამომწვევ ძირითად ფაქტორებზე მოლაპარაკების საჭიროება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონფლიქტი ომსა და განადგურებას იწვევს, მისი მოგვარების ალტერნატიული გზებიც არსებობს. ხშირია განცხადებები კონფლიქტის, ძალადობის და ომის გარდაუვალობის შესახებ. ასეთ მდგომარეობაში გამოსავლის პოვნა ნამდვილად რთულია. ეს შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ პოლიტიკური შეზღუდვებისგან, არამედ შეიძლება მოხდეს თვითშეფასების ან წარმოსახვის ნაკლებობის გამო. ასევე არსებობს მოსაზრება ძალადობის და ომის აუცილებლობის შესახებ. გაუსაძლისმა პირობებმა ან დამღუპველმა საფრთხეებმა შესაძლოა ასეთი იდეების არსებობა გასაგები გახადოს, თუმცა ხშირად, ომის შედეგები ამსხვრევს იმედებს იმ უკეთესი მომავლისა, რომლისთვისაც ის დაიწყო. ცოტა ომი თუ წარიმართება ისე, როგორც ამას მისი წამომწყებნი ვარაუდობენ. ხანმოკლე ომების შემთხვევაში, მსგავსი ლაფსუსები შეიძლება თავიდან ავიცილოთ, მაგრამ ვინ იქნება გარანტი, რომ ომი მალე დასრულდება? უამრავი ომი დაწყებულია ამ წინაპირობით. შემდგომ ისმევა კითხვა: გამოყენებული იქნა თუ არა მშვიდობის დასამყარებლად არსებული ყველა შესაძლებლობა მანამ, სანამ ომის ინიცირება მოხდებოდა? მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ ვალიდურია თუ არა არგუმენტები ომის საჭიროების და მისი თავიდან აცილების გარდაუვალობის შესახებ. გამოსავალის ძიება არ არის მხოლოდ მორალური საკითხი. ეს რაციონალური კითხვაა. ეს არის ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც თავისუფალი საზოგადოება მზად იქნება ომის სიმძიმეების მისაღებად. მართლაც, თუ კონფლიქტები ასეთი ადრეული გამომწვევების წინაშე აღმოჩნდებიან, გამოსავალი შეიძლება გამოჩნდეს, თუნდაც მოულოდნელ სიტუაციებში. ასე რომ კონფლიქტები მოგვარებადია და პრაქტიკაში მათი გადაჭრის უამრავი განსხვავებული გზა არსებობს.

თუ კონფლიქტები მოგვარებადია, მაშინ ისმის კითხვა, არის თუ არა შესაძლებელი, რომ კონფლიქტები ადრე თუ გვიან თავისთავად მოგვარდნენ? ცხადია, როცა კონფლიქტი უკვე გადაიზარდა ომში, მისი გადაჭრის გზები მცირდება. ასეთ დროს კონფლიქტის მთავარი მონაწილეები ისწრაფვიან პირველ რიგში გამარჯვებისკენ და არა, საერთო გამოსავლის პოვნისკენ. ერთი მხარის გამარჯვება მეორე მხარეზე არის შესაძლო შედეგი, რომელიც დგება თუნდაც სხვების კაპიტულაციის, მხარეების ლიკვიდაციის ან გაუჩინარების ხარჯზე. ამ შემთხვევებს ადგილი აქვს მხოლოდ რიგ შემთხვევებში. კონფლიქტები გარკვეულ მომენტში სრულდება, მიუხედავად იმისა, ეს იქნება გადანყვეტილების, გამარჯვების თუ გამოუვალი მდგომარეობის შედეგად. ამას უნდა დაემატოს კითხვა კონფლიქტი კვლავ შეიარაღებული და ძალადობრივი იქნება თუ არა.

რა თქმა უნდა, ყოველი მხარისთვის მისაღები კონფლიქტის შედეგი გამარჯვებაა. გამარჯვებას შეუძლია ნაწილობრივ გადაჭრას პრობლემა. მაგალითად შეგვიძლია

4 Wallensteen Peter. "Armed Conflicts and Peace Agreements." In Understanding Conflict Resolution, 15-36, London, SAGE Publications, 2015.

მოვიყვანოთ მოკავშირე ქვეყნების ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვება. მას შემდეგ, რაც 1983 წელს მიუნხენში მიღწეული შეთანხმება წარუმატებელი აღმოჩნდა, ევროპული ძალებისთვის შეუძლებელი გახდა ადოლფ ჰიტლერთან და ნაცისტურ რეჟიმთან მოლაპარაკების მცდელობა. მეორე მსოფლიო ომის დასრულება გულისხმობდა უპირობო დათმობას და ნაცისტების, როგორც მხარის, განადგურებას. ეს იყო გამარჯვება უდავო შემთხვევა, მაგრამ ის გერმანიის დასასრულს არ ნიშნავდა. ამ ქვეყნის ადგილი საერთაშორისო სისტემაში ჯერ კიდევ გასარკვევი იყო. გამარჯვებულებს შორის ამ საკითხზე კონფლიქტი წარმოიშვა. ეს ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ცივი ომის პერიოდში. გადანყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც ახალი ლიდერები გამოჩნდნენ დასავლეთ გერმანიაში. ისინი დემოკრატიული იდეებისკენ იხრებოდნენ, კეთილსინდისიერად აშენებდნენ დემოკრატიულ ტრადიციებს 1983 წლამდე და დასავლეთის ძალებისთვის მისაღებ, ახალ იდეოლოგიას ავრცელებდნენ. გერმანიის რეინტეგრაცია საერთაშორისო სამყაროსთან საბოლოოდ მოხდა 1990 წელს, მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან 45 წლის შემდეგ. მხოლოდ ახალმა გერმანიამ შეძლო ძველი პასუხისმგებლობის აღიარება და ახალ მსოფლიო მონყობაზე მორგება. მეორე მსოფლიო ომის დროს, პრობლემა მხოლოდ გერმანიის საერთაშორისო სისტემაში ადგილი რომ ყოფილიყო, იქვე გამოჩნდებოდა პრობლემის გადანყვეტის გზა, კონფლიქტის მშვიდობიანი დიალოგის გზით მოსაგვარებლად. ეს იქამდე იყო ვიდრე ნაცისტები ხელში ჩაიგდებდნენ ძალაუფლებას. ყველა ქვეყანას აქვს საშუალება მშვიდობის დასამყარებლად ომისგან განსხვავებული საშუალებები მოძებნოს და გამოიყენოს. მმართველობების დროს კი მხარეები მიზანმიმართულად ავიწროვებენ მშვიდობიანი გზებისადმი ხედვას და ისეთ სიტუაციებს ქმნიან, სადაც გამოსავალი ან დამარცხება ან გამარჯვება. ნაცისტურმა გერმანიამ ეს გზა აირჩია.

კონფლიქტი, კონფლიქტის მოგვარებას უსწრებს წინ. კონფლიქტის წარმოშობის და აღმოფხვრის მაგალითები არსებობს. მაკიაველი და კლაუზევიცი დასავლური კულტურის გამოჩენილი მწერლები არიან, რომლებიც ხშირად ეხებოდნენ კონფლიქტის ანალიზს იდეას. ადამ სმიტი და კარლ მარქსი გამოსავალს კონკურენციასა და ჯგუფურ ანალიზში ხედავდნენ. კლასიკურ ჩინურ ლიტერატურაში ყველაზე ხშირად სან ძე განიხილავს კონფლიქტის საკითხებს, კაუტილია - ინდოეთში, იბნ ხალდუნი კი - არაბულ სამყაროში. სამხედრო სტრატეგიული საკმაოდ გავრცელებულია მსოფლიოში და ბრძოლის ველზე გამოაგნებლად მაღალია საერთო ცოდნის დონე სამხედროთა შორის. საზოგადოებრივი წინააღმდეგობის ანალიზი უამრავ კულტურაშია გავრცელებული, რასაც ხელი შეუწყო სმიტის და მარქსის ზეგავლენამ მთელს მსოფლიოზე. იგივეს ვერ ვიტყვით კონფლიქტის მოგვარების თეორიებზე. ეს გამოუკვლეველი თემაა. ნაკლებად განვითარებული და პრაქტიკაში ნაკლებად გამოცდილი. საინტერესოა გავეცნოთ თანამედროვე მოაზროვნეების იდეებს. აუცილებელია მათი დაკავშირება სოციალური მეცნიერებების აზროვნებასთან.

კონფლიქტს ბევრი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ზოგისთვის ის ქცევაა, ზოგისთვის მოქმედება. არსებობს კონფლიქტი, როდესაც პროფკავშირები აწყობენ გაფიცვას ან დამსაქმებელი ბლოკავს თავის თანამშრომლებს. ასევე კონფლიქტია, როდესაც ორი სახელმწიფო ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაშია და ბრძოლის ველი განსაზღვრავს მათ შორის ურთიერთობებს. ასეთი მოქმედების შედეგად კონფლიქტი ყალიბდება. კონფლიქტი მხოლოდ ამ ფაქტორებისგან რომ შედგებოდეს მაშინ ვიტყოდით, რომ კონფლიქტი სრულდება მაშინ, როდესაც ასეთი ეს მოქმედებები წყდება. საზოგადოების მცირე ნაწილი თუ დაეთანხმება ამ მოსაზრებას. ცეცხლის შეწყვეტა კონფლიქტის დასასრულს არ გულისხმობს, არამედ მხოლოდ ძალადობის დასრულებას. ზავი გულისხმობს შუალედურ პოზიციას კონფლიქტში.

ძალადობრივი და არაძალადობრივი ქმედებები შეიძლება განახლდეს მოგვიანებით. ამ ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს უკმაყოფილება. ცხადად ჩანს, რომ კონფლიქტი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მხარეებს შორის ურთიერთქმედება.

ახლო დაკვირვება აჩვენებს, რომ სამრეწველო დავის დროს მხარეები არ წყვეტენ მოქმედებას, სანამ გარკვეული მოძრაობა შეინიშნება საკითხებზე, რომელიც ამწვავებს დავას. აქ საუბარია მხარეებს შორის შეუთავსებელ პოზიციებზე, რაც მათ ქმედებას მოტივაციას აძლევს. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კონფლიქტს ფართო გაგება აქვს. ის მოიცავს სერიოზულ უთანხმოებას მინიმუმ ორ მხარეს შორის, მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად არ არსებობს საკმარისი რესურსი საჭირო დროს. ეს არის შეუთავსებლობა. პოზიციები არის შეუთავსებელი. ეს არის გარკვეული ფორმის უკმარისობა. თუ რესურსები საკმარისია, მხარეების მოთხოვნები დაკმაყოფილდება და კონფლიქტიც მოგვარდება. თუ რესურსები შეზღუდულია, მაშინ ჩნდება პრობლემები. აქ გადაწყვეტილებებს მიღება რთულდება და გონივრული გადაწყვეტილების მიღების საჭიროება დგება. იმაზე, თუ როგორ ხდება ეს მოგვიანებით ვისაუბრებთ. საკმარისია აღინიშნოს, რომ როდესაც მხარეები თავიანთ მოთხოვნებს მწირე რესურსებს მოარგებენ, კონფლიქტიც გაქრება. შეუთავსებელი მოთხოვნები დამუშავდება. შეუთავსებლობა არის კონფლიქტის არსებობისთვის საკვანძო საკითხი. ლატენტურია კონფლიქტი, როდესაც მოქმედებები არ ხორციელდება, თუმცა გარეშე პირსაც კი შეუძლია მიუთითოს გარკვეულ შეუთავსებლობაზე. მანიფესტური კონფლიქტის დროს ადგილი აქვს როგორც შეუთავსებლობას, ასევე მოქმედებას.

ესეც არ არის საკმარისი კონფლიქტის კონცეფციის გასაგებად. მხედველობაში უნდა მივიღოთ დაპირისპირებული მხარეებიც. ამბობენ, რომ პროფკავშირები შექმნილია თანამშრომლების მიერ, იმისთვის რომ წამყვანი პოზიციების მხრიდან არსებულ იმ შეუთავსებლობას გაუმკლავდნენ, რომლებმაც შესაძლოა კონფლიქტი გამოიწვიოს. ამიტომაც აქვთ მათ წევრობა. პროფკავშირების წევრები თავს გრძნობენ დაცულად იმ შემთხვევაშიც კი, როცა კონფლიქტის მანიფესტური გამოხატვა შორ რეალობად გვესახება. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ დაძაბულობა იქმნება ურთიერთობებში დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის. კონფლიქტი არსებობს მაშინაც კი, თუ არ არსებობს ქმედებები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მოთხოვნები. კონფლიქტი არის სისტემის შიგნით. მსგავსი აღწერილობა შეიძლება მოიძებნოს სახელმწიფოთაშორისი სისტემისთვის. ამტკიცებენ, რომ სუვერენული სახელმწიფოები ერთმანეთთან კონფლიქტში აუცილებლად ჩაკეტილები არიან. სახელმწიფოები მუდმივად მზადყოფნაში არიან შესაძლო თავდასხმისთვის იმიტომ, რომ თავი დაიცვან და გადარჩნენ. ასეთი მზადება ადასტურებს იმას, რომ ისინი რეალურ საფრთხეს ქმნიან. აქ არის ცნობილი უსაფრთხოების დილემის დინამიკა. (ჰერცი, ვოლთბი, 1959, 1979). ეს ხედვა გვთავაზობს მოსაზრებას, რომელიც გულისხმობს იმას, რომ ერთი ქვეყნის არსებობა მეორესთვის საფრთხის შემცველია. რამდენადაც არაპროგნოზირებადია სისტემა, იმდენად დიდია ალბათობა, რომ წარმოიშვას შიში, შემდეგ კი - კონფლიქტი. ჩვენს შემთხვევაში ეს ნიშნავს იმას, რომ დაპირისპირებული მხარეები კონფლიქტის არსებობის ფუნდამენტური ნაწილი არიან. თუ ყალიბდება მხარეები, რომლებიც ანალიზებენ სისტემას და თვლიან რომ მათი გადარჩენისთვის საჭირო ფაქტორები წინააღმდეგობაშია სხვებთან, სისტემის შიგნით კონფლიქტი უკვე წარმოშობილია. მხარეების წარსული და მათი შესაძლებლობა გამოიყენონ თავისი როლი და საკუთარი რესურსების რაოდენობა, კონფლიქტის ანალიზის მნიშვნელოვანი ნაწილია. ჩვენ უკვე შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ კონფლიქტი შედგება სამი კომპონენტისგან: შეუთავსებლობა, მოქმედება და დაპირისპირებული მხარეები. მათი გაერთიანებით ჩვენ მივდივართ კონფლიქტის

სრულყოფილ განმარტებამდე: კონფლიქტი სოციალური მდგომარეობაა, რომელშიც მინიმუმ ორი დაპირისპირებული მხარე მონაწილეობს, რომლებიც ცდილობენ ერთი და იგივე მომენტში მოიპოვონ უფლება მწირ რესურსებზე. ეს განსაზღვრება აყალიბებს ერთიან აზრს ზოგადად გამოყენებული განმარტებებისგან. ეს გულისხმობს დაპირისპირებულ მხარეებს იმ დეფინიციაში, რომელშიც ჩვენ ახლა განვიხილეთ. ბევრ დეფინიციაში დაპირისპირებული მხარე ცალკეა გამოყოფილი. თუმცა წინა არგუმენტები ცხადყოფს, რომ მხარეების კონცეპტი არსებითია ანალიზისთვის და დეფინიციისთვის.

სიტყვა „ბრძოლა“, რომელიც კონფლიქტის განმარტებაში გამოვიყენეთ განვრცობას საჭიროებს. ეს არის ბუნდოვანი ტერმინი, თუმცა მისი აზრი იმაში მდგომარეობს რომ მხარეები მოქმედებენ და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ რესურსები მოიპოვონ. ბრძოლა შეიძლება გულისხმობდეს საომარ მოქმედებებს. იგი მოიცავს საქმიანობის ფართო სპექტრს.

დამატებითი ფრაზა ასევე საჭიროებს გარკვეულ განმარტებას. ვახსენეთ, რომ მხარეები იბრძვიან რესურსების მოსაპოვებლად „ერთსა და იმავე დროს“. ეს ხანდახან შეუმჩნეველია განმარტებებში, ხანდახან უბრალოდ მარტივად აღქმადი. თუ ერთი მხარე კმაყოფილი იქნება რესურსების ერთი წლის შემდეგ მიღებით, სხვა მხარეებს შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილება დღესვე. შესაბამისად დროის მოცემულ მონაკვეთში კონფლიქტი არ არსებობს. შესაძლოა პირველი მხარე იმაზე, რომ სამომავლოდ მისთვის საკმარისი რესურსი აღარ დარჩება, მაგრამ თუ მხარე დარწმუნებულია, რომ მას აქვს გარანტია, შეუთავსებლობა ქრება. სხვა საკითხია, როდესაც მოთხოვნები ერთსა და იმავე მომენტში ჩნდება. ტრადიციულია მიდგომა, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი შეიძლება იყოს პრემიერ-მინისტრი, მხოლოდ ერთ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს ფორმალური იურისდიქცია ტერიტორიის კონკრეტულ ნაწილზე. ეს რესურსები განიხილება, როგორც დროის განუყოფელი ნაწილი. თუ მხარეებს ამის ჯერათ, ეს მათი რეალობაა. რეალურ ცხოვრებაში, გამოსავალი შეიძლება მოვძებნოთ ისეთი გზებით, როგორცაა პირველი და მეორე პრემიერ-მინისტრის თანამდებობები (როგორც კამბოჯიაში 1990 წელს); პრეზიდენტის ან პრემიერის თანამდებობები, ტერიტორიის მართვის საერთო წესები. ასეთი გადაწყვეტილებები მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მიიჩნევენ, რომ შეუთავსებლობა არსებობს. დრო, როგორც ჩვენ ვხედავთ ყოველდღე, არ არის საკმარისი, მაგრამ მისი დანაწილება მაინც შესაძლებელია, რასაც ჩვენი კალენდარი ნათლად აკეთებს. გრაფიკს შეუძლია გადანყვიტოს შეუთავსებლობის პრობლემა.

ხელმისაწვდომი მწირი რესურსების ცნებაში მხოლოდ ეკონომიკური საკითხები არ უნდა ვიგულისხმოთ. ტერმინი რესურსები მოიცავს ყველა სახის პოზიციას, რომელიც მხარის ინტერესს წარმოადგენს. პრემიერ მინისტრის შესაძლებლობა მართოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, გაავრცელოს კონკრეტული იდეა მედიაში, შეიძლება ჩაითვალოს ხელმისაწვდომი რესურსად. ეს დეფინიცია მოიცავს ისეთ რესურსებს, რაც მწირია, მაგრამ სასურველია, ეს შეიძლება იყოს ძალაუფლება, მიმზიდველი მიწა ან საჰაერო მიმოსვლა. ასეთი რესურსები შეიძლება შეფასდეს ფულით, კვადრატული მეტრებით, მაგრამ სშირად ისინი არამატერიალურია. მაგალითად, აღიარების მოთხოვნა, დესტრუქციულ ქმედებებზე პასუხისმგებლობის ან ფსიქოლოგიური სასჯელის მიღება, არამატერიალური ფასეულობების გამოვლენა. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამან შეიძლება გამოიწვიოს შედეგები ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე, მაგრამ მხოლოდ ირიბად იქნებიან დაკავშირებული მატერიალურ რესურსებთან. ამდენად, არსებობს მართლმსაჯულების, მორალური ნორმებისა და ბრალულობის შეუთავსებლობა.

კონფლიქტის კონცეფციის განმარტების შემდეგ ჩვენ გადავდივართ კონფლიქტის უკიდურეს ფორმაზე, რომელსაც ჩვენ ომს ვუნოდებთ. ომი განსხვავდება ყველა სახის კონფლიქტისგან, რადგანაც მისი მოქმედება შეუქცევადია. ომები მოიცავს ტერიტორიის აღებას, მაცხოვრებლების გამოსახლებას, ჯარისკაცების და სამოქალაქო პირების სიკვდილს, ქონების, რესურსების და გარემოს განადგურებას, ადამიანების გონებრივი, ფიზიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების შეფერხებას. ომი ყველაზე მნიშვნელოვანია იმ დესტრუქციულ ფენომენებს შორის, რომლითაც ადამიანთა ერთ ჯგუფს შეუძლია მეორეს ზიანი მიაყენოს. უკიდურესი კონფლიქტის კატეგორიაში ჩვენ შეგვიძლია განვათავსოთ სისტემური რესურსია, ტოტალიტარიზმი და გენოციდი. ეს არის ადამიანების მიერ ინიცირებული ქმედებები. ეს არის საკითხები, რომელიც შეიძლება დასრულდეს ან გამოსწორდეს ადამიანების მხრიდან, მაგრამ არ მათი უკან დაბრუნება შეუძლებელია. ეს საკითხები ძლიერი და გაცნობიერებული ელემენტები ხდებიან ხალხთა, ჯგუფებისა და ინდივიდების ისტორიაში. მოდით უფრო კარგად განვმარტოთ ომის ზუსტი მნიშვნელობა, შემდეგ გავაგრძელოთ ბოლო დროის ტენდენციების შესწავლა შეიარაღებულ კონფლიქტებში და ომში.

შეიარაღებული კონფლიქტის იდენტიფიცირება

სამი პროექტი

მთავარი კითხვა ამ საკითხთან დაკავშირებით მდგომარეობს შემდეგში : არის თუ არა დღეს კონფლიქტები და ომი ისეთივე ხშირი და დესტრუქციული როგორც ეს იყო ადრე. ეს ეხება კონფლიქტების იმ რაოდენობას, სადაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კონფლიქტები ადვილად შესაძარბელია. აქ მთავარი საკითხი არის ის, თუ საით მიდის მსოფლიო, თითოეული რეგიონი ან განსაკუთრებული სფერო (მაგ. იარაღის წარმოება). ეს არის მომავლის კითხვა, რომელიც მხოლოდ ისტორიას არ ეხება. ამავე დროს, არიან ისეთებიც, რომლებიც აღშფოთებულები რჩებიან როცა ვინმე მათ კონფლიქტს სხვა სიტუაციას ადარებს. თითოეული კონფლიქტი არის უნიკალური და თავისი მახასიათებლები აქვს. კონფლიქტებს ძირითადად თვისებების მიხედვით ვასხვავებთ. სიხშირესთან დაკავშირებულ კითხვებს ნაკლები მნიშვნელობა აქვს კონფლიქტის მონაწილე მხარეებისთვის. რატომ უნდა იდარდონ მათ ამის თაობაზე, როცა ერთი ცუდი კონფლიქტიც საკმარისია - ასე ფიქრობენ ისინი.

ორივე პესრპექტივა ვალიდურია. პროექტები, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს მშვიდობის კვლევებზე, მუშაობს იმაზე, თუ საიდან ჩნდება კონფლიქტები ან როგორ შეიძლება დავასრულოთ კონფლიქტი მშვიდობიანად. მათი კითხვები ომის სიხშირეზე რეალურად მათი ამბიციებიდან გამომდინარეობს. მიუხედავად ამისა, კითხვები მაინც მნიშვნელოვანია და ხელს უწყობს საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლას. თუ არსებობს საერთო ნიშნები, რომლებიც მრავალი სხვადასხვა კონფლიქტის დროს განმეორდა, შეგვიძლია ავხსნათ რატომ იწყება ომი. ამან შეიძლება წარმოშვას იდეები სიტუაციის გასაუმჯობესებელი გზების საპოვნელად. გარკვეულ ფაქტორებზე შეიძლება ყურადღება გამახვილდეს სიტუაციის უფრო მჭიდრო ანალიზისთვის. ხშირი კითხვები საჭიროა მედიისთვის და საზოგადოებისთვის სხვადასხვა მიზეზების გამო. დღეს ხშირად ისმის კითხვა არის თუ არა განსხვავება ცივი ომის პერიოდსა და მის შემდგომ პერიოდს შორის, ან 2001 წლის 11 სექტემბრამდე და მის შემდეგ, ან არაბული გაზაფხულის დასაწყისის შემდეგ. საერთაშორისო სისტემაში ან საშინაო პოლიტიკაში ცვლილებებით, რომელიც დაპირისპირების დასრულებასთან ასოცირდება, ჩვენი ამჟამინდელი მდგომარეობა შეიძლება აიხსნას. არსებობს მრავალი სხვა კანდიდატი სხვადასხვა მიზეზობრივი კავშირით, მაგრამ თითოეული მათგანისგან თავის

დაღწევა რთულია. ანალიზში მრავალი ფაქტორია აღნიშნული, როგორცაა ბიპოლარობა, ბირთვული იარაღის შემკავებელი ზემოქმედება, საერთაშორისო ორგანიზაციების მეცვლილი როლი, დემოკრატიზაცია, თავისუფალი ბაზრის მექანიზმის გავრცელება, მედიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ცვლილებები, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო საზოგადოების ზრდა და ა.შ. შედარებებმა დროთა განმავლობაში შეიძლება უფრო ნათელი გახადოს ამა თუ იმ ქმედების ეფექტი თუმცა, მიუხედავად ამისა, ისინი ვერ იძლევიან სრულ გარანტიას. ამისთვის საჭიროა სამეცნიერო მტკიცებულებები, შემთხვევები და პერიოდები, ასევე უნდა არსებობდეს მრავალწლიანი დაკვირვება. ამ წიგნის მიზანია გადმოსცეს მსოფლიოში შეიარაღებული კონფლიქტების სიხშირის და სიმძიმის ზოგადი იდეა. ეს ხელს შეუწყობს კონფლიქტის მოგვარების საკითხს. ამრიგად, ჩვენ განვიხილავთ ზოგიერთ მიმდინარე მოვლენას.

შეიარაღებული კონფლიქტების მაგალითები რამდენიმე პროექტის მიერ რუკაზე არის გადატანილი. ამ წიგნში გამოყენებულია უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა, რომელიც დაფუძნებულია სამშვიდობო და კონფლიქტების კვლევის დეპარტამენტში, უფსალას უნივერსიტეტში, შვედეთში. მონაცემები ქვეყნდება დეპარტამენტის ყოველწლიურ პუბლიკაციაში „სახელმწიფო შეიარაღებულ კონფლიქტში“. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია სტოკჰოლმის მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტში (SIPRI) (ბოლო ათი წლის კონფლიქტებისთვის); მშვიდობის კვლევის ჟურნალი (JPR) ოსლოს მშვიდობის კვლევის ინსტიტუტიდან (PRIO) (შეიარაღებული კონფლიქტები 1946 წლამდე); ადამიანის უსაფრთხოების ანგარიში (საიმონ ფრეიზერის უნივერსიტეტიდან). ყველაზე ხშირად მაინც უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა და მისი მონაცემები გამოიყენება.

მეორე მხრივ, ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზებზე არსებობს პროექტი ჰამბურგის უნივერსიტეტში (AKUF, მისი სახელი გერმანულ ენაზე), ადგილობრივი ომების გლობალური ჩანაწერი ნაჩვენებია 1945 წლიდან (განტბელი, Schiwinghammer 2000), მაგრამ ნაკლებად ცნობილია საერთაშორისო დონეზე. მესამე სტაბილური პროექტია კორელაციების ომის პროექტი (ცნობილია როგორც COW) მიჩიგანის უნივერსიტეტიდან, 1816 წლიდან მოყოლებული ინფორმაცია ომების შესახებ. ეს ინფორმაცია ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია მონაცემთა ბაზების სახით, ზოგჯერ ბეჭდური პუბლიკაციების სახით (სარკესი და ვეიშანი 2010). კვლევით პროექტებში ფართო გამოყენება ჰპოვა და დასკვნები სისტემატიზებულია (გელერი, სინერგი 1998, ვასკეზი 2012).

ასევე არსებობს მნიშვნელოვანი დამატებითი პროექტები, რაც მიზნად ისახავს ომის და ძალადობის დღევანდელი დილემების გამოყოფას. მათ შორისაა პროექტი უმცირესობათა რისკის შესახებ მერილენდის უნივერსიტეტიდან, რომელიც აქცენტს აკეთებს კონფლიქტის იმ ნაწილზე, რომელშიც ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას აჩვენებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. პროექტი შეიცავს მონაცემებს უმცირესობათა ჯგუფების შესახებ, რომლებიც 1945 წლიდან კონფლიქტის გარკვეულ ფორმებში მონაწილეობდნენ. ამ პროექტიდან შემუსავებული იქნა ორმხრივი ანგარიში მშვიდობისა და კონფლიქტის შესახებ (ბეიკერი, 2014). ქვეყნებს შორის კრიზისული ქცევა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სიხშირის კითხვების განხილვისას (Brecher 1993, განახლებული გამოცემა არის 2010 წლის). ბევრ მკვლევარს აქვს საკუთარი სისტემატური კოლექციები კონფლიქტებთან დაკავშირებულ თემებზე, რომელიც გამოქვეყნებულია საერთაშორისო ჟურნალებში (ბერკოვიჩი 1996, კარმენტი 1993; ფეარონი და ლაიტნი 2003; გიბლერი 2012; გოლდშტეინი 1992, ჰოლსტი

1991; ლევი 1983; ლიკლიდერი 1995; ლუარდი 1986; მორტონი და სტარი 2001; ტილემა 1989). ზოგადი მიმოხილვისთვის იხილეთ ერკი (2005) და ფორსბერგი (2012)).

პირველი სამი პროექტი გამოირჩევა იმით, რომ ყველაზე მკაფიოდ გამოხატავს ყველა კატეგორიის შეიარაღებულ კონფლიქტს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნებს შორის. ისინი შეიცავენ დამატებით ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია ომის ფენომენზე თეორიულად მსჯელობისთვის. ორი პროექტი მიმართულია კონფლიქტის მიზეზების გააზრებაზე (ჰამბურგის და მიჩიგანის პროექტები) და ერთი კონკრეტულად კონფლიქტის მოგვარებას განიხილავს (უფსალას პროექტი). რას გვეუბნებიან ისინი შეიარაღებულ კონფლიქტისა და ომის ტენდენციების შესახებ ?

განსახილველი საკითხი მარტივია, მაგრამ აქ საჭიროა ძირითად განმარტებებზე გასაგები პასუხის მომზადება. კონფლიქტის და ომის დეფინიცია გზამკვლევი ინფორმაციაა, რომლის მოძიებაც ნებისმიერ პროექტშია შესაძლებელი. კონფლიქტის მონაცემებმა პროექტებიდან პოტენციურად შეიძლება აჩვენოს სხვადასხვა გლობალური ტენდენციები, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კატეგორიის კონფლიქტთან გვაქვს საქმე. მონაცემების შედარება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება ნაკლებად იყოს შესაძლებელი. გარდა ამისა, არსებობს რამდენიმე კრიტერიუმი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისთვის, რომ კონფლიქტების მონაცემთა ბაზა მიჩნეული იქნას საიმედოდ. პირველ რიგში, მას უნდა ჰქონდეს განმარტება, რომელიც იქნება ზოგადი და არ შეიძენს მნიშვნელობას ისტორიის კონკრეტული მონაკვეთის შესაბამისად.

ამ პროექტებში განმარტებები აკმაყოფილებს კრიტერიუმებს: ისინი არ იცვლებიან დროის ან შესწავლილი მოვლენების შედეგად. პროექტები შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს სხვა საკითხებზე მსჯელობის დროსაც. მაგ: მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური კონფლიქტი, როგორც კატეგორია, ამ სამ პროექტში არ გამოიყენება, მათგან ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია საკითხებზე, რომლებიც ეთნიკური კონფლიქტების შესასწავლად აქტუალურია. მათ შიდა ომის ცალკეული კატეგორიები აქვთ. ამდენად პროექტი ეხება კონფლიქტების ფართო სპექტრს, როგორცაა მაგალითად, უმცირესობები რისკის პროექტის ფარგლებში.

მეორე მხრივ, აქვე არის დეფინიცია სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის თაობაზე. იგი განმარტავს, რომ ძალადობის ზოგადი საკითხი ცალკეულ სამათლებრივ კატეგორიებში უნდა გამოვლინდეს. ეს საშუალებას გვაძლევს, რომ ომზე წარმოდგენა სახელმწიფოთშორისი მოვლენების კატეგორიის მიღმა შეგვექმნას.

სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების შესახებ მონაცემები უფრო ადვილად შეგროვებადია. რა ინვესტს ომს ორ სახელმწიფოს და მის ირგვლივ მდებარე თემებს შორის ? თუმცა ამგვარი დავა უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. ქვეყნის შიგნით კონფლიქტის არსებობა, არ ნიშნავს რომ ის დაუყოვნებლივ მეზობელ ქვეყნებზე გავრცელდება, თუმცა მაინც იქმნება საშიშროება. სრული კვლევისათვის საჭირო იქნებოდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის სიღრმისეული მოკვლევა. ამიტომ არავის არ უნდა ჰქონდეს იმის ამბიცია, რომ კვლევის დროს ყველა კონფლიქტი მოიცვა. მესამე კრიტერიუმის თანახმად აუცილებელია, რომ დროთა განმავლობაში შეიარაღებული კონფლიქტის მაგალითები სიღრმისეულად იქნეს განხილული. მეოთხე კრიტერიუმი გულისხმობს იმას, რომ განმარტებები იყოს ზუსტი, მონაცემთა შეგროვება (ოპერაციონალიზაცია) განხორციელდეს დროსა და სივრცეში და (დასაწყისი, დასასრული) კონკრეტული კონფლიქტის სხვა კონფლიქტებისგან გამიჯვნა მოხდეს. საბოლოოდ, მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სხვა მკვლევარებისთვის.

მიჩიგანის და ჰამბურგის პროექტები

მიჩიგანის პროექტი ერთ-ერთ უძველეს პროექტად და ბევრი სხვა პროექტისთვის ორიენტირად ითვლება. ეს პროექტი ინიცირებული იყო 1960 იანი წლების შუა პერიოდში, დევიდ სინგერის და მელვინ სმოლის მიერ. ეს პროექტი ჯერ კიდევ წარმატებულად გამოიყენება. ის ინტერ-უნივერსალური თანამშრომლობის პროგრამად გარდაიქმნა და ფიზიკურად პენსილვანიის უნივერსიტეტში არსებობს. 2012 წლიდან, პროფესორი ზევ მაოზი, კალიფორნიის (დევისი) უნივერსიტეტის დირექტორია. 1816 წლიდან ის აგროვებს მონაცემებს ომთან დაკავშირებით და მისი ჩანაწერები მუდმივად ახლდება. ძირითადი მიმოხილვა 2000-იან წლებში განხორციელდა, რასაც უფრო მეტი ომები მოჰყვა (სარკესი და ვეიმანი 2010).

COW (კორელატების ომი პროექტი) არის საერთაშორისო სისტემის დეფინიცია, რომელიც სახელმწიფოებისაგან შედგება. ამგვარად, ომი არის კონფლიქტი სახელმწიფოებს შორის, სადაც მინიმუმ ორი წევრი საერთაშორისო სისტემის წევრია. გარდა ამისა, არსებობს დამატებითი სისტემური კონფლიქტები (დამატებითი-სახელმწიფო ომები) ერთი სისტემის მონაწილესა და სხვაგაერთიანებას შორის (როგორცაა კოლონიური და განმათავისუფლებელი ომები). ინოვაციურად COW მოიცავს ომების კატეგორიას არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. 1000 ბრძოლასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი ყველა კონფლიქტისთვის აუცილებელი მოთხოვნაა. COW ასევე მოიცავს მხარეთა მოტივებს ომში ჩასართავად, ეს იდეა გადმოღებული იქნა უფსალას პროგრამიდან. თუმცა ეს მხოლოდ შიდა ომების კატეგორიას ეხება. COW-მ გამოაქვეყნა ანგარიში ომების შესახებ 1816-2007 წლებში - 95 სახელმწიფოთაშორისი ომი, 163 დამატებითი სახელმწიფო ომი, 335 შიდასახელმწიფოებრივი ომი, 62 არასახელმწიფო ომი (სარკესი და ვეიმანი, 2010: 75-7, 193-7, 337-46485-7). მაშასადამე შეგვიძლია ვთქვათ რომ ამ პერიოდისთვის ომების საერთო რაოდენობაა 655, რაც იმას ნიშნავს, რომ მსოფლიოში ყოველწლიურად სამი სახის ომი იწყება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ომი ეს არის გავრცელებული და გლობალური ფენომენი.

ჰამბურგის პროექტის ინიციატორი იყო იმტვან კენდე ბუდაპეშტიდან. შემდგომში ამ ინიციატივის მოდიფიცირება და განვითარება მოხდა ჰამბურგის უნივერსიტეტში, კლაუზ განტბელის ძალისხმევით შედეგად. მისი შედეგები განსხვავებულია. პროექტის დეფინიცია არ მოითხოვს, რომ მხარე საერთაშორისო სისტემის წევრი იყოს იმ კონფლიქტში, რომელშიც ჩართულია. AKUF-ის (პროექტის გერმანული სახელწოდება) პროექტის კრიტერიუმია, რომ სახელმწიფო, როგორც ერთ-ერთი დაპირსპირებული მხარე, ჩართული იყოს კონფლიქტში. მხარეებს, მინიმალურ დონეზე, უნდა ჰქონდეთ მთავარი ბრძანების გაცემის და საბრძოლო მოქმედებებზე პრაქტიკული კონტროლის უფლება. ეს განაპირობებს იმას, რომ ბრძოლაში უწყვეტი ღონისძიება უნდა არსებობდეს. აქ არ არის მონაცემები გარდაცვლილთა გარკვეულ რაოდენობაზე, რაც მნიშვნელოვანი განხილვის საგანია მიჩიგანის პროექტში (უფსალას პროექტშიც). ჰამბურგის პროექტი, ფაქტობრივად, ამ კრიტერიუმს განიხილავს, როგორც საექვო ინდიკატორს, პრაქტიკული, თეორიული და ეთიკური მიზეზების გამო. სავარაუდოა, რომ გარდაცვლილების შესახებ ინფორმაცია არასაიმედოა, აზრი არ აქვს ამ სიაში მხოლოდ იმ ხალხის შეყვანას, ვინც ბრძოლის ველზე დაიღუპა და იმ ადამიანების არ ჩათვლას, ვინც ომის შედეგების შემდგომ დაზარალდა (განტბელი და მეიერ-სტამერი 1986: 4-5; 1996-52). ამის ნაცვლად, „ბრძოლის წყვეტობა“ არის გადამწყვეტი კონკრეტულ კონფლიქტში ჩასართავად. ამ კრიტერიუმს, რა თქმა უნდა, მივყავართ „უწყვეტობის“ შეფასების პრობლემასთან, საიმედოა ის თუ არა.

ეს კრიტერიუმები გულისხმობს იმას, რომ AKUF ბევრად უფრო მეტ შემთხვევებს მოიცავს, ვიდრე COW. პროექტი განიხილავს ყველა ომს 1945 წლის შემდეგ. 2010 წელს გამოიცა ანგარიში 238 ომზე, რომელიც მოხდა 2007 წლამდე. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველწლიურად 4 ახალი ომი ფიქსირდება. დეფინიციების შედარების მნიშვნელობას ადვილად დავინახავთ თუ ერთმანეთს სხვადასხვა წლების მონაცემებს შევადარებთ, სადაც პროექტები ნაწილობრივ დახურულია და სახელმწიფო მთავარი მხარეა. იგივე პერიოდისთვის COW იუნყება 38 სახელმწიფოთაშორისო ომის შესახებ, დამატებითი სახელმწიფო ომები -23 და 118 - შიდასახელმწიფოებრივი ომი, ჯამში 179 ომი გამოდის. ეს გულისხმობს იმას, რომ წელიწადში საშუალოდ სამი იწყება. ორი პროექტი აშკარად დაიხურა, მაგრამ AKUF მაინც აგრძელებს ანგარიშების გამოცემას. ეს იმას ნიშნავს, რომ პროექტები აღარ მოიცავს იგივე მსხვილ კონფლიქტებს, თუმცა მას ისეთივე ძლიერი გავლენა არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც რიცხვი შემზღუდულია. სავარაუდოა, რომ ბევრი შეიარაღებული კონფლიქტი 1000 ბრძოლასთან დაკავშირებული სფეროს ზღვარს ქვემოთ არის. როგორც მოსალოდნელი იყო, დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების რაოდენობა COW-ს მხრიდან არ იფარება.

ცალკეული რაოდენობის კონფლიქტების განხილვისას, COW აგროვებს ინფორმაციას სამხედრო სახელმწიფოთაშორის დავებზე, რომელიც ამ შედეგს გამოასწორებს. ეს კატეგორია, რომელსაც დიდი თეორიული მნიშვნელობა აქვს, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს მოიცავს. აქ შედის უფრო ვიწრო სპექტრი მოვლენებისა, როგორცაა სამხედრო ინტერვენცია, შემზღუდული ომები და ომის საფრთხე. COW - ს პროექტში არ არის ჩანაწერი სახელმწიფოებს შორის სამხედრო დავის შესახებ. ორივე პროექტში, შიდა და სამოქალაქო კონფლიქტებს ყველაზე დიდი აგილი ეთმობა ყველა სხვა მოვლენასთან შედარებით. რთულ ამოცანას წარმოადგენს დეფინიციის განსაზღვრა, რომელიც პარალელს ავლებს შიდა სახელმწიფოებრივ პირობებისა და მილიტარიზებულ სახელმწიფოთაშორის დავასთან. ამისათვის აურაცხელი რაოდენობის ეპიზოდის შესწავლა იქნებოდა საჭირო ვინაიდან, მათი გლობალური შედარება რთულ ამოცანას წარმოადგენს. რაც უფრო შემზღუდულია კონფლიქტური ეპიზოდების რაოდენობა, მით უფრო ძნელი ხდება მიუკერძოებელი ინფორმაციის მოპოვება. მაგალითად, ძალის გამოყენების მუქარამ საშინაო პოლიტიკაში, შეიძლება გამოიწვიოს შეიარაღებულ ძალებთან და პოლიციასთან დაპირისპირება. ასეთი საფრთხეები შესაზღოა წამოიშვას ოპოზიციური ჯგუფების მხრიდანაც, ნდობისა და წარმომადგენლობითობის ნაკლებობის ნიადაგზე. ამდენად, „ჩართულობა“ მოითხოვს დამატებით განმარტებას. თუმცა შეიძლება ვენდოთ მონაცემებს ადამიანის უფლებების დარღვევებთან ან რეპრესიის სხვა ნიშნებთან დაკავშირებით.

AKUF-ის და COW-ს პროექტები ძალისმიერი კონფლიქტის წყაროს გამომწვევი მიზეზების აღმოჩენაზე არიან ორიენტირებულნი. მიდგომებს შორის განსხვავებაა ნაწილობრივ თეორიული პრობლემების ასახვაში. COW ფოკუსირდება სახელმწიფოებს შორის კონფლიქტების გააზრებაზე, განსაკუთრებით კი ე.წ. რეალისტური მოსაზრებების შეცვლას ისახავს მიზნად. ეს იმას გულისხმობს, რომ ისეთი ფაქტორების გააზრება უნდა მოხდეს, როგორცაა: ძალაუფლების ბალანსი, სამხედრო შესაძლებლობები, ურთიერთდამოკიდებულება და ისეთი ფაქტორები, რომელიც საერთაშორისო სისტემის მუშაობას უწყობს ხელს. აქ არ არსებობს წინასწარი განზრახვით შეთანხმებული თეორიული პერსპექტივა, რომლითაც პროექტი ხელმძღვანელობს. ამის ნაცვლად ვხვდებით შეგნებულ მეთოდოლოგიურ მიდგომას. რეალურად, მონაცემები მიგვითითებენ მოცემულ სურათზე. ისინი აჩვენებენ, თუ როგორ მუშაობს სამყარო რეალურად: პროექტის დასახელებიდან გამომდინარე, თანაფარდობები მეტად მნიშვნელოვანია მნიშვნელოვანია. ეს არის ემპირიული

მიდგომა, სადაც თეორია უნდა განვითარდეს, რათა დამტკიცდეს ის, რაც განმეორდა და დადასტურდა. აქ საუბარია იმ მიმართულებებზე, რომლებითაც სახელმწიფოები მოქმედებენ. თეორიული ვარაუდები, რომლებიც რეალისტურ მოსაზრებებთან ახლოსაა, დაკვირვების ნიმუშების ქცევის წინააღმდეგ გამოიცდება. ამ მიდგომის უპირატესობა არის ის, რომ COW-ს პროექტის მონაცემების სხვა მიზნებისთვის გამოიყენება ხდება შესაძლებელი. მისი კონცეფცია და ოპერაციონალიზაცია არის მარტივი და ზუსტი, შემუშავებულია იმ მიზნით, რომ უახლოესი 200 წლის მსოფლიო მოვლენები ასახოს. COW-ს ინფორმაცია გამოყენებული იქნა სხვადასხვა გამოკვლევებისთვის. მაგალითად, არსებობს ასეთი კვლევა: არმიის რბოლებმა რამდენად შეიძლება გამოიწვიოს ომი (ეს შესაძლოა შესწავლილ იქნას შეიარაღებული დავების ომის მონაცემებთან შედარებით, მაიკელ ვოლენსის 1979 წლის და პოლ დიელის 1983 წლის ორიგინალური ნაშრომების საფუძველზე). მონაცემები ასევე გამოიყენება დემოკრატიულ ქვეყნებში მშვიდობის შესახებ ჰიპოთეზების ანალიზისთვის, რასაც დემოკრატიული მშვიდობიანი გადანაცვლებები მოჰყვება. დიდი რაოდენობით სტატიები ეძღვნება იმ თავსატეხებს, რომლის ადრეული ფაზები ნათლად იყო გადმოცემული ბრიუს რუსეტის ნაშრომში, 1993 წელს) (იხილეთ რუსეთი და ონილი 2001). ეს ნაშრომები ასევე გამოყენებული იქნა კონფლიქტისა და გლობალური ძალადობის შესაძლო შემცირების შესახებ დისკუსიებში (პინკერი 2011, გლედვიჩი 2013).

ჰამბურგის პროექტი საკმაოდ დიდ გადახვევას აკეთებს თანმიმდევრული თეორიული მიდგომისგან. ის უკავშირდება კაპიტალისტური საზოგადოების განვითარებას ომის დაწყების შემდეგ და ხედავს კონფლიქტს, როგორც წარმოების ახალ ფორმას, ეკონომიკის მონეტარიზაციისა და სოციალური ინტეგრაციის ტრადიციული ფორმების დაშლის შედეგს. მესამე მსოფლიოს ქვეყნების კონფლიქტების დიდი რაოდენობა შეესაბამება ამ ურთიერთობებს. როგორც პროექტი იუწყება, 1945 წლიდან კონფლიქტების ზრდადი სიხშირე ვლინდება, მკლევარებმა ასევე დაასკვნეს, რომ მსოფლიო საზოგადოებაში არსებული წინააღმდეგობები იზრდება. აქ ავტორები აღნიშნავენ, რომ ეთნიკური კონფლიქტი, როგორც ფენომენი, იმ პროცესების შედეგია, რომელშიც ყველა სოციალური მექანიზმი, სადაც ჩვენ ადრე ერთად ცხოვრება მოგვიწია, დანგრეულია. (ჯანგი 1996: 52-61). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონფლიქტის მოგვარების გზები ქრება და ეს ხელს უწყობს შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობის ზრდას. ასეთ სოციალურ გარღვევასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში მნიშვნელოვანი ყურადღება მიიპყრო ტერმინმა სახელმწიფო მარცხი, როგორც ძირეულმა კონცეფციამ (ზარტმანი 1995, ამ საკითხზე უფრო დანვრეილები იხილეთ ქვემოთ სექციაში 6.5).

ეს პერსპექტივა აჩვენებს განსხვავებას ორ პროექტს შორის. ომის კორელატების პროექტი იმ სისტემას ემიჯნება, რომელიც დამოუკიდებელი სახელმწიფოებისგან შედგება. ეს არის სისტემა, რომელსაც ცენტრალური ინსტიტუტები არ გააჩნია და მხარეთა გადანაცვლებების მხარდაჭერის ან ამოქმედების საშუალება არ აქვს. ასე რომ, ეს არის არაკოორდინირებული სამყაროს სურათი, რომელიც ერთგვარი ათვლის სათავეა. ამ მსოფლიოში ქვეყნების ქმედებები გარკვეულწილად პროგნოზირებადი ხდება. როდესაც ომი იწყება, ამის მიზეზი არ არის საერთაშორისო საზოგადოების რღვევის მიზეზი, ვინაიდან ვარაუდი ასეთი საზოგადოების არსებობის შესახებ არც არსებობს. პრობლემა სხვადასხვა ქვეყნებში გამოყენებული გადარჩენის სტრატეგიაშია. ომი არის ცუდი არჩევანის შედეგი, მაგრამ ასევე იმ პირობების, რომლებიც ხელს უშლიან სახელმწიფოებს, თავიანთ ხედვებს მისდიონ. იმ ნაშრომებში, რომლებიც ამ პროექტებით არის შთაგონებული, ნორმების მნიშვნელობას მივყავართ დასკვნამდე, რომ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ყველაფრის მიუხედავად

სისტემაში კვლავაც არსებობს მშვიდობა (ვასკესი 2012). შედეგებმა შეიძლება ორგანიზებული საერთაშორისო წესრიგის შემუშავების აუცილებლობა გამოიწვიოს.

გვიან ნაშრომებში, კობერი აანალიზირებდა 1965 წლის ვატსის არეულობებს (ლოს-ანჯელესი, კალიფორნია), ემპირიულად აჩვენებდა თუ რას ნიშნავდა მისი მიდგომა. მან თქვა, რომ რაც ვატსში მოხდა “იყო აქტიური უმცირესობების ძალისხმევა... გამოეხატათ თავიანთი უარი, შეგუებოდნენ უპატიცემულობას და უკან შებრძოლების გარეშე იმედგაცრუებას”. კერძოდ, თავიანთ სასოწარკვეთილებას ისინი წარმოადგენდნენ ძალადობრივი ქმედებების საშუალებით, რადგანაც მათ არ ჰქონდათ წვდომა ღია კომუნიკაციის არცერთ სხვა არხთან (1967: 103). ამგვარად, კობერი ამტკიცებს, რომ კონფლიქტები და ძალადობრივი ქმედებები წარმოიშვა საზოგადოებაში მიღებულიდან, ღირსების, პოლიტიკური ხელმისაწვდომობისა და ძალაუფლებითი საკითხებიდან. კერძოდ, მათ გაანადგურეს თავიანთი ეთნიკური საზოგადოების წევრები. კერძოდ, ამბოხებულებმა დაარტყეს მათ, ვისაც თავიანთი ეთნიკური საზოგადოების წევრებს შეუფერებლად ექცეოდა. კობერი მიუთითებს საშუალებაზე: პოლიტიკური სისტემის ხელმისაწვდომობა. ის წერს, რომ მხოლოდ იქ, სადაც პოლიტიკური კომუნიკაციის ღია არხები არსებობს, რომელთა მეშვეობითაც ყველა ჯგუფს შეუძლია გაახმოვანოს თავისი მოთხოვნა, შანსები მაღალია, რომ პოლიტიკური ძალადობის განხორციელება, მინიმუმამდე წარმატებითაა დაყვანილი ” (1967:106). ეს ნიშნავს იმას, რომ ძალადობრივი კონფლიქტი შესაძლოა დასრულდეს საჭირო ხელმისაწვდომობის დაკმაყოფილების გზით.

კონფლიქტების მოგვარების მიდგომები

გარდა ამისა, ეს უნდა შენარჩუნდეს დროთა განმავლობაში. გამოსავალი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სავარაუდოდ შეიძლება აღმოჩნდეს ახალი ინსტიტუტების მშენებლობაში, იქნება ეს ფორმალური თუ არაფორმალური.

ედვარდ აბრმა, თავის ნაშრომში „გაჭიანურებული სოციალური“ კონფლიქტი 20 წლის შემდეგ, ახსნა კონფლიქტის ხანგრძლივობისა და კონფლიქტის მოგვარებაში განმეორებითი მარცხის იდეა. მაგალითად, ის შემფოთებული იყო, ლიბიაში სამოქალაქო ომით, რომელიც მისი ნაშრომის წერის პროცესში ათწლეულზე მეტ ხანს მძვინვარებდა. ეს და სხვა გაჭიანურებული კონფლიქტები, რომლებსაც ისეთ საჭიროებებთან ჰქონდათ შეხება, როგორცაა უსაფრთხოება, აღიარება და მონაწილეობა, არის ის ფაქტორები, რომლებიც

იდენტურია იმათთან, რომლებსაც კობერი გამოყოფს (აზარი და ბრეტონი 1985: 29). კობერისა და აზარის მიერ შეტანილ წვლილს მივყავართ კონფლიქტების გადანაცვლების განსხვავებულ მიდგომებამდე. თუ კონფლიქტის საფუძველს კონკრეტული საჭიროებების უარყოფა წარმოადგენს, მაშინ მოგვარების პროცესმა უნდა განსაზღვროს ის საჭიროებები და თავის თავში უნდა მოიცავდეს მათზე საპასუხო გზებს. მოლაპარაკებებს აქვს ელიტისთვის უპირატესობის მინიჭების ტენდენცია და თუ შეთანხმებები “კონფლიქტში (შეთანხმებები) არსებულ ძირითად საკითხებს არ ეხება, ის არ გრძელდება. ამის ნაცვლად, აზარი აღმოაჩენს, რომ კონფლიქტის მოგვარება მოითხოვს დეცენტრალიზებულ სტრუქტურებს და იმ გზებს, რომლებშიც ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და ურთიერთობების საჭიროებები შეიძლება დაკმაყოფილდეს (აზარი და ბრეტონი 1986: 30-9). ამგავრი შეხედულებები მატერიალური თეორიული ტრადიციის ნაწილია და კლასის ანალიზის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. თუმცა, მარქსისტული თეორიის მიმდევრები იშვიათად მიდიან კონფლიქტის მოგვარების გააზრებამდე. პირიქით, მარქსისტული აზროვნება ეფუძნება გაჭიანურებული კონფლიქტის იდეას, რომელიც მხოლოდ დესპოტური სისტემის მარცხით სრულდება - ამავე დროს, კაპიტალიზმში. მოლაპარაკებები და კომპრომისი არ წარმოადგენდა პოლიტიკური ფორმულის, ან აკადემიური მოკვლევის ნაწილს. მხოლოდ რეფორმატორულ, სოციალ-დემოკრატიულ ვერსიაში, როგორც ჩვენ ახლახან დავინახეთ, კონფლიქტი იყო კაპიტალიზმის მმართველობას დაქვემდებარებული.

კონფლიქტის წარმოშობის იდეის სხვა საფუძველი იმედგაცრუებიდან ანალიზური რევოლუციის მიდგომამდე მიდის, რაც დაუკმაყოფილებელი საჭიროებებითაა გამონვეული. დანაკარგის თეორიები საფუძვლიანი განხილვის საგანი გახდა რამდენიმე ნაშრომში და იყო წარდგენილი ემპირიული ტესტებისთვის (დევისი 1971; გური 1970). შედეგები შერეულია. მის მიერ შემუშავებული “შედარებითი დანაკარგის” მიმართვაში, ტედ რ. გური პოულობს მხარდაჭერას“”, როგორც სისტემატურ გზას კონფლიქტებისთვის, რომ გახდეს ძალადობრივი.


ეთნიკურ ჯგუფებზე გვიან ნაშრომებში, გური აღწერს ფაქტორებს, რომლებიც ასოცირებული იყო ძალადობრივ კონფლიქტებში გადაზრდის ესკალაციასთან, განსაკუთრებით კი, კონკრეტული ჯგუფებისთვის, ავტონომიის ჩამორთმევით გამონვეულ ნეგატიურ ეფექტთანს. ეს ხშირად ხდებოდა ჯგუფებისთვის ამბოხის გამომწვევი მნიშვნელოვანი მიზეზით (გური 1993). ეს დაკვირვება უკავშირდება კობერის გამოხატულებას ღირსებისა და პოლიტიკური ხელმისაწვდომობის შესახებ. მსგავსი გავლენის არსების ჩამოშორებას შესაძლოა ძალადობა გამოეწვიოს. ამგვარად, ასეთი კავშირების შექმნა მნიშვნელოვანია ძალადობის შეწყვეტისა და შეუიარაღებელი კონფლიქტის პოლიტიკური პროცესის კონსტრუქციულ ნაწილად გარდაქმნისათვის.

ეს თეორეტიკოსები მიმართავენ ისეთ კონცეფციას, როგორცაა იმედგაცრუება და ჩამორთმევა. ის, რასაც ისინი უზრუნველყოფენ, სოციალური იმედგაცრუების ანალიზია. ძირითადი საჭიროებები არ არის დაკმაყოფილებული კონკრეტულ საზოგადოებაში, ამის ნაცვლად ისინი მიუწვდომელია ამ ჯგუფისათვის, რომელიც შედეგად იმედგაცრუებულია. ეს იმედგაცრუება იწვევს კონფლიქტის ინიცირებას ან ასაზრდოებს მას. ეს ახლოა იმედგაცრუების კლასიკურ სწავლებებთან, როგორც აგრესიის შედეგი და აგრესიაც მომდინარეობს იმედგაცრუებიდან (დოლარდი 1939), რამაც მნიშვნელოვანი დებატები და ხელახლა განხილვა გამოიწვია. მაგალითად, შეკითხვა, არის თუ არა აგრესია ერთადერთი პირდაპირი გზა იმედგაცრუებისაკენ და არსებობს თუ არა ახსნის სხვა შესაძლებლობა იმედგაცრუებასა და კონფლიქტის მოქმედებასთან დაკავშირებით (გრანი და ბიორკვეისტი. 1997: 26-32).

თანმიმდევრობა ასახულია ჯეიმს ს. დევისის გამოსახულებაში რევოლუციაზე, როგორც ეს ნაჩვენებია სურათზე 3.2. ის ხაზგასმით გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიქმნება სიცარიელე, როცა განსხვავება მოლოდინსა და იმედგაცრუებას შორის ნათელი ხდება. როგორც გამოსახულება გვიჩვენებს, მოლოდინი ყოველთვის აჭარბებს მიღწეულს. მაშასადამე, მთავარი განსხვავება მართვადია. მიღწევები გამოსახულია, როგორც უფრო დაბალი ხაზი. თუმცა, როცა განსხვავება ხდება უფრო დიდი, შესაძლებელია ეს მიუღებელი გახდეს. გამოსახულებაში, ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, თუ ეკონომიკა მდგრადი განვითარების პერიოდის შემდეგ შეწყვეტს ზრდას. რეალური მიღწევები ხდება მნიშვნელოვნად დაბალი, ვიდრე მოსალოდნელი იყო და ამგვარად, უკმაყოფილება იმატებს. ამდენად, მას დასაბუთებულად, მიჰყავს მზარდი მოლოდინები რევოლუციისაკენ. საინტერესოა, დავისი მის კვლევაში აღმოაჩენს, რომ ეს მოდელი ერგება სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური წარმოდგენის რევოლუციას. თუმცა, ეს არ აგვარებს პრობლემას. მაგალითად, საკითხი იმაში მდგომარეობს, აქვს თუ არა ერთნაირი გამოცდილება მთელ რიგ ქვეყნებს, მაგრამ რევოლუციის გარეშე. იმედგაცრუება, როგორც აღწერს დევისი, შესაძლოა თეორიულად საინტერესო იყოს, მაგრამ შეიძლება მისი ემპირიული შეჩერება? გურის მიერ ინიცირებულ კვლევას (1970) არ ჰქონდა შედეგი მყარ ურთიერთობებში, მაგრამ მისი ნაშრომი ფოკუსირებულია იმაზე, რასაც ჩვენ შეგვიძლია ვუნოდოთ პოლიტიკური იმედგაცრუება (1993), დამაინტრეგებელ ურთიერთობებს გვთავაზობს. სამოდელო გამოსახულება 3.2 შემოიფარგლება შიდა-სახელმწიფოებრივი სიტუაციებით. რევოლუციები მიმართულია იმავე საზოგადოებიდან წამოსული ლიდერებისაკენ. როგორ შეიძლება იმედგაცრუება საერთაშორისო კონფლიქტის შედეგად მივიღოთ? ჯონ ვ. ბარტონი, რომელიც კონფლიქტების მოგვარების შესახებ ვრცლად წერდა, ვარაუდობს, რომ არსებობს “გადაჭარბების” ეფექტი. ის ამბობს, რომ კონფლიქტები, განსაკუთრებით საერთაშორისო დონეზე, არის ზოგიერთი შიდა ინსტიტუციონალური ან პერსონალური პრობლემებით გაჟღენთილი. ესენი არის გზები, რომელთა მეშვეობითაც ლიდერებს “გადააქვთ ყურადღება” (ბარტონი 1996: 41). ამგვარად, შიდა კონფლიქტი შესაძლოა გამოწვეული იყოს ჯგუფის რეაქციით დისკრიმინაციის მიმართ, და მიღებული არეულობები მთავრობის მიერ მიმართულ ეჭვიანობაშია საერთაშორისო კონფლიქტებამდე. ეს პოპულარული თეორიაა.

გამოსახულება 3.2

საჭიროებების და რევოლუციის დაკმაყოფილება (დევისი 1971)



თუმცა, თეორიულად, აქ არის რიგი სხვა გზებისა, რომელთა მეშვეობითაც იმედგაცრეება შეიძლება შეიცვალოს ან შემოიფარგლოს, მაგალითად, რომაული სლოგანით “პური და ცირკი”, რომელიც აღნიშნავდა, ძირითადი ეკონომიკური საჭიროებების არსებობას და ეფექტური შოუს მოწყობას უფრო მოსახლეობის, ვიდრე პოლიტიკის, დასაინტერესებლად. დღეს, ეს შესაძლოა შეინიშნებოდეს საკვები პროდუქტების ფასების სუბსიდირების ფორმითა და ოლიმპიური თამაშებით. ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ ლიდერები რეალურად შეეცდებიან გადაჭრან უკმაყოფილების პრობლემა. როგორც ჰელდტი აღნიშნავს, საერთაშორისო პრობლემის დამატება საშინაოზე საფრთხეს ზრდის იმისთვის, რომ ლიდერის პოზიცია უფრო მეტად საეჭვო გახდეს. ამგვარად, დივერსიის ჰიპოთეზა საჭიროებს განსაზღვრებას, თუ როგორ შეიძლება გარკვეული სახის იმედგაცრეებამ გამოიწვიოს თავდასხმა სხვა ჯგუფზე, ან თუნდაც სხვა სახელმწიფოზე. ემპირიულად, სისტემატური გადაჭარბების მტკიცებულება არ არის მყარი (ჰელდტი 1996). თუმცა ის კვლავ მიმზიდველი იდეაა და, შესაბამისად, გავლენას ახდენს კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებზე. როგორც დავინახეთ კონფლიქტის დინამიკის პერსპექტივაში, კონფლიქტის დასასრული არ არის აუცილებელი მიდგომა; კონფლიქტები გარდაიქმნება, არ აღმოიფხვრება. ანალოგიურად, ჩვენ შეიძლება ვიკითხოთ, არის შესაძლებელი, რომ დააკმაყოფილოს ყველა საჭიროება, რომელიც ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებს შეიძლება ჰქონდეთ? თუ არა, მაშინ კონფლიქტის მოგვარება გახდება, მაგრამ არსებობს თუ არა გარკვეული საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება შესაძლებელია, და თუ ასეა, ეს არის ის, ვინც მნიშვნელოვანია გაუმკლავდეს ძალადობრივი კონფლიქტის შემცირებას მსოფლიოში? მკვლევარები ამ მიდგომის გამოყენებით კვლავ პასუხობენ ამ კითხვებზე პასუხებს. თუ არა, მაშინ კონფლიქტის

მოგვარება ხდება კონფლიქტის მართვის გზა, მათი შესაძლო დაკავშირებით, მაგრამ არა დამთავრებით.

ალტერნატიულად, ჩვენ შეგვიძლია ვიკითხოთ არის თუ არა გარკვეული საჭიროებები, რომელსაც შევეჭახებით და, თუ კი, არის თუ არა ეს ისინი, რომლებიც მნიშვნელოვანია მსოფლიოში ძალადობრივი კონფლიქტების რაოდენობის შესამცირებლად? მკვლევარები ამ მიდგომის გამოყენებით კვლავ პასუხობენ ამ კითხვებზე პასუხს.

კონფლიქტების მოგვარების განსხვავებული მეთოდები არსებობს, რომლებიც ამისგან მომდინარეობს, არ აქვს მნიშვნელობა კონფლიქტის წარმოშობის წყაროებს. ერთ-ერთი პრობლემის გადაჭრის სემინარია, რომელიც ბურტონის მონაცემებით, 1960-იანი წლების შუაში კონფრონტაციულ კრიზისთან პირველად იქნა გამოყენებული და აერთიანებდა წარმომადგენლებს ინდონეზიიდან, მალაიზიიდან და სინგაპურიდან (აზარ და ბარტონი 1986: 46-7; ბარტონი 1987). სამმა მთავრობამ ლონდონში სემინარის მონაწილეები დაასახელა. შეხვედრა ათი დღის განმავლობაში გაგრძელდა და მას სწავლულთა ჯგუფი აკონტროლებდა. ამასთან ერთად, დაიწყო სემინარების ტრადიცია. არსებობს სხვადასხვა მიდგომების ფართო სპექტრი (*ბრომი* 1997; *დოობი* 1970; ფიშერი 1983; კელმან და კოენი 1976; მიტჩელი და ბანკები 1996) და მათი მნიშვნელობის შეფასება (ფიშერი 1997). ისინი ამტკიცებდნენ, რომ ისინი ხელს უწყობდნენ ცვლილებებს პოლიტიკურ კულტურაში დაპირისპირებულ მხარეებს შორის. შეფასების ეფექტი რთულია, რადგან ზეგავლენა შეიძლება სხვა ძალებით გადაიწონოს და ამგვარად, შემუშავდეს შეფასების სპეციალური მეთოდები (კელმანი 2008).

სემინარის თავდაპირველი მიზანი იყო მხარეთა მიერ დადგენილ პოზიციებზე მალლა დადგომა და ძირითადი საჭიროებების მიღწევა (რუანა 1995). თეორიულად, ასეთი ანალიზი არ უნდა გულისხმობდეს, რომ ყველა მხარე ერთნაირადაა პასუხისმგებელი კონფლიქტზე.

პრაქტიკულად, სემინარები მოიცავდა მოწინააღმდეგე მხარეებს, მათთვის ერთმანეთის საჭიროებების უკეთ გაგების მიზნით. ამგვარად, მიდგომა გახდა საკმაოდ სიმეტრიული (რუანა 1995). თუ ერთი მხარე განისაზღვრა როგორც მეტად აგრესიული, როგორც კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ანალიზით შესაძლებელია ვივარაუდოთ, სემინარები ნამდვილად იქნებოდა დაგეგმილი მხოლოდ ერთ მხარესთან სამუშაოდ. თუმცა, სემინარებს, პრობლემების გადაჭრის საკითხებზე არ ძალუძთ, დამოუკიდებლად, მივიდნენ გადაწყვეტილებადმე. მეტად სავარაუდოა, რომ ისინი შეადგენენ დღის წესრიგს და ამგვარად, აცნობებენ მხარეებს მეორე მხარის საჭიროებების შესახებ. ისინი შეძლებენ ერთმანეთის უპირატესობების უფრო სრულად გაგებას. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია საჭიროებები არ დაკმყოფილდეს საზოგადოებაში, რესურსების სიმცირისა და ან მწირი რესურსების მართვის შესაძლებლობების არ არსებობით. ამგვარად, სამართლიანი ეკონომიკური პოლიტიკა ცენტრალურ ხასიათს ატარებს, მომავალი კონფლიქტების თავიდან აცილებასა და ასევე საზოგადოებაში მწვავე კრიზისების რეგულირების შესაძლებლობის კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარტივადაა ნათქვამი, აქ შეიძლება მოულოდნელ ეფექტებსაც ველოდოთ.

ეს შესაძლებელია იყოს, მაგალითად, მეორე მხარესთან სერიოზული კონფლიქტის შედეგი, რომელსაც ეშინია თავისი პოზიციების დაკარგვის. ერთი მხარის იმედგაცრუებებზე გადაწყვეტილებამ შეიძლება მიგვიყვანოს სხვათა იმედგაცრუებამდე. არსებობს ასევე, არგუმენტები ეკონომიკური თანასწორობის წინააღმდეგ. როგორც ამბობენ უთანხმოებები ითვლება შესაძლებლობად, რომლითაც ეკონომიკა ვითარდება. გარკვეული განსხვავებები შემოსავალსა და სიმდიდრეს შორის მნიშვნელოვანია, რადგან ისინი დაუღალავად

მუშაობის სტიმულს იძლევიან (ოლსონი 1971). თუმცა იმავე ლოგიკით, ძალიან დიდ და მზარდ განსხვავებებს შეუძლიათ რევოლუციური პოტენციალის შექმნა და რა თქმა უნდა, ეს არის მარქსისტული ანალიზის საწყისი წერტილი. ეს ასახულია ზემოთ გამოსახულებაში 3.2. მიზანშეწონილია ვივარაუდოთ, რომ საზოგადოება, თავისთავად შეინარჩუნებს, ეკონომიკური რესურსების განაწილების საჭიროებას, ყველა მოქალაქისადმი შედარებით სამართლიანი მიდგომით. ეს შესაძლებელია თანაბრად წარმოადგენდეს სიმართლეს, იმის მიუხედავად ეკონომიკა მთლიანობაში იზრდება თუ მციდრება. ეს, მაშინ, შეეხება კონფლიქტს საზოგადოების შიგნით. **ეს ასევე აღიქმება თუ არა საერთაშორისო საზოგადოებაში**, სადაც რამდენიმე ქვეყანა ძალიან მდიდარია და რამდენიმე უკიდურესად ღარიბი? რა თქმა უნდა, არსებობს უკმაყოფილება და ტერორიზმის ფორმები ამ ფაქტზე. კამათის ლოგიკა სახელმწიფოთა საზღვარზე არ შეჩერებულა. ეს არ მოითხოვს გადაჭარბებულ არგუმენტებს, რადგან იმედაგაცრეუბა ჩნდება ერთხელ, როცა განსხვავება და უსამართლობა ნათელია. დღევანდელ მსოფლიოში ისინი ამკარაა. მაგრამ, სკეპტიკოსებმა შეიძლება იკითხონ, არის ეს პრობლემა გადანაცვლებითი სემინარის მეშვეობით? ამასთან, არის გლობალური პოლიტიკა სამართლიანი ეკონომიკისთვის? მსგავსი მოსაზრებები კოზერის იდეას ღია კავშირებისთვის საინტერესოს ხდის. ყველაზე მნიშვნელოვანია წვდომის შესაძლებლობა, რაც პოზიტიური ცვლილების იმედს იძლევა. ეს არგუმენტები დემოკრატიზაციის სასარგებლოდ მეტყველებს, მაგრამ ასევე, დემოკრატიისთვის, რათა ეფექტურები იყვნენ სასურველი ცვლილების მიღწევაში. იმავე ლოგიკას მიჰყვება გურის დასკვნა ავტონომიის შესახებ. დემოკრატიული სისტემა შესაძლებელს გახდის საჩივრები მოსმენილ იქნას. ეს სისტემა ყველა ჯგუფს უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევს, ვიდრე რომელიმე სხვა სისტემა. ასევე, სწორი იქნება მთლიანად საერთაშორისო სისტემისთვის, თუ შეუქცევადი მოთხოვნების დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდება ლეგიტიმური პროცედურების საშუალებით. ეს მოითხოვს რადიკალურ ცვლილებებს მსოფლიოში, კონფლიქტების გადანაცვლების, მოგვარების, განვითარებისა და ღირსეული არსებობისათვის. . საბოლოო შედეგი : აგრესიას ჰყავს მსხვერპლი და დამნაშავე.

როდესაც საჭიროებებს და უკმაყოფილებას მხარეები ხედავენ, როგორც ეთნიკურ, ენობრივ, რელიგიურ, კულტურულ და ისტორიულ თანხვედრას, და ასევე ამ ყველაფერს ემატება სხვა ელემენტები, იქმნება უფრო სახიფათო მდგომარეობა. ს მასობრივ არეულობაში, არა მხოლოდ ცალკეული ლიდერები გრძნობენ მრისხანების პირდაპირ გავლენას, არამედ ისინიც, რომლებიც ახლოს არიან მასასთან, მაღაზიის მფლობელებთან, სუსტებთან და ღარიბებთან, ქალებთან და ბავშვებთან. ისინი ეჭახებიან ისეთ დესტრუქციულ ქმედებებს, როგორც ადგილი ჰქონდა ვატსში და განმეორდა სხვა ადგილას, მაგალითად ინდონეზიაში 1998 წელს (ჩინეთის მოსახლეობის საკუთრებისთვის განკუთვნილი, და ასევე სუჰარტოს ოჯახისათვის) ან საფრანგეთში 2005 წლის შემოდგომაზე (იმიგრატნებით დასახლებულ ტერიტორიაზე). კონფლიქტის დინამიურობა შესაძლებელია მიზნობრივ ჯგუფებში აისახოს. მაგალითებს წარმოადგენს კოსოვო 1999 წელს (პირველი მიზნობრივი ჯგუფები: ალბანელები, შემდეგ სერბები და ბოშები). აღმოსავლეთ ტიმორში 1999 წელს (პირველად პრო-დამოუკიდებელი ჯგუფები, მოგვიანებით შიშით ტოვებენ პრო-ინდონეზიური ჯგუფები) და ერაყი 2003 წლიდან (პირველი ამერიკული ნაწილი, შემდეგ დასავლელები, ერაყის პოლიციის თანამშრომლები, მოგვიანებით შიიტები, შემდეგ სუნიტები და მეჩეთები შიიტების თუ სუნიტების და ყველაზე გვიან კი - ქრისტიანები). აგრესიული ჯგუფები, დამნაშავეები, რომელთაც სჭირდებათ უფრო ღრმა ანალიზი და არა საზოგადოებრივი ურთიერთობები. ერთი შეიძლება ითქვას: რატომ ფიქრობს ეს ჯგუფი, რომ სხვა ჯგუფის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული მათ ყოფას გააუმჯობესებს? არსებობდა თუ არა ალტერნატიური მოსაზრებები? არსებობდნენ

თუ არა გარეშე წამქეზებლები, რომლებიც ახორციელებდნენ ამ ქმედებებს? რეალურად ვინ მონაწილეობდა ასეთ ქმედებებში? არსებობს უამრავი ლეგიტიმური შეკითხვა, რომელიც დაისმის ამ პოპულარული ენერჯის მობილიზაციის ფორმის შესახებ და რატომ მიიღო მან კონკრეტული მიმართულება? შემდგომში, ასეთ შეკითხვებს მივყავართ იდეებისკენ არააგრესიული რეაქციების შესაძლებლობების შესახებ დაგროვილი ენერჯიების უფრო მეტად კონსტრუქციული გამოყენების მიზნით. ყველაზე რევოლუციურ სიტუაციებში, არსებობენ ჯგუფები, რომლებიც იზიარებენ ბოევიკების განწყობას, მაგრამ მეტი ეფექტურობისათვის პოულობენ განსხვავებულ სამოქმედო კურსს. შიდა დებატები, მოქმედებათა შესაბამის კურსთან მიმართებაში, მნიშვნელოვანია. გარესამყაროს შეუძლია გავლენა იქონიოს ამ დებატებზე იმ გზების საშუალებით, რომლებიც კონფლიქტის მოგვარების მხარეს არიან.

საჭიროებისამებრ, რთულია მოხდეს ინდივიდუალური მხარის საჭიროების გათვალისწინება, ვინაიდან ის არის კონფლიქტის პირველი წყარო და ასევე ამ კონფლიქტის მოგვარების მთავარი გასაღები. ანალიზის მიზნია შეუსრულებელი საჭიროებების პოზიციონირება. შემდგომში შეიძლება გახდეს მეტად მნიშვნელოვანი, რომ იმუშაო ერთ კონკრეტულ მხარესთან ვიდრე სხვასთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მხარეებიც არიან წარმოდგენილი. ასიმეტრიულ სიტუაციაში, ეს არის დომინანტი ჯგუფისათვის დომინირებულის პერსპექტივის გადაცემის საკითხი, თუმცა ასევე აიხსნება შეზღუდვებით, რომლებზეც გავლენას ახდენს დომინირებული მხარე. კონფლიქტის დინამიურობის მიდგომა, ეს არის მთავარი, რომელსაც მხარე ეხება მარტივ, სიმეტრიულ განლაგებაში, როგორც ჩვენ ყველას გვაქვს პასუხისმგებლობა კონფლიქტის წინაშე და, ამგვარად, კონფლიქტის მოგვარების საქმეში. ორი პერსპექტივა განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ, ისინი არ გამორიცხავენ ერთმანეთს. შევხედოთ, ასევე შეესაბამება თუ არა ეს კონფლიქტის მოგვარების მესამე პერსპექტივას.

3.4 რაციონალურ გათვლებზე ყურადღების გამახვილება

პერსპექტივები, რომლებიც ჩვენ წარმოვადგინეთ აქამდე, უყურებს მხარეებს; შეუსაბამობები და ქმედებები წარმოიშვება გარემოებებიდან, რომლებშიც მხარეები თავად აღმოჩნდებიან. მხარეებმა ინდივიდუალურად ან ერთად უნდა განხილონ პირობები, რომლებიც მათ ამოძრავებთ. მესამე პერსპექტივა ვარაუდობს, რომ მხარეებს გააჩნიათ საკუთარი რაციონალურობა, იღებენ გადაწყვეტილებებს, **განახორციელებენ** სტრატეგიებს და ამით მოვლენების ჯაჭვის ინიცირებას ახდენენ, რომელიც გამოიწვევს ომს. ცვლილება, როგორცაა ომის დამთავრება და მიღწეული შეთანხმებები, უნდა დავინახოთ იმავე თვალთ. მოქმედი პირებისათვის არსებობს საჭიროება იმისა, რომ მოხდეს კონფლიქტების შესაჩერებლად გაანგარიშება, მაგრამ ამავე დროს, ომის დამთავრება არ წარმოადგენს მხარეების ერთადერთ ინტერესს. ამის კარგი მაგალითი ი. უილიამ ბარტმანის მრავალ პუბლიკაციაშია მოყვანილი, თუმცა ბევრი მუშაობდა მსგავსი მიმართულებით (ფიშერი და ური 1981, სტემენი 1991). რაციონალური გაანგარიშებით დაწყებული იდეა, რა თქმა უნდა, არ არის ნოველა.

ეს არის დადგენილი რეალისტური და ნეორეალისტური აზროვნების ნაწილი, ომის წარმოშობის შესახებ. ეს გვაჩვენებს, რომ დავინახოთ ომის დასასრული სხვა ვადებში. პოლ პილარიმ ნოვატორული სამუშაო ჩაატარა (1983). ბარტმანის იდეებმა მიდგომა უფრო შორს წაიყვანა კონკრეტული მიმართულების მიცემის გარეშე, ფორმალური მოდელებისა და ილუსტრირებული დიაგრამების უგულებელყოფით. ბარტმანმა ასეთი იდეები ცივი ომის დასასრულამდე გამოყო, და მათდამი ერთგულება შეინარჩუნა (ბარტმანი 1989, 1955a;

ზარტმანი და ბერმანი 1982; ზარტმანი და რასმუსნი 1997; ზარტმანი და დე სოტო 2010). დათანხმებით (Getting to Yes) (ფიშერი და ური 1981) შემოთავაზებული ლიტერატურა ნაკლებად გამოხატავს რაიმე ტიპის გაანგარიშებას, მაგრამ მაინც იყენებს რაციონალისტურ პერსპექტივას. მიზანი ისაა, რომ გავიგოთ მხარეების რეალური ინტერესები და, შესაბამისად, თუ როგორ გამოიყურება მათ მიერ დაფიქსირებული პოზიციები ამის მიღმა. როჯერ ფიშერმა და უილიამ ურიმ წარმოადგინეს მოსაზრებათა პაკეტი, რომლებიც პირველ რიგში, ძირითადად მოლაპარაკებების წარმოებას ეძღვნებოდა, თუმცა ავტორები ამკარად ფიქრობდნენ შეიარაღებული კონფლიქტისა და ომისთვის მათ სარგებლიანობაზე.

გვიან ნაშრომებში, ჩარლზ კეგლიმ და გრეგორი ა. რაიმონმა განაცხადეს, რომ ასეთი გათვლები უნდა შეიცავდეს მორალურ არგუმენტებს, ომის დასასრულებლად, სამართლიანობის საფუძველის უზრუნველყოფისა და გრძელვადიან პერსპექტივაში საკითხის მონესრიგების შანსების გაზრდის მიზნით (კეგლი და რაიმონდ 1999). რაციონალური მიდგომა, რომელიც ფოკუსირებულია ომის დამთავრებაზე, ნაყოფიერი და პოლიტიკურად რელევანტური ჩანს. მთავარი მტკიცებები საჭიროებს უფრო დეტალურ **ინსტრუქციებს**. სავარაუდოა, რომ მხარეები, როგორც შეიძლება იყოს სახელმწიფო, ჯგუფები ან მოძრაობები, მოახდენენ ომის ინიცირებას, მათზე გასამარჯვებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მხარეები, ან თუნდაც ინიციატორი, გააკეთებენ შიდა გათვლებს, რაც გვიჩვენებს, რომ სარგებელი აღემატება დანაკარგებს, კონფლიქტის ესკალაციის ძალადობრივ კონფრონტაციაში გადაზრდით. ასეთი გათვლები შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს დაპირისპერებული მხარეებისათვის, მაგრამ, პრინციპში, ცვლადებია და მათი ღირებულებები ერთნაირია. ერთი მხარე ძალადობის დაწყების გაანგარიშებას ახდენს, მეორე კი თავდასხმისგან იცავს თავს. რაც დრო გადის და არავინ იმარჯვებს, პირველადი გათვლები ზარალდება და უნდა გადაიხედოს. გამარჯვებიდან მიღებული პოტენციური სარგებელი მცირდება, რადგან ხარჯები იზრდება. ის ფაქტი, რომ ამდენი დრო, ენერჯია, რესურსები და ადამიანური რესურსი იყო ინვესტირებული - განადგურდა - და ართულებს მის გაგრძელებას, გამარჯვების მიღწევის საბოლოო მომენტამდე. სხვა შემთხვევაში ინვესტიციები დაიკარგება და აზრს დაკარგავს. ზარტმანის ანალიზში, მხარეები მომავლისაკენ იყურებიან. ეს არ შეიცავს ადრეული გამარჯვების გონივრულ შანსს, მაგრამ სანაცვლოდ გვთავაზობს გრძელვადიან გამოუვალ მდგომარეობას, შესაძლოა, მეზობლი მხარეებისათვის კატასტროფასაც კი, ანუ არსებობს “მყიფე მომენტის” ელემენტები რეზოლუციისათვის. ზარტმანის მიერ განმარტებულ სიტყვებში, კონფლიქტი გვთავაზობს არაფერს თუ არა “სიბრტყეს” არასასიამოვნო რელიეფს/ლანდშაფტს გადაჭიმულს მომავალსაკენ (ზარტმანი 1989:268). თუ მხარეებმა ეს მდგომარეობა მტკივნეულად მიიღეს, რასაც ზარტმანი უწოდებს “გამოუვალ მდგომარეობას”, ამან შესაძლოა მიგვიყვანოს არსებული მოსაზრების სტრატეგიულ გადახედვამდე. შესაძლოა არსებობდეს მშვიდობიანობის შანსი. არა აუცილებელი, თუმცა მაინც შესაძლებელია. თუ არცერთი მხარე არ იქნება კმაყოფილი არსებული მდგომარეობით, და ვერ შეძლებს დაინახოს დავაში გასამარჯვებელი გზა - შესაძლოა, მხოლოდ მეტი დესტრუქციულობის შიში ჰქონდეს - სავარაუდოდ ეს არის მომენტი, რომელიც საჭიროებს მოქმედების შეცვლას. ამ ეტაპზე მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, გეგმის შესამცირებლად, ჰქონდეთ ძალ-ღონის აღდგენის შანსი, მიიღონ შესაძლებლობა ახალი იარაღის შესაძენად. ეს შესაძლოა იყოს დრო შესვენებისათვის, სავარაუდოდ ახალი შეტევის წინ საჭიროებების გამოსათვლელად. ეს არის შეზღუდული სტრატეგიული გადახედვა, სადაც მიზნები შენარჩუნებულია. ცეცხლის შეწყვეტამ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება შეანელოს სვლა საკითხის მოგვარებისაკენ. ეს მნიშვნელოვანი დილემაა კონფლიქტის

შენწყვეტასთან დაკავშირებით. ბევრს აქვს მტკიცე მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არსებობს პატარა ემპირიული სწავლება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, კონფლიქტის მოგვარების საკითხის კონკრეტულ გარემოებებთან დაკავშირებით. თუმცა, საზიანო შეტევა შეიძლება ასევე გადაიქცეს, როგორც ბარტმანმა მას უწოდა “მაცდურ შესაძლებლობად”. ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც წინ გადადგმული ნაბიჯი, არა მხოლოდ არსებული მდგომარეობის გაყინვაში, არამედ სტატუს კვოს შენარჩუნებაში. აქ გვხვდება ბარტმანის სხვა კონცეფცია, საჭირო “ფორმულის ძიება”. გამოსავალი უნდა არსებობდეს მხარეებისთვის, როგორც სუსტების ასევე, ძლიერებისთვისაც. ეს არგუმენტი ხაზს უსვამს გარე ძალების მნიშვნელოვან როლს. მათ შეუძლიათ აღნიშნონ, რომ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა და უახლოეს მომავალში კატასტროფის საფრთხე - ბარტმანის სიტყვებით, “უფსკრული/ ხრამი” და მათ შეუძლიათ კონფლიქტის მოგვარების ალტერნატივების შემოთავაზება (ოჰლსონი 2011; ბარტმანი 1989). გამოთვლები, რომლებიც დაუზავებელი მხარეების გადანყვეტილებათა მიღებაში შედის, საჭიროებისამებრ კომპლექსურია. მოდით, ვცადოთ ორი მხარისათვის დავეგმოთ სიტუაცია კონფლიქტის სხვადასხვა პერიოდში. პირველ ეტაპზე, დომინანტური მხარე, **A**, ელოდება შესაძლებლობას იყოს იმ პოზიციაში, რომ მეორე მხარის დამარცხებით, **B**, შეინარჩუნოს კონტროლი სადავო საკითხებზე, ეს იქნება სამთავრობო ძალაუფლება, ტერიტორია თუ სხვა. მხარე **B** ამ დროს ელოდება მნიშვნელოვან თავგანწირვას, რადგან **B**-მ იცის, რომ ის ამით იწვევს დომინანტ მხარეს, რომელიც ემუქრება სტატუს კვოს, გრძელვადიან პერსპექტივაში გაუმჯობესებული მდგომარეობის მისაღწევად. ამდენად, მოლოდინები განსხვავებულია. მხარე **A** შეიძლება ნაკლებად იყოს ფსიქოლოგიურად მომზადებული ხანგრძლივი ბრძოლისათვის, ვიდრე **B**, რომლისთვისაც ეს იყო უფრო დიდი დროის გეგმა. მსხვერპლის თვალსაზრისით, მაგალითად, შესაძლოა **B** მეტად მზად არის აიტანოს ტკივილი, ვიდრე **A**-მ. თუმცა, დროის გარკვეულ მომენტში, განტოლება იცვლება. ომი უფრო დიდხანს გაგრძელდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. **A**-ს ჰქონდა მეტი ინვესტირების ვადლებულება და **A**-ს ყველა სხვა პოლიტიკაზე იქონია გავლენა. მოგება კონფლიქტიდან მცირდება, ხოლო დანახარჯები იზრდება. **B**-სთვის, გამარჯვების მოლოდინი გონივრულად მოკლე დროში არ შესრულებულა. ოპონენტი ცნობს, რომ სტატუს კვო ბევრად უფრო დაცულია, ვიდრე მოსალოდნელი იყო. გამარჯვება და მასთან ასოცირებული სარგებელი სამომავლოდ გადაიდო. ბალანსი სარგებელსა და დანახარჯს შორის შესაძლოა არ დაირღვეს. არცერთი მხარე არ არის გამარჯვებული დროის იმ მონაკვეთში, რომელშიც ის მოელოდა, რესურსებიც კი არ იყო მის განკარგულებაში. პროგნოზები, ბუნდოვანია ორივე მხარეს. ლიდერების გონება გამოუვალმა მდგომარეობამ მოიცვა. თუ ეს ასახულია ბრძოლის ველზე, თხრილების ფორმით და უწყვეტი დამცავი ხაზებით, ეს ჩიხში შესული სიტუაციაა ომში, და ეს შესაძლოა ყოფილიყო მართებული შესაძლებლობა კონფლიქტების მოგვარების იდეაში შენიშვნების შესატანად. მაგალითად, ეს **სიტუაცია შეიძლება დადგეს**, პირდაპირ იმის შემდეგ, რაც ერთი მხარე შეეცადა და გაარღვია ჩიხში შესული სამხედრო მდგომარეობა შეტევის გზით. ბოლოდროინდელ კვლევებში, ბრძოლის ველზე განვითარებული მოვლენები განიხილება, როგორც მხარეებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მოწინააღმდეგის ძალაუფლებისა და რესურსების შესახებ, ასევე, როგორც მხარეთა გამარჯვების უნარი. რაც უფრო დიდხანს გრძელდება კონფლიქტი, მით უფრო მეტია მხარეების სურვილი, დათანხმდნენ შემთავაზებულ მედიაციას (გრეიგი და რეგანი 2008). თუმცა, იმავე ინფორმაციას შეუძლია გაათანაბროს სიტუაცია სხვა მიმართულებით. შეიძლება ითქვას, რომ ერთ მხარეს შეუძლია იყოს **A** ან **B**, რომელსაც დიდწილად გამოყენებული აქვს თავისი რესურსები, რომ ფინალური შეტევის ეფექტი შექმნას და რომ ეს არის მხოლოდ ბღვრული დამატებითი ხარჯი და სარგებელი ასეთი შეტევიდან შესაძლოა ყოფილიყო გაცილებით უფრო დიდი. ზოგიერთი დანაკარგის აღდგენა შესაძლებელია.

ზარტმანის დაკვირვებით, ჩაშლილი მოლაპარაკებები, ნიშნავს, რომ თუნდაც ერთმა მხარემ “დაინახა დათმობის ფასი აღემატებოდა კონფლიქტის გაგრძელების ხარჯს” (ზარტმანი 1995a: 33).

გათვლები სულ უფრო მეტად არის მიმართული მზარდი ნაწილობრივი სარგებელის მიღებაზე. კონკრეტული მექანიზმებით, სამხედრო ან პოლიტიკური მოძრაობით, A-ს შეუძლია გაიმყაროს პოზიციები, ისე რომ კონკრეტულ დათმობებზე წასვლა არ მოუწიოს.

მოლაპარაკებებში, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მხარეს შეიძლება ჰქონდეს ალტერნატიული აქტივობა, რომელიც მოლაპარაკებების ფარგლებს გარეთ რჩება. ფიშერის მიერ გამოყენებული ტერმინი “BATNAM” არის “მოლაპარაკებათა შეთანხმებისათვის საუკეთესო ალტერნატივა”. ანალოგიურად, რასაკვირველია, შესაძლოა, “საუკეთესო ალტერნატივა” შეიძლება იყოს ომის გაგრძელება. არჩევანი ყოველთვის არსებობს. თითოეული მათგანი სხვადასხვა ხარჯისა და სარგებლის მატარებელია. გარკვეულ ეტაპზე, ომის დასრულება ხდება რაციონალური მეზობელი მხარეისთვის და შესაძლებელია მიღწეულ იქნას შეთანხმება დასრულებაზე. რთულია უყურო რაციონალურ გათვლებს გარედან, ინახება პირადული ინფორმაცია და ნებართვის გარეშე მისი სხვა პირზე გაცემა არ ხდება. გარკვეულ მომენტში, შესაძლოა, რაციონალურად განვსაჯოთ, როგორც ომის გაგრძელება, ასევე მშვიდობის ძიება. რთულია კონკრეტული დროის განსაზღვრა, დარწმუნებით თქმა, რომ ეს მომნიშვნელო მომენტია.

ეს მიდგომა ცდილობს ისეთი რამ განსაზღვროს, რაც უფრო შორს მიისწრავის, ვიდრე ჩვენ ვხედავთ, დინამიურ ან საჭიროებებზე დაფუძნებულ მეთოდებს შორის. ის ცდილობს განსაზღვროს თუ როგორ შეიძლება კონფლიქტი ლოგიკურ დასასრულამდე იქნას მიყვანილი. არც დინამიურ მიდგომას და არც საჭიროებებზე დაფუძნებულ ანალიზის მეთოდს არ შეუძლია მარტივად მიუთითოს კონფლიქტში იმ ცვლილებებზე, რომლებიც აჩვენებს, თუ როდის და როგორ შეიძლება ეს დასრულდეს ან გარდაიქმნას.

ეროვნული გათვლები ასევე უფრო ახლოსაა პრაქტიკოს პოლიტიკოსებთან, რომლებიც საკუთარ თავს ხედავენ, როგორც პოლიტიკის ფორმირებისა და მომავლის მოდელის შემქმნელებად. წინა მიდგომებში ასეთი მხარეები სავარაუდოდ განიხილებოდა, როგორც გარემოებების შედეგად მიღებული ობიექტები, ვიდრე ნებისა და ძალაუფლების გამომხატველი სუბიექტები.

პოლიტიკური დანიშნულებები, რომლებიც რაციონალურ მიდგომებს მიჰყვება, საკმაოდ ბევრია. სხვა ორ მიდგომაზე უფრო მეტად, გარესამყაროს აქტიური როლი აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პატარა ქვეყნები კონფლიქტებთან დაკავშირებით შემფოთებულნი არიან. როგორც ჩანს, კანონიერია კონფლიქტის მართვისა და მოგვარების მიმართულებით მხარეებზე გავლენის მოხდენა. გარეშე პირებს შეუძლიათ გავლენა იქონიონ უფრო მეტად გათვლებზე, ვიდრე დინამიკასა და საჭიროებაზე. კონფლიქტის მოგვარების აღრიცხვამ შეიძლება გავლენა იქონიოს მაგალითად, ჯილდოსა თუ სასჯელის მეშვეობით. ერთი ან ორივე მხარის მიერ შემოთავაზებული დახმარება შეიძლება იყოს სანდო დაპირება გარესამყაროს მხრიდან. ეს შეიძლება განხორციელდეს იმ პირობით, რომ კონფლიქტის მთვარი მხარეები ამთავრებენ ომს. შესაძლოა, დაპირისპირებულ მხარეებს რეკონსტრუქციის პროგრამები აინტერესებდეთ. ასევე, შესაძლებელია, იყოს სანქციები მოლაპარაკებებზე არ წასვლასა და კომპრომისზე უარის თქმასთან დაკავშირებით.

ეს შეიძლება მოხდეს დახმარების შემცირების გზით, ვაჭრობის პრეფერენციული რეჟიმის დაკარგვით, ინვესტიციების აკრძალვით და ა.შ. ეს არის ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობს მხარეებისთვის ეკონომიკური შეზღუდვების დაწესებას, რომელთაც უკვე აბრკოლებთ ომის ეკონომიკა. მსგავსი ნაბიჯები ზოგადად აჩვენებს, რომ ეს ლეგიტიმურად უნდა მივიჩნიოთ კონფლიქტების მოგვარების მიზნით. ეს მიუთითებს დიდი სახელმწიფოების მნიშვნელობაზე, რომელთა იძულებითაც მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდას უსხდებიან (გრეიგ და რეგანი 2008). თუმცა, არსებობს გარკვეული მტკიცებულებები, რომ რიგ მიმდინარე ომებზე შეიძლება გავლენა მოეხდინა გაეროს მიერ იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებას, რამაც დაპირისპირებული მხარეები მოლაპარაკებებით უფრო დაინტერესებული გახადა (ფრაიხარტი 2007, სტრანდოუ 2006). კიდევ უფრო მეტად საკამათოა, შეიძლება ან საჭიროა თუ არა ჯილდოების და სასჯელის სამხედრო მეთოდებით მართვა, ერთ მხარეს განხორციელებული პირდაპირი სამხედრო შეტევის ფორმით, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო ბალანსის გადაფარვას მეორეს სასარგებლოდ. ნატო-ს დაბომბვები ბოსნიაში 1995 წელს და იუგოსლავიაში 1999 წელს კოსოვოს კრიზისის მიმდინარეობისას, ამ კატეგორიაში განიხილება. მიაღწიეს მათ დასახულ მიზანს? მაგალითად, სად არის ტკვილით ზარალის მიყენებისა და ტკვილით შვების მოგვრის ბალანსი? მსგავსი ქმედებები წინ წამოსწევს სამართლებრივ და ეთიკურ საკითხებს, და არა მხოლოდ ინსტრუმენტულს. გარდა ამისა, გარეშე პირების მხრიდან სამხედრო არსენალის გამოყენების გადანყვეტილებები არ მიიღება მარტივად. ისინი, სავარაუდოდ, ხელმოსანვდომი იქნებიან, მხოლოდ რამდენიმე კონფლიქტისთვის, რაც განსაკუთრებით საინტერესოა კონკრეტული აუტსაიდერებისათვის. ამგვარად, ხშირია დამატებითი მიზეზების ჩართვა, რომელიც არ არის აუცილებლად დაკავშირებული მხოლოდ კონფლიქტის მოგვარების საჭიროებებთან.

ის ფაქტი, რომ გარესამყაროს შეიძლება ძლიერი გავლენა ჰქონდეს პატარა ქვეყნებთან დაკავშირებულ კონფლიქტებზე, უფრო მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე მიუთითებს: ვინ არიან მხარეები, რომლებმაც კონკრეტული კონფლიქტი უნდა მოაგვარონ?

დინამიურობის თვალსაზრისით, რაც შეიძლება უფრო მეტი მხარე უნდა ჩაერთოს. არსებობს უპირატესობა მონვევის ფართო დღის წესრიგსა და ლიბერალურ წესებს შორის. საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომაში, საპირისპირო მხარეს უპირატესობა ენიჭება. სემინარები უნდა გაიმართოს მოქმედების ადგილიდან შორს, ჰქონდეს მედიის მცირედი ხელმისაწვდომობა და კონცენტრირება უნდა მოხდეს შეზღუდული რაოდენობის მხარეებზე, რომლებიც მოქმედებენ, როგორც წარმომადგენლები და არა როგორც ინდივიდუალური პირები. რაციონალური გაანგარიშებისადმი მიდგომის მისაღწევად, პასუხი მარტივია, რომ უნდა იყოს წარმოდგენილი ის, ვისაც შეუძლია ანგარიში, ბარტმანის ნაწერში არის განმეორებითი დაკვირვება, რომ ყველა მხარე არ უნდა იყოს ჩართული საქმეში. სასურველია, იყოს იმდენად ბევრი მხარე. რამდენიც შესაძლებელია, მაგრამ ეს ყოველთვის არ არის აუცილებელი. კიდევ ერთი გათვლა შეიძლება გაკეთდეს: რომელი მხარეებია საჭირო ხანგრძლივი შეთანხმებისათვის? ზოგიერთმა მხარემ შესაძლოა სირთულეები წარმოქმნას და უკეთესი იქნება მათი ინტერესის უკანა პლანზე გადაწევა. დინამიურ მიდგომებში მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება ბევრი მხარის ჩართვა. ეს არ მიიჩნევა მეტად დემოკრატიულად, ეს მეტად ნაყოფიერია, რადგან არსებობს მეტი შეკითხვა და აქ კარგი პოტენციალია ვაჭრობისთვის. შედეგები კიდევ უფრო ინოვაციური იქნება. რაციონალური გაანგარიშების თვალსაზრისით, დიდი შეხვედრები და ინტენსიური დიალოგი შეიძლება აღმოჩნდეს რესურსებისა და დროის ფუჭად ხარჯვა. კონფლიქტის სასწრაფოდ გადაჭრის აუცილებლობა, მომწიფებული მომენტის გამოყენებით, შეიძლება დაიკარგოს. რაციონალური გაანგარიშების თვალსაზრისით, დრო

ძალიან მნიშვნელოვანია. შესაძლებლობები უნდა იქნას გამოყენებული, განსაკუთრებით იმ სიტუაციაში, სადაც ომი მიმდინარეობს. ეს მოითხოვს სწრაფ მოქმედებას, ხშირად რამდენიმე, განსაზღვრული მოქმედი პირის მხრიდან. დინამიური და საჭიროებებზე დაფუძნებული მიდგომები კონფლიქტის მოგვარების განიხილავს, როგორც პროცესს და, აქედან გამომდინარე, ხელს არ უწყობს სწრაფ ქმედებებს და პოლიტიკურ მანევრებს. **მომნიფებული** მომენტები შეიძლება მოვიდეს და წავიდეს. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს არ არის გზა, რომლის მეშვეობითაც კონფლიქტი ოდესმე მოგვარდება. გადაუდებლობისა და დროულობის საკითხს მივყავართ დაკვირვებამდე, რომლითაც სტედმანი გვაძლევს შემუშავებულ ფორმულირებას - ხელშემშლელთა (**spoilers**) საკითხთან დაკავშირებით და თუ როგორ უნდა გავუმკლავდეთ მათ (სტედმანი 1997, 1998). სტედმანი ამტკიცებს, რომ მხარეთა კეთილდღეობაზე მუშაობა შეუძლებელია.

გამოცდილება ცივი ომის შემდეგ, გვიჩვენებს, რომ გაცილებით მეტი ძალადობა ხდება სამშვიდობო შეთანხმებების შემდეგ, ვიდრე მანამდე. არსებობს მხარე, რომელიც უკმაყოფილოა გარიგებით. მას რუანდას მაგალითები მოჰყავს (სადაც 1994 წელს გენოციდი განხორციელდა). ცოტა ხნის წინ აღმოსავლეთ ტიმორი დაემატა. სტედმანის მრავალ დაკვირვებას შორისაა - სამშვიდობო შეთანხმების დამცველი, მიმართული უნდა იყოს ერთიანი შეთანხმების სწრაფად და უცვლელად განხორციელების საქმეში. ეს მხარდაჭერილია შედარებითი კვლევაში (ჰოგლუნდი 2008). ეს მინიმუმამდე ამცირებს ღია სივრცის არსებობას ხელის შეშლელებისათვის და ემსახურება შეთანხმებაზე თავდასხმის შეჩერებას. გამბედავმა ხელისშემშლელმა პირებმა (spoilers) შესაძლოა სწრაფად სათავისოდ გამოიყენონ უმნიშვნელო უთანხმოება კი დამცველებს შორის. ასევე არსებობს შესაფერისის მომენტები, როცა ხდება მშვიდობის „განადგურება“. რაციონალური გაანგარიშების მიდგომა ხელს უწყობს ასეთ სიტუაციებს.

სტედმანის მიერ გამოვლენილი ყველაზე რთული პრობლემაა პოტენციური ან არსებული ხელშემშლელების, სამშვიდობო პროცესში თავიდანვე ჩართვის, აუცილებლობის საკითხის განსაზღვრა, დინამიური მიდგომით ან გამორიცხვის მეთოდით, თუმცა რაციონალური გათვლების მიდგომა ხშირად უპირატესია. პირველ შემთხვევაში, გადაუდებელი აუცილებლობის საკითხი შეიძლება დაიკარგოს. დრო და ენერჯია უნდა დაიხარჯოს დაუმორჩილებელი მხარის პროცესში ინტერგრაციაზე და შედეგი მაინც გაურკვეველი იქნება. მეორე შემთხვევაში, იმედი შეიძლება იმაში ვიქონიოთ, რომ სწრაფ შეთანხმებას და მის ეფექტურ განხორციელებას შეუძლია ადგილობრივი მდგომარეობა იმგავრად შეცვალოს, რომ აღმოფხვრას ხელშემშლელთა მხარდაჭერა. პირველ მიდგომას კი, პირიქით, შეუძლია გარისკოს და მოახდინოს ხელშემშლელთა ტაქტიკის ლეგალიზაცია. მეორე მეთოდი, თავის მხრივ, შესაძლოა ეყრდნობოდეს დამცველთა ძალაუფლებას და მათ უნარს მოახდინოს ხელშემშლელთა იზოლირება. სავარაუდოდ, ამ არგუმენტების ერთობლიობა მათ მხარესაა და არ გამორიცხავს ხელშემშლელებს (პოტენციურს და მოქმედს), თუმცა ასეთი ჯგუფებისათვის მეორე გზის განავითარებაა აუცილებელი. *სავარაუდოდ, ბევრი მათგანი არ მონანილებს როგორც მონმე, სამხედრო უნიონისტები/პროფკავშირების წევრებისა და ჩრდილოეთ ირლანდიაში მომლაპარაკებლების აქტივობებში, ასევე პალესტინაში ჰამასის ნაწილისა და ისრაელში ახალმოსახლეების საქმეებში, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მშვიდობის მშენებლობა ვერ განხორციელდება ამ მხარეების პროცესში ჩართვის გარეშე.* სინამდვილეში, მათ შესაძლოა ჰყავდეთ ძლიერი მიმდევრები და დემოკრატიულ პროცესებში მიაღწიონ საპარლამენტო ხელმძღვანელობას ან წამყვან პოზიციებს (როგორც ეს აღინიშნულია სამივე ზემოხსენებულ საქმეში). დამბრბევებს გააჩნიათ სამშვიდობო პროცესის დამხობის ან მისი შეფერხების

შესაძლებლობა, თავიანთი უნარით, გავლენა მოახდინონ დამცველებზე “მათი” მხარის სასარგებლოდ. დემოკრატიულ ჩარჩოებში, მშვიდობისმყოფელები და ხელშემშლელები (spoilers), ალბათ, ერთსა და იმავე მოსახლეობის მხარდასაჭერად იბრძვიან და შესაბამისად, შეცდომები ან პრობლემების მოგვარება ხელს უშლის დამცველებსა და სამშვიდობო პროცესს. სინამდვილეში, ეს ახდენს სამშვიდობო შეთანხმებების ხანგრძლივობის ცენტრალურად განხორციელებას (სტედმანი 2002). თუმცა, ეს არ გამოირიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ საკითხის მოგვარება, რომელიც მხოლოდ რამდენიმე დაპირისპირებულ მემბროსს გულისხმობს, კვლავ გაგრძელდება. იგი განისაზღვრება ხელმომწერთა “ვალდებულებით, როდესაც ისინი გარიგებას აწარმოებენ (ნილსონი 2008). ბურუნდში, 2003 წლის შეთანხმებისას, ზოგიერთი მხარე და სხვა მემბროსე ჯგუფები შეთანხმდნენ იმაზე, რომ 2008 წლის ბოლოსთვის ყველა დაპირისპირებული მხარე ხელშეკრულების ნაწილი იყო. პირველი და ნაწილობრივი შეთანხმება მხარედი ინკლუზიური სამშვიდობო პროცესის ქმედება გახდა.

წინა ნაწილებში ჩვენ გადავხედეთ სამ პერსპექტივას, რომლებიც გარეგნულად ერთმანეთს ეწინააღმდეგება. ისინი ყველა იმ ანალიზის ინსტრუმენტებს ქმნიან, რომლებიც მნიშვნელოვანია კონფლიქტების მოგვარების გზით დასრულებული ომების სრულყოფილად გასააზრებლად. მომდევნო ნაწილში შემოთავაზებულია ამ მიდგომების სინთეზი.

3.5. კონფლიქტების მოგვარების სინთეზირება

სამი მიდგომა გამოყოფს კონფლიქტზე მკაფიო პერსპექტივებს. მათ აქვთ განსხვავებული აღქმა იმისა, თუ რატომ ხდება კონფლიქტები, აქვთ კონკრეტული დინამიკა და მიდიან მკაფიო გადანყვეტილებამდე. თუმცა, ისინი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ერთიერთმემავესებელი.

ისინი, კონფლიქტის ფენომენის განსხვავებულ ასპექტებზე მიუთითებენ. მხარეებისა და რეზოლუციის ანალიზით, უპირატესობა მიენიჭება არაერთ მიდგომას, ვიდრე მხოლოდ ერთს.

ეს მოსაზრებები ცხადყოფს, რომ მათი ინტეგრირება კონფლიქტის ანალიზის ერთ სქემაშია შესაძლებელი. ასეთი მცდელობა ჩატარდება აქ და იმედი გვაქვს, რომ მისი სარგებლიანობა ცხადი გახდება, როდესაც ჩვენ შევიმუშავებთ პრაქტიკულ დასკვნებს კვლევისა და პოლიტიკისთვის.

განმარტების დაზუსტება

განმარტება უნდა იყოს ზუსტად განსაზღვრული. პირველი თავი გვთავაზობს კონფლიქტის მოგვარების განმარტების წინასწარ დაზუსტებას. ახლახან დასრულებულ განხილვაში, დამატებითი პირობებია წარმოდგენილი, როგორცაა კონფლიქტის ტრანსფორმაცია და კონფლიქტის მართვა. ამ თვალსაზრისით, აუცილებელი ხდება კონფლიქტის მოგვარების ამ პირობებისგან განსხვავება. გარდა ამისა, განხილვაში მითითებულია შეიარაღებულ და შეუიარაღებულ კონფლიქტებს შორის შეუსაბამობის შესახებ. იმდენად, რამდენადაც ჩვენი ინტერესის საგანია, კონფლიქტის მოგვარების განმარტებაში ეს უნდა იქნას გათვალისწინებული. ეს და შემდგომი მოსაზრებები, მალე უნდა იყოს ახსნილი, რომ შედეგად მივიღოთ კონფლიქტის მოგვარების შემდეგი განმარტება: ეს სოციალური მდგომარეობაა, სადაც შეიარაღებული კონფლიქტის მხარეები (ნებაყოფლობითი) შეთანხმებით მშვიდობიანად ცხოვრობენ და/ან იძლევიან - მათი მთავარი შეუსაბამობების გამო და ამ მომენტიდან წყვეტენ ერთმანეთის წინააღმდეგ იარაღის გამოყენების საკითხს.

ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტი გარდაიქმნება ძალადობრივიდან არაძალადობრივ ქცევაში თავად მხარეების მიერ, და არა სხვის მიერ, მაგალითად, გარეშე პირის ან მესამე მხარის მიერ. კონფლიქტის მოგვარების პირველი გამოცდა ისაა, რომ იარაღი აღარ გამოიყენება. ეს ნიშნავს, რომ ცეცხლის შეწყვეტა და დემილიტარიზაციის პროცესი ინიცირებულია შეთანხმებული გეგმის მიხედვით. საზოგადოებისთვის ეს არის ნიშანი იმისა, რომ სიტუაცია რეალურად შეიცვალა. შემდეგ მოდის შეთანხმების ძირითადი საკითხების იმპლემენტაცია, რომელიც მალე უნდა განხორციელდეს. მეორე გამოცდა ისაა, რომ მხარეები არ ახდენენ ძალადობას ან ძალადობის მუქარას მოცემულ ეტაპზე.

ეს განმარტება განაპირობებს, რომ მხარეები შეთანხმდნენ. ეს ნიშნავს იმას, რომ ძირითადი მხარეები აიღებენ პასუხისმგებლობას შეთანხმებაზე და თავს მიუძღვნიან მათ განხორციელებასა და ლეგიტიმაციას. ამ გზით, შეთანხმებას ექნება საგრძნობი შანსი, რომ გადარჩეს გამონვევების შეჯახებისას, რადგან ეჭვგარეშეა, რომ ეს ასე იქნება. არსებობს დამატებითი არგუმენტები, რომლებიც ხაზს უსვამენ მხარეთა როლს კონფლიქტის მოგვარებაში.

ისინი, ვინც, კონფლიქტს ყველაზე კარგად იცნობს, ცხადია, რომ თავიდანვე იქ იმყოფებოდნენ, რესურსები აღადგინეს და კონფლიქტისთვის ხალხის მობილიზება მოახდინეს. ეს მათ ხდის მხარედ, რომლებსაც შეუძლიათ ყველაზე მეტად ლეგიტიმურად გადანყვიტონ, როდის დასრულდა კონფლიქტი. ამ პროცესში ყველა სხვა მხარეს, ისეთებს, როგორსაც წარმოადგენენ დაყოფილი ჯგუფები, დისიდენტები ან სამოქალაქო ჯგუფები, პროცესში ექნებათ ნაკლები ძალაუფლება ვიდრე ლიდერებს, რომლებმაც რეალურად შექმნეს ბრძოლის საწყისი მიზნები. აქედან გამომდინარე, არსებობს ამგვარი ლიდერების ნებისმიერ სამშვიდობო პროცესში ჩართვის მიზეზი, და აუტსაუდერებისთვისაც, იმედი, რომ მხარეები, რომლებმაც დაიწყეს კონფლიქტი, შეძლებენ დაასრულონ ის.

რა თქმა უნდა, ამას მივყავართ შეკითხვამდე თუ ვინ არის მხარე სინამდვილეში. როდესაც, ისინი, ვინც ომი დაიწყო, ჯერ კიდევ წამყვან მხარეებს წარმოადგენენ, პასუხისმგებელი მხარეების იდეტიფიცირება მარტივია. მაშინაც კი, თუ იგივე ადამიანები, რომლებმაც ომი დაიწყეს, ირგვლივ აღარ არიან, რომ მშვიდობა უზრუნველყონ, არის უწყვეტობა, რომელსაც ახალი ხელმძღვანელობა დამატებით იღებს, ძალაუფლების ხელში აღებისთანავე.

ისინი ქმნიან იმ მხარის ხელმძღვანელობის ლეგიტიმურ ჩარჩოს, რომელიც იმავე კონფლიქტში იყო მხარე ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათ ასევე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა იმ ქმედებებისთვის, რომელსაც მიჰყვებოდნენ მოქმედი ხელმძღვანელობის ხელისუფლებაში მოსვლამდე. დანაშაულის აღიარება და კომპენსაციის საკითხები, შეიძლება იყოს შეთანხმების ნაწილი და ეფუძნებოდეს ამ უწყვეტობას ან პასუხისმგებლობას. ცხადია, პრობლემა უფრო ადვილად მართვადია, როცა ჩვენ სახელმწიფოზე მივუთითებთ, როდესაც მას აქვს თავისი კანონები, გადანყვიტელობების მიღების მექანიზმი და მემკვიდრეობითი უფლების ნორმები. პოპულარული მოძრაობების, განმათავისუფლებელი ორგანიზაციებისა და მრავალი რელიგიური თემისთვის, განგრძობითობა უფრო რთული დასამკვიდრებელია. მემკვიდრეობის ნორმები ნაკლებად სტაბილურია ან ზოგჯერ არარსებულიც კი. გაყოფა და შერწყმა სურათს ცვლის. ამდგვარად, საჭიროა თითოეული საქმის ფრთხილი ანალიზი, რათა დადგინდეს ვინ არის სინამდვილეში მხარე და ვინ არიან მისი ლიდერები.

დელიკატური სიტუაციაა ის, რომელშიც ერთი მხარე არ მიიჩნევს მეორე მხარეს ლეგიტიმურად და, შესაბამისად, არ სურს მასთან შეთანხმების მიღწევა. მას მრავალი

ფორმის მიღება შეუძლია. ქვეყნებს არ აქვთ შესაძლებლობა აღიარონ ერთმანეთი და, შესაბამისად, არ აქვთ დიპლომატიური ურთიერთობები (როგორც იყო იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ბოსნია-ჰერცეგოვინას რესპუბლიკის საკითხი, თუმცა ისინი 1995 წელს დეიტონში მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ). შეიარაღებული ოპოზიციის მოძრაობის დე ფაქტო აღიარება შეიძლება. რა თქმა უნდა, აღიარება შეიძლება იყოს დე ფაქტო, მაგრამ შეთანხმებები მოითხოვს დე-იურე ღონისძიებებს. შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის შემთხვევაში, მთავრობები თავს იკავებენ აღიარონ შეიარაღებული ოპოზიცია. მე-4 თავში დავინახავთ, რომ ის თავის თავს აფასებს, როგორც ძალადობის ერთადერთ ლეგიტიმურ მომხმარებელს. ამგვარად, შეიარაღებულ მეტოქესთან შეთანხმებას, უკიდურეს შემთხვევაში, შეუძლია იმავე სახელმწიფოში ორი არმიის შეუზღუდავი ფუნქციონირების აღიარება (დეიტონის მოლაპარაკებების შედეგი). შეიძლება, ისეც იყოს, რომ ხელისუფლება ოპონენტებს ტერორისტებად და ბანდიტებად განიხილავდეს და შესაბამისად, ისინი არათანაბარ სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მოზამბიკის შემთხვევაში, ფრელიმოს მთავრობა შეეჭახა სამხრეთ აფრიკის მხარდაჭერილ ამბოხებას “რენამო”, რომელსაც “ბანდიტებს” უწოდებენ. სტივენ ჩანი და მოისეს ვენანჩიო “რენამოს” აღიარების სასარგებლოდ წერენ. არგუმენტი არ არის ლეგალური, მაგრამ ერთ-ერთი ვალდებულებაა: “ხალხი არ იბრძვის და რისკავს სიკვდილით, რადგან მათ არ ეშინიათ, არ კლავენ, თითქოს მათ საერთოდ არ გააჩნიათ მორალი. ისინი ამას ათწლებლების განმავლობაში არ აკეთებენ ან იმიტომ, რომ ისინი მარიონეტები არიან” (ჩან და ვენანჩიო 1998). ასეთი მოძრაობებიც კი, სხვა სიტყვებით, სერიოზულად უნდა იქნას მიჩნეული. ამ წიგნში ჩვენ ჩავრთეთ ყველა მხარე, რომელსაც ჰყავს შეიარაღებული ძალები თავიანთი კონტროლის ქვეშ, გააჩნია ცენტრალური სარდლობა და მკაფიოდ მიყვება პოლიტიკურ მიზნებს, როგორც პარტიებს ან მხარეებს (ეს ორი სიტყვა ურთიერთჩანაცვლებით გამოიყენება).

არსებობს სხვა ელემენტები, რომლებიც საჭიროებენ გულდასმით განხილვას, კერძოდ, შეთანხმების (ნებაყოფლობითი) ცნება. სავარაუდოდ, რამდენად ნებაყოფლობითია შეთანხმება? მხარეები აწარმოებდნენ ომს, შესაძლოა წლების განმავლობაში და მათ ჰქონდათ გამარჯვების ამბიცია. ამრიგად, ამაზე ნაკლებზე დათანხმება მხარეთათვის შესაძლოა ყოფილიყო მწარე აბის ჩაყლაპვის მსგავსი. ძალის გამოყენება, ჩვეულებრივ ომის დინამიკის ნაწილია. თუ ერთი მხარე ძალას იყენებს, ის ფაქტი, რომ მოპირდაპირე მხარეც იგივეს აკეთებს, გასაკვირი არ უნდა იყოს. დაპირისპირებული მხარის ძალა თანაბარია.

უფროსაინტერესოა, გენოლაგარესამყაროს მხრიდან, განსაკუთრებით კი, მეორეხარისხოვანი მხარეებიდან. ესენი წარმოადგენენ მხარეებს, რომლებსაც პირადად არ შეჰყავთ თავიანთი ჯარი ან სხვა რეგულარული სამხედრო რესურსები კონფლიქტში, მაგრამ ჯერ კიდევ დგანან გვერდით (ღიად თუ არა) და მხარს უჭერენ კონკრეტულ მხარეს. მეორეხარისხოვანი მხარე შეიძლება უაღრესად მნიშვნელოვანი იყოს ძირითადი მხარისათვის, ორივე, როგორც სამხედრო, (იარაღის მისაწოდებლად, ბაზებითა და მარშრუტით უზრუნველყოფა) ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (მხარისათვის ცხადყოფენ, რომ ის “მართო არ არის”). მათ ასევე შეუძლიათ ჰქონდეთ საკუთარი დღის წესრიგი და, შესაბამისად, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ბერკეტები ძირითადი მხარეებისათვის, თუკი ეს მათი სურვილია. თუ მეორეხარისხოვანი მხარეები ორივე მხრიდან თანხმდებიან, თუ როგორ დასრულდეს კონფლიქტი, მათ შეიძლება გაუჩნდეთ ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ ეს მხარეებს დააკისრონ. ეს არის ის, რასაც ბევრი მთავარი მხარე ეჭვობს და შიშობს. ისინი ნერვიულად აკვირდებიან დიდი სახელმწიფოების სამიტების შეხვედრებს, რომლებიც შესაძლოა მათთვის იარაღის მთავარი მომწოდებლები იყვნენ. მსხვილი იარაღით უაღრესად

კონცენტრირებული მსოფლიო ვაჭრობა აძლევს გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთ მუდმივ წევრს მნიშვნელოვან ბერკეტს ბევრ კონფლიქტურ სიტუაციაში, თუ ისინი ერთობლივად იმოქმედებენ. ამგვარად, ადგილობრივი კონფლიქტი შეიძლება გახდეს გლობალური დიდი ხანძრის ნაწილი, რაც ცივი ომის დროს მუდმივად ხდებოდა. შედარებით უმნიშვნელო საკითხი, მსხვილი ქვეყნების მოსახლეობის თვალთახედვით, შესაძლოა გადაიზრდოს ბირთვულ კონფრონტაციაში (ნინციკი 1985). გარე მხარეებთან ახლო ურთიერთობა შეიძლება აუცილებელი იყოს, მაგრამ ასევე წამყვანი მხარისთვის შესაძლოა ეს სარისკო იყოს. აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო ბენოლის შედეგად მიღებული შეთანხმებები უფრო დროებითია, ვიდრე სხვა (ნორდქვისტი 1992). ომის “ნაადრევად” დასრულებაზე შეიძლება პასუხისმგებლობა აუტსაიდერს დაეკისროს. გარე ბენოლა შესაძლოა კარგი ტაქტიკა იყოს ერთ ეტაპზე შეთანხმების მხარდასაჭერად, მაგრამ როდესაც ეს შეზღუდვა გაქრება, წესრიგი ვეღარ შენარჩუნდება. ამგვარად, შეთანხმებები მხარეთა მიერ გონივრული რაოდენობის ნებაყოფლობითი ჩართულობით, სავარაუდოდ, მეტად აღარ გაგრძელდება.

კონფლიქტის მოგვარება აქ შეთანხმებაზეა ორიენტირებული. როგორც ეს აღნიშნულია თავში 3.2, რთულად წარმოსადგენია, რომ ომში მონაწილე მხარეები დაასრულებენ შეიარაღებულ კონფლიქტს და იცხოვრებენ ერთმანეთის გვერდიგვერდ მინიმალური ურთიერთგაგების ფორმის გარეშე. ეს შეიძლება აღნიშნული იყოს შეთანხმებაში, როგორც მაღალ დონეზე გაფორმებულ (საერთაშორისო) ხელშეკრულებაში. მას ასევე, შეუძლია მიიღოს სხვა ფორმები. თუმცა, გარკვეული სისტემატიზაციაა საჭირო იმისთვის, რომ ეს კონფლიქტი დარეგულირდეს. იგი განსაზღვრავს მხარეთა მიერ აღებულ ვალდებულებებს, ყველაფრისთვის, რასაც ვხედავთ. შეთანხმება, ასევე, აღნიშნავს კონფლიქტის შეიარაღებული ფაზის საბოლოო წერტილს და რაღაც ახლის დასაწყისს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეთანხმების მიღწევა იგივეა, რაც სამშვიდობო პროცესის დამთავრება. შეთანხმება, უფრო ფართო პროცესის მხოლოდ ერთი ნაწილია. კონცეფციებს, როგორცაა კონფლიქტის ტრანსფორმაცია და მშვიდობის მშენებლობა, პრობლემათა უფრო ფართო სპექტრთან მივყავართ. ისინი ყველა მნიშვნელოვანია საკითხის მოგვარების ხანგრძლივობისა და ახალი “ნორმალური” პირობების შესაქმნელად.

გარდა ამისა, შეთანხმებაზე ყურადღების გამახვილება განსახვავებს კონფლიქტის მოგვარებას კონფლიქტის მართვისგან, რომელიც ხშირად მუშაობს იმ პრობლემებზე, რაც თუნდაც საიდუმლო საკითხებს გულისხმობს, გაგებას, ან უბრალოდ “პრობლემის” განხილვის გზებს. კონფლიქტის მართვა, როგორც წესი, ყურადღებას ამახვილებს კონფლიქტის შეიარაღებულ ასპექტზე: ბრძოლის ბოლომდე მიყვანით, კონფლიქტის გავრცელების არეალის შეზღუდვით და ამგვარად მისი შეჩერებით. ასეთი ქმედება შეიძლება წარმატებულად იქნას მიჩნეული. კონკრეტული კონფლიქტის ინტერესი შეიძლება გაქრეს. კონფლიქტის მოგვარება უფრო ამბიციურია, რადგან ის მოელის, რომ მხარეები ერთდროულად შეეჯახებიან თავიანთ შეუსაბამობებს და იპოვნიან მისით არსებობის გზას ან შეწყვეტენ მას. შეთანხმების დადების მნიშვნელობა ასახავს, თუ რა განასხვავებს “კონფლიქტების მოგვარებას” სხვა კონცეფციებისგან. ერთი ელემენტი, რომლის განმარტება საჭიროებს შემდგომ ანალიზს, არის შეუსაბამობა. ამ კვლევის შედეგად, ჩვენ ასევე შეგვიძლია ცალკე გამოვყოთ გადაწყვეტილებების მეთოდების კომპლექტი, რომლებიც უფრო დეტალურად იქნება შესწავლილი წიგნის დარჩენილ ნაწილში.

შეუსაბამობები საზღვრებს მიღმა: შვიდი მექანიზმი

ფრაზა: არსებობით, ან მის გარეშე - შეუსაბამობა მოითხოვს გამახვილებულ ყურადღებას. კონფლიქტების მოგვარების შესახებ მოსაზრებების მიმოხილვისას, აღინიშნა სხვადასხვა იდეები. ეს საჭიროებს ერთად თავმოყრას უფრო თანამედროვე სისტემური მეთოდით, რომელიც შეიძლება შეუსაბამობაზე ყურადღების გამახვილებით გაკეთდეს. შეუსაბამობის კონცეფცია განისაზღვრება, როგორც ორი ან მეტი მხარის მოთხოვნის დაკმაყოფილების შეუძლებლობა არსებული რესურსებით.

A-სთვის გარკვეული რესურსის მინიჭება ნიშნავს, რომ **B** არ მიიღებს სასურველ წილს. რესურსები, რასაკვირველია, შეიძლება იყოს ნაკლებად ხელშესახები, ვიდრე მინა, კაპიტალი, ბუნებრივი რესურსები, სამხედრო პოზიციები და პოლიტიკური თანამდებობები. ეს შეიძლება, ასევე, იყოს სურვილი, მიიღონ აღიარება, პატივისცემა, ანაზღაურება/რესტიტუცია ან აღდგენა (რომელსაც მხარე შეიძლება გრძნობდეს იმ უფლებით, რომელიც განპირობებულია მისი ისტორიული როლით ან ისტორიული უსამართლობის გამოცდილებით). ეს შეიძლება შეეხოს შეხვედრას ისტორიულ მისიასთან, (რომელიც რეალურად ახლოსაა აღიარების ან ისტორიული წყენის გამოსყიდვის საკითხებისადმი). ასევე არსებობს უსაფრთხოების საკითხი, რომელიც ისეთ მნიშვნელობას იძენს, რომ ზოგჯერ ის არ არის მხოლოდ საშუალება სხვა მიზნებისათვის, არამედ თავად არის მიზანი.

როგორ შეუძლიათ მხარეებს ასეთი შეუსაბამო პოზიციებით ოდესმე მიაღწიონ შეთანხმებას განმარტებაში: არსებობით, ან მის გარეშე - შეუსაბამოა? როგორც აღვნიშნეთ, ცივი ომის დასრულების შემდეგ რეკორდული რაოდენობის სამშვიდობო შეთანხმება არსებობდა. მხარეებმა, რომლებიც ჩართული იყვნენ სასიკვდილო ბრძოლაში, იპოვეს ერთად ცხოვრების გზები. მათი პარტნიორობა შეიძლება არ იყოს მარტივი, მაგრამ თავად მხარეების მიერ განისაზღვრებოდა, როგორც უმჯობესია იმ ბრძოლასთან მიმართებაში, რომელიც წინ უძღოდა მას. გადაწყვეტილებებმა ზოგჯერ შეიძლება დაარღვიოს შეუსაბამობა, რაც გულისხმობს ისეთი შეთანხმების პოვნას, რომელიც ამ საკითხს მდუმარედ აღარ ტოვებს, ის ქრება. ეს, შესაძლოა, გარკვეული მნიშვნელობით ნიშნავდეს იმას, რომ მხარე თმობს ზოგიერთ ამბიციას. მაგალითად, (თეთრი) ნაციონალისტური პარტია სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის რეჟიმის დემონტაჟს დათანხმდა. მაგრამ, პარტია პოლიტიკური პარტიად დარჩა (სხვა მიზეზების გამო მისი ძალაუფლების გადაცემამდე) და ქვეყანაში თეთრი მოსახლეობა დარჩა, სახელმწიფოს მიერ დაცული თანასწორობის გზით, სხვა მოქალაქეების მსგავსად. პოლიტიკური წესები შეიცვალა მოსახლეობის უმრავლესობისათვის პოლიტიკური/საარჩევნო უფლებების მინიჭებით. სხვა სიტუაციებში მხარეები თანხმდებიან შეუთავსებლობაზე, მაგრამ თანხმდებიან უთანხმოების ჩარჩოზე. ამგვარად, ისინი თანხმდებიან იცხოვრონ მშვიდობიანად შეუსაბამობებით. ეს ხშირად ნიშნავს დემოკრატიული ფორმების მოშველიების პოლიტიკას. ასეთ შემთხვევებში, მათ არ დაურღვევიათ უთანხმოება, მაგალითად მიწის საკუთრება, მაგრამ შექმნეს უსაფრთხო არხები პოლიტიკურ პროცესებში ყველა მხრისათვის. არსებობს რიგი წესები, რომელთა საშუალებითაც კონფლიქტი შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ იარაღის გამოყენების გარეშე. როგორ შეიძლება ამის გაკეთება, თეორიულად და პრაქტიკაში? აქ, ჩვენ ვეცდებით დავუბრუნდეთ პასუხს კითხვაზე თეორიულად, წიგნში კი ჩვენ მას განვიხილავთ ემპირიულად (ფაქტობრივი მტკიცებულებებით).

თეორიულად, არსებობს შვიდი განსხვავებული გზა, რომელშიც მხარეებს შეუძლიათ იცხოვრონ ან დაარღვიონ თავიანთი შეუთავსებლობა. ეს არის მექანიზმები, პროცედურები ან ტრანსცენდენტულობის ფორმები, რომლებიც შეიძლება მივიღოთ **გამოსახულებიდან 3.1.**

პირველ რიგში, მხარეს შეუძლია შეცვალოს თავისი მიზნები, ანუ შეცვალოს მისი პრიორიტეტები. იშვიათია, რომ მხარემ სრულად შეცვალოს თავისი ძირეული პოზიციები, მაგრამ მას შეუძლია აჩვენოს რიგითობა, რასაც ის ანიჭებს ყველაზე მაღალ პრიორიტეტს.

ამით შეიძლება გაიხსნას გზები, სადაც სხვა მხარეს შეუძლია მოქმედება ნაცვალგების სანყისებზე. ამ თვალსაზრისით, ხელმძღვანელობის ცვლილება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასეთი ცვლილებებით იქმნება ახალი შესაძლებლობები. ეს არ ნიშნავს იმას, რომ კონფლიქტის მოგვარება რევოლუციას უნდა დაელოდოს.

ხელმძღვანელობა ხშირად იკრიბება მოსახლეობის შეზღუდული სეგმენტიდან და თანამიმდევრული შეცვლა მნიშვნელოვანი რჩება. ახალი ლიდერები ჯერ კიდევ განსხვავებულად ფიქრობენ და, შესაბამისად, ეხებიან ახალი ხელმძღვანელობის საკითხებს. ასევე, არსებობს სხვა ცვლილებები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს. ქვეყნებში ცვლილებები შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, რასაც, სტრატეგიული პრიორიტეტების ცვლილება მოჰყვება. დიდ სახელმწიფოებს შორის ახალი ხელისუფლების სათავეში მოსვლის ან *ძველის* დაცემის მიზეზი შეიძლება იყოს ასეთი მდგომარეობა. ნაკლებად გავლენიანი მმართველობის მნიშვნელოვან ურთიერთობებში ცვლილებებს დიდი შედეგები მოაქვს. ცივი ომის დასასრულს, ნათლად ჩანს, რომ დისტანციებსა და კონფრონტაციებს შორის მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიძლება იყოს კონფლიქტის მოგვარებისთვის. ეკონომიკურმა კრიზისმა შეიძლება შეცვალოს პრიორიტეტები. ომის გაძლოის ხარჯებს მნიშვნელოვანი რესურსების განადგურება შეუძლია და შესაბამისად, სამშვიდობო დივიდენდის შანსები შესაძლებელია უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდეს. თუმცა, ასეთი ცვლილებების შესაძლებლობა არ უნდა იყოს გადაჭარბებული და ამკარად საშიში იქნებოდა, რომ მხარემ უარესი ცვლილების მოლოდინით ჩამოაყალიბოს მოლაპარაკებების პოლიტიკა, ეკონომიკურმა კრიზისებმა შეიძლება ნაკლები ინტერესი გამოიწვიოს კომპრომისთან მიმართებაში და ა.შ. მხარეებისთვის მნიშვნელოვანია მუდმივად ინტერესდებოდნენ მეორე მხარით, რათა გაიგონ, შეიცვალა თუ არა მათი პრიორიტეტები.

მეორე გზა კლასიკურია: მხარეები თავიანთი მიზნების ერთგული რჩებიან, მაგრამ პოულობენ საკითხებს, სადაც რესურსები შეიძლება გაიყოს. ეს არის საკითხი - C გამოსახულებაში 3.1. ეს ზოგჯერ განიხილება, როგორც კომპრომისის არსი, მაგრამ ეს მხოლოდ კომპრომისის ერთი ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ ორივე მხარე შეცვლის პრიორიტეტებს. თუმცა, ეს კეთდება ისე, რომ A-ს მიერ განხორციელებული ცვლილება დაკავშირებულია B-ს ცვლილებასთან. ნაწილობრივი შეთანხმება, რომელიც რაღაც მომენტში, სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია, უფრო ადვილია მხარეებისთვის. ამის შემდეგ, მათ შეუძლიათ ასევე დაიცვან ეს შეთანხმება გადანყვეტილების მიმღები სხვა პირებისათვის და საზოგადოებისთვის. ეს შეიძლება გონივრული ჩანდეს და შესაბამისობაში იყოს საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებთან. თუ შეუსაბამობა შეეხება ტერიტორიას, ეს შეიძლება გულისხმობდეს საზღვრის გადანევისას ორ მოთხოვნას შორის. ამას აზრი აქვს, მაგრამ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს ადგილები არ არის დასახლებული ადამიანებით, რომელთაც საკუთარი ინტერესი აქვთ, ან თუ ტერიტორია მოიცავს რესურსებს, რომლებიც ასევე უნდა იყოს შეთანხმების ნაწილი. კომპრომისი ყველაზე ადვილად მონეტარული რესურსებით მიიღწევა. დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის მოლაპარაკებებს ოპტიმალური საკითხების პოვნის დიდი ხნის ისტორია აქვთ, სადაც ორ მხარეს შორის გამყოფი ზოლის გადანევა ხდება. ასეთ ვითარებაში, მნიშვნელოვანია, რომ მხარეებმა, მიიღონ გარკვეული რესურსები, ვიდრე საერთოდ არაფერი. ძალაუფლების მქონე პოზიციებიდან, ეს შეიძლება

იყოს უფრო რთული, მაგრამ იმდენად, რამდენადაც არსებობს გზები, რომლის ფარგლებშიც ძალაუფლება შეიძლება გაიყოს, მაგალითად, ცენტრალურ-რეგიონული დაყოფისა ან შემდეგ ფუნქციებთან ერთად (პრეზიდენტობა, პრემიერ მინისტრი, სპიკერი, უზენაესი სასამართლო, მნიშვნელოვანი კომიტეტები, და ა.შ.). როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს ორი პრემიერ-მინისტრის კაბინეტის მაგალითი ერთსა და იმავე კაბინეტში (კამბოჯა). პრემიერ-მინისტრის ოფისის როტაცია, გარკვეული დროით, ისრაელში იყო გამოყენებული, თითოეულმა მხარემ წლების თანაბარი რაოდენობა მიიღო - სამუშაო დროის გაყოფის საინტერესო რეჟიმით. ეს ინსტიტუციონალიზებულია შვეიცარიაში, პრეზიდენტის ყოველწლიურად არჩევის პირობებში.

მესამე გზაა საცხენოსნო ვაჭრობა, სადაც ერთ მხარეს აქვს ყველა მისი მოთხოვნა, რომელიც ერთ პრობლემას ითვალისწინებს, ხოლო მეორე - ყველა თავისი მიზნით სხვა პრობლემას. ეს ნიშნავს შეუსაბამობის ორი განსხვავებული დიაგრამის გამოყენებას (გამოსახულება 3.1), თითოს თითოეული საკითხისთვის, სადაც ერთი მხარე 100 პროცენტს იღებს. ეს ასევე შეიძლება შეფასდეს, როგორც კომპრომისი, მაგრამ მუშაობს განსხვავებული გზით იმ დანაყოფის მიერ, რომელიც ჩვენ ახლახან აღვწერეთ. ცხენებით ვაჭრობით ტერიტორიის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ ტერიტორია A იღებს ფართობს 1 და B-ც იღებს ფართობს 1, თუმცა ორივეს აქვს მოთხოვნები ფართობებზე 1 და 2. რთული გაყოფის ნაცვლად, მთლიანი ტერიტორიის ნაწილს იღებს ერთი ან მეორე მხარე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიჩნეულია, რომ არ არსებობს კონკრეტული მახასიათებლები ტერიტორიისთვის, ან რომ ასეთი მახასიათებლები ორივესთვის თანაბარია (მაგალითად, ნავთობი ორივეში). პოლიტიკური ძალაუფლების პოზიციების კონტექსტში, A-მ შესაძლოა მხარი დაუჭიროს B-ს ზოგიერთ საკითხში და მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა B-სგან სხვა საკითხებში, რაც ნიშნავს, რომ A და B უგულვებელყოფენ მნიშვნელოვან შეხედულებებს და იმას, რასაც ზოგჯერ ერთად უწოდებენ “ეროვნულ ფაქტებს” ან “ისტორიულ კომპრომისებს”.

მეოთხე გზა არის ერთობლივი კონტროლი. ამ შემთხვევაში, მხარეები წყვეტენ ერთად მართონ სადავო საკითხები. ეს ახლოსაა D-ს შედეგთან აღნიშნულ გამოსახულებაზე 3.1. ტერიტორია შეიძლება გაზიარდეს, როგორც განმსაზღვრელი წესები, სადაც გადაწყვეტილებები ორივე მხარის თანხმობას მოითხოვს. ეკონომიკური რესურსი შეიძლება განხორციელდეს ერთობლივი კომპანიის მიერ და საინვესტიციო და მოგების გაზიარების ფორმულაა. ქვეყანა შეიძლება კოალიციურმა მთავრობამ მართოს, ეს ხშირი მოვლენაა საპარლამენტო დემოკრატიებში. საერთო კონტროლს შეუძლია მოითხოვოს გარკვეული ნდობა; ეს შეიძლება იყოს გარდამავალი პერიოდის დროებითი მოწყობა. ტერიტორია შეიძლება განაწილდეს ერთობლივი საკუთრების წესებით, სადაც გადაწყვეტილებები ორივე მხარის თანხმობას მოითხოვს. ეკონომიკური რესურსი შეიძლება იმართებოდეს ერთობლივი კომპანიით და ფორმულით, რომელიც შექმნილია ინვესტიციებისა და მოგების განაწილებისათვის.

ძალაუფლების განაწილების ღონისძიებები ასევე ამის მაგალითია. ეს არის ის, სადაც ყველა მხარე წარმოდგენილია მთავრობაში წინასწარ შეთანხმებული ფორმულის თანახმად (მაგალითად, ეროვნული არჩევნებიდან მიღებულ ყოველ 5 პროცენტზე ერთი მხარე კაბინეტში იკავებდა ერთ ადგილს). მაშინაც, როცა ეს შეთანხმებული იყო მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული პერიოდისთვის, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი წარმატებით განვითარდა და კონფლიქტური სიტუაციის პერიოდის დასასრულს, ძალიან რთულია განსაზღვროს რა იყო დასაწყისში. ეს ასევე შეიძლება მიმართული იყოს საერთაშორისო რეჟიმისადმი საერთო

მდინარეებში წყლის გამოყენების რეგულირების მიზნით. საერთაშორისო ურთიერთობებში ასეთი შეთანხმებები შეიძლება ნიშნავდეს რეგიონული ინტეგრაციის დაწყებას; საერთაშორისო საქმეებში მათ შეიძლება დანაწევრებული საზოგადოების ინტეგრაციაში შიტანონ წვლილი. მეხუთე გზა ვინმესთვის კონტროლის გადაცემა, რაც ნიშნავს კონტროლისთვის ფართო ფორმის მიცემას, ისე, რომ დაპირისპირებული მხარეები შეთანხმდნენ თავად არ მართონ რესურსები. ეს არის შედეგი **E გამოსახურლებაში 3.1.** მთავარი მხარეები თანხმდებიან ან მისაღებად თვლიან, რომ მესამე მხარემ კონტროლი აიღოს. ასეთი გადაწყვეტილებები დიდ მნიშვნელობას იძენდნენ საერთაშორისო კონფლიქტებზე 1990-იანი წლების განმავლობაში მიმდინარე დისკუსიებში. პროტექტორატის ცნება დაბრუნდა სერიოზულ მოლაპარაკებებში. არსებობს ბოლო პერიოდის დამოუკიდებელი ქვეყნების მაგალითები, რომელთაც სუვერენიტეტის უფლება ძლიერ შეზღუდული ჰქონდათ. მაგალითად, ბოსნია-ჰერცეგოვინა, იყო ერთი ასეთი შემთხვევა, თავისი კომპლექსური კონსტიტუციით. 1999 წელს, სუვერენული ქვეყნის ერთი ნაწილი, კოსოვო, იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხრეთით, საერთაშორისო მფარველობის ქვეშ იმყოფებოდა. კოსოვოს შემთხვევაში, ეს ნიშნავდა, რომ არც იუგოსლავიის მთავრობა და არც კოსოვოს ალბანური ნაწილის წარმომადგენლები არ გაქცეულან ტერიტორიიდან, თუმცა ამის ნაცვლად ხელისუფლება არსებობდა გაეროსთან ერთად შემდეგი 9 წლის განმავლობაში.

ამ შემთხვევებში, მხარეები თანხმდებიან მოწყობაზე, მაგრამ მხოლოდ მნიშვნელოვანი ომის წარმოების შემდგომ (ბოსნიის ომი და ნატო-ს მოქმედებები 1995 წელს, კოსოვოს ომები და 1999 წელს იუგოსლავიის საჰაერო დაბომბვები). ანალოგიურად, აღმოსავლეთ ტიმორი იყო გაეროს ადმინისტრაციის ქვეშ, 1999-2002 წლებში, არც ინდონეზიის ნაწილი და არც დამოუკიდებელი ქვეყანა. ეს იყო უფრო მზრუნველობა, ვიდრე პროტექტორატი.

ცხადია, არსებობს სხვა, ნაკლებად დრამატული კონტროლის მართვის გზები, მესამე მხარისათვის. ეკონომიკური რესურსები შეიძლება მივიღოთ როგორც დათმობები კერძო კომპანიებისთვის. მინისტრთა კაბინეტი შეიძლება მიღებულ იქნას საპარლამენტო უმცირესობებით ან ექსპერტებით, რათა ოფიციალური ადმინისტრაცია ქვეყნის მთავარ პოლიტიკურ განხეთქილებებს ავაცილოთ. ეს უკანასკნელი შეიძლება მნიშვნელოვანი ყოფილიყო, განსაკუთრებით არჩევნების დროს. ბანგლადეს აქვს ასეთი პირობა თავის კონსტიტუციაში.

მეექვსე, არსებობს კონფლიქტის მოგვარების მექანიზმების გამოყენების შესაძლებლობა, განსაკუთრებით საარბიტრაჟო ან სხვა სამართლებრივი პროცედურები, რომლებიც მხარეებს შეუძლიათ აღიარონ. ეს ნიშნავს პროცედურის პოვნას, რომელსაც კონფლიქტის მოგვარება შეუძლია ზემოხსენებული ხუთი გზის თანახმად, ხარისხის ამაღლებით, რათა ეს პროცესი მხარეთა “უშუალო კონტროლის” გარეშე განხორციელდეს. სამართლებრივი მექანიზმი ეფუძნება ნეიტრალიტეტის იდეას, მანძილისა და პრეცედენტების გამოყენებასა და ისტორიას. კონფლიქტის მოგვარების მექანიზმებს შორის, ჩვენ ასევე ვგულისხმობდით ახალი არჩევნების ჩატარებასა და რეფერენდუმის მოწყობას, რაც საკითხის ღიად დატოვებას ნიშნავს, თუმცა, წინასწარ განუსაზღვრული აუდიტორიის წინაშე. ამისათვის კონფლიქტის დამთავრების ლეგიტიმური გზა – კონფლიქტურმა მხარეებმა გამოიყენონ ხელსაყრელი შემთხვევა თავიანთი შეხედულებების წარმოსადგენად. კვლევებმა აჩვენა, რომ თუ მხარეები თვლიან, რომ მათ მიეცათ სამართლიანი შანსი, ისინი სავარაუდოდ მარცხს მეტად იგემებენ (ტილერი 2000). მთელი რიგი დავები გადაწყდა არბიტრაჟის გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ საზღვრის გადაწევა ერაცსა და ქუვეითს შორის სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, გადაწყდა

მხარეთა შორის დოკუმენტების გაცვლის საფუძველზე, მაგრამ გაეროს უშიშროების საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში. დემოკრატიული სისტემა ზოგიერთი დავის გადასაწყვეტად ახალ არჩევნებს ან რეფერენდუმს მიმართავს. ტერიტორიული საკითხები ასევე შეიძლება მოგვარდეს ამ გზით, მოსახლეობისთვის ხმის მიცემის უფლებით. ეს იყო შეთანხმების ნაწილი, რომელმაც ჩრდილოეთ და სამხრეთ სუდანს შორის შიდა კონფლიქტი დაასრულა, დამოუკიდებლობის შესახებ წარმატებული რეფერენდუმის გზით, 2011 წლის იანვარში.

მეშვიდე, საკითხები შეიძლება გადაიდოს ან თუნდაც დავინწყებას მიეცეს. კომისიის დანიშვნით, მხარეებს შეუძლიათ მოიგონ დრო და კომისიის ანგარიშით, პოლიტიკური მდგომარეობა და პოპულარული ურთიერთობები შეიძლება შეიცვალოს. ზოგიერთმა საკითხმა შესაძლებელია სარგებელი ნახოს იმ გარემოებით, რომ გადაიდოს, რამდენადაც მათი მნიშვნელობა უფერულდება, ან მცირდება მათი სიმბოლური ხასიათი. ეს არგუმენტი არაა ყველა პრობლემის ერთდროულად გადაჭრის გზა. თუმცა, ეს მოითხოვს მეორე შანსის არსებობას მათ წამოსაჭრელად. სინამდვილეში, მეორე შანსი მნიშვნელოვანია ან დამარცხების მისაღებად ან კომპრომისზე წასასვლელად. თუ არსებობს სანდო გზა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ამ საკითხის დაბრუნება მოგვიანებით ან ახალი არჩევნებში გადაქცევა, მაშინ შეთანხმება უფრო მისაღებია. მხარე არ ამტკიცებს, რომ ეს საკითხი ნაკლებად პრიორიტეტულია, მხოლოდ იმას ამბობს, რომ მისი დრო ჯერ არ მომწიფებულა. პირველი მექანიზმის შემთხვევაში, პირიქით, მნიშვნელოვანი ცვლილების პოზიცია არსებობს და მხარე არასდროს უბრუნდება წინა ხევადას.

3.6 კონფლიქტურ ანალიზში ძირითადი ელემენტების განსაზღვრა

არსებობა ან შეუსაბამობის დარღვევა, კონფლიქტის ანალიზის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს. ეს არის ცნობილი დინამიური მიდგომა, რომელიც მოცემულია ნაწილში 3.2. ასევე რაციონალური გაანგარიშების მიდგომის ფორმულირება მოცემულია ნაწილში 3.4, მაგალითად, პოზიციებსა და ინტერესებს შორის განსხვავებებითა და მხარეების გათვლებით.

ყურადღება გამახვილებულია მხარეთა საჭიროებებზე, როგორც მოცემულია ნაწილში 3.3, მოყვანილია დაკვირვებული **შეხვედულებები თვითონ მხარეებზე**, მათი საჭიროებები, ადქმები, ისტორია კონფლიქტს მიღმა. ეს არის ელემენტები, რომლებიც ასევე მნიშვნელოვანია რაციონალური გათვლების ანალიზისათვის. არსებობს ურთიერთობა კონფლიქტურ ქცევებსა და პოზიციების ცვლას შორის, როგორც ეს ქმედება-რეაქციის კუთხით და დიდი სიფრთხილით, რაციონალურად დაყოფილი ნაბიჯებით არის განსაზღვრული.

მთლიანობაში, სამივე მიდგომას ბევრი საერთო თვისება გააჩნია. შედეგობრივად ისინი, ყველა სასარგებლოა. ისინი სხვადასხვა ელემენტებს ასახავს კონფლიქტის პროცესში და როგორ შეიძლება მისი სამშვიდობო პროცესად გარდაქმნა. გამოსახულება 3.3 აღწერს ამას და გვთავაზობს ანალიზის ერთიან ჩარჩოს.

კონფლიქტის დინამიკა ილუსტრირებულია გამოსახულებაზე 3.3. არ არსებობს დამატარებელი არგუმენტები იმის შესახებ, რომ კონფლიქტი ყოველთვის იწყება ერთ ადგილას. უფრო ხელსაყრელია ვივარაუდოთ, რომ კავშირები არსებობს და უფრო არამყარია. სხვადასხვა ნაწილები მოითხოვს უფრო დეტალურ აღწერას. პირველ რიგში, კონფლიქტის ფორმირებისას ხდება მხარეების წარმოქმნა, რომელსაც ჩვენ მოვიაზრებთ, კონფლიქტის ანალიზის განუყოფელ ნაწილად. კონფლიქტის მოგვარების მიზნით, ზოგიერთი მხარე შეგნებულად იქმნება; სხვა შეიძლება შეიქმნას სხვა მიზნებისთვის. როდესაც მხარე ყალიბდება, ის იწყებს

თავის იდენტობის განვითარებას და საკუთარ თავს აკისრებს გარკვეულ როლს კონფლიქტში, რომლის ერთგულიც რჩება.

ისტორია, მხარის შემადგელობის დაკომპლექტებასა და დაფინანსებას გულისხმობს, მნიშვნელოვანია, რომ ასევე გავიგოთ მისი შიდა გადანწყვეტილებების მიღების პროცესი. თუ არსებობს საჭიროებები საზოგადოებაში, რომლებსაც მათი ქმედებები ადასტურებს მაშინ, რა თქმა უნდა, საჭიროა ყურადღება მიექცეს მათ. ასევე, წარმოადგენს თუ არა მხარე მოსახლეობის დიდ ნაწილს.

მეორე მხრივ, ცხადია, რომ შეუსაბამობის ანალიზი საჭიროა. როგორია კონფლიქტის ინტერესები, როგორია დამოკიდებულება მხარის ან მოსახლეობის ინტერესებს, პოზიციებსა და საჭიროებებს შორის, რომელიც ამტკიცებს, რომ მათ წარმოადგენენ? მხარეებს სავარაუდოდ აქვთ შიდა პრიორიტეტი ამ საკითხებთან მიმართებაში. ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა დანარჩენი. ანალიტიკოსისთვის მნიშვნელოვანია ასეთი იერარქიის იდეა ჰქონდეს. მესამე, ასევე არსებობს რიგი ქმედებები. კონფლიქტები გამწვავდა დესტრუქციული ქმედებებით, რომლებიც მიზნად ისახავს მეორე მხარის გავლენის შემცირებას და საკუთარი გავლენის გაზრდას. აქედან გამომდინარე, ეს ბოქსი ფიგურაში 3.3 არა მხოლოდ ფაქტობრივ ომს მოიცავს, არამედ ალიანსების შექმნას, მეგობრების მოძიებას და ფინანსების განთავსებას, ასევე ოპონენტის თავიდან არიდებას, რომ მანაც იგივე არ მოიმოქმედოს. ეს დანახულია, მხარეთა მიერ, როგორც მათთან ბრძოლის განუყოფელი ელემენტი. კონფლიქტის სტრატეგია ანალიზის მნიშვნელოვანი ელემენტია.

თუმცა, გამოსახულებაში 3.3 გაკეთებულია განაცხადი დიდი შედეგის შესახებ. ეს ამტკიცებს, რომ დინამიური მიდგომის შესაბამისად, ეს ქცევა შეიძლება შეიცვალოს და ასეთმა ცვლილებამ, სტრატეგიული კონფლიქტის შექმნაში, შესაძლოა სხვა მიმართულება მიიღოს. ეს აღწერილია, როგორც კონსტრუქციული ქმედება. ეს არის ქმედებები, რომლებიც მიმართულია, რომ მეორე მხარეს სიცარიელე აღმოეჩინოს. ეს მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა ნდობის აღდგენა, და ასევე ცალმხრივი ქმედებები. ამის კლასიკური მაგალითია 1977 წელს ეგვიპტის პრეზიდენტის სადატის იერუსალიმში ვიზიტი. ეს იყო მოულოდნელი ქმედება. ნათელი არ იყო.


როგორ მიიღებდა ისრაელის მთავრობა ამას. აშშ-ში კარტერის ადმინისტრაციის მხარდაჭერა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში დინამიკის ცვლილებას დაეხმარა. ასეთი ღონისძიებები იშვიათია და სარისკო, მაგრამ ბოლოდროინდელი ომების გამოსავალი მოიცავდა ცალმხრივ და კონსტრუქციულ ქმედებებს. ამრიგად, დაპირისპირებული მხარეების ქცევა არის კონფლიქტში ისეთი ელემენტი, რომელსაც თავად მხარეები ყველაზე მეტად დაკვირვებით უყურებენ. მაგალითად ისინი ითხოვენ, რომ პოზიტიურ განცხადებებს მოჰყვეს პოზიტიური ნაბიჯები.

სხვა შემთხვევაში, პირველი ითვლება პროპაგანდად და ეს უკანასკნელი, როგორც რეალობა, როგორც “კარგი ქმედებების” მტკიცებულება. ზოგჯერ არსებობს ქცევის ცვლილება, რომელიც, შესაძლოა, ცეცხლის შეწყვეტის მხარეებს შორის ტრადიციული სამშვიდობო გამიჯვნის გზით განხორციელდეს, გამოსახულება 3.3-ის უფრო ქვედა ნაწილი ერთვება ოპერაციაში. დინამიურ განვითარებას შეიძლება მოჰყვეს იმპულსი. მხარეებმა შეიძლება დაიწყონ შეთავსებადი პოზიციების მოძიება (საერთო საჭიროებები ან მთავარი მხარის ინტერესებზე პასუხისმგებელი ფორმულა) და როდესაც ისინი მოიპოვებენ მას, ასევე იქნება მცდელობა შექმნას ახალი სტრუქტურები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამის გამოვლენა.

გამოსახულება 3.3

სინთეზირების კონცეფციები კონფლიქტურ ანალიზში

კონფლიქტის მოგვარების თანდასცია



ეს შეიძლება იყოს მარტივი მოლაპარაკებების ფორმა, (მრავალმხრივი კონფერენციები) მაგრამ, ასევე მთავრობის გარდამავალი ფორმები ან სრულიად ახალი მუდმივმოქმედი ორგანოები (ევროკავშირი, (EU), რომლებიც შესაძლოა განიხილებოდეს, როგორც უფრო ადრინდელი ფრანკო-გერმანული კონფლიქტის დასრულების საშუალება, თუმცა ის უფრო ხშირად აღწერილია, როგორც მომავალში, მისი თავიდან აცილების ღონისძიება). კომპეტენციების გამოვლენა და ახალი ორგანიზაციების ჩამოყალიბება ნიშნავს იმას, რომ იქმნება ისეთი დინამიკა, რომელიც უფრო კონსტრუქციულ ქმედებას გამოიწვევს. ამგვარად, გამოსახულება 3.3 აღწერს ორ პროცესს, კონფლიქტის ფორმირების პროცესს და ესკალაციას, გამოსახულების ზედა ნაწილში და ერთს, როგორც მშვიდობიანობისა და საერთო ინტერესების გამოხატულებას ქვედა ნაწილში. ერთი **უაღრესად პრაქტიკული** ფიგურა შეიძლება ნაჩვენები იყოს, სტედმანის მიერ ხელშემშლელთა (**spoilers**) ფენომენისა და მენეჯმენტის წარმოდგენით. ისინი, არიან ის მხარეები, რომლებსაც არ აქვთ ინტერესი კონფლიქტის პროცესში, ეს გადმოტანილია ზემოდან უფრო ქვედა დონეზე გამოსახულებაში 3.3. თუ არსებობს სამშვიდობო შეთანხმება. როგორც ამას სტედმანი პოსტულირებს, მაშინ ხელშემშლელი მიზნად ისახავს დინამიკის თავიდან აცილების მიზნით, შემდგომი ქმედებების ქვედა დონეზე დაწევას. ეს უშუალოდ კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამგვარად, ძალადობრივი ქმედება შეიძლება გამოყენებულ იქნას კონფლიქტის ზედა დონეზე დაბრუნების მცდელობაში (ჰოგლუნდი 2008). წარმატებული სამშვიდობო ნაბიჯები, დროის მოცემულ მონაკვეთში, უშედეგოა.

როდესაც კონფლიქტი ჩაკეტილია გამოსახულების ზედა ნაწილში 3.3, საუკეთესო მხარეები ხელშემშლელებად გამოდიან, მანამ, სანამ ისინი, ყველა განაგრძობენ დესტრუქციული ქმედების ჩადენას. ამგვარად, როგორც სტედმანი აღნიშნავს, ეს აზრი უკავშირდება, ხელისშემშლელთა ფენომენს, სამშვიდობო შეთანხმებასთან ან მინიმუმ სამართლიანად მშვიდობიან პროცესებთან მიმართებაში. ამგვარად, ხელშემშლელი მხარეა, რომელიც ჯერ კიდევ რჩება ზედა დონის დინამიკაში, ამჯობინებს იქ ყოფნას, მინიმუმ მანამ, სანამ მისი შემხვედრი ინტერესი უპასუხოდ რჩება.

ეს ასევე, დამცველებისათვის განმარტავს იმის მნიშვნელობას, რომ სიტუაცია შეიცვალა და გადამწყვეტმა მოქმედებებმა გადაინაცვლა გამოსახულების ქვედა დონეზე 3.3. დამცველებმა მოქმედებაში უნდა აჩვენონ, რომ ისინი მზად არიან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად უფრო მაღალი დონის დინამიკისკენ გადაადგილდნენ.

ის ფაქტი, რომ ქცევა არის საკითხი, რომელიც აერთიანებს ორ დინამიკას, ნათელს ჰყენს მის ორმაგ ბუნებას. მას შეუძლია ხელი შეუწყოს ერთის ან მეორის განვითარებას, თუმცა, ასევე, წარმოადგენს შეერთებას, სადაც კონფლიქტურ დინამიკას შეუძლია შეცვალოს სიტუაცია ერთი მარყუჟიდან მეორეზე და ისევ უკან. ეს იმას ნიშნავს, რომ კონფლიქტები არ არის ერთბუნებოვანი, მაგალითად, რომელიც იმედგაცრუებიდან კონფლიქტის მოგვარებამდე მოძრაობს. ამის ნაცვლად, ისინი ვითარდებიან მოძრაობით და მორიგეობით, მოქმედების ცვლილებასთან ერთად, პოზიციები და მხარეები, ახალი იმედგაცრუებები და ახალი გაანგარიშებები ყველაფერი გავლენას ახდენს დინამიკაზე.

ეს ნიშნავს, რომ კონფლიქტები არ არის უბრალოდ ესკალაცია და დეესკალაცია, ან რომ ისინი ადვილად პროგნოზირებადი და გამოთვლადია. ისინი წარმოადგენენ ყველაფერ ამას ერთდროულად და ეს არის ის რეალობა, რომელსაც, ანალიზი უნდა გაუმკლავდეს.

მე-4 თავში ჩვენ დამატებით მოგაწვდით მასალებს კონფლიქტის ანალიზის შესადგენად, ამგვარად, ვასრულებთ ერთ ნაწილს და ვემზადებით ძირითადი თემების უფრო ახლოს გაცნობისა და ასევე, კონფლიქტის მოგვარების შესახებ ძირითადი კომპლექსური რეალობების უფრო დეტალური განსახილველად.

კონფლიქტის მოგვარების ანალიზი

პიტერ ვოლენსტინი⁶

4.1 ძირითადი და კომპლექსური ანალიზის დონეები

წინა თავებში ჩვენ კონფლიქტის კონცეფციის ზოგად გაგებაზე ვისაუბრეთ. ამის გაკეთება კონფლიქტის საწყის ეტაპზე აუცილებელია. ჩვენი ამოცანაა ი განვიხილოთ შეიარაღებული კონფლიქტები, და გავარკვიოთ რა როლი აქვს ამას კონფლიქტის მოგვარებაში. შეიარაღებული კონფლიქტი საერთო ფენომენის ერთი კატეგორიაა სოციალურ დაპირისპირებაში. მას გარკვეული, მკაფიო მახასიათებლები აქვს. ეს შეიარაღებული კონფლიქტიდან არ ღვივდება, რაც 3.3 სურათზე თანმიმდევრობით არის ილუსტრირებული, თუმცა მხოლოდ ქცევის ცვლილებებს არ მოიცავს. მას სხვა ასპექტებიც აქვს, რომელიც მხარეების სამ კონცეფციასთან არის დაკავშირებული, ასევე შეუთავსებლობასთან და ქმედებასთან. პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი ენიჭება დაპირისპირებაში, როდესაც საქმე შეიარაღებულ კონფლიქტთან გვაქვს. ამის მიზეზი 4.2 ნაწილშია ახსნილი.

არსებობს შეიარაღებული და შეიარაღებული დაპირისპირებები. ამგვარი კონფლიქტები მოიცავენ არა სახელმწიფოებრივ აქტორებს. კონფლიქტის ანალიზისთვის კი მათი განხილვა მნიშვნელოვანია. კონფლიქტის ანალიზი მხოლოდ ტრადიციულ დაპირისპირებებს ანუ სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს არ მოიცავს, არამედ ანალიზის თვალსაზრისით ნაკლებად შესწავლილ შიდა -სახელმწიფოებრივ დაპირისპირებებსაც გულისხმობს. ეს საკითხი განხილული იქნება ამ თავში.

შემდგომი საკითხია შეუთავსებლობა ანალიზის პროცესში, რომელიც შეისწავლის ორი სახის ერთმანეთთან დაკავშირებულ შეიარაღებულ კონფლიქტს. ეს არის შეუთავსებლობა პოლიტიკურ ძალაუფლებასა (გულისხმობს მთავრობებს შორის) და დაპირისპირებას ტერიტორიებზე ძალაუფლების გავრცელების მიზნით (ანუ ტერიტორიულ შეუთავსებლობას დაპირისპირებულ მხარეებს შორის), მესამე, როდესაც დაპირისპირება მერყეობს შეიარაღებულ კონფლიქტსა და უპირატესად შეიარაღებულ დაპირისპირებაში ამან შეიძლება მოახდინოს მხარეთა განცალკევება ზოგიერთ საკითხთა მიმართებაში. ეს ყველაფერი კონფლიქტის მოგვარების პროცესს ართულებს.

ეს მართო ძალადობის დასრულებას არ ნიშნავს. ეს გავლენას ახდენს როგორც მხარეებს შორის ურთიერთობებზე, ისე მათ შეუთავსებლობაზე. ამასთან, ეს განსხვავებები სამი ტიპის კონფლიქტში აისახება, რასაც კონფლიქტის ტრაქტომია ექვია. ეს არის დაპირისპირების შემადგენელი ძირითადი ნაწილები.

ამ წიგნისმეორე ნაწილი, რომელიც მე-5, მე-6 და მე-7- თავებს მოიცავს მთლიანად კონფლიქტის მოგვარების ანალიზს ეძღვნება. კონფლიქტის ანალიზის პროცესში უფრო რთული დონეც არსებობს. დაპირისპირებები ხშირად დაკავშირებულია ერთმანეთთან, სადაც მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ ალიანსები, სინამდვილეში იგივე საზღვრები ან სოციალური დაყოფა უნდა იყოს. შეუთავსებლობას შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ რეგიონულ

6 Wallensteen Peter. "Analyzing Conflict Resolution." In Understanding Conflict Resolution, 63-84, London, SAGE Publications, 2015.

ან გლობალურ კონფრონტაციებში.. ეს გათვალისწინებული უნდა იქნას. გარდა ამისა, ხშირია ჩართულობა გარე აქტორების მხრიდან, რომელიც კომპლექსურ, ყოვლისმომცველ ანალიზში უნდა ჩაითვალოს. კომპლექსური დონე არის წიგნის მესამე ნაწილში, სადაც ხუთ თავში გათვალისწინებულია ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც კონფლიქტის წარმოშობის სრულად გააზრებას ემსახურება.

4.2 სახელმწიფოს როლი

აქტორები კონფლიქტში

კონფლიქტის ცნების და კონფლიქტის მოგვარების დეფინიციები მხარეების შესახებ ინფორმაციას არ შეიცავენ. მესამე თავში ისინი მოხსენიებულია როგორც აქტორები ან მხარეები ზოგადი მნიშვნელობით. თუმცა, ომის სტატისტიკის შეგროვებისთვის გამოყენებული განმარტებები აღწერილია მიჩიგანის და უფსალას პროგრამებში. მე -2 თავში შეიარაღებული კონფლიქტები სოციალურ ურთიერთობებთან შედარებით შეზღუდულია (აქ არის ასევე მზარდი ინტერესი არასახელმწიფო ძალადობის მიმართ). ისინი კონცენტრირებული არიან კონფლიქტებზე, სადაც მხარედ სახელმწიფოა წარმოდგენილი. კონფლიქტების თეორიების უმრავლესობაში გამოყენებულია მსგავსი შეზღუდვები, სხვადასხვა შემთხვევების განხილვის დროს. მკვლევარების პრაქტიკა უფრო თავშეკავებულია, ვიდრე მათი თეორიები მოითხოვს.

სინამდვილეში, კონფლიქტის მოგვარების შესწავლა არის ორი განსხვავებული აზრის შერწყმა. კონფლიქტის თეორიის მიზანია კონფლიქტის ზოგადი გააზრების განსაზღვრა. მაგალითად, ის პარალელს ავლებს პიროვნებებს და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებს შორის. თუმცა ის ცდილობს ზოგადი ინტერპრეტაცია მოძებნოს. ეჭვგარეშეა, რომ საინტერსო გაკვეთილებს მივიღებთ, კონკრეტული შემთხვევების შესახებ ფარული ინფორმაციის მიღებით და მისი დინამიკის განსაზღვრით.

მეორე საფეხური არის ომის გამომწვევი მიზეზების შესწავლა, რომელიც მიზნად ისახავს ზოგადად ისტორიაში არსებული ომების გაანალიზებას. შესწავლას, იდეალურია ყველა ომის გათვალისწინება და გამოვლენილი მსგავსებების ემპირიულად შესწავლა. ეს მოითხოვს ზოგად განსაზღვრებებს დროსა და სივრცეში, რათა შესაძარებელ ფენომენს მიაღწიონ. მისი ღირებულება იზრდება დიდი და ხანგრძლივი ინტერვალით. სახელმწიფო სტაბილური აქტორია, რომელიც შეესაბამება შედარებას, მაგალითად, ნაპოლეონის ომის დასრულების შემდეგ (1816 წლიდან ან ვესტფალიის სამშვიდობო ზავის შემდეგ, 1648 წლიდან). ამ ორი ფენის შერწყმა საერთო კონფლიქტების მოგვარების თეორიის შესწავლის მიზნით ემპირიულ სირთულეებს წარმოშობს. მაგალითად, შეიძლება გაანალიზდეს შემთხვევები, მაგრამ რამდენად ტიპურია ისინი ზოგადი ფენომენისთვის? შეიძლება სახელმწიფო შევადაროთ ადამიანს, სოციალურ ჯგუფს ან სოციალურ ინსტიტუტს? ანალოგიურად, ომის კვლევების მიზეზების გამო შეგროვებული მონაცემები ხშირად კონფლიქტის თეორიის მიზნებისთვის კარგად გათვლილი არ არის. კონფლიქტის დასასრული იშვიათად არის გააზრებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეწყვეტის თარიღის მიზეზები იძებნება, მაგალითად, ორი ფენის შერწყმა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს.

უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა კონფლიქტის მოგვარებას ეძღვნება. მიუხედავად ამისა, ის თავდაპირველად კონფლიქტის ტიპებით შემოიფარგლა, რაც ომის შესახებ გამოკვლევებს მოიცავდა. დღის წესრიგი გაფართოვდა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო კონფლიქტების შესწავლა არასახელმწიფო სუბიექტებსა და ცალმხრივი ძალადობის ქმედებებს შორის. ამგვარი კონფლიქტების გადანყვება თანდათან დღის წესრიგში შევიდა, რათა კონფლიქტის მოგვარების გააზრება მოხდეს უახლოეს წლებში.

პიროვნებებს და სახელმწიფოებს შორის კონფლიქტები, განსაკუთრებით ლიდერებს შორის ურთიერთობები, დაახლოების ღირებულ წერტილად იქნა აღიარებული. მაგალითად, კონსერვანტ რესპუბლიკელ პრეზიდენტს, რონალდ რეიგანსა და კომუნისტური პარტიის საბჭოთა გენერალურ მდივანს, მიხეილ გორბაჩოვს შორის, პირველი შეხვედრა 1985 წელს შედგა, რომელიც, როგორც ჩანს, გავლენას ახდენდა მსოფლიო მოვლენებზე. 2000-იანი წლების დასაწყისში, აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშსა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შორის ურთიერთგაგება დიდხანს არ გაგრძელებულა. 2014 წლისთვის, აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და პუტინს შორის ურთიერთობა ცივი იყო. რა თქმა უნდა, ისინი შეხვდნენ, როგორც სახელმწიფო ლიდერები, მაგრამ ეს მათ პირად ურთიერთობებსაც შეეხო. რა კუთხით გვსურს შეიარაღებული კონფლიქტის დროს კონფლიქტის მოგვარების საკითხს მივუდგეთ, ამ თემაზე სახელმწიფოს ანალიზი გარდაუვალია.

სახელმწიფოს სპეციალური როლი

ბევრი დასაბუთებული მიზეზი არსებობს თეორიულად იმისთვის, რომ სახელმწიფო შეიარაღებულ კონფლიქტში და მის მოგვარებაში ძირითად აქტორად მივიჩნიოთ. სახელმწიფო, პოლიტიკულ მეცნიერებაში გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ფიზიკური ძალადობის ერთადერთი ლეგიტიმური მომხმარებელია საზოგადოებაში (ვებერი 1964: 154-6). თუმცა ის ყოველთვის ერთვება შეიარაღებულ კონფლიქტში როცა ამის საჭიროება არის. ძალაუფლების განაწილება მხოლოდ სახასიათო ნიშნებით განსხვავებას არ გულისხმობს. არსებობს ფისკალური, ტერიტორიული და იდეოლოგიური მონოპოლიები. ამ ოთხი მონოპოლიის პარალელურად განხორციელება უზრუნველყოფს საერთაშორისო დონეზე სახელმწიფოს თანმიმდევრულობას და დამოუკიდებლობას. ეს შემდგომ განვითარებას მოითხოვს.

სახელმწიფოს ფისკალური მონოპოლია აქვს. სახელმწიფო ერთადერთი ერთეულია, რომელსაც გადასახადების და ტარიფების დაწესება შეუძლია, სადაც მაცხოვრებლებმა გარკვეული თანხა უნდა გადაიხადონ იმ მომსახურების სანაცვლოდ, რომლის მიწოდების და ხარისხის შეამონმების საშუალება არ აქვთ, რადგან არჩევანი შეზღუდულია.

ფისკალური მონოპოლია უნიკალურია და სხვა მონოპოლიებისგან განსხვავდება, რომელსაც შეუძლია ბაზარზე კორპორაცია განახორციელოს ან პროფესიული კავშირი იყენებს კომპანიის წევრებს. ცენტრალურ სახელმწიფოს შეუძლია სხვათა უფლებების და მოვალეობების გადაცემა, მაგალითად, ფედერაციაში, ადგილობრივ თემებში ან სხვა ერთეულებში თუმცა ეს ძალაუფლება სახელმწიფოს უფლებიდან მოდის, რომ საგადასახადო შემოსავლები შეაგროვოს. ეკონომიკური ისტორიკოსების წერილებში, სახელმწიფოს ფინანსური მონოპოლია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს წარმოშობისა და მრდისთვის, სხვა ორგანიზაციულ ერთეულებთან შედარებით (ტილი 1990).

სახელმწიფო თავისი ტერიტორიის ფარგლებში ერთადერთი ლეგიტიმური ორგანოა და სხვა აქტორებისგან, მემობელი სახელმწიფოებისგან, ამ ხელისფლების შენარჩუნებას ელოდება. საზღვარი მხოლოდ ტერიტორიული გამოყოფის ხაზი არ არის, არამედ გეოგრაფიული ამოცანაა, სადაც საზღვრის გადალახვის ყველა საშუალება უნდა იყოს დაცული. თუმცა საზღვრის გადაკვეთა უფრო მეტად ურთიერთდამოკიდებული სამყაროა, საზღვრის ორივე მხარეს მთავრობების ინტერესია, რომ მეორე მხარესაც არსებობდეს კონტროლი. სხვა შემთხვევაში საზღვრისპირა რეგიონები შეიძლება გახდეს ბაზა არალეგიტიმური

აქტორებისთვის, როგორც კრიმინალური დაჯგუფებები, ნარკომოვაჭრები ან პარტიზანული ჯგუფები, რომელიც მიმართულია ერთი ან ორივე მთავრობის წინააღმდეგ. საზღვარი აღარ არის მხოლოდ დაუცველი ფრონტის ხაზი, მეორე მხარეს მყოფი უცნობი ან მტრული აქტორის წინააღმდეგ.

საზღვრები საერთო ინტერესების გაზიარების ხელშემწყობი ფაქტორია. სხვა საინტერესო შემთხვევაში, ჰუმანიტარული შეხედულებები სახელმწიფო ხელისუფლების დღის წესრიგის შეცვლას ახდენს, რადგან სახელმწიფო განიხილება ადამიანის უფლებათა ან ჯგუფების გარანტად. ერთი სახელმწიფოს მიერ ამ ქმედების წარუმატებლობა შეიძლება სხვა სახელმწიფოების მხრიდან საერთაშორისო სანქციების დაწესება გამოიწვიოს. სინამდვილეში, 2005 წლის მსოფლიო სამიტმა ნიუ-იორკში დაადასტურა პრინციპი, რომ ასეთ შემთხვევებში საერთაშორისო ვალდებულებაც არსებობს იმისთვის, რომ მოსახლეობა დაიცვა. სამოქალაქო საზოგადოების დაცვამ საერთაშორისო ქმედებებში გაეროს-ს ჩართულობა გამოიწვია.

ამ ელემენტების გარდა, ასევე ამკარაა, რომ სახელმწიფო, კერძოდ, განათლების სისტემის კონტროლიდან გამომდინარე, ოფიციალური მოსაზრების შემოქმედია, სახელმწიფო თავად აყალიბებს მოსაზრებებს იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ის. აქვე არსებობს იდეოლოგიური ფუნქციაც თითოეული ქვეყნისთვის, მთავრობა თავად ახდენს იმის ინტერპრეტაციას, თუ რა როლს თამაშობს სახელმწიფო. იგი მთელ რიგ დებატებს განსაზღვრავს სახელმწიფოში, მაგრამ ამავე დროს შესაძლოა პოლიტიკური ხელმძღვანელობისთვის ხელმისაწვდომი ვარიანტები შეიზღუდოს. ეს საბაჟო ქცევის დამდგენი პარამეტრების მიღმა არ იმოქმედებს. ამდენად, სახელმწიფო განსაზღვრავს და გამოხატავს იმ გზას, რომელშიც საზოგადოება აღწერს თავის ისტორიას, ღირებულებებისთვის იღწვის და მითებს აღადგენს, რათა თავისი არსებობის ლეგიტიმაცია მოახდინოს. ეს იდეოლოგიური ლიდერობაა, რომელიც ახასიათებს ძირითადად არა-დემოკრატიულ ქვეყნებს და ბევრ უფრო დახვეწილად წარმოჩნდება ღია საზოგადოებაში.

ყველა ამ როლს შეუძლია სახელმწიფო როგორც აქტორად, ისე ობიექტად აქციოს. სახელმწიფო რომ აქტორია ეს ამკარაა. ეს არის ის გზა, რომლითაც პოლიტიკა კეთდება, ასევე ხელმისაწვდომია ინსტრუმენტები, რომელიც ამისთვის გამოიყენება (ადმინისტრაცია, პოლიცია, სამხედრო ძალები, გადასახადების შეგროვება ა.შ.). სახელმწიფო რომ კონფლიქტის ობიექტია ესეც ცხადია. ეს სახელმწიფოს რესურსებით მდიდარ აქტორად ხდის, სავარაუდოდ უფრო მეტიც შეიძლება იყოს, ვიდრე ღარიბ ქვეყანაშია. ხანდახან სახელმწიფო საზოგადოებაში სიმდიდრის ერთადერთი მიმწოდებელია. ძალადობის კონტროლი მიუთითებს იმაზე, რომ ძლიერი სამხედრო და პოლიციური აპარატი არსებობს, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით, მაგრამ მიმზიდველი კონტროლით. ეს იწვევს ჯგუფებში კონკურენციის გააქტიურებას. იდეოლოგიური ფუნქცია ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მექანიზმები შეიძლება გამოყენებულ იქნას პერსპექტივების გადასაცემად და იმ ღირებულებების ლეგიტიმაციისთვის, რომელიც მთლიანად საზოგადოებას გაუძღვება. ეს შეიძლება იყოს ინსტრუმენტი, რომელის ჯგუფებს შეუძლიათ აკონტროლონ. სახელმწიფოს მხრიდან მონოპოლიის ოთხი ფუნქცია- ფისკალური რესურსები, ტერიტორიული კონტროლი და იდეოლოგიური ლიდერობა, სათითაოდ ან ოთხივე ერთად, სახელმწიფოს კონკრეტული პერსპექტივების განხორციელებაში ეხმარება, იქნება ეს მარცხნივ, მარჯვნივ, რელიგიურ, სეკულარულ, დემოკრატიულ, ნაციონალისტურ ან სხვა ორიენტაციის საფუძველზე.

ის, ვინც სახელმწიფოს მოქმედებას თავისი სახელით აკონტროლებს, სახელმწიფო სამართლებრივი სისტემები საკუთარი მიზნებისათვის შეუძლია გამოიყენოს.

სახელმწიფო, შესაბამისად, უნიკალური აქტორია და ვერცერთ პოლიტიკურ პარტიას, პარტიზანულ მოძრაობას ან ბიზნეს კორპორაციას, ვერ შეედრება. ამას შეიძლება ბევრი მიზეზი ჰქონდეს, მაგრამ არ ექნება ლეგიტიმაცია, რომელიც სახელმწიფოს მოსდევს. თუმცა მაინც არსებობს ლიმიტი. თუ სახელმწიფოს ამ ფუნქციების შესრულების უნარი არ აქვს, მისი ძალა, როგორც აქტორის და მისი ღირებულება, როგორც ობიექტის, მცირდება. ეს არის მეტრძოლი პოლიტიკის ფენომენის არსი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შეინიშნება (დუფილდი 1998; რენო 1998). 1990-იანი წლების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო სახელმწიფოს მარცხის ფენომენმა ქვეყნის ისტორიაში. ეს არის საკითხი, რომელიც კონფლიქტის დინამიკას და მოგვარებას ეხება. ჩვენ ამ საკითხს დავუბრუნდებით მეორე ან მესამე ნაწილში. თუმცა, ის მნიშვნელოვან თეორიულ და ნორმატიულ საკითხებს აყენებს, რაც დაუყოვნებლივ უნდა განვიხილოთ.

ნათლად ჩანს, რომ სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, დილემაში აღმოჩნდა. თუ ის ძალიან ძლიერია, ამაზე მას მძაფრი რეაქცია ექნება. თუ ის სუსტია, ის სავარაუდოდ უარყოფილი იქნება. პირველი ილუსტრირებულია საბჭოთა კავშირის მიერ თავისი არსებობის მანძილზე. მეორე 1990-იანი წლებიდან სომალში გამოვლინდა. კონტინუუმი ორივე ბოლოს მოითხოვს გააზრებას. როდესაც სახელმწიფო ძლიერია, მას შეუძლია საზოგადოებაში შიში დანერგოს და ამ გზით მართოს მოსახლეობა. ტოტალიტარული სისტემები შეიძლება შენარჩუნდეს გარკვეული დროის განმავლობაში, მაგრამ ამის გაკეთება მათ რეპრესიის ხარჯზე უწევთ და საბოლოოდ კონტრ-რეაქციას ეჯახებიან. თუ ცენტრალურ კონტროლს ეკონომიკური ზრდასთან გავაერთიანებთ, ბენოლა შეიძლება გაქარწყლდეს, მაგრამ ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალი მოთხოვნა სამეწარმეო ჯგუფებიდან და რესურსებით მდიდარი პლეადიდან. გარდა ამისა, ტოტალიტარული რეჟიმები შიშს ნერგავს არა მხოლოდ საკუთარ მოქალაქეებს შორის, არამედ მეზობლებს ქვეყნებშიც. გლობალური ურთიერთობებიც კი შეიძლება დაზარალებული იყოს. 1949 წელს ჩინეთში კომუნისტური პარტიის მმართველობის შედეგად ძალების კორელაცია მკვეთრად შეიცვალა. იგივე მოხდა 1933 წელს როდესაც გერმანიაში ტოტალიტარული რეჟიმი მოვიდა ჰიტლერის ხელმძღვანელობით. ეს გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები დამოკიდებულია არა მარტო სახელმწიფოებს შორის უშუალო ურთიერთობებზე, არამედ მხარეთა შიდა პირობებზეც.

ტოტალიტარულ რეჟიმებსა და დემოკრატიულ ძალებს შორის ურთიერთობა განსაკუთრებით სადავოა. ეს იყო XX საუკუნისთვის დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც ახალ ქვეყნებს რჩება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში დასავლური შეხედულებები დომინირებს ჩინეთთან, ვიეტნამთან, ჩრდილოეთ კორეასთან, მიანმართან, ირანთან, ერაყთან, ავღანეთთან და სირიასთან ურთიერთობებში.

როდესაც სახელმწიფო ძალიან სუსტია, განსხვავებული დინამიკა შეინიშნება. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ვერ იცავს კანონს და წესრიგს, ვერ აკონტროლებს იარაღის ნაკადს და ვერ ახერხებს გადასახადების შეკრებას. სახელმწიფოს ფუნქციები დიდწილად ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან. შემოსავლების შეგროვების მიზნით სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს სარწმუნო სამართლებრივი საშუალებები და საიმედო პოლიციური სისტემა. ეფექტური პოლიციისა და სამართლებრივი სისტემის მხარდასაჭერად მას შემოსავალი სჭირდება. შემოსავალი გროვდება მოქალაქეებისგან, ეკონომიკური ოპერაციებიდან და ორმხრივი გადაკვეთებისგან. იმისათვის, რომ სახელმწიფომ ამის გაკეთება შეძლოს, მას უნდა ჰქონდეს ეფექტური კონტროლი მის ტერიტორიაზე. ეს მოითხოვს სამხედრო რესურსებს და პოლიციას. ეს არის ურთიერთქმედება, როცა ინდუსტრიული, რესურსებით

მდიდარი სახელმწიფო არის ძლიერი და ადამიანის აზროვნებაზე ახდენს გავლენას. მწირი რესურსების ქვეყნებში სხვა დანამატები უფრო ძლიერია. უსაფრთხოების და კეთილდღეობის მიმწოდებელი შეიძლება იყოს კლანის ლიდერი, რომელსაც კლანის განკარგულებაში არსებული რესურსების გაზრდა სურს. ამდენად, სახელმწიფო სირთულეებს აწყდება. სომალი გარკვეულწილად წარმოადგენს კონფლიქტურ კლანებს. თუმცა ეს არ არის სრული ისტორია, რადგან კლანური თანამშრომლობის სხვა მაგალითები და კონფლიქტის მოგვარების ადგილობრივი ფორმებიც არსებობს (ფოქსი 1999).

კონკურენტი ძალები შეიძლება იყოს სხვა აქტორები, განსაკუთრებით ისეთი კომპანიები, რომლებიც დაინტერესებული არიან წიაღისეულის მოპოვებაში (როგორც ჩვენ ეს ვნახეთ აფრიკის სხვა ქვეყნებში, როგორცაა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა). სახელმწიფო ლიდერებმა შეიძლება რელიგიური ჯგუფების როლი მოირგონ, რომელთაც სურთ, რომ თავიანთი წესრიგი დაამყარონ სხვათა წინააღმდეგ (მაგ: ასეთი შემთხვევები შეიძლება დამონმებული იყოს ავღანეთში და ერაყში). ამდენად ძალიან სუსტი სახელმწიფო შიდა სახელმწიფო ომებს იწვევს; ძალიან ძლიერმა სახელმწიფომ შეიძლება იგივე გააკეთოს. ორივე შემთხვევას შეიძლება ჰქონდეს საერთაშორისო გამოძახილი. მშვიდობისთვის იდეალური მდგომარეობის მიღწევა ადვილი არ არის. დემოკრატია გამოვლენილია ერთ-ერთ ელემენტად (რუსეთი 1993), მაგრამ ეს არ შეიძლება საკმარისი იყოს მსოფლიოს ყველა კონფლიქტის მასალის გასაცნობად.

გლობალური სისტემა

სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთქმედება აღწერილია, როგორც საერთაშორისო სისტემა. ზოგიერთი მწერლის აზრით, ეს არის ცალკე სისტემა, რომელიც შეიძლება გაგებული იყოს უსაფრთხოების დილემის ობიექტივით. თუნდაც სახელმწიფოს თავდაცვითი მიზნები შეიძლება სხვა სახელმწიფოსთვის საფრთხედ განიხილებოდეს, ასეთი ქმედება ჩანს, როგორც მუქარა. ეს არის უსაფრთხოების დილემა, რომელიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ (ვოლცი 1979). მიუხედავად იმისა, რომ ძლიერი თეორიული შეხედულებაა, უსაფრთხოების დილემის ცნება გარკვეულ მოსაზრებებზე ამახვილებს ყურადღებას, სახელმწიფოს გადარჩენა ქვეყნების მთავარი მოტივია, ძლიერ და თანმიმდევრულ ქვეყნებს შორის ომი უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი საზრუნავია. ამგვარი ვარაუდები მართებული არ არის, როდესაც მსოფლიოში შეიარაღებული კონფლიქტების მთელ სურათს ვხედავთ. უფრო ხშირია ომი შიგნით, ვიდრე სახელმწიფოებს შორის (იხ. ცხრილი 4.1 გვ. 74). სახელმწიფოები ნადგურდება (როგორც აღწერილია) და მრავალი სხვა აქტორი არსებობს. ამგვარად, საერთაშორისო სამართლისა და გაეროს ქარტიის ფარგლებში სახელმწიფოთაშორისი სისტემა არის მხოლოდ ერთი ქვესისტემა, თუმცა მნიშვნელოვანია - გლობალური სისტემა. ეს არის ბინძური (messier), ნაკლებად სტრუქტურირებული ურთიერთობების კომპლექტი, რომელიც სხვა აქტორების ინტერესებსაც მოიცავს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფოთაშორისი სისტემა, რომელიც ხშირად აღწერილია, როგორც ანარქისტული, როგორც ჩანს, საკმაოდ სტრუქტურირებულია და პროგნოზირებად წესებს ეფუძნება. მოდით ეს საკითხი მოგვიანებით განვიხილოთ.

პირველ რიგში, სახელმწიფოთაშორისი სისტემა მიიჩნევა, რომ ქვეყნები შეიძლება ადვილად განისაზღვროს. ქვეყნების რიცხვი მსოფლიოში შეზღუდულია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში განწევრიანებულია 193 სახელმწიფო (2014 წლის მონაცემებით). ათი დამატებითი ორგანიზაცია არსებობს, რომლებიც გაერთიანებული ორგანიზაციის უმრავლესობით აღიარებულნი არ არიან და არც მოიაზრებიან (ჩინეთის რესპუბლიკა, ტაიბეი,

როგორც ცნობილია როგორც ტაივანი, ეს არის ერთი შემთხვევა; კოსოვო არის მეორე შემთხვევა, მაგრამ უფრო წარმატებული, ახლა გაეროს წევრი ქვეყნების ნახევარზე მეტმა აღიარა). გარდა ამისა, არაღიარებული სახელმწიფოების კატეგორია არსებობს, რომლებიც დე ფაქტო არსებობენ, მაგრამ ცენტრალური ხელისუფლების მიერ არ არის აღიარებული და შესაბამისად არც სხვა სახელმწიფოების: სომალილენდი, ჩრდილოეთ კვიპროსი, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი. ესენი სახელმწიფოების მსგავსი ტიპის კატეგორიას, არა-სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან. კერძოდ, სომალილენდმა, რომელიც ყოფილი ბრიტანეთის კოლონიას - სომალის შეესაბამება, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა აშკარად მოახერხა და ქვეყნის დამოუკიდებლობა შეინარჩუნა, დანარჩენი სომალის დაშლის მიუხედავად (ფოქსი 1999). თუმცა არცერთ სახელმწიფოს ჯერ ამ ქვეყნის არსებობა არ უღიარებია. ნაწილობრივ, ეს ეფუძნება შიშს, რომ აფრიკის შემადგენლობიდან გამოსვლის სტიმულირება ან ლეგიტიმაცია მოხდება. ერიტრიის შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოები არ აღიარებდნენ ახალ სახელმწიფოს მანამ, სანამ ეთიოპიასთან დამოუკიდებლობის პროცედურაზე შეთანხმებას არ მიაღწიეს, რომელმაც ისინი 1993 წელს ორმხრივ შეთანხმებამდე მიიყვანა სახელმწიფოებრიობისკენ მიმავალ გზაზე. 1983 წელს ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებამ თურქეთის მხრიდან მისი დიპლომატიური აღიარება გამოიწვია, მაგრამ გაერომ დეკლარაცია უკანონოდ გამოაცხადა. კვიპროსის რესპუბლიკა ამ სუბიექტს არ ცნობს. ტენდენცია არსებობს, რომ ყოფილ ცენტრალურ, ზოგჯერ კოლონიურ ქვეყნებს, ვეტოს მინიჭების ძალაუფლება გადაეცეს იმ ახალ ქვეყნებზე, რომლებიც წინა ცენტრის კონტროლის ქვეშ მოქმედი ტერიტორიიდან წარმოშობილი სახელმწიფოებია.

1990 წელს საბჭოთა კავშირში რამდენიმე სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. იმ დროს ლიტვა მხოლოდ ისლანდიის მიერ იქნა აღიარებული. წამყვან სახელმწიფოებს არ უნდოდათ გაეროსკაბო გორბაჩოვის, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის მთლიანობაში, ლიდერობა. კოსოვოს საბოლოო სტატუსის შესახებ შეთანხმება, ჩვეულებრივ, სერბეთის თანხმობას მოითხოვს (იუგოსლავიის მემკვიდრე), მაგრამ კოსოვომ 2008 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მოგვიანებით, იმავე წელს, აფხაზეთმა და ოსეთმა იგივე ნაბიჯები გადადგეს, მათი დამოუკიდებლობა დაუყოვნებლივ რუსეთმა აღიარა და რამდენიმე სხვა სახელმწიფომ. თუმცა ცენტრალური ხელისუფლება, საქართველო, ამას არ დაეთანხმა. ბევრმა სახელმწიფომ ამ ორი სუბიექტის აღიარებაზე უარი თქვა, ხოლო კოსოვო საერთაშორისო მხარდაჭერით სარგებლობს.

ამრიგად, არსებული სახელმწიფოების თანაფარდობა ნაკლებია, ვიდრე ახალი სახელმწიფოების შექმნის მონვევა. ამ თავშეკავების გათვალისწინებით, ჯერ კიდევ სავარაუდოა, რომ ახალი სახელმწიფოები უახლოეს წლებში ჩამოყალიბდებიან და საბოლოოდ გაეროში დასახდებიან. არაღიარებული სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ აღიარებას, როგორცგზას უსაფრთხოების დასაცავად. ბევრი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მოქმედენ როგორც აღიარებული სახელმწიფოები და ხშირად ამ ქვეყნების მსგავს მოდელს ირგებენ. ეთნიკურად მრავალფეროვანი ქვეყნების ფრაგმენტაციის პროცესი, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო, სავარაუდოდ გაგრძელდება. დღესდღეობით 200-მდე სახელმწიფოს მსგავსი გაერთიანება არსებობს. ეს რიცხვი შეიძლება გაიზარდოს უახლოეს წლებში, ერთი ან ორი სახელმწიფოს დამატებით ყოველწლიურად. სავარაუდოა უფრო დრამატული ზრდა, თუ ძირითადი, კოლონიური ტიპის იმპერია დაიშლება. 1945 წლიდან მოყოლებული ჩანანერი გვიჩვენებს, რომ ყოველ ათწლეულში ერთხელ მსგავსი შემთხვევა მაინც არსებობს. 1940-იან წლებში მოხდა ბრიტანეთის იმპერიის დაშლა სამხრეთ-

აღმოსავლეთში. 1950- იან და 1960 - იან წლებში ინდოჩინეთში და აფრიკაში საფრანგეთის კონტროლი დასრულდა. ბრიტანეთის კოლონიური მფლობელობის დასასრული აფრიკაში შეიძლება დათარიღდეს 1957 წლიდან, ათწლეულის განმავლობაში, მაშინ როცა განა დამოუკიდებელი გახდა.

1970-იან წლებში პორტუგალიის იმპერიის განადგურება აფრიკაში, განმათავისუფლებელი ომების მეშვეობით იქნა მიღწეული. 1980-იანი წლების პროცესი იყო წყნარი ოკეანის კუნძულების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და 1990-იანი წლების დასაწყისში იმპერიის კომუნისტური იმპერიების დაშლა. ახალი ქვეყნის ფორმირების პროცესი არ არის დასრულებული, მაგრამ ეს არ არის შეზღუდული პროცესი. ძალების კომპენსაცია არსებობს, მათ შორის სახელმწიფოების არსებული შესაძლებლობები, რომლებიც უმცირესობათა უფლებებს სწავლობენ (გური 2000ა, 2000ბ).

თუმცა 1989 წლიდან 144 შეიარაღებული კონფლიქტია აღრიცხული უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამის მხრიდან, შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტების უმრავლესობაში აქტორს მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრი სხვა არსებული მხარეებიც იყვნენ. ისინი განისაზღვრება, როგორც ოპოზიციური ორგანიზაციები ან შეიარაღებული არა-სახელმწიფო აქტორები. უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა 1000 ასეთ აქტორს ითვლის. ზოგიერთი მათგანი სახელმწიფოების მიერ აღიარებულია, რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ის ქვეყნები, რომელთა წინააღმდეგაც იბრძვიან. ისინი სხვადასხვაგვარად განისაზღვრება, როგორც ტერორისტები, ბანდები, ბანდიტები, კრიმინალური დაჯგუფებები და ა.შ. ასეთი აღწერილობა ზოგჯერ შეიძლება იყოს ზუსტი, ზოგჯერ არა. ამ ორგანიზაციების ნაწილი მოლაპარაკებებში შედის, ხანდახან ომებშიც კი იმარჯვებს. მათი ლიდერები შეიძლება გამოჩნდნენ, როგორც გონივრული მმართველები, ან თუნდაც განათლებული სახელმწიფო მოღვაწეები მიუხედავად იმ იარლიყებისა, რომელიც მათ ჰქონდათ მიკრული (მაგალითად, სამხრეთ აფრიკაში ნელსონ მანდელა, შანანა გუჟმაუ აღმოსავლეთ ტიმორში, მენაჩემი ისრაელში).

ზოგჯერ, ორგანიზაციები პოლიტიკურ პარტიებად ან ლეგიტიმურ შეიარაღებულ სტრუქტურებად გადაიქცევიან (ყოფილი განმათავისუფლებელი არმია UCK/KLA საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ კოსოვოს ომებში, 1999 წლის ომის შემდეგ სამოქალაქო დაცვის კორპუსის სახით გადაიქცა). სხვა ორგანიზაციები ისტორიას დაამახსოვრდა, როგორც არაცივილიზებული, სასტიკი და არალოგიკური. ბოლო მაგალითებია ალ-ქაიდას ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ოსამა ბინ ლადენი; ზოგადად, 2001 წლის 11 სექტემბერს ვაშინგტონში, ნიუ-იორკისა და პენტაგონის მსოფლიო სავაჭრო ცენტრის თავდასხმის ინსპირირება მოხდა. რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფებას ალ-ქაიდას მოსასხამს (mantle) უწოდებენ, რომელიც მდებარეობს მაროკოში, ალჟირში, ერაყში, სომალში, იემენში ან პაკისტანში. ცოტა ხნის წინ, ისლამური სახელმწიფო ერაყსა და სირიაში (ISIS) ცნობილი გახდა თავისი სისასტიკით, დევნით და გამოსახლებით. განსაკუთრებით კი არა-მორწმუნეების წინააღმდეგ, რომლებიც მათი კონტროლის სფეროში არიან (რელიგიური წმენდა, ეთნიკური ვერსიის პარალელურად დაფიქსირდა სხვა კონფლიქტები). ისტორიული პრეცედენტები არსებობს. მაგალითად, ავსტრიულ-უნგრეთის მონარქის ტახტის მემკვიდრის მკვლელობას პირველი მსოფლიო ომი მოჰყვა. ეს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ ჩატარდა, რომელიც მეზობელი სერბეთის მიერ იყო დაკავებული. მართლაც მკვლელებს და ანარქისტებს ტერორისტებს უწოდებდნენ ევროპულ ისტორიაში. ასეთი ორგანიზაციები ომის და შეიარაღებული კონფლიქტების გაგების ნაწილია. როგორ დააღწიეს თავი, რა იყო მათი

მიზნები, რა გზით დებულობდნენ ისინი რესურსებს გაჭიანურებული ომის დასაფინანსებლად? ეს არის შესაბამისი და ლეგიტიმური კითხვები.

არასახელმწიფო აქტორების დიდი რაოდენობა კონცენტრაციის ნაკლებობას ასახავს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის სისტემაში, თითქოს სახელმწიფოები საკუთარი ტერიტორიების ექსკლუზიურად აკონტროლდებოდნენ. რა თქმა უნდა, შეიძლება ითქვას, რომ ბევრმა არა-სახელმწიფო ჯგუფმა ვერ შეძლო თავის შენარჩუნება სხვა ქვეყნებთან დაშვების გარეშე. ეს შეიძლება ჭეშმარიტი იყოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ყოველთვის სხვების მარიონეტები არიან. მათ შეუძლიათ, ფაქტობრივად, ძლიერი, მკაცრი რეჟიმის გატარება და მასპინძელ ქვეყანასთან ომში ჩაბმა (ისევე, როგორც ეს ოხა 197 წელს იორდანიაში, 1982 წელს ლიბანში პალესტინის ჯგუფებთან ერთად, პალესტინის განმათავისუფლებელი მოძრაობის (PLO) აქტორებთან). 1990-იან წლებში მეზობლების და კერძო უსაფთხოების კომპანიების ბაზარი შეიქმნა, რომლებიც აფრიკაში, სამხრეთ ამერიკასა და და ახლო აღმოსავლეთში ომებში მონაწილეობდნენ. მილიციელები და პარა-სამხედრო ფორმირებები არსებობს, ფორმალურად და არაფორმალურად, ორგანიზებული ჯგუფები არიან. ისინი ადგილობრივად დაკომპლექტდნენ, გაურკვეველი მანდატებისა და გაურკვეველი ფინანსების გამოყენებით და ხშირად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ იმართებიან, რომლებიც მოტივირებულები არიან პოლიტიკური ან/და ეკონომიკური მიღწევებით. ასეთი ჯგუფები ცნობილია კოლუმბიიდან, ცენტრალური აფრიკიდან, ბოსნიის ომის დროს, დამოუკიდებელ აღმოსავლეთ ტიმორში, ჩეჩნეთში და ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტებში. ამდენად, ჩვენ ვხედავთ, რომ დაუცველობა და უსაფთხოება დილემაა და ისინი აქტორების მხრიდან იქმნებიან, გარდა სახელმწიფოებისა.

მესამე შემთხვევაში, გლობალური სისტემა ისეთ აქტორებს მოიცავს, რომელთაც შეიარაღება არ ააქვთ, მაგრამ კონფლიქტში თავისი როლი აქვთ. განვითარებად გლობალურ სამოქალაქო საზოგადოებაში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა (NGOs) და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა (CSOs) ცივი ომის შემდეგ შეიძინეს მნიშვნელობა. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ლეგიტიმურად ემოქმედათ გარდამავალი გზით, რაც სხვა აქტორებს შეუძლიათ. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ორგანიზაციაა ექიმები საზღვრებს გარეშე, ან სამედიცინო ჰუმანიტარული ორგანიზაცია (**Médecins Sans Frontières, MSF**), რომელიც ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი გახდა 1999 წელს. ის ჰუმანიტარულ მხარდაჭერას აძლევს და გლობალურ ყურადღებას უთმობს დაშაულებებსა და კატასტოფებს. მოკლევადიან პერიოდში, რეგულარული მედიის ეფექტური ხელმისაწვდომობით, არასამთავრობო ორგანიზაციებს (**NGOs**) შეუძლიათ ინტერნეტ კავშირებისა და სოციალური მედიის გამოყენება, ასევე კონკრეტული ქმედებებისა და მიზნების გამო გლობალური მხარდაჭერის მობილიზება.

მეოთხე შემთხვევაში, არსებობენ ისეთი აქტორები, რომლებიც გლობალური სისტემის სისუსტისგან სარგებლობენ და საზღვართან მოქმედებენ ყოველგვარი აკრძალვების, შიშის გარეშე. ეს არის ტრანსნაციონალური აქტორების კატეგორია. ასევე არსებობს მრავალეროვანი კომპანიები, რომლებიც მთელს მსოფლიოში მოქმედებენ. ისინი შესაძლოა ჩართული იყვნენ კონფლიქტის საწყის ეტაპზე, მას შემდეგ, რაც რესურსების ექსპლუატაცია შეიძლება იყოს სოციალური დინამიკის საფუძველი, რომელსაც შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივყავართ (როგორც ეს გამოჩნდა გაჭიანურებული კონფლიქტის დროს - პაპუა-ახალ გვინეაში (ბუგენვილე). ძირითადი უფლებამოსილებების მიღება ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებს და ზოგიერთი ეს გარიგება შეიძლება დაფარული იყოს ბუნდოვანებით, აუქმებდეს კანონებს,

მთავრობის თანხმობით ან მის გარეშე. ეს აქტორები იშვიათად ჩნდებიან შეიარაღებულ დაპირისპირებაში, არასახელმწიფო აქტორებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან (**NGOs**) ან იურიდიულ გაერთიანებებთან. გარდა ამისა, არაფორმალური ქსელები არსებობს. იარაღის დილერები მცირე ზომის იარაღით ვაჭრობენ, სავაჭრო ობიექტებში გადამუშავებული ძვირფასი მინერალები მთავრობების ან არასახელმწიფო აქტორების მიერ კონტროლდება, ნარკომოვაჭრეები დაკავებული არიან საერთაშორისო შეთანხმებებსა და კოალიციებში, ან მონეტარულ ტრანსფერებს და ფულის გათეთრებას ომის ძალისხმევის მხარდასაჭერად ახორციელებდნენ. მოხსენებები არსებობს გემების შესახებ, რომლებიც მთლიანად იარაღითაა დატვირთული, უთანხმოების შედეგად ისინი ტყვედ იყვნენ ჩავარდნილი და მათ შეიარაღებულ ბრძოლაში იყენებდნენ. მხარდამჭერმა ჯგუფებმა შესაძლოა რევოლუციური გადასახადები იმ თანამემამულეებს გამოსძალონ, რომლებიც საომარი მოქმედების ადგილიდან შორს არიან, ამით ისინი სოლიდარობის დემონსტრირებას ახდენენ კონკრეტული მიზეზებით. ხშირად ასეთ ზეწოლას მაფიის მსგავსი ხარისხი აქვს. სხვადასხვა მხარის მხარდამჭერ ჯგუფებს ერთმანეთთან ბრძოლა ბრძოლა შეუძლიათ, ბრძოლის ველიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით.

ამგვარად, კავშირები შეიძლება გაფართოვდეს გლობალურად, თუ რა შეიძლება ეწოდოს ეთნიკურ ინტერნაციონალებს ან გლობალურ მცდელობებს (კოტკინი 1992). გარდა ამისა, უკანონობის პირობები ზრდის ადამიანებით უკანონო ვაჭრობას და აძლიერებს ნარკომოვაჭრეებს, არანაკლებ ორგანიზებული საზღვრების გასწვრივ.

თუმცა, აქ არის კარგი მიზეზი იმისთვის, რომ გამოვიყენოთ ტერმინი „გლობალური სისტემა“ დამაკავშირებელი ქსელებისთვის, სხვადასხვა ტიპის მრავალი აქტორებით. კონფლიქტის ანალიზის ძირითად დონეზე, აქცენტი კეთდება დაუზავებელ მხარეებზე. ეს არის ის ურთიერთკავშირი, რომელიც კონფლიქტის მოსაგვარებლად უნდა გადაწყდეს. ეს არის მნიშვნელოვანი ელემენტი და მეორე თავთან არის დაკავშირებული. ეს რა თქმა უნდა საკმარისი არ არის. ეს არის ის, რის გამოც გლობალური სისტემა, ყველა მისი აქტორი და უწესრიგობა კონფლიქტის ანალიზის უფრო რთულ დონეზე გადადის.

4.3 კონფლიქტის ტრიქოტომის დადგენა

ჩვენი ინტერსია კონფლიქტის მოგვარება. თუმცა კონფლიქტის წარმოშობა და დინამიკა შეიძლება მსგავსი იყოს ბევრი კონფლიქტისთვის. თითოეული მხარისთვის თავისი კონფლიქტი უნიკალურია. ბევრი მნიშვნელოვანი თვალსაზრისის გათვალისწინებით ეს არის რეალობა. სპეციალური მახასიათებლები ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული. ჯერ კიდევ არსებობს წესები, ნორმები და მიდგომები, რომელიც ცდილობს კონფლიქტები გაათანაბროს ისე, რომ ისინი განიხილებოდეს მსგავსი გზებით. ეს ეხება ძალადობას ნებისმიერ საზოგადოებაში. ერთი მკვლელი მეორეს იდენტური ვერ იქნება, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს ნორმები, რომლებიც მსგავს გზებს განიხილავენ. როდესაც საზოგადოება ცდილობს შეაკავოს ძალადობა ის ცდილობს, რომ ეს სამართლიანი გზით გააკეთოს. თანაბარი დანაშაულისთვის თანაბარი სასჯელია - ეს ძირითადი წესია. ეს არის ზოგადი წესები, რომელიც შექმნილია უნიკალური მოვლენების სამართავად. ამ პროცესში, მსგავსებები ხაზგასმულია მოვლენების შესადარებლად. არგუმენტი კონფლიქტების მოსაგვარებლად გლობალურ სისტემაში შესაბამისია. ფართომასშტაბიანი კონფლიქტებიც არსებობს, რომლებიც საკმარისად მსგავსია იმისთვის, რომ შედარებები დააკმაყოფილონ. საერთაშორისო სამართლის მეშვეობით, ასეთი დიფერენციაცია უკვე მიღებულია და საერთაშორისო თანამეგობრობაში მნიშვნელოვანი მიღწევაა.

ტრადიციულად, საერთაშორისო და შიდა კონფლიქტებს შორის საფუძვლიანი განსხვავებაა. პირველი შეიძლება დამუშავდეს ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან, როგორცაა გაერო, საერთაშორისო სასამართლო და რეგიონული ორგანიზაციები. შიდა კონფლიქტები, ამ შეხედულებით, ტოვებენ სახელმწიფოების ტერიტორიებს, რომლებიც განთავსებული არიან საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებს გარეთ. შიდა კონფლიქტები შეიძლება გახდეს მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის საქმე. თუ ქვეყანაში ლეგიტიმური ხელისუფლებაა, ანუ მისი მთავრობა ითხოვს ასეთ ჩარევას. ეს არის გაეროს ქარტიის მთავარი პრინციპი და ცივი ომის პერიოდში გამოჩნდა, რომ ხელშეუხებელი პრინციპია. ეს არ გამოირიცხავს შესაძლებლობას, რომ შიდა კონფლიქტებს წესები შეიქმნას. ეს ჩამოყალიბებული განსხვავებები იყო რაციონალური, გარდა პრინციპული საკითხებისა. თუ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებს მოვამზადებთ, ეს ასევე უნდა იყოს სანდო შიდა კონფლიქტებისთვის. გარდა ამისა, პოლიტიკური კლიმატი შეიცვალა. ცივი ომის შემდეგ ჰუმანიტარული ინტერვენციის შესახებ ცოცხალი დებატები კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს განსხვავებულობას, როგორც ნორმატიულად, ისე პრაქტიკაში. 1990-იანი წლების ბოლოს, ჰუმანიტარული არგუმენტები იუგოსლავიაში ნატოს (**NATO**) დაბომბვისთვის დიდ საერთაშორისო მხარდაჭერაში აისახა, ასევე აღმოსავლეთ ტიმორში საერთაშორისო ჩართულობისთვის, რომელიც ოფიციალურად ინდონეზიის ნაწილია. გაერომ ამგვარი ქმედებებზე საერთო მხარდაჭერა გამოხატა როგორც მისი ახალი პასუხისმგებლობის ნაწილი, დაიცვას დაუცველი მოსახლეობა, როგორც ეს შეთანხმებულია გენერალური ასამბლეის მიერ 2005 წელს.

ეს დოკუმენტი ასეთ უფლებამოსილებას მხოლოდ უშიშროების საბჭოს ანიჭებდა და ეს პრინციპები გამოყენებულ იქნა 2011 წლის ლიბიის კონფლიქტში. საბჭოსთვის საერთაშორისო მოქმედებების შეზღუდვის გზით, სახელმწიფოთაშორისი სისტემა შენარჩუნდა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ შიდა კონფლიქტები ცენტრალური გახდა დებატებსა და პოლიტიკაში, საერთაშორისო მშვიდობის საკითხებზე. საერთაშორისო ტერორიზმის საკითხზე უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობით იღებენ გადაწყვეტილებებს, რომელიც რეალურად ტრადიციულ სუვერენიტეტს აღემატება, მაგალითად, 2001 წელს ფინანსური სანქციების შესახებ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. თუმცა ამ ბრძანებულებების დანერგვა წევრ სახელმწიფოებს ინდივიდუალურად ეკისრებათ, მაშინაც კი, თუ ისინი ექვემდებარებიან გარე ზეწოლას. სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გამოყოფა სხვა კონფლიქტებიდან ძლიერდება. აქ ის შენარჩუნდება, რადგან ეს არის მარტივი განსხვავება, რადგან ის მნიშვნელოვან რეალობას ასახავს კონფლიქტის მოსაგვარებლად. თუმცა საჭიროა სხვა კონფლიქტებთან ერთად ეს ყველაფერი დავინახოთ უფრო დიდ სტრუქტურაში, რაც სრულ სურათამდე მიგვიყვანს. ამგვარად, მე-5 თავი ეძღვნება სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს, ხოლო მე-8 და მე-12 თავები უფრო დიდ სურათს წარმოადგენენ.

ეს ჩვენ გვტოვებს კონფლიქტის ჯგუფთან, რომელიც „შიდაა“. ეს ფართო კატეგორიაა. ნორმალურ პოლიტიკურ საქმეებში გრძელდება ურთიერთდამოკიდებულება ადამიანებს, ჯგუფებსა და ხალხებს შორის იმავე საზღვრებში. უთანხმოება შეიძლება ბევრი იყოს, ისევე როგორც კონფლიქტები. შიდა კონფლიქტი, ზარტმანის აზრით, ნორმალური პოლიტიკის განადგურებით იწყება (ზარტმანი 1995ა: 5). ამდენად, უამრავი საკითხი არსებობს, რომელიც შეიძლება გაერთიანდეს ისე, რომ კონფლიქტის სერიოზული ესკალაცია მოხდეს. კონკრეტული ქვეყნის შიგნით უფრო მეტი პრობლემა არსებობს, ვიდრე ამ ქვეყნებს შორის. ამდენად, ლოგიკური იქნებოდა უფრო მეტი კონფლიქტის მოლოდინი ქვეყნის შიგნით, ვიდრე ქვეყნებს შორის.

გადამწყვეტია საკითხი თუ როგორი სიტუაციაა გაბატონებული ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში და როგორია მმართველობის სისტემა, რომელიც ამგვარი პირობების ცვლილებას შეესაბამება. ეს ის საკითხებია, რომელიც ჩვეულებრივი მოქალაქის შემფოთებას იწვევს. მოქალაქეობისთვის საერთაშორისო საქმეები ხშირად ცალკეული და შორეულია. გლობალიზაციის გაზრდით, მათი მნიშვნელობა შეიძლება უფრო ძლიერი და უფრო ამკარა გახდეს, განსაკუთრებით მცირე და დამოუკიდებელი ქვეყნებისთვის. თუმცა, მოსახლეობის უმრავლესობისთვის უმთავრესია თუ რა ხდება საკუთარ ქვეყანაში, რადგან ეს პირდაპირ გავლენას ახდენს შემოსავალზე, კეთილდღეობაზე და თავისუფლებაზე. აღსანიშნავია, რომ ყველა ქვეყანას შიდა კონფლიქტი აქვს, რომელიც ზოგჯერ დომინანტურია. ამ ქვეყნის მოსახლეობის მიერ ეს საკითხი იდენტიფიცირებულია. კონფლიქტი ნებისმიერ საზოგადოებაში საერთო გამოცდილებაა და აუცილებელია რაღაც, რაც გარეთ არის „ნორმალური“ საქმიანი ურთიერთობები. თითქმის პირიქით, როგორც კომრი აკვირდება, კონფლიქტი შეიძლება დაეხმაროს საზოგადოებას (იხ. თავი 3 და კომერი 1956). რაც არ არის ნორმალური, ეს არის იარაღის გამოყენება. სავარაუდოდ, საყოველთაო უპირატესობა მშვიდობიან პოლიტიკას ეძლევა, როგორც ქვეყნის ფარგლებში, ისე სახელმწიფოებს შორის.

ამგვარად, ამ პლანეტის მოსახლეობისთვის შიდა კონფლიქტი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც საერთაშორისო კონფლიქტი. ამაზე ყურადღება უნდა გამახვილდეს თანაბარი გზით. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლის ინსტრუმენტები შიდა საკითხებთან დაკავშირებით შეზღუდული იყო, მაგრამ იურიდიული წესები უფრო მრავალრიცხოვანი ხდება და უფრო ინტრუზიული. საკმარისია ვიმსჯელოთ ადამიანის უფლებათა საკითხებზე, ომის დანაშაულის ტრიბუნალებზე, დემოკრატიის ხელშეწყობის სააგენტოებზე, ისევე როგორც ზოგადად ინტეგრაციაზე გლობალური ბაზრის შემვეობით. შიდა საქმეები სწავლის ლეგიტიმური ობიექტია და პასუხისმგებელია კონფლიქტის მოგვარებაზე, რომელიც ასევე მოიცავს გარე მხარეებს.

მოდით დავამატოთ სახელმწიფოთაშორისი და შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის დიქტომია. ჯერჯერობით, ჩვენ წარმოვადგინეთ განზომილება, რომელიც კონფლიქტის აქტორებს ეხება - სახელმწიფოებია ესენი თუ სხვა მხარეები. მე-3 თავში ჩვენ შემოვიტანთ თანაბრად მნიშვნელოვან ცნებას, შეუთავსებლობას. ამას თეორიული და კონკრეტული შედეგები აქვს, განსაკუთრებით შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტებისთვის. ეს არის კონფლიქტის ნაყოფიერი გაზომვა უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამაში. იგი გამოყოფს უმოქმედობას, რომელიც ტერიტორიაზე მთავრობის კონტროლს ეხება. როგორც უკვე დავინახეთ, ომის პროექტთან დაკავშირებული კორელატები ამ განსხვავებას შიდა სახელმწიფო კონფლიქტში ხედავენ (სარკესი და ვეიმანი 2010).

ტერიტორიულ კონფლიქტებს ცენტრალური ადგილი უკავია შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში. სამხედრო ხელისუფლება ტერიტორიის კონტროლისთვის მნიშვნელოვანია. სახელმწიფო უსაფრთხოება ხშირად დამოკიდებულია კონკრეტულ სფეროებზე. ასეთი სფეროები განისაზღვრება როგორც სტრატეგიული ან სასიცოცხლო მნიშვნელობის და ამით სამხედრო ქმედებების გამართლებას ცდილობენ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ შიდა კონფლიქტებზე. თუცა ცალკეული ჯგუფები აცხადებენ, რომ გარკვეულ ტერიტორიაზე კონტროლი და სტატუსის შეცლა სურთ, ეს გავლენას ახდენს მთელი ქვეყნის მოსახლეობაზე. ეს ნიშნავს ახალი საზღვრების დადგენას და ყველა მოქალაქის უკვე დამკვიდრებული უფლებების შეცვლას. ეს ზემოქმედებას ახდენს კონკრეტულ ადგილებში შესვლაზე, რის გამოც შედეგებს რესურსების კონტროლზე გავლენა აქვს. არსებული ტერიტორიული მონაცემების შენარჩუნების ინტერესი ძლიერია სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში. საერთაშორისო კონსენსუსი

ძალიან მდგრადია ტერიტორიული ცვლილებების მიმართ, რომლებსაც მხარეების თანხმობა არ ააქვთ. სახელმწიფოს მთავრობა, სავარაუდოდ, ძალიან კონსერვატორულია იმ ტერიტორიასთან მიმართებაში, რომელსაც იგი მართავს. გამონკვევები სავარაუდოდ სერიოზულად ძალიან სერიოზულად მიიღება. ამრიგად, ტერიტორიულ საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შიდა საქმეებში. კვლევები მიუთითებს ტერიტორიის მნიშვნელობაზე სახელმწიფოთშორისი ომის შესახებ განმარტებებში (ვასკეზი 1993, 1995; გიბლერი 2012). ტერიტორიის შეუთავსებლობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მცირდება სახელმწიფოთშორისი და შიდა სახელმწიფოებრივი ომებისაგან განსხვავებით.

ეს ასევე შეეხება მეორე შეუთავსებლობას, მთავრობაზე კონტროლს, არსებული ცენტრალური ხელისუფლებისთვის უფლებამოსილების მინიჭებას და მთავრობის შემადგენლობას. ამ კატეგორიაში ყველაზე სერიოზულ დაპირისპირებას იწვევს ის, რომ ოპოზიცია არსებულ ხელისუფლებას უპირისპირდება და მისი ჩამოშორება უფრო უნდა, ვიდრე მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკის შეცვლა. მთავრობის მხრიდან რეპრესიები ხელისუფლებაში გარკვეული ჯგუფის შენარჩუნებას გულისხმობს. მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა შეიძლება განიმატოს, როგორც მისი უფლებამოსილების გამონკვევა. რეპრესია შეიძლება ადრეულ ეტაპზე დაიწყოს. სინამდვილეში, დღევანდელი მთავრობების დიდი რაოდენობა ხელისუფლებაში არადემოკრატიული საშუალებების გზით მოდის. გადატრიალებები, რევოლუციები, სამოქალაქო ომები და დიანსტიური მოწყობები კვლავს ძალაუფლების მოპოვების მარშუტებია, ისინი ისეთივე ხშირია, როგორც დემოკრატიული პროცედურები. სამთავრობო კონტროლზე ბრძოლა კლასიკურია და კვლავაც კონფლიქტის მნიშვნელოვანი ასპექტია. სახელმწიფოები, როგორც ჩვენ ვნახეთ ასეთ მიმზიდველ რესურსებს შეიცავს, რასაც ბევრი განიხილავს, როგორც ბრძოლას ხელისუფლებაში დასარჩენად ან ძალაუფლების ასაღებად. ამგვარად, იგი სხვდასხვა დინამიკის ტერიტორიულ საკითხებს იზიდავს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ კონკრეტულ ადგილებზე ან რეგიონებზე, არა მთლიანად სახელმწიფოზე. შიდა საქმეებში ეს შეუსაბამობა იძენს მნიშვნელობას.

არის თუ არა ეს შეუთავსებლობა საერთაშორისო კონფლიქტების ანალიზისთვის ღირებული? დიახ, ეს ცივი ომმა დამაჯერებლად აჩვენა. საბჭოთა კავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციები მოტივირებული არ იყვნენ ტერიტორიული მოგების თვალსაზრისით, მაგრამ მთავრობის კონტროლით. ორივე მხარის ამბიცია იყო გარკვეული ტიპის რეჟიმის ხელშეწყობა, მეორე მსოფლიო ომის ტერიტორიული გარდაქმნის შემდეგ იგივე საზღვრების დატოვება. უკრაინაში, ბელარუსსა და ბალტიის ქვეყნებში სოციალისტური ხელისუფლების დაბრუნებას რეალურად ძლიერი შეიარაღებული წინააღმდეგობა შეხვდა 1950-იანი წლების დასაწყისში, რაც განმარტავს 1990-91-იან წლებში ამ სახელმწიფოებმა რატომ მოინდომეს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა (2013-14 წლებში უკრაინის მოვლენები ამ ისტორიულ გამოცდილებაში აქცენტი არ არის გაკეთებული). ცივი ომის პერიოდში საბჭოთა პოლიტიკა მიზნად ისახავდა საბჭოთა ტიპის სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. უდავოდ სამხედრო და სტრატეგიული მოსაზრებები არსებობდა, მაგრამ კონფლიქტები ადგილობრივ თემებში რჩებოდა და ისინი საბჭოთა კავშირის ერთგულნი რჩებოდნენ და იმავე საზოგადოების არაკომუნისტური წევრების წინააღმდეგ მოქმედებდნენ. აშშ და დასავლეთის კონკრეტული ქვეყნები მხარს უჭერდნენ კონკრეტულ მთავრობებს ირანსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ადგილებში, ისევე როგორც სამხრეთ ამერიკასა და ინდოჩინეთში. მათ საზრების შეცვლის იდეა არ ჰქონდათ. ცხელი ომები, რომელიც ცივი ომის შემადგენელი ნაწილი იყო აქცენს აკეთებდა მთავრობის კონტროლზე : რომელი ტიპის რეჟიმი უნდა იყოს ყოფილიყო კონკრეტულ ქვეყანაში? ზოგიერთ ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს ურო მნიშვნელოვანი

გეოგრაფიული პოზიცია ამ გლობალურ სტარტეგიებში (მაგალითად, კუბა და თურქეთი). მიუხედავად ამისა, ეს იყო ქვეყნის ერთგულება, როგორც ჩანს, ის დაირღვა, არსებული ერთეულების განადგურების იდეით.

ცივი ომის დუალიზმი გლობალურ დონეზე წარმოდგენილი აღარ არის, მაგრამ ასეთი რეჟიმების ტიპების საკითხები კვლავ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, რეგიონალურ დონეზე მაინც არსებობს კომუნისტური რეჟიმები აღმოსავლეთ აზიაში და კონკრეტულ სიტუაციებში (მაგალითისთვის დასავლური ინტერვენცია ერაყში 2003 წელს და ლიბიაში 2011 წელს). დასავლეთი კვლავაც რჩება დემოკრატიის მთავარ ხელშემწყობად, სამედრო საშუალებებთან და სხვა აქტორებთან ერთად წინააღმდეგობებს უპირისპირდებიან და ამტკიცებენ, რომ კონტრ-ქმედებების განხორციელების უფლება აქვთ (ტერორიზმის გამართლებაც კი შეუძლიათ). ამდენად, დაკვირვების შედეგად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ შიდა და სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს შორის მსგავსი შეუთავსებლობაა, როცა კონფლიქტები შეიარაღებული და სერიოზულია. ნაყოფიერია ტერიტორიასა და მთავრობას შორის განსხვავება, როგორც ორი ცალკეული შეუთავსებლობა.

ეს გვაძლევს კონფლიქტის ოთხ კატეგორიას განსხილველად, მაგრამ თუ ორ კატეგორიას ერთში გავაერთიანებთ, სამი კატეგორია გვექნება. ეს ქმნის ტრიქოტომიას კონფლიქტის ანალიზისთვის. პირველი კატეგორია შედგება სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტებისგან, ტერიტორიის და მთავრობის გარშემო. ის ერთ კატეგორიას განიხილება, ვინაიდან ეს არის კონფლიქტების დამკვიდრებული ჯგუფი, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო სამართალში გამოყენებული კრიტერიუმებით. მესამე კატეგორიაში მთავრობის შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტებია, რომელიც შეიცავს ტერიტორიის შიდა სახელმწიფო კონფლიქტს. შეიძლება ითქვას, რომ ტრიქოტომია საერთაშორისო სამართალს მიჰყვება, მაგრამ ის შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტების განვითარებას უწყობს ხელს. ტრიქოტომია მნიშვნელობას იძენს, რადგან სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების რაოდენობა შეზღუდულია და დღევანდელი კონფლიქტის მასალების უმრავლესობას შიდა სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს. უფრო მეტიც, შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტების მოგვარების შემთხვევაში, სხვადასხვა ღონისძიებები არსებობს, რაც შეუსაბამობაზე დამოკიდებული.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს განსხვავება შიდა კონფლიქტებისთვის ზარტმანის მიერ შექმნილი კონფლიქტების პარალელურად გამოიყენება (1995ა), „რეგიონულ“ და „ცენტრალურ“ კონფლიქტებს შორის. აქ არ არის გააზრებული ზარტმანის სიტყვები, რომ კონფლიქტების მოგვარება აუცილებლად ნორმალური პოლიტიკის აღდგენას იძლევა (1995 ა 24). სერიოზული კონფლიქტის შემდეგ პოლიტიკური რეალობები სავარაუდოდ განსხვავდება, რაც დამოკიდებულია შეუთავსებლობაზე. მთავრობასთან კონფლიქტის მოგვარება შეიძლება მიზნად ისახავდეს ინტეგრაციის მიღწევას და აღდგენის ზოგიერთ ფორმას, როგორცაა „ნორმალიზმი“.

ტერიტორიული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ნაკლებად სავარაუდოა, რომ ასეთი შედეგით დასრულდეს. ეს არ გულისხმობს პირობების უკან დაბრუნებას, რაც პრობლემების გადაჭრის გზაა, რაც განსხვავებული ფორმების გამოყოფას მოიცავს იმ წერტილამდე, სადაც ახალი სახელმწიფოები იქმნება. ურთიერთობები ფუნდამენტური გზით შეიცვალა. აქედან გამომდინარე, ძლიერი არგუმენტები მთავრობისა და ტერიტორიის განასხვავებს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შიდა კონფლიქტებისთვის.

კონფლიქტების ადგილმდებარეობა ტრიქოტომიაში

სავალდებულო არ არის ერთი კატეგორიის მარტივად გამოყოფა მეორე კატეგორიისგან. თუმცა შემდეგი კითხვები დაგვეხმარება კონფლიქტების კატეგორიზაციის დასადასტურებლად. პირველი ტიპის კონფლიქტის დასადგენად, სასარგებლოა შემდეგი კითხვების დასმა:

აქვს თუ არა კონკრეტულ კონფლიქტს მნიშვნელოვანი სახელმწიფოთაშორისო კომპონენტი? ეს შეიძლება გადანყდეს, უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, ჩართულია თუ არა ჯარები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ პირდაპირი ბრძანება კონკრეტული გადანყვეტილების ცენტრში მიდის. თუ ორი რეგულარული არმია ერთმანეთს ებრძვის, კონფლიქტი კლასიკური სახელმწიფოთაშორისი კონფრონტაციაა. ყველაზე მნიშვნელოვანია ერთი ან მეორე მხარის ჯარები, ალიანსის ნაწილებია თუ საერთაშორისო ლეგიტიმური ავტორიტაცია აქვთ? (მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ან საერთაშორისო რეგიონული ორგანიზაცია). ეს გვიჩვენებს კონფლიქტის ხასიათის დამატებით კომპონენტს. საკითხი კიდევ უფრო გართულებდა, თუ უცხო ქვეყნის ჯარები სახელმწიფოს ტერიტორიაზე მთავრობის თანხმობით იბრძვიან. პრობლემა ისაა, რომ ეს არის კოლექტიური თავდაცვის ღონისძიება, შესაბამისად იურიდიული დახმარების განწვევის ან ინტერვენციის შემთხვევაში, კონკრეტული მთავრობა ამას ვერ დათანხმდება. კიდევ უფრო რთული სიტუაციაა, თუ გარე აქტორები სხვა ქვეყანაში არასახელმწიფო სუბიექტებს დაუჭერენ მხარს. ეს შიდა კონფლიქტში ჩარევად მაშინ ჩაითვლება, როცა გარე აქტორი მხოლოდ არასახელმწიფო აქტორს (მეამბოხეები) და მთავრობას იყენებს? ან ეს ფაქტობრივად სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტია, სადაც გარე აქტორი მხოლოდ ტროას ცხენია ან ექსპანსიონიზს საბაბად გამოიყენება? თუ მკაცრი კრიტერიუმები ვრცელდება, ჭეშმარიტი მდგომარეობის განსაზღვრა უფრო ადვილია, ვიდრე პირველად ჩანს. საყურადღებოა, როცა არასახელმწიფო აქტორები მონაწილეობას იღებენ ტრენინგში მისი შეიარაღებული ძალებისთვის, ასევე იმის დასადგენად თუ როგორ იბრძება მათი ფინანსები, როგორ ვითარდება ლოგიკა, როგორ აღწევს იარაღი ამბოხებულებთან და სად არის პოლიტიკური მხარდაჭერაა გამოხატული, ეს სურათი წარმოშობს ძირითად კითხვებს: ვის შეუძლია შეწყვიტოს ბრძოლა და ვინ გააფორმებს ხელშეკრულებას, რომელიც განხორციელდება? პირდაპირი და არაპირდაპირი კონფლიქტის დროს, ორ სახელმწიფოს ურჩევნია კონფლიქტი თვითონ მოაგვაროს და სხვებს სამოქმედოდ სივრცე აღარ დაუტოვოს. შეიარაღებული კონფლიქტები, რომლებიც ამ კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებია და მათი რეზოლუცია მე-5 თავშია განხილული.

4.4 კონფლიქტის და მშვიდობის ტრიქოტომიის გამოყენება

ცივი ომის შემდგომი პერიოდის შეიარაღებული კონფლიქტი

4.3 ნაწილში კონფლიქტის სამი ტიპია გამოვლენილი, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება და უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამაში 1989 წლიდან ფიქსირდება. შედეგები ნაჩვენებია 4.1 ცხრილში. იგი გვიჩვენებს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების ერთ კატეგორიად შერწყმის ემპირიულ დასაბუთებას. ამ პერიოდში სულ ცოტა 9 ასეთი კონფლიქტი არსებობდა. ეს ცივი ომის შემდგომი პერიოდის ძირითად ნიშნად განიხილებოდა, რაც იქამდე დაფიქსირდა. სინამდვილეში, დიდი ხნის განმავლობაში, რამდენიმე სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი მოხდა.

ცივი ომის დროს, შიდა კონფლიქტები ინტერნაციონალიზებული იყო იმგვარად, რომ ადგილობრივი საკითხები გლობალურ დაპირისპირებას ექვემდებარებოდა. თითქოს

სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები უფრო მეტი იყო. გარდა ამისა, იმ დღეებში მთავრობის საკითხები უფრო მნიშვნელოვანი ჩანდა. მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული სახელმწიფო ტერიტორია ცხრილში 4.1 სისტემურად არ არის გამოყენებული, მას მონაცემებზე ძლიერი გავლენა აქვს.

ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების უმეტესობა ტერიტორიულ პრობლემებს ეხებოდა, განსაკუთრებით სასაზღვრო ცვლილებებს (ეკვადორი-პერუ, ერიტრია-ეთიოპია), ურთიერთობების გართულებას კონკრეტულ ტერიტორიებზე (ინდოეთი-პაკისტანი) და ოკუპირებული სახელმწიფოს აღდგენას (სპარსეთის ყურის ომი ქუვეითში 1991). ხელისუფლების მოსაპოვებლად ორი სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი მოხდა, ორივე მათგანში ამერიკის შეერთებული შტატებში იყო ჩართული. პირველი იყო ინტერვენცია პანამაში 1989 წელს, მეორე შემთხვევა 2003 წელს ერაყის ომს უკავშირდებოდა, როდესაც სადამ ჰუსეინის რეჟიმის ჩამოგდება უნდოდათ. სინამდვილეში, პანამის შემთხვევა ცივი ომის ტიპური ნიმუში იყო. ცივი ომის პერიოდში, მოქმედი რეჟიმების არაერთი სახელმწიფოთაშორისო ინტერვენცია დაფიქსირდა (უნგრეთი 1956, დომინიკელთა რესპუბლიკა 1965, ჩეხოსლოვაკია 1968, ავღანეთი და ნიკარაგუა 1980-იანი წლებში, აქ რამდენიმე მაგალითია). ცალმხრივი ინტერვენციონიზმი წარსულის ნაწილად განიხილებოდა წამყვანი ძალის მხრიდან.

1994 წელს ჰაიტიში სამხედრო რეჟიმის გადაგდება საერთაშორისო ოპერაცია იყო, რათა დემოკრატიულად არჩეული მთავრობა დაებრუნებინათ. ამ აქტივობას ამერიკის შეერთებული შტატები უძღვებოდა, მაგრამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატით. 2003 წლის ერაყის ომი განსაკუთრებული მოვლენა უნდა ყოფილიყო. თავდაპირველად საკითხი იდგა ერაყისთვის პოტენციური მასობრივი განადგურების იარაღის შესაძლებლობის მოხსნაზე, რადგან ეს პრობლემა შემფოთებას იწვევდა. საბოლოო ჯამში, ეს საკითხი თავად რეჟიმს შეეხო. ომი გაეროს მხრიდან სანქციონირებული არ იყო, მაგრამ შეზღუდული კოლექტიური ბეჭედი ჰქონდა, მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს და ავსტრალიის ჯარების მიერ მხარდაჭერილი იყო. 2004 წელს ფორმალური ოკუპაცია დასრულდა, მაგრამ ერაყის ომი კვლავაც გრძელდებოდა, მაგრამ შემდეგ ის ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ინტერნაციონალური სისტემა, რომელიც მთავრობას ეწინააღმდეგებოდა. ამავე დროს მას ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა ჰქონდა. ამგვარ მაგალითს არ შეუძლია აჩვენოს ცალმხრივი ინტერვენციონიზმის ნიმუშის დაბრუნება.

ცხრილი 4.1 წარმოდგენილია შეიარაღებული კონფლიქტები 1989 წლიდან 25 წლის განმავლობაში, ხუთწლიანი პერიოდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ შეიარაღებული კონფლიქტების საერთო რაოდენობა რეალურად მცირდება, ყველაზე მკვეთრად 1990-იან წლებში, და 2000-იან წლებში მატულობს. კონფლიქტების ზრდა ხელისუფლებაზე ნაწილობრივ გამონჯეული არაბული გაზაფხულის შედეგად. თუმცა, აფრიკის ქვეყნებში დემოკრატიისა და ზრდის ტენდენციებს საფრთხე დაემუქრა, როგორც ეს აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპაში განვითარდა. ეს შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო გლობალურ ეკონომიკურ კრიზისთანაც, რომელიც 2008 წელს ფინანსური გარღვევის შედეგად მოხდა.

დროთა განმავლობაში, კონფლიქტების საერთო რაოდენობის 5% -ზე მეტს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები შეადგენდნენ. იმ პერიოდის ომებში (ეს არის კონფლიქტები 1000-ზე მეტი მსხვერპლით ერთ წელიწადში), მხოლოდ 4 იყო სახელმწიფოთაშორისი (1991 წლის ყირიმის ომი, ეთიოპია-ერიტრიის სასაზღვრო ომი

1998-2000, ინდოეთი-პაკისტანი 1999 და 2003 ერაყის ომი), საერთო ჯამში 47 ომი (ტემნერი და ვოლენსტინი 2014). მიუხედავად ამისა, სახელმწიფოთაშორისი კატეგორია მნიშვნელოვანია, ასეთი ომებს შეიძლება ჰქონდეს უფრო ძლიერი პოტენციალი ესკალაციისა და გავრცელებისთვის. ისინი შესაძლოა მთლიანი რეგიონებისთვის გამანადგურებელი გახდეს უფრო მოკლე დროში, ვიდრე შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტები.

ცხრილი 4.1

შეიარაღებული კონფლიქტების ძირითადი ტიპები, 1989-2013 (ხუთწლიანი პერიოდის აქტიური კონფლიქტების სრული რაოდენობა)

ტიპი	1989-93	1994-98	1999-2003	2004-08	2009-13	მთლიანი 1989-2013
შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი ხელისუფლებაზე	44	33	30	24	28	64
შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი ტერიტორიაზე	46	39	23	31	24	70
სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი	3	4	3	1	2	10
მთლიანი	93	76	56	56	54	144

შენიშვნა: სვეტების საერთო რაოდენობა არ წარმოადგენს თითოეული რიგის ოდენობას, ვინაიდან ეს ეხება კონფლიქტებს სრული 25 წლის ვადით

წყარო: უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა; შეიარაღებული კონფლიქტის მონაცემთა ბაზა გადმოწერილია 2014 წლის 24 ნოემბერს

დანარჩენი ორი კატეგორია მოიცავს ყველაზე დიდი რაოდენობით კონფლიქტებსა და ომებს ამ პერიოდში. ბევრი ომი ხანგრძლივი იყო და მისგან დაგროვილი გამოცდილება დამანგრეველია. სავარაუდოდ, ავღანეთი ყველაზე სერიოზული შემთხვევაა, რომელსაც 1 მილიონზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა. ომი ბოსნიაში საშინელი შემთხვევა იყო, მაგრამ ამას ვერ შეედრებოდა. გენოციდი რუანდაში ათწლეულის მოვლენების ადამიანურად ყველაზე დესტრუქციული მოვლენაა. მკვლელობები დაუცველი პირების მიმართ იყო მიმართული. თავშესაფრებს და ეკლესიებს ვერ იცავდნენ. გენოციდი მოკლე დროში მოხდა. ამ შემთხვევაში, მკვლელობები შეიარაღებული კონფლიქტის ნაწილი არ იყო, არც სტრატეგიულ სამხედრო მიზნებს ემსახურებოდა. ეს იყო მთელი მოსახლეობის გასუფთავების მცდელობა (პრუნიერი 1995). უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამაში ეს განიხილება, როგორც ცალმხრივი ძალადობის შემთხვევა, შეიარაღებული კონფლიქტის გარდა. 2005 წელს სუდანში გაჭიანურებულმა ომმა სამშვიდობო შეთანხმება შეწყვიტა, 2009 წელს შრი-ლანკაში გრძელვადიანი ომი მთავრობის გამარჯვებით დასრულდა. ორივე შემთხვევაში სამოქალაქო მოსახლეობის მიმართ სისასტიკე გამოიკვეთა. თუმცა სუდანში სამშვიდობო შეთანხმებამ ყველა საკითხი ვერ მოაგვარა. 2011 წელს სამხრეთ სუდანი შემადგენლობიდან გამოვიდა და გაეროს 193-ე წევრი ქვეყანა გახდა. მიუხედავად ამისა, შეიარაღებული კონფლიქტი ორ სახელმწიფოს შორის ჯერ კიდევ არსებობდა, 2014 წელს კი განსაკუთრებით დესტრუქციული გახდა.

ცხრილი 4.1 გვიჩვენებს, რომ შიდა კონფლიქტის ორი კატეგორია, რომელიც 4.3 ნაწილშია განსაზღვრული, დაახლოებით თანაბარი ზომისაა, თუმცა მცირე რიცხოვრივი უპირატესობით ტერიტორიული კონფლიქტებისთვის. ბევრი მათგანი გაჭიანურებული და ლოკალიზებული კონფლიქტებია, მაგალითად, ინდოეთში და მიანმარში. კონფლიქტები, რომლებმაც უკიდურესად დააზარალა ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში, მთავრობასთან ბრძოლას უკავშირდება: სირია სავარაუდოდ ყველაზე დამანგრეველია, მაგრამ ამ კატეგორიაში შედის ასევე კონფლიქტები ავღანეთში, ერაყსა და პაკისტანში. ცხრილი 4.1 ამყარებს გამოყოფის მნიშვნელობას ორი ანალიზის მიზნებისთვის. სამივე ძირითადი კონფლიქტის შემთხვევაში, სავარაუდოდ ურთიერთკავშირები არსებობს და მათ ჩვენ მესამე ნაწილში დავუბრუნდებით.

არსებობს გარკვეული რეგიონული განსხვავებები. სამხრეთ ამერიკაში კონფლიქტები ტერიტორიების გამო თითქმის არ გვხვდება. ეკვადორსა და პერუს შორის არსებული კონფლიქტი მიუთითებს იმაზე, რომ ბევრი გადაუჭრელი სახელმწიფოთაშორისი მაგისტრალეები, ესაზღვრება კონტინენტზე ბევრი გადაუჭრელი სახელმწიფოთაშორისი საზღვრებია. რასაკვირველია, 1980-იანი წლების ფოლკლენდის/მალვინის კონფლიქტი ამ დროისთვის მნიშვნელოვანი შეხსენება იყო და ამ პერიოდის განმავლობაში მცირე ეპიზოდები ამ დავაზე აღინერებოდა. თუმცა სამხრეთ ამერიკაში სეპარატიზმის და ავტონომიის შეზღუდვა, რომელიც მსოფლიოს სხვა ნაწილებისთვის საერთოა.

მეორე სპექტრის მხრივ ევროპაში, თითქმის ყველა კონფლიქტი ტერიტორიულ საკითხებს ეხება. ეს ყველაზე მეტად ომებით აღინიშნება, რაც ტერიტორიებს ეხება. ეს ჩრდილოეთ კუნძულს მოიცავს. უმეტესად კონფლიქტები ბალკანეთსა და კავკასიის რეგიონშიყო კონცენტრირებული. ცივი ომის დროს, მთავრობებს შორის კონფლიქტებს, ცენტრალური ადგილი ეკავა; აქედან გამომდინარე, დემოკრატიის ხელშეწყობა პოლიტიკური და აკადემიური აზროვნების ნაწილია, გარდა სტანდარტული თავდაცვის მოსაზრებებიდან.

ევროპული ინტეგრაციის პროექტი იწყება ევროპული საკითხების დენაციონალიზებიდან, რაც შედარებით წარმატებულად იქნა მიღწეული დასავლეთ ევროპაში. თუმცა, აღმოსავლეთ, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ცივი ომისგან ძლიერი ნაციონალისტური ენთუზიაზმი გაჩნდა, რაც კომუნისტური რეჟიმების წინააღმდეგ პოპულარული მობილიზაციის ნაწილი იყო (მაგალითად ხორვატია)სადაც ასეთი რეჟიმები სწრაფად იღებდნენ ეროვნულ რიტორიკას (კერძოდ, სერბეთი). ევროკავშირის გაფართოების პროცესი, 2013 წელს ხორვატიის ჩართვით ევროკავშირის 28 ქვეყნის გაერთიანებაში, ასეთი ტენდენციების შემონიშნა. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ ხაზგასმით აღინიშნა, შესაბამისად ქვეყნებს აქვთ მისწრაფება მეცვალონ თავიანთი პოლიტიკა. თუმცა, 2008 წლის ფინანსური კრიზისის შედეგად, ევროკავშირმა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ პარტნიორობის კავშირის გაფართოების წინადადებაზე, რამაც უკრაინაში, ქვეყნის შიგნით და რუსეთთან, სერიოზული კონფლიქტები გამოიწვია. ამგვარად, ევროპა, 2014 წელს, ახალი ომის წინაშე აღმოჩნდა, სადაც ყირიმის და აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორიულ საკითხებზე გავლენას ახდენდნენ რეგიონალური და მსხვილი ენერგეტიკული ურთიერთობები.

სხვა რეგიონები სამხრეთ ამერიკასა და ევროპულ მოდელს შორის აღმოჩნდებიან. ტერიტორიასთან დაკავშირებული კონფლიქტები უფრო ხშირად გვხვდება ახლო აღმოსავლეთსა და აზიაში გვხვდება. გასაკვირია, რომ აფრიკა ძირითადად გვიჩვენებს კონფლიქტებს მთავრობასთან მიმართებაში. პოლიტიკური ტაბუ ედო აფრიკის ქვეყნების დაშლას, აფრიკის კავშირის (AU, 2003 წლამდე აფრიკის ერთიანობის ორგანიზაცია, OAU)

მიერ გაზიარებულ პოლიტიკას, რომელსაც ის ატარებდა კონტინენტზე 1964 წლიდან. ეს ორი გამონაკლისი იყო ერთრია და სამხრეთ სუდანი, მაგრამ სხვებსაც შეიძლება იგივე მოთხოვნა გასჩენოდათ. ამრიგად, ახალი ტერიტორიული კონფლიქტები მალის და ნიგერიის რეგიონებში, რეგიონალური და რელიგიური კომპონენტებით იწყება.

კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება ცივი ომის შემდეგ

უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა სისტემურ ინფორმაციას შეიცავს კონფლიქტის შედეგებზე და სამშვიდობო შეთანხმებებზე. მე-2 თავში განსხვავებული შედეგებია წარმოდგენილი (ცხრილი 2.1) და განხილვა სამშვიდობო შეთანხმებების სიხშირეზე გაკეთდა. ცხრილი 4.1 ტენდენციურ მონაცემებს აჩვენებს აქტიური შეიარაღებული კონფლიქტების საერთო რაოდენობის თანდათანობითი შემცირების შესახებ. ცივი ომის შემდეგ, მეხუთე პერიოდში, 54 წლის შემდეგ, 93-დან 42 პროცენტამდე შემცირდა. ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს - გაძლიერებული საერთაშორისო ვალდებულება მშვიდობის მშენებლობისთვის (ადამიანის უსაფრთხოების ანგარიში 2005).

სამშვიდობო შეთანხმებები ახლა შეიძლება დაკავშირებული იყოს კონფლიქტის ტრიქოტომიასთან. პირველი დაკვირვების შედეგად, ასეთი შეთანხმება შეიძლება დაიდოს კონფლიქტის დასრულებიდან ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. 1995 წლის ბოლო თვეებში, ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში, ომის დასრულება და სამშვიდობო ხელმოწერის შეთანხმება ერთდროულად მოხდა, რაც ტიპური არ იყო. 1990 წელს სამშვიდობო შეთანხმებები დაიდო ისეთ კონფლიქტებზე, რომელიც შეიარაღებული არ იყო მრავალი წლის განმავლობაში. 1994 წელს სამშვიდობო ხელშეკრულება ისრაელსა და იორდანიას შორის გაფორმდა. ამ მხარეებს შორის ახალი, სერიოზული სამხედრო შეტაკებები მოხდა 1967 წელს. ასევე, სამშვიდობო შეთანხმებას შეიძლება ერთი წელი დასჭირდეს, სანამ შეიარაღებული კონფლიქტი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, არც შეთანხმებები არ განხორციელდება მომდევნო წლამდე, ან უფრო გვიანამდე. ამრიგად, სამშვიდობო შეთანხმებებსა და ომის შეწყვეტას შორის განსხვავება არსებობს. უფრო მიზანშეწონილია, რომ ეს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოხდეს, ვიდრე აქცენტი გაკეთდეს ინოვაციურ ცვლილებებზე. ცხრილში 4.2 შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების სამშვიდობო შეთანხმებებია ჩამოთვლილი, რომელიც ცივი ომის პერიოდში აქტიური იყო.

ცხრილი 4.2

სამშვიდობო ხელშეკრულებები შეიარაღებულ კონფლიქტებში, 1989-2013

ფრჩხილებში ნაჩვენებია ხელშეკრულებების რაოდენობა	წელი აღნიშნავს უკანასკნელ შეთანხმებას
სამშვიდობო შეთანხმებები მთავრობასთან შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების დროს	სამშვიდობო შეთანხმებები ტერიტორიაზე შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების დროს
ავღანეთი (3) 1996	ანგოლა (კაბინდა) (1) 2006
ანგოლა (4) 2002	ბანგლადეში (ჩიტაგონგის მაღლობის სივრცეები) (1) 1997
ბურუნდი (8) 2008	ბოსნია და ჰერცეგოვინა (ხორვატი) (1) 1994
კამბოჯა (1) 1991	ბოსნია და ჰერცეგოვინა (სერბი) (1) 1995
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა(4) 2013	კომოროსი (ანჟუანი) (3) 2003
ჩადი (11) 2016	ხორვატია (სერბი) (1) 1995
კოლუმბია (6) 2002	საქართველო (აფხაზეთი) (1) 1994
კონგო (1) 1999	ინდოეთი (ბოდოლენდი) (1) 1993
კოტ-დ’ივუარი (9) 2008	ინდოეთი (ტრიპურა) (1) 1993
კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (7) 2013	ინდონეზია (აეჩი) (2) 2005
ჯიბუტი (3) 2001	ისრაელი (პალესტინა) (8) 2007
ელ-სალვადორი (9) 1992	მალი (აზავადი) (2) 1992
გუატემალა (16) 1996	მოლდოვა (დნესპრისპირეთი) (1) 1997
გვინეა-ბისაუ (1) 1998	ნიგერია (ეარი და აზავადი) (2) 1995
ჰაიტი (1) 1993	პაპუა ახალი გვინეა (ბუგენვილე) (3) 2001
ლიბერია (11) 2003	ფილიპინები (მინდანაო) (8) (2013)
მაკედონია (1) 2001	სენეგალი (კასამანცე) (1) 2004
მეხიკო (1) 1996	სუდანი (აბუეი) (1) 2011
მოზამბიკი (5) 1992	გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდია) (1) 1998
ნეპალი (1) 2006	იუგოსლავია (სლოვენია) (1) 1991
ნიგერია (1) 1993	იუგოსლავია (კოსოვო) (1) 1999
ფილიპინები (1) 1995	სამშვიდობო შეთანხმებები სახელმწიფოებს შორის:
რუანდა (6) 1993	კამერუნი-ნიგერია (1) 2006
სიერა-ლეონე (3) 2000	ჯიბუტი-ერიტრია (1) 2010
სომალი (5) 2008	ეკვადორი-პერუ (1) 1998
სამხრეთ აფრიკა (5) 1993	ერიტრია-ეთიოპია (1) 2000
სუდანი (10) 2011	სუდანი-სამხრეთ სუდანი (1) 2012
ტაჯიკეთი (5) 1997	
უგანდა (8) 2008	

1993 წლის 3 აგვისტოს ორი შეთანხმება განიხილება, როგორც ერთი;

2004 წლის 6 მაისის სამი შეთანხმება განიხილება როგორც ერთი.

შენიშვნა: სამშვიდობო შეთანხმებები განისაზღვრება, როგორც ხელმოწერილი ხელშეკრულებები, რომლებიც შეუსაბამობას არეგულირებენ (პროცესის გადაწყვეტა ან გამოსავალი), რომელიც მოდავე მხარეებს შორის დაიღო და ამით კონფლიქტი დასრულდა. აქ არ შედის შეთანხმებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. აქ შედის 2013 წლის ბოლოს გაფორმებული ხელშეკრულებები.

წყარო: უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა, ატვირთულია 2014 წლის 27 აგვისტოს

ცხრილი 4.2 გვიჩვენებს შეიარაღებული კონფლიქტის მოგვარების მნიშვნელოვან საერთაშორისო, ეროვნულ და ადგილობრივ ძალისხმევას. ბევრი შეთანხმება სამშვიდობო პროცესის ნაწილია, შუამავლებთან, ფასილიტატორებთან, ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, ასევე პროცესის ნაწილია საჯარო დებატები და პოლიტიკურად პასუხისმგებელი აქტორები. ეს 194 შეთანხმება ხელმოწერილ იქნა საზეიმო პირობებში და დიდი იმედები წარმოშვა. ბევრმა შეასრულა მოლოდინი, სხვები შემდგომი სწავლების ნაწილი გახდა გრძელვადიანი მშვიდობისთვის.

ბევრი სირთულე წარმოიშობა სამშვიდობო შეთანხმების განსაზღვრისას. 1987 წელს ირანსა და ერაყს შორის ომი დასრულდა ორივე მხარისთვის მისაღები უშიშროების საბჭოს რეზოლუციით. სახელმწიფო მეთაურებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება არ არსებობდა. მათი მხარდაჭერა კონფლიქტის მოსაგვარებად უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების შედეგი იყო. მიუხედავად ამისა, ის სადავო საკითხების მნიშვნელოვან ასპექტებს არეგულირებდა, რომელიც ორივე მხარეს უზრუნველყოფდა და მათ შორის საბრძოლო მოქმედებები აღარ არსებობდა. არცერთ მხარეს არ შეეძლო იმის თქმა, რომ ომში გაიმარჯვა, მაგრამ ორივე მხარეს შეუძლია თქვას, რომ გამარჯვებაში მათ ხელი არ შეუშალეს. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია იყო მთავარი მეთოდი, რომლის საშუალებითაც ომის შეწყვეტა გამოიკვეთა.

კოსოვოს შემთხვევამსგავსია. ის ოფიციალური მოლაპარაკებებით დასრულდა იუგოსლავიაში, დასავლეთის სახელმწიფოებსა და მთავრობას შორის შუამავლების მეშვეობით. ეს იყო დოკუმენტი, რომელიც ნატოს და იუგოსლავიის მხრიდან მიღებულ იქნა. ამან საჰაერო ომის შეწყვეტა და კოსოვოდან იუგოსლავიური ძალების გაყვანა გამოიწვია. ცენტრალური საკითხები მაინც გადაუჭრელი დარჩა. ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კოსოვოს სტატუსის გადაწყვეტის საკითხი, რომელიც კონფლიქტის ფოკუსს წარმოადგენდა. შეთანხმდნენ, რომ იუგოსლავიის ძალები საერთაშორისო ძალებით უნდა შეცვლილიყო (**KFOR**), რომელიც დაიშლებოდა. ეს კონფლიქტის მოგვარების პროცესს უსვამდა ხაზს. ამრიგად, ეს არის სამშვიდობო შეთანხმებების შედარება სხვა ხელშეკრულებასთან, რომელსაც ეს ელემენტი აქვს და მიჩნეულია სამშვიდობო შეთანხმებად. 2008 წელს კოსოვომ ცალმხრივად გამოაცხადა დამოუკიდებლობა და 2014 წლისთვის, მსოფლიოს ქვეყნების დაახლოებით ნახევარმა კოსოვოს ახალი სახელმწიფო აღიარა. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე საკმარისი უმრავლესობა მიიღეს, თუმცა სუვერენიტეტზე საბოლოო მიზნის მისაღწევად, მათ სჭირდებოდათ ორი უარყოფითი ვეტოსგან თავის არიდება (რუსეთი და ჩინეთი). ყველაზე საყურადღებოა სამშვიდობო პროცესი 1993 წელს ისრაელსა და პალესტინის განმათავისუფლებელ მოძრობას (**PLO**) შორის. ამ შემთხვევაში, 1990-იან წლებში ბევრი დროებითი შეთანხმება გაფორმდა, რომელთაგან 7 მიჩნეულია სამშვიდობო შეთანხმებად. 2007 წლის ნოემბერში სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით მოლაპარაკებები განახლდა და ახალ სამშვიდობო შეთანხმების ინიციატივით გამოვიდა ობამას ადმინისტრაცია, 2010 წლის სექტემბერში. თუმცა 2014 წლის დასაწყისში აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ უარი თქვა თავის ბოლო მცდელობაზე ორ მხარეს შორის შეთანხმების შესახებ.

კიდევ ერთი საყურადღებო შემთხვევა, რომელიც ცხრილში 4.2 არ შედის, არის სპარსეთის ყურის ომის შეწყვეტა. იგი გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით 687 (1991) დასრულდა. ეს იყო ასიმეტრიული დოკუმენტი. ის განსაზღვრავდა იმ პირობებს, რომლისთვისაც ერაყმა საერთაშორისო ძალები უნდა დაიცვას, რათა ეკონომიკური სანქციებისგან განთავისუფლდეს. ერაყი პრაქტიკულად ამ დოკუმენტში არ მოიაზრებოდა და მოსალოდნელი იყო, რომ იმ პროცესზე გავლენას ვერ მოახდენდა, რაც ამას მოყვებოდა. ეს პროცესი კონკრეტული იარაღის სისტემების განიარაღებას, ერაყისა და ქუვეითის საზღვრების დადგენის პროცედურის მიღებას და კომპენსაციის გადახდას გულისხმობდა. ეს არის გამარჯვებული კოალიციის მიერ დაწერილი დოკუმენტი. ამდენად, ის არ შეიძლება ჩაითვალოს სამშვიდობო შეთანხმებად. ცხადი ხდება ვინ მოიგო ომი. ოდნავი გაურკვეველობა შეინიშნებოდა. სპარსეთის ყურის ომი 1991 წელს უფრო წარმატებული იყო, ვიდრე 1999 წელს კოსოვოს კონფლიქტი.

შემდგომი გართულება ისაა, რომ იმავე კონფლიქტში ბევრი შეთანხმება შეიძლება ყოფილიყო. ხელშეკრულებები გაუქმდა, გადაიდო ან განახლდა. სწორი ისეთი შეთანხმებები, როგორცაა ხელშეკრულებები პირები და მათი მენეჯმენტი საერთაშორისო თანამეგობრობისთვის (სტედმანი 1997, 1998). ცხრილში 4.2 194 ხელშეკრულებაა, საიდანაც 54 შეიარაღებულ კონფლიქტზეა, საშუალოდ სამზე მეტი თითოეულ კონფლიქტზე ხელშეკრულებასთან ერთად. ყველაზე მეტი კონფლიქტები გვხვდება ბურუნდიში, ფილიპინებზე (მინდანაო), უგანდასა და ისრაელში (პალესტინა), თითოეულში 8 შეთანხმებაა, ელ-სალვადორსა და კოტდიუარში, თითოეულში ცხრა, სუდანში 19, ჩადში და ლიბერიაში 11 და გუატემალაში 16, რაც მნიშვნელოვანი გამოცდაა სირთულეების, წარუმატებლობის, უნდობლობისა და განახლებული ძალისხმევისთვის გამოსავლის მოსაძებნად. სინამდვილეში, ამ ათ კონფლიქტს საერთო ჯამში 98 სამშვიდობო შეთანხმება მოჰყვა, რაც ყველა შეთანხმების ნახევარზე ოდნავ მეტია. 2013 წლისთვის მხოლოდ სამ მათგანს მიმდინარე, მცირე შეიარაღებული კონფლიქტი ჰქონდა.

თუ ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ კონფლიქტებს ხელშეკრულებებთან ერთად, მაშინ ტრიეტომიის ცხრილი 4.3 ჩნდება. აქ კონფლიქტის სამივე კატეგორიაში კონფლიქტის მოგვარების სიდიდეებია შედარებული.

ცხრილი 4.3

შეიარაღებული კონფლიქტები და სამშვიდობო შეთანხმებები, 1989- 2013

	კონფლიქტების რაოდენობა სამშვიდობო შეთანხმებებით	შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა	შეთანხმებები შეიარაღებულ კონფლიქტებთან (%)
სახელმწიფოთაშორისო	5	10	50
შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი მთავრობაზე	29	64	45
შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტი ტერიტორიაზე	21	70	30
მთლიანი	55	144	38

შენიშვნა: შეიარაღებული კონფლიქტები მინიმუმ ერთი სამშვიდობო ხელშეკრულებით;

წყარო: უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა, 4 სექტემბერი, 2014.

ცხრილი 4.3 გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანი მსგავსება არსებობს სამშვიდობო შეთანხმებების დადების დროს, მიუხედავად იმისა, თუ რა კონფლიქტია. ყველა კონფლიქტის დაახლოებით ორი მეხუთედი, სავარაუდოდ, ადრე თუ გვიან, მოლაპარაკებით და სამშვიდობო შეთანხმებით სრულდება. ასეთი საკითხების მოგვარების თანმიმდევრული მოდელი არსებობს, რომელიც ქვეყანაში შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებისთვისაა დამახასიათებელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ასეთი შეთანხმების მიღწევა ყველა სერიოზული ასპექტია ომისა და მშვიდობის ანალიზში. ის ფაქტი, რომ გარკვეული განსხვავებები არსებობს ძალიან ძლიერი არ არის, მაგრამ ტრიქოტომიის კატეგორიების მიხედვით, ეს მართლაც არის კონფლიქტის მოგვარების გზამკვლევი.

კონფლიქტის მოგვარება სამოქალაქო ომებში

პიტერ ვოლენსტინი⁷

6.1 შეიარაღებული კონფლიქტები და სამშვიდობო შეთანხმებები სახელმწიფოს ფარგლებში

სამოქალაქო ომი ან უფრო კონკრეტულად შიდა სახელმწიფო კონფლიქტი მთავრობის კონტროლთან დაკავშირებული, გლობალურ კონფლიქტურ სურათში არსებული მუდმივი ფუნქციაა. ცივი ომის შემდეგ ამ საკითხმა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. იგი შედგება მრავალი ფენომენისგან, რომელთაგან მხოლოდ ერთია ვიწროდ განსაზღვრული - შეიარაღებული კონფლიქტი. ასევე არსებობს სამხედრო გადატრიალებები, რომლებიც ხანდახან ძალიან სწრაფია და განსაზღვრულ ძალადობაში ვლინდება, აქვე უნდა აღინიშნოს გადატრიალების მცდელობები, ხანმოკლე აჯანყებები, მებრძოლების ქმედებები, შეიარაღებული ბანდები, თავისუფლებისთვის მებრძოლი მოძრაობები და ტერორისტული ორგანიზაციები. მთავრობის მოქმედება, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი, ოპონენტის ქმედებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირშია. არსებობს რეპრესიების ფორმები, როგორცაა პოლიციის ღონისძიებები, სამართლებრივი ინსტრუმენტები, პრევენციული დაკავება, ასევე ადამიანის უფლებების დარღვევა და დაუსაბუთებელი დაპატიმრებები. პოლიციის მხრიდან სისასტიკესა და მასობრივ არეულობებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. მდიდარ და ღარიბ ქვეყნებში დაკვირვების შედეგად ძალადობის სხვადასხვა ფორმები ვლინდება. ძალადობის გამოვლინების მნიშვნელოვანი წილი მსოფლიოს მასშტაბით მთავრობის მიერ კონტროლირებად კონფლიქტებში აისახება. ამ საკითხებში კვლევას არა ერთი პოლიტიკური ანალიზი მიეძღვნა. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებმა ასეთი დინამიკის საერთაშორისო შედეგები აჩვენა. ორგანიზაციას, რომელსაც სურს ცვლილებები შეიტანოს კონკრეტულ ქვეყნებში (საუდის არაბეთი, ეგვიპტე), მოქმედი რეჟიმის ძირითად გარე მხარდამჭერზე თავდასხმას ირჩევს. გლობალური ტერორიზმის ძირითადი ფესვები შიდა კონფლიქტშია, რომელთაგან ზოგი სახელმწიფოს კონტროლთან, ზოგი კი ტერიტორიულ საკითხებთან არის დაკავშირებული. არაბულმა გაბაფხულმა კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნა მმართველობის მნიშვნელობა, რითაც სოპულარული აჯანყებების სერია შეიცვალა, რაც ხშირ შემთხვევაში სამოქალაქო ომებში ვლინდებოდა. აქვე განვიხილოთ შიდა კონფლიქტის მდგომარეობა ცივი ომის დროს და მის შემდეგ.

სამოქალაქო ომი ცივი ომის დროს და მის შემდეგ

სამოქალაქო ომი ზოგჯერ აღწერილია, როგორც ცივი ომის შემდგომ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ეს მოსაზრება სრულყოფილი არ არის. როგორც 5.1 ნაწილში აღვნიშნეთ, ცივი ომის კონფლიქტები შიდა სახელმწიფოებრივ პირობებთან და მთავრობის აპარატზე კონტროლთან არის დაკავშირებული. კონტექსტიდან გამომდინარე ისმის კითხვა, იყო თუ არა კონკრეტული სახელმწიფო კონტროლირებადი მარცხნივ ან მარჯვნივ, პრო-საბჭოთა ან პროდასავლური ჯგუფების მიერ. კონფლიქტები ცივი ომის ნაწილი იყო. ამგავრად, ისინი საერთაშორისო შემფოთებას იწვევდნენ. არსებობდა ინტერვენციის სხვადასხვა ფორმები, სამოქალაქო ომის ინტერნაციონალიზაცია მოხდა. ეს მოქმედებები ბლოკის ლიდერისგან ჯარების დისპეტჩერიზაციას გულისხმობდა. ასეთი

7 Wallenstein Peter. "Conflict Resolution in Civil Wars." In Understanding Conflict Resolution, 126-157, London, SAGE Publications, 2015.

ქმედებების მაგალითებია - აშშ-ს ინტერვენცია გვატემალაში 1954 წელს, დომინიკის რესპუბლიკაში 1965 წელს, გრენადაში 1983 წელს და პანამაში 1989 წელს. საბჭოთა ჯარებს იყენებდნენ მთავრობის შესაცვლელად უნგრეთში 1956 წელს, ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს და ავღანეთში 1979 წელს. ინტერვენციის საიდუმლო ფორმებიც არსებობდა, ასევე კონკრეტული მთავრობების ან ჯგუფების მხარდაჭერა შიდა კონფლიქტებში რეალური საბრძოლო მოქმედებების განსახორციელებლად. ინტერვენცია შიდა კონფლიქტებში ცივი ომის სახასიათო ნიშანია. ზოგჯერ კონფრონტაციები იზრდება და სიტუაცია მძიმდება. მაგალითად, კონფლიქტები კუბაში (1961 წელს აშშ-ს მიერ დაფინანსებული ინტერვენცია) და ვიეტნამის ომი (განსაკუთრებით კი 1963 წელს, საიგონში, აშშ-ის მიერ დაფინანსებული გადატრიალება).

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ქარტია განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც არსებითად ქვეყნის შიდა იურისდიქციაშია (მუხლი 2. 7), გაეროს ინტერესს არ უნდა წარმოადგენდეს ამ საკითხების ინტერნაციონალიზაცია. ქარტიის დებულება ხშირად მხოლოდ გაერო-ს აკრძალვა იყო, სადაც სხვა აქტორების უმრავლესობა მძიმედ იყო ჩართული. მუხლი 2.7 ძირითადად საბჭოთა კავშირის მიერ გამოიყენებოდა, რათა ბლოკის წევრთა ქმედებებზე საერთაშორისო ზემოქმედებისთვის ხელი შეეშალა. აშკარა საბჭოთა ინტერვენციები, როგორც იყო უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიასა და ავღანეთში, გამართლდა, რაც ლეგიტიმური მთავრობის მოწვევას გულისხმობდა. დასავლეთი არ დაუშვებს ბირთვულ კონფრონტაციას ჩამოყალიბებული კრიზისის შიშის გამო. აშშ-ს ინტერვენციები გაეროს დღის წესრიგით დაკული იყო, დასავლური დომინირებით უშიშროების საბჭოში, ასევე აშშ-ს მიერ კონტროლირებადი რეგიონული ორგანიზაციების გავლენით (მაგალითად, გვატემალას შემთხვევა). 2.7 მუხლის მკაცრი ინტერპრეტაცია სამხერო რეჟიმების მიერ გამოყენებულ იქნა შიდა და გარე კრიტიკის მინიმუმამდე შემცირებისთვის და სასტიკი წესით ჩარევისგან. აფრიკასა და აზიაში ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები, როგორც ყოფილ კოლონიურ ძალაუფლებას, ისე მათ დამოუკიდებლობას იყენებდნენ. ამდენად, გაერო და სხვა საერთაშორისო აქტორები მკაცრ შემზღვევებს ხვდებიან შიდა კონფლიქტებში შესვლისას.

ცივი ომის შემდეგ სურათი შეიცვალა. 1990-იანი წლების დასაწყისში, გაერო და სხვა საერთაშორისო სააგენტოები უფლებამოსილნი იყვნენ შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებში შესულიყვნენ და სამშვიდობო პროცესებში ჩართულიყვნენ, კერძოდ ცენტრალურ ამერიკაში, ინდოჩინეთში, აფრიკასა და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპაში. ამგვარ სიტუაციებში, ცივი ომი განისაზღვრება საერთაშორისო მოქმედებების პარამეტრებს გარეთ, 2.7 მუხლის მითითებით. დღესდღეობით ბევრად უფრო მეტი შიდა კონფლიქტი არსებობს, ვიდრე აქამდე. უფრო დეტალურად რომ განვიხილოთ, დღეს უფრო მეტი შიდა კონფლიქტები არსებობს, რომელშიც საერთაშორისო ორგანიზაციებია ჩართული.

შიდა კონფლიქტები ხშირად განიხილება, როგორც განსაკუთრებით რთული. სამოქალაქო ომი არსებული სოციალური ურთიერთობების განყვეტას ნიშნავს. ოჯახები შეიძლება დაიშალოს, მეგობრობა დაინგრეს და ადგილობრივი თემები განადგურდეს. ამდენად, სოციალურად და ფსიქოლოგიურად, ისინი ბევრად უფრო დამანგრეველია, ვიდრე ბევრი სახელმწიფოთაშორისი ომი. ეს ეხება ისეთ სიტუაციებს, როდესაც სახელმწიფოთაშორის კონფლიქტებს აქვს ადგილი, რომელიც დიდი ხანია გამოყოფილია. იმ სახელმწიფოების შემთხვევაში, რომლებიც მეზობლები არიან ან როდესაც ქვეყნები ახლად შექმნილია, მისი საზღვრების გასწვრივ მსგავსი ქსელები შეიძლება არსებობდეს, როგორც ქვეყნის შიგნითაა. სამოქალაქო ომებისა და სხვა შიდა კონფლიქტების გამორჩეული მახასიათებლებია:

სისასტიკე ან სოციალური გავლენა. ყველა შეიარაღებულ კონფლიქტს ისეთი ეფექტი აქვს, რომელიც ომს განიხილავს, როგორც საერთო ფენომენს, კულტურისა და კონტინენტის გათვალისწინებით.

ნაცვლად ამისა, შიდა კონფლიქტის დამახასიათებელი ნიშანი შეუთავსებლობასა და ძირითად მხარეებში ვლინდება. სამოქალაქო ომები კონკრეტული მთავრობისა და მისი სახელმწიფო აპარატის კონტროლია. გარდა ამისა, ძირითადი პარტიები ფესვგადგმულნი არიან იმავე სახელმწიფოში. ამრიგად, თავდაპირველი კონფლიქტის დინამიკა შიდა კონფლიქტებს აყალიბებს, ისეთებს, როგორც 3.3 ნაწილშია აღწერილი. ბევრი მათგანი ენერგეტიკულ ურთიერთობებს, ეკონომიკურ ურთიერთქმედებას და შიდა სოციალურ სტრუქტურას აყალიბებს. უფრო მეტად, შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების შემთხვევაში, აქტორებს კონფლიქტის ხანგრძლივი ისტორია და გამოცდილება სამხედრო გამოცდილების დაწყებამდე ექმნებათ. ეს არის ერთი ელემენტი შიდა კონფლიქტების აღქმაში, რომელიც სოციალურად უფრო დამანგრეველია, ვიდრე სხვა კონფლიქტები. ადამიანებს შორის იდეოლოგიური, ეკონომიკური ან სოციალური ხასიათის კავშირები არსებობს. სამოქალაქო ომები შეიძლება იყოს ეთნიკური ან რასობრივი. სამხრეთ აფრიკაში სამოქალაქო დაპირისპირება და გენოციდი რუანდაში, ამ ქვეყნებში სახელმწიფო ძალაუფლების კონტროლზე ზრუნავდა. აქტორები დიდწილად ჩამოყალიბებული ისტორიული იდენტურობის მიხედვით მოქმედებენ. ამრიგად, კონფლიქტები ეთნიკური იყო, მაგრამ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ამბიციები მათ არ ჰქონდათ.

ყოველივე ზემოაღნიშნული ნიშნავს იმას, რომ ეთნიკური კონფლიქტები ორ ძალიან მწვავე შეკითხვას სვამს კონფლიქტის მოსაგვარებასთან და ხანგრძლივ სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებით. პირველ რიგში, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური და პოლიტიკურისისტემაუნდაჩამოყალიბდეს, რომელიც სამართლიანსოციალურდაპოლიტიკურ სივრცეს მისცემს ყველა ჯგუფს საზოგადოებაში. ამ კითხვას მივყავართ დემოკრატიამდე, როგორც გადანწყვეტის ფორმამდე, თეორიულად და ემპირიულად. მეორე პრობლემა არის უსაფრთხოება. სამოქალაქო ომის გამოცდილებამ შიდა უსაფრთხოების დილემა წინ წამოწია, რომელსაც აქტორები შემდეგი ფორმით გამოხატავენ: „ თუ შენ იმარჯვებ, შენ კარგავ“, თუმცა შედეგად „ თუ შენ შეგიძლია ჩემს წინააღმდეგ მოქმედება, მე უკეთესად ვიმოქმედებდი სანამ შენ იმოქმედებ“. ეს არის ომის დაწყებამდე რეპრესიის და ტერორის ლოგიკა. ეს არის შეიარაღებული ქმედების მიზეზი. თუმცა ძალაუფლების დასრულება უსაფრთხოების დილემის გამორიცხვასაც გულისხმობს კონფლიქტის მოგვარების პროცესში. თუ მხარეები თავს უსაფრთხოდ არ გრძნობენ, სუბიექტურად და ობიექტურად, სამშვიდობო შეთანხმება ნაკლებად სავარაუდოა. ეს გულისხმობს მთავრობაზე კონტროლს, რადგან სახელმწიფო რესურსები უსაფრთხოების დილემის მხარდასაჭერად იქნება გამოყენებული. მართლაც, ჩვენ შეგვიძლია კორუფციის ფენომენი იმავე დაუცველობის კონტექსტში განვიხილოთ. ეს იქნება საშუალება ლიდერებისთვის, რომ პიროვნულად ქონება დააგროვონ, ეს არის გზა, რომ სხვებისგან ქრთამი აიღონ, იქნება ეს მეტოქეობა თუ ერთგულება. გამონკვევის შემთხვევაში ფულის საზღვარგარეთ დაბანდება იქნება ალტერნატიული გამოსავალი. კლექტოკრატია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შიდა უსაფრთხოების დილემაა. დილემასთან დაკავშირებულმა გადანწყვეტილებებმა შეიძლება გააუმჯობესოს შანსები პატიოსანი მთავრობისთვის.

სამშვიდობო შეთანხმებები სამოქალაქო ომში

ამ თემის განსახილველად ჩვენ უნდა გავიხსენოთ ყველა სამოქალაქო ომი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ცივი ომი პერიოდში და მას შემდეგ. ცხრილში 6.1 ყველა ასეთი სამშვიდობო

შეთანხმება მოცემული 1989 წლიდან 2013 წლამდე.

ცხრილში 6.1 მოცემულია 29 ქვეყნის შეიარაღებული სამხედრო კონფლიქტი, რომელიც თუნდაც გარკვეული პერიოდით, სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა. კონფლიქტების უმრავლესობა მოდის აფრიკიდან, ზოგი ცენტრალური და სამხრეთ ამერიკიდან. აქ არის მოცემული თარიღები, როცა მხარეებმა ხელშეკრულებაზე უარი თქვეს ან ახალი შეთანხმების დამატება მოითხოვეს. ზოგი სამშვიდობო ხელშეკრულება წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მისი დადებიდან მოკლე დროში საბრძოლო მოქმედებები კვლავ განახლდა. ამ შემთხვევაშიც კი, მხარეებს აქვთ უფლება, რომ პირვანდელ იურიდიულ მდგომარეობაში დაბრუნდნენ და ხელშეკრულების ორიგინალი გამოიყენონ, როგორც ეს მოხდა კამბოჯის შემთხვევაში. ჩადში, მთავრობის ცვლილებამ ახალი ხელშეკრულების აუცილებლობა მოიტანა, 2013 წელს ლიბერიაში დადებული შეთანხმება ბოლო პერიოდის ხელშეკრულებაა და გრძელვადიანი შეთანხმებების სერიაში მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ასევე აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგიერთი შეთანხმება შიდა კონფლიქტებში მხოლოდ კონკრეტულ მხარეებს ეხებოდა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ, მშვიდობის შენარჩუნების განსაკუთრებული სირთულის მაგალითებია მოყვანილი. ცხრილში 6.1 განმეორებითი შეთანხმებების ბევრი შემთხვევაა მოყვანილი. შეთანხმებებში კარგად არის ილუსტრირებული მხარეების მცდელობა პრობლემის გადასაჭრელად (მაგალითად, კონკრეტულ საკითხზე ფოკუსირება, როგორცაა ძალაუფლების გაზიარების ფორმულის მოძიება) და იმ გზების მითითება, თუ როგორ უნდა გააგრძელონ მხარეებმა მშვიდობიანი ურთიერთობა (როგორცაა საარჩევნო პროცესი). ცხრილში 6.1 ასევე ნაჩვენებია მხარეების შორის ურთიერთქმედების არაერთი მაგალითი. 2013 წელს ბოლოსთვის, კონფლიქტების უმრავლესობა დარეგულირებული იყო სამშვიდობო შეთანხმებებით. ხელშეკრულებები ხანგრძლივი ვადით დაიდო, რაც იმის მანიშნებელია, რომ შეთანხმების ხელმოწერის მომენტში, მხარეები სერიოზულად უდგებოდნენ აღნიშნულ საკითხს. ეს რა თქმა უნდა კონკრეტულ ქვეყანას და ყველა კონფლიქტს არ ეხება (მაგალითად, კოლუმბიაში, ხელშეკრულება ხანგრძლივი ვადით იყო დადებული მხარეებს შორის 1991 წელს, მაგრამ სამშვიდობო პროცესი წარუმატებლად განვითარდა ერთ მხარესთან 2001-02 წლებში, მაგრამ შეთანხმების განახლება მოხდა 2012 წელს).

დაკვირვების შედეგად ბევრმა შემთხვევამ აჩვენა, რომ ხელშეკრულებაზე შეთანხმების პროცესი უწყვეტი უნდა იყოს, რათა შეთანხმება უფრო დახვეწილი გამოვიდეს. „სამშვიდობო პროცესის“ ცნების დეტალურად აღწერისას კარგად სჩანს, თუ რას შეიცავს ესა თუ ის სამშვიდობო ხელშეკრულება. კონფლიქტის მოგვარების თავდაპირველი მიზანი იყო ისეთ სამშვიდობო ხელშეკრულებაზე შეთანხმებულილყვნენ, რომელიც კონფლიქტის ყველა ასპექტს დაარეგულირებდა. ცივი ომის შემდგომი პერიოდის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოვლისმომცველი საბოლოო შეთანხმების მიღწევა ნაკლებად სარწმუნოა. ასეთი 9 შემთხვევაა განხილული ცხრილში 6.1, რომელთაც მხოლოდ ერთი შეთანხმება ჰქონდათ. ბევრი მათგანმა არ იმუშავა და არც ახალი შეთანხმებით ჩანაცვლდა. თუმცა მაკედონიისა და ნეპალის შეთანხმებებმა იმუშავა (2014). გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც უფრო მეტად გრძელდება კონფლიქტი, მით უფრო დიდი ძალისხმევა სჭირდება სამშვიდობო პროცესს. ეს შეიძლება უფრო მეტად გამოიხატოს შიდა კონფლიქტებში. უფრო მეტიც, სამშვიდობო პროცესი უფრო სახიფათოა თუ ომში რეციდივი განმეორდა, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს გაუთვალისწინებელი მოლოდინების ან გარე ჩარევის შედეგად. სამშვიდობო პროცესები მშვიდობისკენ მიმართული მყიფე გზებია.

1989-2013 წლების პერიოდში სამოქალაქო ომების საერთო რაოდენობა 64 შეადგენს. (იხილეთ ცხრილი 4.1) ხანგრძლივი პერიოდის სამშვიდობო შეთანხმებებთან შედარებით, ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა შიდა შეიარაღებული კონფლიქტის ნახევარმა იზრუნა ხელშეკრულებაზე (45 პროცენტი, იხილეთ ცხრილი 4.3).

ცხრილი 6.1.

სამშვიდობო შეთანხმებები სამოქალაქო კონფლიქტებში ცივი ომის დასრულების შემდეგ

კონფლიქტის ლოკაცია	ხელშეკრულების წლები	ხელშეკრულებების რაოდენობა
ავღანეთი	1993, 1996	3
ანგოლა	1989, 1991, 1994, 2002	4
ბურუნდი	2000, 2002, 2003, 2006, 2008	8
კამბოჯა	1991	1
სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა	2008, 2012, 2013	4
ჩადი	1991, 1992, 1993, 1994, 1995, 1997 1998, 1999, 2002, 2005, 2006	11
კოლუმბია	1991, 1999, 2001, 2002	4
კონგოს რესპუბლიკა	1999	1
ჯიბუტი	2003, 2004, 2005, 2007, 2008	9
კოტდიუარი	1999, 2001, 2002, 2003, 2009, 2013	7
ჯიბუტი	1994, 2000, 2001	3
ელ სალვადორი	1990, 1991, 1992	9
გუატემალა	1990, 1991, 1994, 1995, 1996	16
გვინეა-ბისაუ	1998	1
ჰაიტი	1993	1
ლიბერია	1990, 1991, 1993, 1994, 1995, 1996, 2003	11
მაკედონია	2001	1
მეხიკო ^ა	1996	1
მობამბიკი	1991, 1992	5
ნეპალი	2006	1
ნიგერია	1993	1
ფილიპინები	1995	1
რუანდა	1991, 1992, 1993	6
სიერა ლეონე	1996, 1999, 2000	3
სომალია	1993, 1994, 1997, 2008	5
სამხრეთ აფრიკა ^ბ	1990, 1991, 1992, 1993	5
სუდანი	202, 2003, 2004, 2005, 2006, 2011	10
ტაჯიკეთი	1995, 1996, 1997	5
უგანდა	2002, 2007, 2008	8

ა) შეთანხმება არ განხორციელებულა, მაგრამ საბრძოლო მოქმედებები არ განახლებულა.

ბ) მკაცრად სჩანს, რომ ეს შემთხვევა შეიარაღებულ კონფლიქტებში არ უნდა ყოფილიყო შეყვანილი, რადგან კონფლიქტს ANC- სა და აპარტეიდის რეჟიმს შორის 1989 წლამდე ჰქონდა ადგილი.

შენიშვნა: 1989-2013 წლებში შეიარაღებულ კონფლიქტებში მთავრობის კონტროლთან დაკავშირებული სამშვიდობო შეთანხმებები; ცხრილში შედის ხელმოწერილი ხელშეკრულებები, რომლებიც მეომარ მხარეებს შორის შეუთავსებლობას არეგულირებს (გადაწყვეტა და პროცესიდან გამოსავლის მოძებნა) და შეიარაღებული კონფლიქტი სრულდება. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებებს არ შეიცავს. მხარეები ინგლისური ალფაბეტური წესრიგით არის დალაგებული.

წყარო: უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამის ენციკლოპედია (UCDP); ცხრილი 4.2 ამ წიგნში; ჰოვბლადი 2006

ეს ანგარიში უფრო მაღალ შეფასებას იმსახურებს, ვიდრე სხვა მკვლევარების, რომელიც წინა პერიოდების სამოქალაქო ომებს ეხება. სამოქალაქო ომების განმარტება არ არის ისეთივე, როგორც აქ არის გამოყენებული, რადგან ისინი ხშირად სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტს შეიცავენ. ასევე შეთანხმება ან მოლაპარაკებების დასრულება ოდნავ განსხვავებულად განისაზღვრება. ჯერ კიდევ არსებობს საინტერესო გრძელვადიანი მოდელები. მაგალითად, მელსონმა და ფეტმა (1996) აღნიშნეს, რომ 1945-92 წლებში 13 სამშვიდობო შეთანხმება იყო 56 სამოქალაქო ომიდან, ეს არის ამ შემთხვევების 23 %. ლიკლიდერი უფრო დაბალ რიცხვებზე საუბრობს. ის აღნიშნავს, რომ 1945-93 წლებში მოლაპარაკებების გზით 84 კონფლიქტიდან 14 მოგვარდა, რაც 17 %-ს გულისხმობს. სტედმანმა აღმოაჩინა, რომ 1900-89 წლებში სამოქალაქო ომების 15 % მოგვარდა მოლაპარაკებების გზით ამ საუკუნეში (ლიკლიდერი 1995: 684; მელსონი და ფეტი 1996:8). მოლაპარაკებათა შეთანხმებები ცოტა იყო, ეს სამოქალაქო ომის ისეთ კატეგორიებს ეხება, რაც შემთხვევებიც აქ არის განსაზღვრული. ის გვთავაზობს, რომ სსამშვიდობო ხელშეკრულებების დღესდღობით ომის დასრულების საუკეთესო გზაა, ვიდრე ეს აქამდე იყო. ცხრილში 6.1 მცირე დროის მონაკვეთებია მოცემული, რაც იმას ნიშნავს, რომ სამშვიდობო პროცესი სამოქალაქო ომში მაღალი პრიორიტეტულობით სარგებლობს. სამივე კვლევის პერიოდში სამშვიდობო შეთანხმებით დასრულდა ყოველი მესამე რვა წლამდე ვადით. ცხრილში 6.1 ნაჩვენებია, რომ საშუალოდ 6 სამშვიდობო შეთანხმება იდებოდა ყოველ წელს ცივი ომის შემდგომ პერიოდში. ცივი ომის სამშვიდობო ხელშეკრულებებით დასრულება ძალიან მნიშვნელოვანია.

მიუხედავად ამისა, რომ მთელი რიგი შიდა კონფლიქტები ერთი მხარის კაპიტულაციის აღმოფხვრით დასრულდა, ეს მაინც არის გამარჯვება. ცივი ომის შემდგომ პერიოდში, ეს შედეგი თანაბრად გადანაწილდა, მაგალითად, პანამაში, პარაგუაისა და რუმინეთში 1989 წელს, ეთიოპიაში 1991 წელს, ზაირიში 1997 წელს, ლიბიაში 2011 წელს) და მთავრობის (მაგალითად, შრილანკა, ნეტამილის კონფლიქტი 1991, ვენესუელა 1992 წელს, რუსეთი და საქართველო 1993 წელს). ორივე შემთხვევაში სამშვიდობო შეთანხმება არ განხორციელებულა გამარჯვების სანაცვლოდ (ორივე შემთხვევაში ოპოზიციის მიერ): ჰაიტი (გუბერნატორის კუნძულის შეთანხმება) და რუანდა (არუშას სამშვიდობო ხელშეკრულება), ორივე 1993 წელს დასრულდა. პირველ რიგში, ეს დასრულდა ინტერვენციით მრავალეროვნული ძალების მიერ. მეორე შემთხვევაში, როცა უპრეცედენტო გენოციდი მოხდა, მსოფლიომ დუმილი არჩია. ეს ტუცის უმცირესობების წინააღმდეგ იყო მიმართული, როდესაც დედაქალაქში ტუცის რევოლუციურმა ძალებმა მართვის სადავები ხელში აიღო. ბოლოდროინდელ შიდა კონფლიქტში მოლაპარაკებას აზრი არ ჰქონდა: ავღანეთი 2001. ამ შემთხვევაში გამარჯვება შეიძლება გამოცხადებულიყო, რადგან მთავრობა განადგურდა, მეორე მხარის ძალებმა (ჩრდილოეთ ალიანსი აშშ-ს მხარდაჭერით) დედაქალაქი აიღეს და ახალი რეჟიმი აღიარებულ იქნა. ერთობლივ სამშვიდობო შეთანხმებას 2001 წელს, ბონში, ხელი მოაწერეს, ავღანეთის ფართო მონაწილეობით, მაგრამ გადაყენებული თალიბანის წარმომადგენლების გარეშე. ეს შეთანხმება ავღანეთში შემდგომი მოვლენების საფუძველი

გახდა, მაგრამ თალიბანის წინააღმდეგობა გაგრძელდა. ამ მაგალითების მიუხედავად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთი ან მეორე მხარის მკაფიო გამარჯვება ისეთივე საერთო არ არის, როგორც სამშვიდობო შეთანხმებების შემთხვევაში.

მიუხედავად ამისა, შიდა კონფლიქტებს სხვადასხვა შედეგები აქვს, როცა საბრძოლო მოქმედებები იმ დონეს გადალახავს, რაც უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამის ქვემოთ არის. ამ პროგრამის მიხედვით წელიწადში 25-ზე მეტი დაღუპულის ზღვარს კონფლიქტი არ უნდა გასცდეს. სინამდვილეში ეს იმას ნიშნავს, რომ ძალაუფლება ხელისუფლებას დარჩა. კონფლიქტები შესაძლოა, საბოლოო გამარჯვებით დასრულდა მთავრობის მხრიდან, სტატუს ქვოს შენარჩუნებით, წაგებული მხარის აღიარების გარეშე. თითოეული მხარისთვის, შესაძლოა უფრო სუსტი მხარისთვის, სამშვიდობო შეთანხმებას შეუძლია მართლაც უზრუნველყოს მეტი შანსი გადარჩენისათვის და, შესაბამისად, შეიძლება იგი იყოს სტიმული მშვიდობისთვის. სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის დროს, მხარეებს შეუძლიათ ძალები გაიყვანონ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრის უკან და შესაბამისად ერთ მხარეს განადგურება არ ემუქრება.

ეს მოსაზრებები კიდევ უფრო ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ბევრი შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი ჩანაწერის პერიოდის ბოლოს გაგრძელდა. ეს იმას, ნიშნავს, რომ ბევრი სამოქალაქო ომი დიდი ხნი განმავლობაში მაინც შენარჩუნდა. სიტუაციები, რომელთაც საკმარისი საერთაშორისო გამოხმაურება მიიღეს, მაგალითად, ალჟირში, ბირმა/მიანმარში, პერუში, ფილიპინებში (კონფლიქტები კომუნისტური პარტიების მონაწილეობით) რუნდაში, სომალსა და უგანდაში. ეს ძველი შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტებია, ისინი ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა. ასევე არსებობს ახალი კონფლიქტები, მათ აქვთ პოტენციალი, რომ თავიანტი პოტენციალი შეინარჩუნონ თუ გამოსავალი არ მოიძებნა (მაგალითად, ცენტრალურ ამერიკაში, მალში და სუდანში). ზოგჯერ გაჭიანურებული კონფლიქტი უფრო დიდი ინტერესს იწვევდა, განსაკუთრებით სომალის, ავღანეთის, ბურუნდის და სუდანის კონფლიქტები. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ შიდა სახელმწიფოებრივ კონფლიქტში მხარეებმა თავიანთი შეუთავსებლობა ვერ მოაგვარეს, დიდი ალბათობით ეს კონფლიქტი გაჭიანურდება და გამარჯვებით არ დასრულდება.

აღსანიშნავია, რომ შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტები, რომელიც მთავრობასთან არის დაკავშირებული, ძირითადად გვხვდება მესამე მსოფიოს ქვეყნებში, რომელიც სიღარიბით, მოსახლეობის სიჭარბით და მდიდრებსა და ღარიბებს შორის აბსოლუტური კონტრასტით გამოირჩევა. ასეთი რეჟიმები კლექტოკრატიაში გადავარდნენ. სახელმწიფო რესურსები კორუმპირებულ ხელმძღვანელობას ერთნაირად იყენებდნენ. ნავთობით მდიდარ ინდუსტრიულ ქვეყნებში ხშირია შეიარაღებული კონფლიქტები, ზოგჯერ შეიძლება კონფლიქტი მოკლევადიანი იყოს (ვენესუელა, აზერბაიჯანი, რუსეთი), გარდა რელიგიური ან რასობრივი დაპირისპირებისა (ალჟირი, სამხრეთ აფრიკა). უმეტესწილად სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის ქვეყნებში, სახელმწიფოზე კონტროლის საფუძველი შეიძლება იყოს განსაკუთრებით ღირებული ქონება, რადგან შემოსავლისთვის ნაკლები ალტერნატიული წყაროებია. ზოგიერთი კვლევა ასევე ითვალისწინებს კონფლიქტის წყაროდ გარემოს დეგრადაციას, განსაკუთრებით თუ სხვა ფაქტორებთან არის დაკავშირებული (ჰაუგე და ელინგსენი 1998; ვონტეჩკინი 1999).

შიდა კონფლიქტში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რაც სამხედრო გადატრიალების მცდელობის შემცირებას გულისხმობს. სამხედრო რეჟიმები და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე

გადასვლა 1980-იან წლებში მნიშვნელოვანი საკითხი იყო. პრობლემამ აქტუალობა არ დაკარგა, თუმცა მოდელები შეიცვალა. სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, სადაც დისკუსიებზე აქვენტს აკეთებდნენ, რამდენიმე ასეთი სამხედრო მთავრობა ახლაც არსებობს. მათ მიმართ ისევ წინააღმდეგობაა. 1990-იან წლებში განხორციელებული გადატრიალებები ვენესუელაში 1992 წელს მომხდარ ერთ-ერთი დამარცხებული გადატრიალებას მოიცავს. 1994 წლამდე ეს გადატრიალებები გაუქმდა. სამხედრო გადატრიალების ლიდერები იძულებული იყვნენ, რომ ჰაიტი დაეტოვებინათ. პრეზიდენტმა ფუჯიმორმა პერუში უკან დაიხია, მეორე ვადით გაიმარჯვა პრეზიდენტად, თუმცა 2000 წელს მისი მესამე გამარჯვება ძალიან თაღლითური იყო. ის გადადგა და მოგვიანებით ციხეში იქნა გადაყვანილი. ვენესუელის მთავარმა ინტრიგანმა, ჰუგო ჩავესმა, ის სასამართლოს გადასცა. მოგვიანებით მან ძალაუფლება დაიბრუნა და 1999 წელს ხელისუფლება დემოკრატიული გზით მიიღო. ჩავესი ხანმოკლე გადატრიალებას გადაურჩა 2002 წელს და ხელისუფლებაში დარჩა მის გარდაცვალებამდე, 2003 წლამდე. ახალი უკმაყოფილება არსებობს ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე - სამხედრო ინტერვენციის ჩართვა პოლიტიკურ ცხოვრებაში. 2009 წელს მოხდა ჰონდურასის გადატრიალება, ლათინურ ამერიკულ შეხედულებებს უკიდურესად ნეგატიური ხასიათი ჰქონდა.

იგივე ტენდენციები შეიძლება ვიხილოთ ახლო აღმოსავლეთში, სადაც 1950-69 წლებში 21 ჯგუფი იყო. 2011 წლის დასაწყისში მშვიდობიანი, დემოკრატიული, პროტესტის უპრეცედენტო ტალღა მოაწვა ახლო აღმოსავლეთს, არაბული გაზაფხული. საპროტესტო გამოსვლებმა ტუნისსა და ეგვიპტეში რეჟიმები ჩამოაგდო. ისინი ძალიან რეპრესირებულები იყვნენ, რამაც შეიარაღებული კონფლიქტები გამოიწვია ერევანში, სირიასა და ლიბიაში. კერძოდ, ლიბიის შემთხვევაში, გაეროს და ნატო-ს ქმედებები სამოქალაქო მოსახლეობის დასაცავად საერთაშორისო პასუხისმგებლობის პრინციპს ეფუძნება. მოქმედი ლიდერი, მუამარ გადაფი, 2011 წლის ოქტომბერში დაიღუპა.

მეორე მნიშვნელოვანი რეგიონი, სადაც გადატრიალებებს ჰქონდა ადგილი, იყო აფრიკა, სადაც სამხედრო გადატრიალებების მცდელობა ბოლო წლებში მცირე იყო. 1989 წელს სუდანში, ისლამურმა დაჯგუფებებმა ძალაუფლება ხელში აიღეს სამოქალაქო საზოგადოებისგან. ახალი ლიდერები გაერთიანდნენ უგანდაში, ეთიოპიაში, ერიტრიაში, რუანდასა და ზაირში. მათ სურდათ რევოლუციური გზით ძალაუფლების ხელში აღება. ერთპარტიული მმართველობა დამკვიდრდა დემოკრატიული არჩევნების ნაცვლად (მაგალითად, ზამბიაში და მალიში). თუმცა შეთქმულების მონაწილეებმა ბურუნდიში მთავრობაზე კონტროლი ვერ აიღეს 1993 წელს, მათი ქმედებები შიდა ურთიერთობებში, ბურუნდიში და რუანდაში, დაურეგულირებელი იყო. ახალი გადატრიალება 1996 წელს მოხდა. 1994 წელს სახელმწიფო გადატრიალება ლესოთოში მეზობელი ქვეყნების მხრიდან უარყოფილ იქნა, წინა რეჟიმი აღდგა და რეგიონიდან სამშვიდობო ძალები გაიგზავნა ქვეყანაში 1998 წელს. 1999 წელს ნიგერიაში სამხედრო რეჟიმმა დემოკრატიულ პროცედურებს მიაღწია. 1999 წლის დეკემბერში კოტდიუარში შემაშფოთებელი გადატრიალება მოხდა, რასაც სამხედრო კონფლიქტი მოჰყვა 2002 წელს. სამშვიდობო ხელშეკრულებები ამომრჩეველთა ახალ რეგისტრაციას და ახალ არჩევნებს გულისხმობდა. 2010 წლის არჩევნებში ხმათა უმრავლესობა ოპოზიციამ მიიღო, მაგრამ მოქმედი პრეზიდენტი, ლორან გბაგბო, გადადგომაზე უარს ამბობდა. მან საერთაშორისო მხარდაჭერა მცირე ხნით მოიპოვა, მაგრამ 2011 წლის მარტსა და აპრილში დანებდა, რის შემდეგაც აღიარა ოპოზიციონერი კანდიდატის, ალასან ოუთარას, გამარჯვება. ლორან გბაგბო ჰაგის ტრიბუნალის წინაშე წარსდგა. 2005 წლის გადატრიალება ტოგოში აფრიკული ქვეყნების მიერ უარყოფილ იქნა, რაც დემონსტრაციებში და იძულებით

არჩევნებში გადაიზარდა. ფენომენი არ აღმოიფხვრა, მაგრამ სიხშირე აშკარად დაბალია. 1960-69 წლებში აფრიკის ყველა რეჟიმის სამი მეოთხედის მახლობლად იძულებითი გადაადგილება ადრიცხული, 2000 წლიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში, წილი შემცირდა ერთ-მეექვსედამდე (საუტჰოლი 2005) ლიდერების არაკონსტიტუციურად ჩამოგდება პრობლემად რჩება და აფრიკულმა კავშირმა (AU) ასეთი ღონისძიებების წინააღმდეგ სანქციების პოლიტიკა დააწესა (ერიქსონი 2010; ჰელქვისტი 2014).

სახელმწიფო გადატრიალებებს და გადატრიალების მცდელობებს ჰქონდა ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. 1991 წელს მომხდარი სამხედრო გადატრიალება ტაილანდში წარმატებულად გადაიზარდა დემოკრატიზაციაში 1992 წელს. 1989 წელს ფილიპინებში გადატრიალების მცდელობა დემოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ წარუმატებელი აღმოჩნდა.

1997 წელს აზიის ეკონომიკურმა კრიზისმა სამხრეთ კორეაში, ისევე როგორც ინდონეზიაში, ოლიგარქების დაშლა დააჩქარა, იმავდროულად ტაილანდში, ტაივანსა და ფილიპინებში დემოკრატიული ტენდენციები გაძლიერდა. დემოკრატიზაციისადმი მიდგომა აზიის ბევრ ქვეყანაში გამოვლინდა. 1999 წლის ოქტომბერში, ერთადერთი ტიპური სამხედრო ინტერვენცია სამხრეთ აზიის ქვეყანაში, პაკისტანში, მოხდა. გენერალმა პერვეზ მუშარაფმა ქვეყნის უსისხლო გადატრიალება გააკონტროლა, მაგრამ 2007 წელს კიდევ ერთი გადატრიალება დაიწყო, უმაღლესმა სასამართლომ კი მისი გამარჯვება არჩევნებში გააუქმა. 2008 წელს გენერალი პოპულარული აჯანყებებიდან გამოაძევეს. ასეთი მოძრაობები ტაილანდის მთავრობებს არაერთხელ შეეხო. 2010 წელს ე.წ. წითელი მაისურები ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივად რეპრესირებდნენ, მოგვიანებით კი არჩევნებში გაიმარჯვეს, მაგრამ 2014 წელს ახალი სამხედრო გადატრიალების წინაშე აღმოჩნდნენ.

როგორც ეს მიმოხილვა ვარაუდობს, გადატრიალების ფენომენი კიდევ უფრო იშვიათია დემოკრატიზაციის სამყაროში. ცივი ომის შემდგომ პერიოდში, მსოფლიოს ბევრ კუთხეში, პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილებები კონსტიტუციურ ფორმებს ატარებდნენ. გარდა ამისა, ავტორიტარული რეჟიმები მასობრივი მოძრაობებით იყო გამოწვეული, რომლებმაც პოლიციის რეპრესიების მასშტაბური უგულებელყოფა გამოიწვია. მობილიზაცია ინტერნეტის და სოციალური მედიის საშუალებით ზოგადად, პოლიტიკაში ახალი ფუნქციაა, როგორც ეს ჩანდა ირანში 2009 წელს და 2011 წელს არაბულ ქვეყნებში. საინტერესოა მსჯელობა, მაგალითად, იმის თაობაზე, თუ რამდენად შეთავსებადია ისლამი დემოკრატიასთან. ასეთ ცნებებს კვალიფიკაციას აძლევს, რა თქმა უნდა, ინდონეზიის დემოკრატიზაცია (ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე დიდი მუსულმანური მოსახლეობით), 1990-იან წლებში დემოკრატიული ცვლილებები ერთი მხრიდან მეორეში, ბანგლადეშში, და 2004 წელს თურქეთში კიდევ ერთი ისლამური პარტიის ძალაუფლების ზრდა. 2011 წლის გაზაფხულზე არაბულ ქვეყნებში გავრცელებული დემოკრატიის მოძრაობები ფართოდ გავრცელდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დემოკრატიის მოთხოვნები ასეთ კულტურულ განსხვავებებს აღემატება.

სამხედრო გადატრიალების შემცირება არ ნიშნავს იმას, რომ ეს წარსულის ფენომენია, ან პოლიტიკური გავლენაზე სამხედრო გავლენა აქვს. ამის ნაცვლად, სამხედრო ინსტიტუტები დემოკრატიული პოლიტიკის გავლენის ახალ გზებს პოულობენ. ზოგიერთ ქვეყანაში, სამხედრო წესრიგის შენარჩუნება, უსაფრთხოების ერთადერთი გარანტიაა. ამდენად, თურქეთის შეიარაღებული ძალები, უპირატესად მუსულმანურ მოსახლეობასთან ერთად, ისტორიულად მოქმედებდნენ, როგორც სეკულარული, ევროპაზე ორიენტირებული ქვეყანის წარმომადგენლები.

2010 წლის შუა პერიოდებში, სამხედრო ძალაუფლება, როგორც ჩანს, შემცირდა დომინანტური პოლიტიკური პარტიის, AKP-ის, გავლენით. ამ პარტიას მართლმსაჯულების და განვითარების პარტიას უწოდებენ. 1990 - იანი წლების დასაწყისში, სამხედრო ხელმძღვანელობა ღია კარის პოლიტიკის შენარჩუნებას ვერ ახერხებდა. ისინი ვარაუდობენ, რომ ამის მიზეზი დროის ცვლილებაა. სამხედრო დაწესებულებები იმედოვნებდნენ, რომ ნაკლებად ხილული, მაგრამ მაინც ეფექტური როლი ითამაშეს სამხრეთ კორეაში, ტაივანში. ინდონეზიაში, ფილიპინებზე, ბანგლადეშსა და ბირმა/მაინმარში. გარე დამკვირვებლებისთვის ეს ნიშნავს იმას, რომ შეიარაღებული ძალების განმსაზღვრელი ანალიტიკური იარაღები უნდა გაძლიერდეს.

ბევრი გზა არსებობს, რისი მეშვეობითაც სამხედრო ლიდერებს შეუძლიათ მოერგონ დემოკრატიზაციას, მის მიმართ მტრულად განწყობა საჭირო არ არის. დემოკრატიული სისტემა გულისხმობს სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლს. შესაძლებელია შეიარაღებული ძალების განლაგება პროფესიონალურად განსაზღვრულ სამხედრო დაწესებულებას და დემოკრატიულ ხელისუფლებას შორის განაწილდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამხედროების გამოყოფა სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან, რაც შეიძლება ნათლად უნდა მოხდეს. ეს, როგორც ჩანს, გლობალური ტენდენციაა. სამოქალაქო სახელმწიფოს უნარი, მართოს შეიარაღებული ძალები, სახელმწიფოს კომპეტენციასა და ძალაზეა დამოკიდებული. ამბობენ, რომ ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გლობალიზაციას შეუძლია დაასუსტოს სახელმწიფო და ძალაუფლების ლეგიტიმურად გამოყენება ვეღარ შეძლოს (დეჩი 1999; 128-30). საბოლოოდ, ქვეყნის სიძლიერე განისაზღვრება მოსახლეობის მხარდაჭერიდან გამომდინარე. ეს მოითხოვს ძლიერი და ავტონომიური სახელმწიფო სტრუქტურების არსებობას, რომელიც საზოგადოებაზე იქნება მორგებული. 1990 -იანი წლებში სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას სამშვიდობო შეთანხმებების შესრულებაზე ჰქონდა გავლენა, ასევე სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების მართვაზე.

ამავე დროს, ზედმეტად ძლიერი სახელმწიფოები რეპრესიული ხდებიან და აჯანყებისთვის ახალ პირობებს ქმნიან. ბოლო დროს ტერორიზმი ამ სპექტრის ორივე ბოლოსგან შედგება. დახურული პოლიტიკური სისტემები (როგორისაა საუდის არაბეთი და ეგვიპტე) სტიმულს აძლევს ოპოზიციას, რომელიც თავის მხრივ ენერჯიას გადაუჭრელი რეგიონული საკითხების მოგვარებაზე ხარჯავს დამოკავშირებულ ექვზენარეულ სახელმწიფოებში (ოგორიცაა ავღანეთი და პაკისტანი), სადაც შესაძლებელი იქნება თავისი დრამატული ქმედებები განახორციელოს (2001 წლის 11 სექტემბერი, რომელიც თვითმკვლელობის ან ტერიტორიული კონტროლის დამყარების მცდელობაა). ტერორიზმის ფესვები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიმდინარე კონფიქტებიდან და გაბატონებული პოლიტიკური პირობებიდან მოდის. გამოსავალია არც ძალიან სუსტი სახელმწიფო და არც ძალადობრივი.

ამ თავში ჩვენ შევხვით დემოკრატიას, როგორც შიდა ომის გადაწყვეტის ფორმას, ხოლო 6.2 ნაწილში თეორიულად და 6.3 ნაწილში ემპირიულად. შიდა უსაფრთხოების დილემაზე და სახელმწიფოს წარუმატებლობაზე ჩვენ ვისაუბრეთ 6.4 და 6.5 ნაწილებში. ახლად შექმნილი დემოკრატიები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მხარდაჭერას უნდა დაეყრდნონ, რათა შეიარაღებულ ძალებთან წონასწორობის გატარება და იმავდროულად შიდა ომისგან მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლა შეძლონ. სამოქალაქო საზოგადოების როლი დემოკრატიის გადასარჩენად უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ჩვენ ამ საკითხს დავუბრუნდებით 6.6 ნაწილში.

6.2 სახელმწიფოსთან დაკავშირებული შეუთავსებლობა

სამშვიდობო შეთანხმებების უმრავლესობა, რომელიც 6.1 ცხრილშია გადმოცემული, კონფლიქტის მოგვარებაში იყენებს დემოკრატიზაციას, როგორც მთავარ ელემენტს. ეს ლოგიკურია, რადგანაც ცხრილში განხილული ომები საზოგადოებაში გავლენის მოსაპოვებლად ბრძოლას მოიცავს. ეს არის გზა, რათა ბრძოლის შემდეგ მხარეები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაერთონ: ეს შესაძლებლობა უნდა მიეცეთ აქტორებს, რომლებიც ადრე დაფარული ან გარიცხული იყო. გადაწყვეტილება შეიძლება შეიცავდეს ბრძოლას საკონსტიტუციო და არაძალადობრივი ფორმების გადაცემისათვის. ეს ნიშნავს პოლიტიკური პარტიების სისტემას, გაერთიანების თავისუფლებას, ადამიანის უფლებების გარანტიებს, მედიის ხელმისაწვდომობას, საარჩევნო კამპანიების უსაფრთხოებას, დამოუკიდებელ საარჩევნო კომისიებს, სამართლიან არჩევნებს და არჩევნების შედეგების საფუძველზე ახალი მთავრობების თავისუფალ ფორმირებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დემოკრატიზაცია არ არის სწრაფი რეაგირება, მაგრამ მრავალგანზომილებიანი პროცესია. ეს არ არის მხოლოდ არჩევნების მოწყობის საკითხი. იგი ასევე ეხება საზოგადოებაში ძალაუფლების ძირითად ბალანსს, როდესაც პარტიებმა გააცნობიერეს, რომ მათ არ შეუძლიათ ძალაუფლების მონოპოლიზება. ისინი უნდა მოერგონ თავიანთ მოთხოვნებს მათი საარჩევნო სიძლიერის შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქმედმა მთავრობამ შეიძლება ძალაუფლება დაკარგოს ადრე მიღწეული პროცესის შედეგის გამო (როგორც ეს მოხდა მაგალითად ნიკარაგუაში, კამბოჯაში და ერაყში). ეს პროცესები ხელ უწყობს მმართველობის ახალი სისტემების შექმნას და მის პოლიტიკურ ძალებს აუმჯობესებს. მიუხედავად ამისა, ახლად შექმნილი დემოკრატიები მაინც მყიდვია. ჩვენ უნდა გავაანალიზოთ რამდენად დემოკრატიულია სისტემა, რომელიც ოდესღაც დაარსდა, და რამდენად შეუძლია ამ სისტემას დავებს მოგვარება, რომელიც საზოგადოებაში ძალთა ბალანსის განადანაწილების შედეგად წარმოიქმნება.

ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე პრობლემასთან მიმართებაში, რაც მხარეების უსაფრთხოებას გულისხმობს და 6.1 ნაწილშია მითითებული. შეუძლია თუ არა დემოკრატიულ სისტემას ერთდროულად გადაჭრას ძირითადი შეუთავსებლობა და დაიცვას შიდა უსაფრთხოების დილემა? თუ A - იმარჯვებს, B - ილუპება და პირიქით, თუ B - იმარჯვებს, მაშინ A ილუპება? კონფლიქტებში ზუსტი გამარჯვების ან დამარცხების დროს ეს ლოგიკა უდაოდ მოქმედებს: ნიკოლაე ჩაუშესკუ, რუმინეთის ლიდერი, 1989 წელს, თითქმის ტელევიზიით სიკვდილით დასაჯეს. მენგისთუ ჰაილე მარიამი, ეთიოპიის წარუმატებელი ლიდერი, 1991 წელს ზიმბაბვეში გაიქცა რომ არ დაეჭირათ. მობუტუ სესე სეკო, ზიმბაბვეს გადაყენებული ლიდერი, გაიქცა თავის ოჯახთან ერთად და 1997 წელს მაროკოში გარდაიცვალა. 2003 წელს ჩარლზ ტეილორს არწმუნებდნენ, რომ არ დაეტოვებინა ლიბერია, მოგვიანებით ის დაიჭირეს და ჰააგის სპეციალურ სასამართლოს გადასცეს. თავდაპირველად მისი პროცესი სიერა-ლეონეში გაიმართა. ხანდახან დამარცხებული ლიდერი უფრო მეტ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ განსხვავებული მაგალითებიც არსებობს. ვენესუელაში სამხედრო გადატრიალების ლიდერი ციხეში ჩასვეს, მაგრამ შემდეგ მან პოლიტიკური კარიერა დაიწყო. 1993 წელს მოსკოვში შეიარაღებულ კონფლიქტში წაგებულები გაუჩინარდნენ პოლიტიკური ასპარეზიდან, მაგრამ როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქეებმა ცხოვრება გააგრძელეს. რეალობაა აბსოლუტური შიდა უსაფრთხოების დილემის არსებობა, მაგრამ მისი შეცვლაც შესაძლებელია. ჩვენ შეგვიძლია დავსვათ შემდეგი კითხვა: შეუძლია თუ არა რესურსებით მდიდარ ან დივერსიფიცირებულ სოციალურ სისტემას სხვა შედეგების მიღება (როგორც ეს მოხდა ვენესუელაში და რუსეთში) და ამით კონფლიქტის შემცირება? პასუხი მდგომარეობს

იმაში, რომ ძალაუფლების გადანაწილება დემოკრატიზაციის მიმართულებით მიდის, ამან შესაძლოა უსაფრთხოების დილემა შეამსუბუქოს. ასეთ შემთხვევებში სხვა შედეგები იკვეთება, კერძოდ, ტაილანდში, სამხრეთ კორეაში და ინდონეზიაში, სადაც ლიდერები შესაძლოა ქვეყანაში დარჩნენ, მაგრამ დანაშაულისთვის ან კორუფციისთვის გასამართლდნენ, მაგრამ მათ ოჯახებს ქვეყანაში ცხოვრების უფლება აქვთ, ახალი სისტემა მათ დაიცავს.

ცივი ომის შემდეგ ადამიანის უფლებების საკითხი ახალ ეტაპზე გადავიდა. ეს გავლენას ახდენდა განსაკუთრებით იმ საკითხზე, როდესაც მხარეები ძალაუფლებას ვარგავდნენ. ანგარიშვალდებულების ხაზგასმა უფრო მაღალ კრიტერიუმებს აყალიბებს და გვიჩვენებს თუ როგორია მისაღები სამშვიდობო შეთანხმება. 1999 წელს სიერა-ლეონეში მიღებულ იქნა სამშვიდობო შეთანხმება. ეს ამნისტია გულისხმობდა ადამიანის უფლებების და ღირსების შემლახავი ქცევისთვის დამნაშავეების გათავისუფლებას. იგი ომის დასრულებას ემსახურებოდა გარკვეულ პერიოდში, მაგრამ საერთაშორისო საზოგადოებისთვის მიუღებელი იყო. განახლებულ სამშვიდობო შეთანხმებაში პირობები შეიცვალა და ტრიბუნალი შეიქმნა სპეციალურად სიერა ლეონესთვის. გაეროს მოლაპარაკებებში ახლა უკვე მითითებულია, რომ ამნისტიის დებულება არ მიიღონ.

დემოკრატიული სისტემა, ჯერ კიდევ როგორც სოციალური სისტემა არსებობს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს პოლიტიკური დამარცხება გაატაროს და პოლიტიკური ძალების ბედი შეცვალოს. ადამიანის უფლებათა კრიტერიუმები ხელს უწყობს იმათ, ვისაც შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ სისტემაში და იმათაც, ვინ სასამართლოს წინაშე უნდა წარსდგეს. ვნახოთ, პრინციპში, დემოკრატიული სისტემა როგორ იმუშავებს.

კონფლიქტის მოგვარების 7 გზა არსებობს, რომელიც 3.5 ნაწილშია აღწერილი, სადაც დემოკრატიული სისტემის მუშაობა კარგად ჩანს. პირველი ფორმა პრიორიტეტების ცვლილებას ეხება. დემოკრატიულ სისტემაში არჩევნების შედეგი პარტიის ლიდერებს აძლევს საშუალებას, რომ თავიანთი მიზნები შეცვალონ. მათ შეუძლიათ განაცხადონ, რომ საკმარისი რაოდენობა ან ადგილები აქვთ იმისთვის, რომ დაპირებები შეასრულონ. ასეთი საბაბი ტოტალიტარული რეჟიმების ლიდერებს არ აქვთ. ამის ნაცვლად, აბსოლუტური მმართველის სანდოობა იმ აზრზე მიაწინებს, რომ მან იცის, რა უნდა გაკეთდეს და შედეგების მიღება შეუძლია. ის ფაქტი, რომ ავტორიტარული რეჟიმები ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ფარულად მოქმედებენ და ეს არ არის მათი იმიჯის ნაწილი. გარდა ამისა, დემოკრატიულ სისტემას ის უპირატესობა აქვს, რომ დაბარალეულ მხარეს მეორე ან მესამე შანსი მისცეს. ახლა არჩევნები არის შეთანხმებული, რეგულირებადი, შინაგანი ელემენტებით სავსე, რაც დამარცხებულ მხარეს კიდევ ერთ შანსს აძლევს. სინამდვილეში, დემოკრატიული სისტემის საუკეთესო მაჩვენებელი მეორე ან მესამე ელემენტია და არა პირველი. ალტერნატიული პოლიტიკური სისტემები არც შანსს აძლევენ და არც იცავენ მეორე შესაძლებლობას. დაბრუნების შესაძლებლობა შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შიდა უსაფრთხოების დილემისგან გასათავისუფლებლად. ეს არის დემოკრატიული სისტემის ძლიერი წერტილი.

მეორე გამოსავალი, კონფლიქტში ფასეულობების გამიჯვნა, ასევე მესამე, საცხენოსნო ვაჭრობა, ნებისმიერი საპარლამენტო სისტემის განუყოფელი ნაწილია. კომპრომისები, სავაჭრო გარიგებები და მრავალსაკითხიანი პაკეტები მუდმივად პოლიტიკის შინაარსია. ძალაუფლებისთვის ბრძოლა შეიძლება გადაწყდეს ძალაუფლების ერთეულების მეშვეობით (უფლებამოსილებებზე, ფუნქციებზე) ვაჭრობის მოწყობა (ლოგიკის მიხედვით მე მხარს ვუჭერ

A- ს, თქვენ მხარს უჭერთ B- ს) ან ორივეს კომბინაციით. საზოგადოებაში სინამდვილეში ბევრი მიმზიდველი პოზიციაა, რაც ძალაუფლების განაწილებას ემსახურება. ზოგიერთი მინისტრის პოსტი, როგორც წესი, უფრო მეტად მიიჩნევა, ვიდრე სხვები (მაგალითად, პრემიერ-მინისტრის პორტფელი ან საგარეო საქმეთა, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და ფინანსთა მინისტრები). პარლამენტის სპიკერის და კომიტეტის თავმჯდომარის პოსტებიც არსებობს, ასევე კონკრეტული ფუნქციების კონტროლი საზოგადოებაში გადანაწილებულია. ერთპარტიულ სისტემაში ეს შესაძლებელია, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ პოსტები მხოლოდ პარტიის ერთგული წევრებისთვის გადანაწილდებიან, რათა თავიდან იქნას აცილებული კრიტიკოსების ან მთავრობის თავდასხმა. თუმცა დემოკრატიულ სახელმწიფოში მათ შეუძლიათ ოპონენტებთან და ზოგადად კომპეტენტურ პირებთან თანაბარი ურთიერთობა ჰქონდეთ. ისინი ასევე აძლევენ ოპონენტებს ძალაუფლებას, რაც მათი უსაფრთხოების დაცვას ემსახურება.

მეოთხე გამოსავალი, კოალიციური მთავრობის სახით არის წარმოდგენილი, რაც ერთობლივად მართვას გულისხმობს, რომელიც ჩამოყალიბებულია დემოკრატიასა და მრავალმხრივ სახელმწიფოში, სადაც ფორმულა პროპორციული წარმომადგენლობაა. განსაკუთრებული ასპექტია ძალაუფლების გადანაწილება, რომელსაც ცოტა ხანში დავუბრუნდებით.

მეხუთე გამოსავალი კონტროლიდან გამოსვლაა, უმცირესობასთან ან მესამე ძალასთან ურთიერთობა, ნებისმიერ დადგენილ დემოკრატიულ სისტემაში. უმცირესობათა მთავრობა შესაძლოა მართლაც იყოს მმართველობის ყველაზე კარგი ფორმა, განსაკუთრებით თუ უმცირესობა განისაზღვრება, როგორც ზოგადად მოსახლეობის წარმომადგენლობა. მაგალითად, თუ მოსახლეობის 80%-ი არჩევნებში ხმათა უმრავლესობას მიიღებს, აქედან ხმების 55 %-ს ხელისუფლება აკონტროლებს, ეს ჯერ კიდევ არ არის ელექტორატის 45%-ზე მეტი. უმცირესობების მიერ ჩამოყალიბებული მთავრობა უმნიშვნელოვანესია. ღია პროცესი მოსახლეობის გარანტიებს და ასევე პოლიტიკური ლიდერების კონკურენციას უზრუნველყოფს.

მეექვსე გამოსავალი, კონფლიქტის მოგვარების მექანიზმია, რომელიც დემოკრატიული სისტემისთვისაა ხელმისაწვდომი. ეს შეიძლება გამოხატული იყოს რეფერენდუმის ფორმით, როდესაც საქმე გვაქვს კონკრეტულ საკითხთან ან ახალ არჩევნებთან, პოლიტიკურად უიმედო სიტუაციის პირობებში. ზოგიერთ სისტემას არ გააჩნია ეს შესაძლებლობა, რაც იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტი ბენოლა ხორციელდება სხვა მექანიზმების გამოყენებით.

საბოლოო ჯამში, მეშვიდე გზა არსებობს: საკითხების გადადება, რომელიც სხვადასხვა კომისიებში იგზავნება. ეს რთული ბრძოლაა, პირდაპირი ძალაუფლების პირობებში. ასეთი ბრძოლები შეიძლება შეიცავდეს ისეთ შემთხვევებს, როცა ძირითადი კანდიდატები უმცირესობას ეთანხმებიან. ეს არის მეხუთე გზა, როგორც დროებითი ღონისძიება. საკონსტიტუციო საკითხების შემდგომი წინადადებების გადატანა კომისიებში ხდება, რაც გადამწყვეტი საკითხების გატარების გზა შეიძლება იყოს. მოლოდინი ისაა, რომ თუ ერთხელაც კომისიამ თავისი შედეგები წარმოადგინა, ბრძოლაში გარკვეული ინტენსივობა იკარგება.

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ მთავრობასთან შეუთავსებლობა შეიძლება გადანყდეს იმ გზებით, რომელიც ემსახურება შიდა უსაფრთხოების დილემის გამოსწორებას. უფრო თეორიულად შეიძლება ითქვას, რა არის რეალურად დემოკრატიული სისტემა? პასუხი უფრო მარტივია, ვიდრე პრაქტიკაშია ნათარგმნი: იგი აძლიერებს პარამეტრების რაოდენობას

კონფლიქტის მხარეებისთვის. აღარ არსებობს არჩევანი გამარჯვებასა (1) და სიკვდილს (2) შორის. დემოკრატიული სისტემა შუალედურ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს, როგორცაა გამარჯვება (1.2), მაგრამ არა სრული მმართველობა (1.4), გამარჯვებულს შეუძლია ძლიერი როლი ითამაშოს (1.6), მას საკმარისი ძალა გააჩნია არასასურველი მოვლენების თავიდან ასაცილებლად ან ის დამარცხებულია (1.8), ამ შემთხვევაში მას მაინც შეუძლია საზოგადოებაში პოზიციის შენარჩუნება. დემოკრატია პოლიტიკურ ალტერნატივებს აფართოებს საზოგადოებაში. აქტორებს მეტი რეალური არჩევანი აქვთ, რაც მთელი საზოგადოების სასარგებლოდ მუშაობს. მიუხედავად ამისა, სისტემას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილებები. ეს პროცესები შეიძლება ნელა მიმდინარეობდეს, მაგრამ ამ დროს მიღებული გადაწყვეტილებები უფრო მტკიცეა.

ამ შედეგის მისაღწევად ფუნქციონირება უნდა მოხდეს სამი პირობით. გამარჯვებულმა პატივი უნდა სცეს დამარცხებულის უფლებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ექნება შანსი, რომ უკან დაბრუნდეს. ეს შეიძლება იყოს გამარჯვებული პირის პირადი ინტერესი, როცა გააცნობიერებს, რომ შეიძლება გახდეს დამარცხებული დიდი ალბათობით. გარდა ამისა, დამარცხებულმა თავი უნდა იგრძნოს უსაფრთხოდ და უნდა სჯეროდეს, რომ დამარცხების დაძლევის მომენტში რისკი ნადგურდება. შიდა სახელმწიფოებრივი ომის დროს, ორი პირობე არსებობს, რომელთა დაკმაყოფილება არც თუ ისე ადვილია. დემოკრატიულ საზოგადოებაში, პატივისცემა და გარანტიები ჩვეულებრივ გრძელდება და შეიარაღებული კონტროლი იზღუდება. სამოქალაქო ომის შემდეგ ყველა აქტორის როლი გაურკვეველია. უამრავი იარაღი არსებობს. ასევე შეიძლება იყოს სიბრაზე და იმედგაცრუება. ეკონომიკური პირობები ხშირად ქაოტურია. ამდენად, ძლიერი და ეფექტური საერთაშორისო სამშვიდობო ძალები მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესისთვის სამოქალაქო ომში. ის ნეიტრალურ ძალას უზრუნველყოფს, რომელსაც ყველა მხარის გარანტიები შეუძია გაავრცელოს.

ამ ორი პირობის მიღმა უფრო ღრმა ცნება იმალება, მესამე მდგომარეობა. ეს ის შემთხვევაა, როცა არ სჩანს, სახელმწიფო რომელ მხარეს ეკუთვნის. მოცემული ხელისუფლება მხოლოდ სახელმწიფო აპარატის შენარჩუნებას ცდილობს. სახელმწიფო რესურსები არ არის მთავრობის ან გამარჯვებულის შეუზღუდავ განკარგულებაში. ეს არის კანონის უზენაესობის გამოხატვის მნიშვნელოვანი საშუალება. სახელმწიფო რესურსების გამოყენება მხოლოდ წესებით არის შეზღუდული: ეს არის გარანტიები, მზრუნველობა და ომბუდსმენი, რომლებიც მოქალაქეებს იცავენ. ზოგადად მიღებულია, რომ კანონის უზენაესობის პრინციპები სახელმწიფო აპარატში ნაკლებად მიმზიდველია, ვიდრე რესურსები. ეს ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მნიშვნელობა განზრახ შეზღუდულია. ამ შემთხვევაში, დემოკრატიული სისტემა ქმნის საკუთარ გარანტიებს. მაგალითად თუ ეს ყოფილი ხელისუფლებაა, როგორც ოპოზიციური პარტის, გამარჯვებულისთვის მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელება, როგორც გამაჯვებულისთვის, რომელიც ხელისუფლების კონტროლს ინცებს. სახელმწიფოს შეუძლია გაავლოს ის ზღვარი, რომელიც სისტემის გადარჩენის გარანტიებს უზრუნველყოფს. თუმცა, სახელმწიფოს ბრძოლა ძალაუფლებისთვის ხშირად ამტკიცებს, რომ ამგვარი შეზღუდვების პრინციპის მისაღებად, შეუზღუდავი რესურსების კონტროლის მიღწევა ადვილი არ არის.

როგორ შეიძლება ასეთი ტრანსფორმაცია მოხდეს იმ შემთხვევებში, როდესაც აქტორები უღმობელ კონფლიქტს აძლიერებენ სახელმწიფოში? როგორ მოხდა ეს იმ ქვეყნებში, რომლებსაც დღეს დემოკრატიულად სტაბილური სისტემები აქვთ? გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს სპეციალურ ბალანსში, სადაც არც ერთ პარტია სრულად არ იგებს ან კარგავს მის

ყველა რესურსს საზოგადოებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მოდავე მხარეებს შორის ბალანსი არსებობს, რაც მათ საშუალებას აძლევს რეჟიმის წესების ფორმულირება მოახდინონ. ეს ჩვეულებრივ კეთდება საკონსტიტუციო რეფორმებით, შეკრებებთან ერთად, რომლებიც საზოგადოების ფენებზე გავლენას ახდენენ. შეთანხმებული წესები ქმნის ცხოვრების გზას, რომელიც გავლენას ახდენს და ხელს უწყობს სოციალურ ბალანსის შენარჩუნებას.

6.1 ცხრილში მოცემული ზოგი სამშვიდობო შეთანხმება ფორმალური დოკუმენტაციაა, რომელიც პოლიტიკური სისტემის შემუშავების ჩარჩოდ იქცა. ასეთი სამშვიდობო შეთანხმების გათვალისწინებით დგინდება თუ როგორ შეიძლება დემოკრატიის დამყარება საგანგებო პირობებში. დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ახლადამოცენებულ დემოკრატიულ ქვეყნებში შიდა კონფლიქტები ჩამოყალიბდა იმ თანმიმდევრობით, როგორც 6.1 ცხრილშია ნაჩვენები.

ცხადია ეს პროცესია, როდესაც ნაკლებად გასაგები. მას შემდეგ, რაც მხარეებმა სამშვიდობო შეთანხმებას, მათ წინაშე რთული ეტაპი დგას. ყოფილი დაპირისპირებული მხარეები კვლავ გადამწყვეტი აქტორები არიან, ისინი შეეცდებიან მოვლენები გააკონტროლონ. რადგანაც ხელშეკრულების ხელმომწერები არიან, მათი ინტერპრეტაციისთვის გამონწვევის გაკეთება ძნელია, რადგან ისინი პროცესში შეთანხმდნენ. მათ შორის უთანხმოებამ შეუძლია საფრთხე შეუქმნას მთელ მოლაპარაკებას. ასე რომ, ეს არის პერიოდი, რომელიც დიდ ნდობას და დამაჯერებლობას მოითხოვს. ამასთან, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა პროცესის გაგრძელების ხელშემწყობი ფაქტორია. თუმცა, მთავარი აქტორები თავად არიან პასუხისმგებელი იმპლემენტაციის პროგრესზე. ეს არის შესწავლის პერიოდი, სადაც მხარეები ერთმანეთის შესახებ ახალ მახასიათებლებს აღმოაჩენენ, ასევე გაიგებენ თუ როგორ უნდა ააშენონ მშვიდობა ისე, რომ ომისგან თავი დაიცივან.

ამის შემდეგ მოდის პერიოდი, როცა წინა კონფლიქტი აღარ ჩანს მნიშვნელოვანი, მაგრამ ახალი პირობები თავად ქმნის დაძაბულობას. ეს ის შემთხვევაა, როცა სამშვიდობო შეთანხმება გამყარებულია, მაგრამ დაუცველია გაუთვალისწინებელი გამოცდებისგან. ისეთი თემები არსებობს, რომლებიც ურაცოფილია ან არ არის სწორად გაგებული სამშვიდობო შეთანხმების პროცესში (სტედმანი 2002). შეთანხმების შედეგად წარმოქმნილი პრობლემებიც არსებობს, მაგალითად, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეთ ყოფილ სამხედრო ძალებს. რადგანაც ჩვენ დაინტერესებული ვართ ომის შემდეგ დადებული სამშვიდობო შეთანხმებებით, ეს უკანასკნელი ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შესაძლებელია თუ არა როცა მხარეებს შორის ომია, იმავე სოციალურ ჩარჩოში ინტეგრირდნენ? ფაქტია, რომ ცივი ომის შემდგომ პერიოდში უფრო მეტი სამშვიდობო შეთანხმება არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ პატარა ისტორიული პრეცედენტი არსებობს, რომელსაც ვაშენებთ. ეს უფრო მეტად სამოქალაქო ომებს ეხება, ვიდრე სხვა კატეგორიებს. ამგვარად, კითხვები ფიზიკური უსაფრთხოებასთან და თანამშრომლობის უნარებთან დაკავშირებით დაძაბულობით ხასიათდება. ამ გადმოსახედიდან, ამდენი სამშვიდობო ხელშეკრულების არსებობა ნამდვილად წარმატებაა.

მებრძოლი მხარეების ფიზიკური უსაფრთხოება განსაკუთრებულ შემფოთებას იწვევს შიდა კონფლიქტების მოგვარებაში. ასეთი დროს, როგორც წესი, მხარეები არ ქმნიან გამყოფ ხაზებს ქვეყანაში, მათ შეუძლიათ გავიდნენ, ისევე როგორც სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების შემთხვევაში. შეზღუდვები არსებობს დისოციაციურ გადანყვეტილებებზე. ადრე თუ გვიან, ეს შეთანხმება ითვალისწინებს მხარეების რეინტეგრაციას და ერთმანეთთან მჭიდრო კავშირს. ამრიგად, გარდამავალი მხარე მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებს, რათა ლიდერებისთვის

საკმარისი უსაფრთხოება უზრუნველყოს და საზოგადოებას მათი არსებობა გააცნოს. მათი თავისუფლება მშვიდობიანი თანამსრომლობის ახალი რეალობის სიმბოლო ხდება. მოდით მივყვეთ მოვლენებს და ცივი ომის შემდგომი პერიოდის გამოცდილებას გავცნოთ.

6.3 დემოკრატია და სამოქალაქო ომების მოგვარება

სამშვიდობო შეთანხმებების ცხრილი 6.1 პოლიტიკური ინტერესებით განსხვავებულ ინსტიტუტებს მოიცავს, რაც დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების საფუძველია. პირველ რიგში, აისეთი მიმდინარე კონფლიქტები არსებობს ქვეყნებში, რომელთაც უკვე ჰქონდათ შესაძლებლობა პოლიტიკაში პოპულარული მონაწილეობის ფორმები შეეზღუდათ. მაგალითად, არჩევნები, პარტიათა კონკურენცია და მედიის დამოუკიდებლობა მიღებული პრინციპებია. ამიტომ დღის წესრიგში დადგ კითხვა ამ სისტემის რეფორმირებასთან მიმართებაში, რათა სამოქალაქო ომებისგან შემდგარი მოთხოვნები განეხილათ. კოლუმბიაში, სალვადორში, გვატემალასა და სამხრეთ აფრიკაში მშვიდობის მოწყობა არსებული სამართლებრივი სტრუქტურების გამოყენებას ისახავდა მიზნად. სამშვიდობო შეთანხმებები გულისხმობდა ამ კონსტიტუციებში ფუნდამენტურ ცვლილებებს, რათა მოხდეს უფრო ფართო მონაწილეობისა და ახალი დემოკრატიული სისტემის საწინააღმდეგო სტრუქტურების დემონტაჟი (უფრო კონკრეტულად, სამხედრო ინსტიტუტები და ყველა აპათიური ინსტიტუტი). მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ცვლილებები მოხდა, ინსტიტუტები დარჩა და ახალ რეალობაში გადავიდა. კერძოდ, სამხრეთ აფრიკის ყველა ცენტრალურ დაწესებულებაში ძალაუფლების ცვლილებები მნიშვნელოვან რეფორმებს გულისხმობდა. რეპრესიებისა და ომის დანაშაულებების ანგარიშვალდებულება სამშვიდობო პროცესებში წარმოშობილი საკითხები იყო, რის შედეგადაც სამხრეთ აფრიკაში სპეციალური ინსტიტუტი შეიქმნა (სამართლიანობის და შერიგების კომისია). სამივე შემთხვევაში, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საზოგადოებრივი უსაფრთხოება დაცული არ იყო, რაც შემფოთებას იწვევდა. ელ-სალვადორს 2009 წელს გამოცდა მოუწევს, როდესაც ამბოხებულთა მოძრაობის (FMLN) ყოფილი ლიდერი, მაურისიო ფენესი, რომელი მეთაური არ იყო, პრეზიდენტად აირჩიეს და ისევ 2014 წელს, როდესაც სხვა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში უმნიშვნელო უმრავლესობით.

მეორე მხრივ, საზოგადოებაში ისეთი სამოქალაქო ომები არსებობდა, რომლებსაც არჩევნებიც ჰქონდათ და შესაბამისი ინსტიტუტებიც, მაგრამ ერთ-პარტია დომინირებდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ნიკარაგუა, ანგოლა, მოზამბიკი და მაკედონია. კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა გახდა საჭირო, რომ მრავალპარტიულობა დაეშვათ, ეს ცვლილებები სამშვიდობო ხელშეკრულებების ნაწილი გახდა. შეთანხმებები არსებულ სტრუქტურებზე დაყრდნობით უნდა შემდგარიყო, მაგრამ ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ეს ინსტიტუტები სავარაუდოდ მიკერძოებული იყო. მრავალპარტიული სისტემის სანდობა ღიად გამოსცადეს. ზემოთ აღნიშნულ კონფლიქტებში, კონფლიქტი პოლარიზებული იყო დაპირისპირებულ ბანაკებში. ნიკარაგუაში პოლარიზაცია შენარჩუნდა. სანდინისტების ლიდერი დანიელ ორტეგა, 1990 წლის არჩევნებში დამარცხდა, მაგრამ 2006 და 2011 წლის არჩევნებში პრეზიდენტად აირჩიეს. მოზამბიკში ჩანდა, რომ პოლარიზაციამ დაიწია, ის მხოლოდ 2013 წლის ბრძოლაში გამოჩნდა. ომის აღმოფხვრის გრძელვადიანი უნარი დემოკრატიის საშუალებით შეიძლება შეზღუდული იყოს, განახლებული ძალადობის ალბათობა შესაძლოა შემცირდეს და ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით ღონისძიებები უნდა გატარდეს.

მესამე შემთხვევაში, ქვეყნების ისეთი კატეგორია არსებობს, სადაც სამშვიდობო შეთანხმებები მეტ-ნაკლებად სრულ რეკონსტრუქციულ ინსტიტუციებს წარმოადგენდა, მათ შორის საარჩევნო პერსონალის მომზადებას, ახალი ინსტიტუტების ზედამხედველობას ა.შ. სამშვიდობო ხელშეკრულებები ლიბანში, კამბოჯაში, ჩადში, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ლიბიაში, სიერა-ლეონესა და ტაჯიკეთში, ასეთ ელემენტებს შეიცავდა. მიუხედავად ამისა, შეთანხმებების განხორციელების დღის წესრიგი ფართოვდება, მაგრამ ინსტიტუტები ნაკლებად იქმნება. მაგალითად, პასუხისმგებლობისა და ომის დანაშაულის პრინციპების გამოყენება რთულია.

კორექტული იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს პირველი კატეგორიის ქვეყნები დემოკრატიული პრინციპებით ფუნქციონირებენ. ამდენად, ნაკლებად სავარაუდოა, წინა ომებთან დაბრუნება. ეს სამი მაგალითი (ელ-სალვადორი, სამხრეთ აფრიკა, გუატემალა) ომის შემდგომი პერიოდის საზოგადოების მოდელებია, რომლებმაც ძალადობისგან თავი შეიკავეს, ასევე კრიმინალური ხასიათის ქმედებებისგან და სამოქალაქო ომისგან. ბევრი სოციალური უთანასწორობა, რომელიც თავდაპირველად ომით იყო მოტივირებული, შესაძლოა ახალი მხარეების მკვეთრი მოთხოვნები წამოწიოს წინ. რევოლუციის გაღვივების თესლი არსებობს, მაგრამ განსხვავებული ხაზების გასწვრივ, ვიდრე აქამდე იყო. კოლუმბიაში განსახლება ამ კატეგორიის დამატება იქნებოდა, რადგანაც ამჟამად გამოხატული დემოკრატიული სისტემაა.

მეორე კატეგორია გარკვეულ წარმატებებს მოიცავს, მაგრამ ხშირია წარუმატებლობა (ანგოლა). ნიკარაგუას მთავრობაში რამდენიმე ცვლილება ჰქონდა; მოზამბიკს ჯერ კიდევ არ აქვს გამოცდილება რეფორმირებული ინსტიტუტების სიძლიერის გამოცდაზე.

ყველაზე რთულ პრობლემებს მესამე კატეგორიაში ვხვდებით. ეს არის ჯგუფი, რომლის წარმატება დამოკიდებულია გარე მხარდაჭერაზე. 1992-93 წლებში კამბოჯა გაეროს წარმატებული სამშვიდობო ოპერაციის ობიექტი იყო (ჰამფსონი 1996: 200-4), მცირე მასშტაბის ომები და სახელმწიფო გადატრიალებები ამ გამოცდილების ნაწილია. ჰაიტიში, საერთაშორისო ვალდებულება 1990-იანი წლების შუა ხანებში მაღალი იყო, შემდეგ კი გაუარესდა და 2004 წელს ქვეყანა კონფლიქტში შევიდა. 2010 წლის იანვარში ქვეყანაში კატასტროფული მიწისძვრები მოხდა, რაზეც მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა. სავარაუდოა, რომ დემოკრატიზაციის შემდეგ სამოქალაქო ომი უფრო წარმატებული იქნება, თუ წინა სამართლებრივი სისტემა არსებობს, კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით. გარდა ამისა, საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნება აუცილებელია ისეთი ქვეყნებისთვის, როგორცაა ლიბერია და სიერა ლეონე. ეს ქვეყნები აღდგენის გზაზე იდგა; თუმცა, 2014 წელს, ისინი ებოლის ვირუსის დამანგრეველ ეპიდემიას დაუპირისპირდნენ.

კონფლიქტის მოგვარების 7 ფორმა ცვლილებების პროცესის განმარტებას გვაძლევს. პირველ რიში, მმართველი საზოგადოების ახალი პრინციპების მიღება მთავრობის მხრიდან თანდათან ხდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ახალი პრიორიტეტები იქმნება. სამხრეთ აფრიკის ეროვნული პარტია უნდა მორგებოდა ახალ სიტუაციას. რაც შეეხება პარტიას, მას ძალაუფლების შენარჩუნება აღარ შეეძლო, არც თერთვანიანი უმცირესობების სოციალური პოზიციების შენარჩუნება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბარტმანის პოზიცია უნდა ყოფილიყო ძალაუფლებით ვაჭრობა. განსახლების მსგავსი ნაბიჯები სხვა პარტიებმა უნდა გააკეთონ. ANC -ის წინაშე არჩევანი იყო, მოეთხოვა პაქტი ძალაუფლების გაზიარებით თუ მთლიანი ძალაუფლება აედო ხელში (ბარტმანი 1995: 149, 162), სადაც ANC-მ საბოლოოდ წინანდელი

ამჯობინა. შეთანხმებებში ნაწინასწარმეტყველება მხარეების მიერ ამგვარი ცვლილებები. ეს იმას ნიშნავდა, რომ მხარეები შეთანხმდნენ სხვა პარტიების კანონიერებაზე და ამდენად, ოპონენტებთან მოლაპარაკებები შეეძლოთ. ეს ასევე ითვალისწინებდა იმას, რომ შედეგის ხედვა შეიცვალა. ძალაუფლების დაკარგვის შესაძლებლობა ან სრული სახელმწიფო კონტროლის მიუღწევლობა, ამგვარი გაგების ნაწილი იყო, თუმცა დომინანტი აქტორისთვის მნიშვნელოვანია გარანტიების გაცემა დამარცხებულებზე.

ყველა სამშვიდობო შეთანხმებისთვის აშკარაა, რომ მოლაპარაკებები, რომელსაც კონფლიქტის მოგვარებამდე მივყავართ, დიდ კომპრომისს შეიცავს, მათ შორისაა შუალედური წერტილების განსაზღვრა და ცხენებით ვაჭრობის გარიგებები, ეს არის შესაძლებელი და მეოთხე ფორმები საზღვრების და შეუთავსებლობის. მაგალითად, ეს ასევე განსაზღვრავს გარდამალ პერიოდებს, დემოკრატიის დღის წესრიგს, ინსტიტუტების ცვლილებას მტრული მანდატით, ადამიანის უფლებათა დებულებების გაცნობას ა. შ. ზოგიერთ შემთხვევაში ის შეიცავს ისეთ ხელშეკრულებებს, რაც კაბინეტის პოსტების გადანაწილებას გულისხმობს, კონკრეტული უპირატესობების გათვალისწინებით.

კიდევ უფრო საინტერესოა მეოთხე და მეხუთე ფორმები, რომელიც შეუთავსებლობის გადაწყვეტას გულისხმობს: ძალაუფლების განაწილებით ან სხვა აქტორების კონტროლისგან თავშეკავებით. აშკარაა, რომ მეთამბოხე ჯგუფებისა და ექვოდ მიიჩნევენ მთავრობას და ემინიათ მისი პოტენციურ ძალაუფლებას, მაგალითად, არჩევნების მანიპულირებას. ზოგიერთი შეთანხმება ინოვაციური მიდგომებით შეიცვალა. სამხრეთ აფრიკის მაგალითზე, მრავალპარტიული, ტრადიციული აღმასრულებელი საბჭო, მთავრობების საქმიანობის მონიტორინგის ინიციატივით გამოდიოდა, დაახლოებით ხუთი თვის განმავლობაში, 1994 წლის აპრილის არჩევნებამდე. კამბოჯის შემთხვევაში, უზენაესი ეროვნული საბჭო ოთხი წამყვანი ჯგუფის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა, ისევე როგორც გაეროს, რომლის არსებობა ცენტრალური მთავრობის ხუთი მთავარი სამინისტროს ზედამხედველობას გულისხმობდა (ჰამფსონი 1996: 178-88). თუმცა, ძალაუფლების განაწილება არჩევნებამდე იყო დაწესებული და მის შემდეგ კოალიციის ან ეროვნული ერთიანობის მოლოდინი. ასეთმა ყოვლისმომცველმა შეთანხმებებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ამ სამშვიდობო შეთანხმებების გამძლეობას. ზოგიერთ კონფლიქტში საინტერესოა ის, რომ ოპოზიცია არ ითხოვს ძალაუფლების განაწილებას, მისი სურვილია პოლიტიკურ პროცესებში უსაფრთხოდ იყოს ჩართული. ეს იყო LMN- ის პოზიცია ელ-სალვადორში (2009 წლამდე არჩევნებში ვერ მოიპოვეს გამარჯვება). ნაცვლას ამისა, ეროვნული კომისია მშვიდობის კონსოლიდაციისთვის (ესპანეთში - COPAZ) შეთანხმებული იყო (ჰამფსონი 1996: 140, პერეზი და ქულერი 1997: 419-20, 434). 1991 წლის ანგოლის დოკუმენტში, ორივე მხარე გამარჯვებას ელოდა და მხოლოდ სუსტი ერთობლივი კომისია შედგა. შემდეგი ხელშეკრულება უფრო მეტი თანამშრომლობის ღონისძიებებს შეიცავდა, მაგრამ სამშვიდობო შეთანხმების სრულ იმპლემენტაციამდე არ მიდიოდა (ოქლსონი 1998: 74-82). ეს 2008 წლამდე გაგრძელდა, ომის დასრულებიდან ექვსი წლის შემდეგ, ხელისუფლებისთვის საპარლამენტო არჩევნების მოწყობამდე.

სამოქალაქო ომის დროს დადებული შეთანხმებების შემთხვევაში, მცირე ფორმალური მიმართვა არსებობს კონფლიქტების მოგვარების მექანიზმებთან დაკავშირებით, გარდა მოლაპარაკებებისა ან რეფერენდუმებისა. ეს გასაგებია. ასეთი მექანიზმები ხშირად სამართლებრივია, მაგრამ იურიდიული ინსტიტუტები ხშირად დავისგან განსხვავდება. მათი როლი ხშირად ზიანდება მოქმედი რეჟიმის ან მისი წინამორბედების მიერ. თუმცა ამ შემთხვევაში საერთაშორისო შუამავლობა გამოიყენება, მაგალითად, 1990 წლის

თებერვალში ნიკარაგუას არჩევნებში გაერო-ს ჩართულობა იყო პირველი შემთხვევა, ნიკარაგუის დავის გადანაცვება გარღვევა იყო გაეროს ქმედებებში შიდა კონფლიქტებთან მიმართებაში. ნიკარაგუას არჩევნების ზედამხედველობა 1990 წლის თებერვალში იყო პირველი შემთხვევა, როდესაც გაერომ სუვერენულ სახელმწიფოში არჩევნების მონიტორინგი განახორციელა. მას შემდეგ ასეთი პრაქტიკა მნიშვნელოვანი გახდა. აღსანიშნავია, რომ შიდა კონფლიქტების მოგვარების რამდენიმე საერთაშორისო ინსტიტუტი არსებობს.

მეშვიდე მოდელია საკითხების განაწილება შეთანხმების მისაღწევად და ეს მიდგომა ხშირია. ელ-სალვადორის შემთხვევაში, შეიარაღებული ოპოზიციური კოალიცია (FMLN) შეთანხმდნენ, რომ მიწის რეფორმის საკითხი ძირითად მოთხოვნად არ დააყენონ (ჰამფსონი 1996: 141), მიუხედავად იმისა, რომ მთელი პოლიტიკური და სამხედრო კამპანიის მთავარი მოთხოვნა იყო. ეს ნაწილობრივ სამხედრო ინსტიტუტების რეფორმების პრიორიტეტი იყო და პოლიტიკური ინსტიტუტების ხელმისაწვდომობა ჰქონდა. პარტია თავისუფალი დარჩა და ამ პრობლემებს არ მიუბრუნდა. საკითხი კვლავ სადავოა ელ-სალვადორში. კამბოჯის შემთხვევაში, საბჭომ, რომელიც ცნობილია როგორც SOC- ის (კამბოჯის სახელმწიფო) სახელით, თანდათანობით შეამცირა მოთხოვნები გენოციდის შესახებ დასკვნით დოკუმენტში. კამბოჯაში, კამერული რუჟის ლიდერების წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა სავარაუდო სასამართლო პროცესის საკითხი არ ჩაცხრა, თუმცა მოგვიანებით კომბინირებული საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო შეიქმნა, რომელმაც განაჩენი მოვლენებიდან 35 წლის შემდეგ გამოიტანა.

ეს მაგალითები ცხადყოფს, რომ დემოკრატიული ჩარჩო სასარგებლოა საზოგადოებაში ძალაუფლების გადასალახად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებები შესაძლებელი გახდა ძალაუფლების გაზიარების დროებითი ღონისძიებებით. პარტიებმა შესაძლოა წვლილი შეიტანონ იმ გადანაცვებებების მიღებაში, რომლებიც ადრე მთავრობას უნდა გადაეწვითა, რეალური ფინანსური, ადმინისტრაციული და საერთაშორისო შეზღუდვებით, რომლითაც ადრე მთავრობა მოქმედებდა.

ძალაუფლების გაზიარებას საგანმანათლებლო ეფექტი აქვს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეთანხმებები, რომლებსაც ასეთი ელემენტები არ ჰქონდა, წარუმატებელი აღმოჩნდა. ანგოლაში, პირველი სამშვიდობო ხელშეკრულება გულისხმობდა იმას, რომ ამ შეთანხმებაში ყველა გამარჯვებულია, ხოლო მეორე ხელშეკრულება დაშვებულია ძალაუფლების გაზიარებისთვის. ეს არასდროს განხორციელებული არ ყოფილა, ძირითადად, UNITA-ის ქმედებების გამო - შეიარაღებული ოპოზიციური პარტია (ოჰლსენი 1998: 152). დემოკრატიზაციისთვის ძალაუფლების გაზიარების გამოყენება შეხედულებების გაცვლაა. ის წარმატებისკენ მიდის, როდესაც ის არჩევნების მექანიზმს აყალიბებს იმისთვის, რომ გამარჯვებისთვის ჯილდო მიიღოს, რაც ბრძოლის ველზე აკრძალულია. მიზანი არის ის, რომ მომავალ პოლიტიკურ სისტემაში ყველა მხარისთვის ლეგიტიმური და გრძელვადიანი ჩართულობა უზრუნველყოს (ზარტმანი 1995: 339). სამოქალაქო ომიდან სამოქალაქო მშვიდობაზე გადასვლისას, ძალაუფლების გაზიარება შეიძლება იყოს სასარგებლო მონაცემი, მაგრამ თუ ძალიან დიდი ხნის მანძილზე გაგრძელდება, მას შესაძლოა შეტევის ეფექტი ჰქონდეს.

ეს მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ცენტრალურ დებულებებს სამშვიდობო შეთანხმებებში კავშირი აქვთ პროცედურულ საკითხებთან და სამთავრობო დაწესებულებებთან. ძალაუფლების კონკრეტული გზების გაზიარება მნიშვნელოვანია. ძირითადი საკითხები, როგორცაა მიწის რეფორმის კითხვები, სიღარიბე, ეკონომიკური და სოციალური სამართლიანობის სხვა

საკითხები და ეკონომიკური პოლიტიკა, ბევრს მიაჩნია, რომ სამშვიდობო შეთანხმებების საფუძველზე იშვიათად მოგვარდება. ადამიანის უფლებების საკითხები ყოველთვის მნიშვნელოვანი არ იყო. როგორც ჩანს, დაპირისპირებულ მხარეებს იმის რწმენა ჰქონდათ, რომ ხელისუფლებაში შესვლას შეძლებდნენ. ისინი საკითხების დამოუკიდებლად მოგვარებას აპირებდნენ მათი მიზნების შესაბამისად. დემოკრატიული სისტემები არა მარტო ცვლილებების ხმას, არამედ სტატუს-კვოს ხმასაც მიჰყვებიან. ცვლილებას ასევე შეესაბამება: დემოკრატიული სისტემები არ იცავენ სტატუს -კვოს, მაგრამ სოციალური ცვლილებების შესაძლებლობები აქვთ. ნებისმიერ შემთხვევაში საზოგადოება უფრო ნელა იცვლება ვიდრე მოლოდინი არსებობს, ან უფრო სწრაფად, ვიდრე სხვები ფიქრობენ.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების პრიორიტეტებს. მხარეებმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს შეთანხმებას, მისი განხორციელებისთვის ზრუნავენ. მათი ყურადღება უნდა გამახვილდეს პროცედურულ საკითხებზე, არსებითი საკითხები ომის დასრულების შემდეგ ახალ ფაქტორებთან შერეული იქნება. მაგალითად, გვატემალას სამშვიდობო ხელშეკრულებაში 13 შეთანხმება შედის. ყველა მათგანის ერთდოულად განხორციელება აშკარად შეუძლებელია. ზოგიერთი საკითხი უფრო მეტ ყურადღებას და უფრო მეტ მხარდაჭერას ითხოვს, სხვები უფრო მეტ წინააღმდეგობას ხვდებიან. უფრო მეტიც, საზოგადოების დამოკიდებულება შეიძლება ძალიან განსხვავებული აღმოჩნდეს იმისგან, რასაც სავარაუდოდ მხარეები ელოდნენ. რაც უფრო გახსნილია საზოგადოება, უფრო მეტი ხმაური იქნება გაურკვეველი მხარეებისგან, ვიდრე მეომარ მხარეებს ჰგონიათ. მაგალითად, მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებების საკითხი ერთ-ერთი შემამფოთებელია, რის მიმართაც მხარეები უფრო დიდ ინტერესს იჩენენ. მათი ძირითადი ინტერესი ხშირად საკუთარ უსაფრთხოებასთან ერთად, მშვიდობიანი პირობებია.

6.4. შიდა უსაფრთხოების დილემის საქმე

როგორც უკვე ვთქვით, სამოქალაქო ომის წარმოშობა სათავეს იღებს სახელმწიფოს შიდა უსაფრთხოების დილემიდან. მხარეებისთვის ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია. როგორი იქნება მათი მომავალი ომის შემდეგ, ჯარისკაცების დემობილიზაციის თანხლებით, რაც ბაზების დახურვას და სხვა საჭირო ღონისძიებების გატარებას გულისხმობს მშვიდობის დასამყარებლად და ინტეგრირებული საზოგადოების ფორმირების მიზნით. სავარაუდოდ მხარეები, რომლებიც სამშვიდობო ხელშეკრულებას აწერენ ხელს, ჭვის თვალთ უყურებენ ერთმანეთს. მათ ამისთვის კარგი მიზეზი აქვთ. მათი აგიტაციის დროს, ისინი ხაზს უსვამენ, რომ მეორე მხარე არის კრიმინალი, არალეგიტიმური, კორუფციული და.ან არასანდო. ასეთ აქტორთან მოლაპარაკება, ხელშეკრულებაზე შეთანხმება და ძალაუფლების გადანაწილება რთული საკითხია. თუმცა სამხრეთ ამერიკაში, ოკლსონის დასკვნა, სამშვიდობო ხელშეკრულების ანალიზზე, არის მნიშვნელოვანი საკითხი. ხელშეკრულება არ ჩავარდება, თუ პირველადი მხარის ფიზიკური და საორგანიზაციო უსაფრთხოება დაკმაყოფილებული იქნება (1998: 186). სავარაუდოდ, გარკვეული უსაფრთხოების გარანტიები არსებობს მხარეებისთვის, რომ ხელი მოაწერონ შეთანხმებებს.

ასეთი გარანტიები და რეინტეგრაცია მხარეებს შორის უკეთესად იმუშავებს თუ ლიდერები ერთი და იგივე სოციალური კლასის წარმომადგენლები იქნებიან ან ნორმატიულ სისტემას გაიზიარებენ. ასეთი შემთხვევა ხშირად არ გვხვდება. სამოქალაქო ომების უმრავლესობა რევოლუციური სანყისი აქვს, ისინი მარგინალიზებული პირების ორგანიზაციების და ჯგუფების წინააღმდეგ რეჟიმს ქმნიან. რეჟიმისთვის ეს ნიშნავს იმას, რომ ეს არის მებრძოლი ხალხი,

რომლებიც გაურკვეველი სიტუაციიდან მოვდინენ და ამბიცია აქვთ, რომ ძალაუფლება ხელში ჩაიგდონ. ასეთ ხალხთან გარიგება და ძალაუფლების გაზიარება საშიშია და რეჟიმის ბანაკში კრიტიკას იწვევს. ოპოზიციისთვის, ომი ნიშნავს ძალაუფლებასთან სიახლოვეს და შანსს, რომ საზოგადოება შეცვალონ. თუ ვერ გაიმარჯვებ, ეს აღიქმება როგორც დამარცხება. თუკი ლიდერები კომპრომისულ შეთანხმებას ვერ არეგულირებენ, ეს ალბათ ოპოზიციური მხარის მიმდევრებისთვის უფრო დიდი იმედგაცრუება იქნება. მათ შეიძლება მოეჩვენოთ, რომ ლიდერები ღალატობენ და ქვედა ეშელონების ქვეშ მყოფი ადამიანების სიცოცხლეს საფრთხის ქვეშ აყენებენ. ბევრი მათგანისთვის, მხოლოდ გამარჯვებაა მისაღები შედეგი. ლიდერის მთავარ მისიას წარმოადგენს თავისი სტრატეგიის გასაგებად გადმოცემა და იმის ახსნა, თუ სამშვიდობო შეთანხმების რა პირობებს აკმაყოფილებს. მათ შეიძლება ომის დროს განიცადონ დაღლილობა, ეკონომიკური გაუარესება, მსხვერპლთშეწირვა და სხვა აღვირახსნილობა, რაც საზოგადოებაში მშვიდობისკენ სწრაფვას იწვევს. თუმცა ჯარისკაცებს, ოფიცრებს და ლიდერებს შეუძლიათ საზოგადოებაში ეს პერსპექტივა ფართოდ არ გააზიარონ. საგანმანათლებლო ამოცანა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო მეტად აქტორების შიდა დინამიკას უნდა გაუმკლავდეს, ვიდრე საზოგადოებას.

სამშვიდობო შეთანხმებაში ხელმძღვანელობის საჭიროება უცვლელი რჩება, რაც მოლაპარაკებებში დაძაბულობას ზრდის. გადანყვეტილება უსაფრთხოების გარანტიებს საკმარისად უნდა შეიცავდეს, ისევე როგორც სარგებელს. მშვიდობა სკეპტიკოსებისთვის მისაღები უნდა გახდეს ქვეყნის შიგნითაც. მოლაპარაკება მოწინააღმდეგე მხარესთან არა მხოლოდ პრობლემის მოგვარებას უწყობს ხელს, არამედ მხარეების შინაგან შემფოთებასაც იზიარებს. ეს არის ის შემთხვევა, სადაც გარემოს შეიძლება განსაკუთრებული როლი ჰქონდეს, რესურსები სწორად რომ გადანაწილდეს.

დიდ სახელმწიფოებს შორის კონსენსუსი წარმოადგენდა ანტი-კოლონიალური კონფლიქტების, როგორც კონკრეტული კატეგორიის კონფლიქტის შეფასებას.

დეკოლონიზაციის პროცესის მიზანს წარმოადგენდა, ახალი სახელმწიფოების შექმნა, ტერიტორიული ერთეულებიდან სამართლებრივად და სამხედრო ძალით ეკავა კოლონიალისტ სახელმწიფოს. ამგვარად, საკითხი ეხებოდა ტერიტორიის კონტროლს, რომლის ფარგლებშიც იგულისხმებოდა, ფორმალურად, რომ ვთქვათ ერთი სახელმწიფო. ზოგიერთი კოლონიური ტერიტორია იყო ღრმად ინტეგრირებული კოლონიურ “სამშობლოში” მთავრობაში წარმომადგენლობის ჩათვლით.. ასეთი სიტუაციო იყო ალჟირში და აფრიკაში საფრანგეთის სხვა კოლონიებში, ასეთივე მიდგომა ჰქონდა გაერთიანებულ სამეფოს ირლანდიას, ინდოეთსა და მის სხვა კოლონიებთან. ძირითადად, იურიდიული სტატუსით ან კოლონიური საკუთრების უფლებით განისაზღვრებოდა მათი დაქვემდებარებული პოზიცია. ინტეგრაციის ხარისხი უფრო მაღალი იყო იმ ტერიტორიებში რომლებიც „რომლებიც ცენტრთან ახლოს მდებარეობდა. მათ შორის, არ იყო რთული გასაგები, რომელი იყო მნიშვნელოვანი “კოლონია” და რომელი არა. ამან ასევე შესაძლებელი გახადა განგვესხვავებინა ის ქვეყნები, რომლებსაც არ ჰყავდათ კოლონიები, მათგან, რომლებსაც ჰყავდათ. შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი პირველ კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ, ევროპის რიგი სახელმწიფოები კი მეორეს. შეერთებული შტატები პრინციპში შეიძლება ჩათვლილიყო პირველ ქვეყნად რომელმაც ევროპული კოლონიალიზმის წინააღმდეგ დაიწყო ბრძოლა.

საბჭოთა კავშირი ამტკიცებდა, რომ მან პირველმა, 1917 წლის სოციალისტური რევოლუციის გზით, გაიბრძოლა ევროპული კაპიტალიზმის წინააღმდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, იმ დროის ორმა დომინანტმა ქვეყანამ მხარი დაუჭირა დეკოლონიზაციის პროცესს.

ცივი ომის პერიოდში მიმდინარე კონფლიქტების დიდი ნაწილი დეკოლონიზაციის კონფლიქტები იყო.. მათ ადგილი ჰქონდა ახლო აღმოსავლეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, 1940-იან წლებში და 1950-იან წლებში, ჩრდილოეთ აფრიკაში 1950-იან წლებში, აფრიკაში ქვემო-საჰარაში 1960-იანი წლების 1970-იან წლებში წყნარი ოკეანისა და კარიბის ზღვის აუზებში 1970-იან და 1980-იან წლებში. იმპულსი ძლიერი იყო და ფართოდ ვითარდებოდა სამხრეთ კონტინენტზე. იყო ანტი-კოლონიალურ მოძრაობებს შორის სოლიდარობის მნიშვნელოვანი ელემენტიც არსებობდა. დამოუკიდებლობის მიღწევაში მზარდი წარმატების შემდეგ, ისინი საერთაშორისო ურთიერთობებში მკაფიო და ერთობლივ ძალად იქცა~. ეს იყო მესამე სამყაროს სანყისი, რომელიც დამოუკიდებელი იყო და ცივი ომის დროს არც ერთ მხარეს არ ემხრობოდა.

კერძოდ, ის გახდა ძლიერი კოალიცია საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელიც ეფუძნებოდა პრინციპს ერთი სახელმწიფო-ერთი ხმა. ამდენად, საერთაშორისო ურთიერთობები დეკოლონიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დეკოლონიზაციის ეროვნული მოძრაობები ხშირად ეთნიკური ჯგუფების, განათლებული ურბანული მკვიდრებისა და შორსმჭვრეტელი ინტელექტუალების ჰეტეროგენული კოალიციები იყო. ყურადღება გამახვილებული არ იყო ერთი კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის უფლებებზე, არამედ კოლექტიურ გაერთიანებაზე

რომელიც იბრძოდა დომინანტი შორეული თეთრკანიანი დამპყრობელის წინააღმდეგ..

თვითგამორკვევის საკითხი იყო კონტროლის ერთი ფორმის მოხსნა, უფრო მეტი, ვიდრე კონკრეტული, განსაზღვრული ეთნიკურ ჯგუფის მართვა, რომელიც კოლონიალური ბატონობის საკუთარი ძალაუფლებით ჩანაცვლებას ელოდებოდა. განმათავისუფლებელი მოძრაობები, რომლებიც ანტი კოლონიურ ბრძოლებს ახორციელებდნენ, ფრონტებსა და კოალიციებს წარმოადგენდნენ. ისინი ეყრდნობოდნენ განსხვავებული ინტერესების ერთ საფუძველში გაერთიანების უნარს. აქედან გამომდინარე, ნაციონალიზმის ეს ფორმა განსხვავდებოდა ექსკლუზიური და შოვინისტური ნაციონალიზმისგან, რომელიც 1920-იანი და 1930-იან წლებით თარიღდებოდა. გარდა ამისა, როდესაც მიზანს მიაღწევდნენ, ფრონტები ხშირად ერთპარტიულ სისტემებად გარდაიქმნებოდნენ, აშენებდნენ სახელმწიფო დამოუკიდებლობას ანტიკოლონიალური ბრძოლების გზით. ტერიტორიული ცვლილებების საკითხებში, ისინი, სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის, ძალიან კონსერვატიული მიმდევრები გახდნენ. ამგვარად, ისინი არ დაუპირისპირდნენ დადგენილ ტერიტორიულ შეთანხმებას, არამედ, ამის ნაცვლად შეუერთდნენ მას (კაცოვიზი 1994: 67). ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანი, რომელიც ტრადიციულ ნაციონალისტურ პოლოტიკას მიჰყვებოდა, იყო სომალი, რომელიც ცდილობდა ყველა სომალელისთვის ერთიანი სახელმწიფოს შექმნას. ყოფილ იტალიურ და ბრიტანულ სამფლობელოებს შორის გაერთიანების მიღწევა 1960 წელს იქნა მიღწეული, მაგრამ პროგრამის გაგრძელებამ ქვეყანა ეთიოპიასთან ბრძოლასა და კენიასთან კონფლიქტში ჩართო.

დეკოლონიზაციის ეპოქა განიხილებოდა, როგორც დასრულებული, მას შემდეგ, რაც სამხრეთ კონტინენტები გათავისუფლდნენ კოლონიური ბატონობისგან. ეს ვერდიქტი, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია კოლონიალიზმის განსაზღვრებაზე. კოლონიალიზმი როგორც განსხვავებული ცნება ანექსირების, ოკუპაციისა და დაპყობისაგან, შეიცავს რამდენიმე ელემენტს.. გამორჩეული თვისება კი ისაა, რომ მეტროპოლიები აკონტროლებენ იმ ტერიტორიას, რომელიც დასახლებულია სხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე ადამიანებით, მდებარეობს მნიშვნელოვნად შორს და გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოყოფილია მეტროპოლიიდან. მეტროპოლიის მოსახლეობა შესაძლოა დაფუძნდეს კოლონიაში და წარმოქმნას საკუთარი ინტერესები.. აღინიშნა, რომ ყველაზე გამოკვეთილი დიფერენცირება კოლონიალიზმსა და ტრადიციულ დაპყრობას შორის, არის **საზღვაო წყლების არსებობა** მეტროპოლიებსა და პერფერიას შორის. ამ განმარტების თანახმად, დასავლეთისა და სამხრეთის ევროპული სახელმწიფოების მიერ, ამერიკის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და აზიის კოლონიზაცია არის განსხვავებული ფენომენი. გარდა ამისა, ეს მოხდა გარკვეულ ისტორიულ მომენტში, რომელიც ხშირად ასოცირდება გამარჯვებულ კაპიტალიზმთან. ეს ელემენტები განასხვავებს კოლონიალიზმს მეზობელი ტერიტორიის ტრადიციული სამხედრო დაპყრობისგან. თუმცა, მხოლოდ ასეთი განსაზღვრებით არის დეკოლონიზაცია დასრულებული პროცესი. თუ ეს კოლონიზაციის სხვა ფორმას, მოიცავს, როგორცაა ტრადიციული დაპყრობა, მაშინ ეს ასე არ არის. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სხვა ელემენტებიც, მაგალითად, ეკონომიკური დამოკიდებულება, კოლონიალიზმი და ნეოკოლონიზმი, რომლებიც მნიშვნელოვანი მახასიათებლებია. უფრო მეტიც, თვითგამორკვევის ცნება ყოველთვის უფრო ფართო იყო, ვიდრე მხოლოდ კოლონიური სიტუაციები. 1920-იან წლებში, ეს იყო გამოყენებული ცენტრალურ ევროპაში მიმდებარე ტერიტორიებზე. ამდენად, კოლონიური ეპოქა შეიძლება არ დასრულებულა ისე მარტივად, როგორც ხშირად ამას ამტკიცებენ. სინამდვილეში არსებობს რამდენიმე საკითხი განმარტებასთან დაკავშირებით, , რომელიც ზოგადი ინტერესის საგანია. მაგალითად, განიხილებოდა თუ არა ირლანდიაზე ბრიტანული

კონტროლის საკითხი, როგორც კოლონიალიზმი ან ტრადიციული დაპყრობა? ეს, რა თქმა უნდა მოხდა კოლონიალიზმის ფენომენის განსაზღვრამდე, თუმცა, განსაზღვრისას გამოიყენებული მახასიათებლები ამ სიტუაციას ესადაგება კოლონიალური ტიპის მოწყობის ჩათვლით.. ირლანდიის აჯანყებასა და ირლანდიის რესპუბლიკის შექმნა წინ უძღოდა დეკოლონიზაციის საერთაშორისო მოძრაობას. ის იშვიათად განიხილებოდა, როგორც მისი ნაწილი, მაგრამ მისი არსი მიზნად ისახავს იმავეს. კიდევ ერთი საკითხია, ბალტიის სამი დამოუკიდებელი ქვეყნის საბჭოთა ანექსია 1940 წელს. მოსკოვის ცენტრი შორს იყო, კონტროლი ეთნიკური ნიშნით იყო განპირობებული და მიზანმიმართული ხორციელდება ამ ადგილებში ახალი რუსული დასახლებების მოწყობა. მოცემულ ადგილებში მეტროპოლიებს შორის საზღვაო წყლები არ იყო, შეიძლებოდა თუ არა ამას დიდად შეეცვალა შედეგები? რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა დეკოლონიზაციის რეზოლუციას გაეროს მეთხუთმეტე გენერალურ ასამბლეაზე 1960 წელს (რეზოლუცია 1514), იმ რწმენით, რომ ეს მის სიტუაციას არ შეეხებოდა.

შეიძლება ჩათვლილიყო რომ, რომ კოლონიალიზმის შემდეგ ანექსია მოხდა სოციალიზმის დროშის ქვეშ და ბალტიისპირეთის ქვეყნები ერთ ფუნქციურ კავშირში “სუვერენული” ერთეულები გახდნენ. ცივი ომის დროს კოლონიალიზმის ბრალდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იშვიათად იღებდა მხარდაჭერას. მსგავსი გამონწვევის წინაშე შეიძლებოდა აღმოჩენილიყო შეერთებულ შტატები, სადაც მაგალითად, ჰავაი და ალიასკა გაეროს რეზოლუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე თანაბარუფლებიანი შტატები გახდნენ. ეს ორი ტერიტორია განისაზღვრა არა, როგორც კოლონიური საკუთრება, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების განუყოფელი ნაწილები. ისინი თავისუფლად შეუერთდნენ ამ გაერთიანებას. რა თქმა უნდა, მათი კავშირში განწვევრიანება განხორციელდა დემოკრატიული გზით. თუმცა ამ შემთხვევაში, ეს ნიშნავდა, რომ დემოკრატიულ პროცედურებს შეიძლებოდა ჰქონოდა მეტი წონა ვიდრე დეკოლონიზაციას. რეალურად გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მხარდაჭერა ამ საკითხთან მიმართებაში (რეზოლუცია 1514), დამოუკიდებლობის ნაცვლად გთავაზობდა დეკოლონიზაციის ვარიანტს. ცივი ომის დროს დამოუკიდებლობა განიხილებოდა, როგორც დეკოლონიზაციის საფუძველი და ჰავაისა და ალიასკის მოვლენები იშვიათად იყო დებატების ნაწილი. რა თქმა უნდა, ისინი შიშობდნენ, რომ ამგვარი არგუმენტები შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო საზოგადოების მიერ, დეკოლონიზაციის შესაფერხებლად.

გამონწვევები კოლონიალიზმის განსაზღვრაში ბევრია და არა მხოლოდ თეორიული. დისკუსია დღეს შეიძლება მოძველებულია, მაგრამ ზოგიერთი კონფლიქტის საფუძველი იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოხდა დეკოლონიზაცია მესამე მსოფლიოს ახლად აღიარებულ დამოუკიდებელ ქვეყნებს შორის. ერთ-ერთი პირველი გამონწვევა უკავშირდება ბიაფრას , ნიგერიის სამხრეთ-აღმოსავლეთის მდებარე ტერიტორიას, რომელსაც იგბოს თემი განკარგავდა.. მან დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1967 წელს, ნიგერიის სხვა ნაწილში განხორციელებული ეთიკური წმენდის შემდეგ. ამან გამოიწვია აფრიკის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი ომი. ზოგიერთმა აფრიკულმა სახელმწიფომ აღიარა ბიაფრა ჰუმანიტარული მოტივით (მაგალითად, ტანზანია). სხვები შიშობდნენ, რომ თავიანთი ქვეყნები შესაძლოა შეჭახებოდნენ იგივე საფრთხეებს და ცენტრალურ ხელისუფლებას დაუჭირეს მხარი. ბიაფრა დამარცხდა 1970 წელს. იმავე წელს, აღმოსავლეთ პაკისტანის ლიდერებმა დასავლეთ პაკისტანის შორეულ ცენტრებიდან ქვეყნის კონტროლი გააპროტესტეს. ამას მოჰყვა სამხედრო რეპრესიები, ომის შედეგად ინდოეთი ჩაერია და 1971 წელს ბანგლადეში, ჩამოყალიბდა, როგორც ახალი სახელმწიფო. დასავლეთ პაკისტანი უსიტყვოდ დათანხმდა.

ამას შემდეგ მოჰყვა საერთაშორისო აღიარება. შედეგად ითქვა, რომ თუ მეტროპოლიები დამოუკიდებლობას მიიღებენ, ასე მოხდება საერთაშორისო საზოგადოებაშიც. 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტი, რომელიც ხელმოწერილია ყველა სახელმწიფოს მიერ, ცივი ომის პირდაპირი ან ნეიტრალური მხარეებისათვის, მხოლოდ მშვიდობიანად მოგვარებული ცვლილებების კოორდინაციას ახდენდა ევროპის ტერიტორიაზე ან სადმე სხვაგან. ამას ძლიერად დაუპირისპირდნენ ერთრეინის განმათავისუფლებელი მოძრაობები, რომლებმაც ეთიოპიისგან დამოუკიდებლობა მოითხოვეს. ეს არ იქნა მიღებული არც სხვა აფრიკულ ქვეყნებში, არც იმ დროის, უფრო ფართო საერთაშორისო საზოგადოებაში. კოლონიალიზმის ჩამოყალიბებულმა ხედვამ ეს ნათელი გახადა. სხვა ქვეყნებში ასეთი ომები დაემუქრა ფრაგმენტაციისა და დასუსტებული სახელმწიფო ორგანოს მონვევას. ეს იყო საშიში პრეცედენტები. “საზღვაო კოლონიალიზმის” გაუქმების თანხმობა არ ვრცელდებოდა დადგენილი საზღვრების გადააზრებაზე. ერთრეას ცივი ომის დასრულებამდე არ მიუღია დამოუკიდებლობა.

სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტები ცივი ომის შემდეგ

ცივი ომის შემდეგ სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებს აქვთ გარკვეული საერთო მახასიათებლები მათთან, რომლებიც უფრო ადრეული ეპოქას წარმოადგენენ. ისინი ხშირად განიხილება, როგორც ანტი-კოლონიური ან/და ისტორიული ბრძოლების გამართლება თვითგამორკვევისთვის (მეამბოხეთა პერსპექტივა) და ბრძოლა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის სასარგებლოდ სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნების გზით (მთავრობის ხედვა). თუმცა მათ ნაკლებად აქვთ მარტივი გამოსავალი. ზღვის იქით მდებარე შორეულ მეტროპოლიასთან ფორმალური კავშირის განწყვეტა დღის წესრიგში აღარ დგას. დღევანდელ ქვეყნებში არსებული ცენტრები ადვილად არ იძლევიან თავიანთი ტერიტორიების დაშლის უფლებას, რამდენადაც კოლონიალური დედაქალაქები მზად იყვნენ და შეეძლოთ ეს გაეკეთებინათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ერთი მიზეზი ისაა, რომ ტერიტორიული გამყოფების განსაზღვრა რთულია და რომ ხალხი მიმოფანტულია მთელს ტერიტორიაზე. ზოგჯერ ეს არის ახლო წარსულში და მიზანმიმართულად შექმნილი დასახლებული თემები, როგორებიცაა ებრაელი ახალმოსახლეები მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე (და ასევე, 2005 წლამდე დაზას სექტორში); ზოგჯერ კი მათი დასახლების პერიოდი საუკუნეებს ითვლის, როგორც ეს მოხდა სერბების შემთხვევაში, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილებში.

მიუხედავად ამისა, ახალი სახელმწიფოების რაოდენობა იზრდებოდა. 25 წლის განმავლობაში გაერო-ში განევრიანებულთა რიცხვი 193-მდე გაიზარდა (2014 წლისათვის), რაც 1989 წლიდან 20-ზე მეტი სახელმწიფოს გაერთიანებას გულისხმობს. სახელმწიფოთა წარმოქმნის ეს ტემპი ცივი ომის პერიოდს მოგვაგონებს. ახალი ასპექტი გულისხმობს, რომ ახალი სახელმწიფოები ძირითადად ევროპაშია. ეს არის კონტინენტი რომელზეც სახელმწიფოთა ყველაზე მეტი რაოდენობაა, მისი ტერიტორიული ფართობის გათვალისწინებით. სახელმწიფო ფორმირების საპირისპირო მოვლენა (ხელახლა), სახელმწიფოების გაერთიანება მოხდა (გერმანია, იემენი), მაგრამ საბოლოო შედეგი ჯერ კიდევ არის სახელმწიფოების რაოდენობის ზრდა. გარდა ამისა, დღეს არსებობს (2014) ათეულობით არაღიარებული დე-ფაქტო ქვეყანა (როგორებიცაა: ჩრდილოეთ კვიპროსი, სომალის მინა, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი) ასევე ტაივანი, დასავლეთ საჰარა, პალესტინა და კოსოვო, რომელთა მიმართაც ქვეყნების დიდმა ნაწილმა გაახანგრძლივა დიპლომატიური აღიარების პროცესი. სახელმწიფო ფორმირების ეს ტენდენციები, ჯერ კიდევ საოცრად მშვიდი იყო. ახალი, აღიარებული ქვეყნების სამი

მეოთხედი შეიქმნა ძირითადად ომის გარეშე, ისევე როგორც დეკოლონიზაციის პროცესი. საბჭოთა კავშირის და ჩეხოსლოვაკიის დაშლას არ მოჰყოლია შეიარაღებული კონფლიქტი. სოციალისტური იუგოსლავიის შემთხვევაში კი საპირისპირო მოხდა. საინტერესოა, თუ რატომ იყო პროცესები ამდენად განსხვავებული.

მთავარი მიზეზი შეიძლება იყოს თავად სახელმწიფოს ცენტრის დამოკიდებულება მის დაშლასთან მიმართებაში. 1991 წლის აგვისტოში ბორის ელცინმა ხელმძღვანელობა ხელში აიღო, მას ეკავა საბჭოთა კავშირისგან რუსეთის დამოუკიდებლობის პლატფორმა. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ცენტრი, მხარს უჭერდა საკუთარი იმპერიის დაშლას.

ელცინის აზრით, საბჭოთა სახელმწიფოს მიზანმიმართული დისკრიმინაციული მიდგომა ჰქონდა რუსეთის წინააღმდეგ, რათა სხვა რესპუბლიკებთან ეთანამშრომლა. არსებობდა პრეტენზია, რომ საბჭოთა ხელისუფლება უფრო მეტ ინვესტიციას ახორციელებდა რუსეთს გარეთ რუსეთის დამოუკიდებლობა თავად რუსეთისვე იქნებოდა სასარგებლო. ამგვარად, რუსეთისთვის არსებობდა უკმაყოფილების მიზეზი. რუსული მოსახლეობა რუსეთის გარეთ ნაკლებ საფრთხეში აღმოჩნდებოდა თუ კი მათი თვითგარმორკვევის მოთხოვნები გათვალისწინებული იქნებოდა. სინამდვილეში, რუსეთს ჰქონდა ინტერესი დაეჩქარებინა პროცესი. 1991 წლის ბოლოს, საბჭოთა კავშირმა არსებობა შეწყვიტა. ანალოგიურად, ჩეხეთის ხელმძღვანელობა არ დაუპირისპირდა სლოვაკეთს, რომელმაც დატოვა გაერთიანებული ფედერაცია და მშვიდობიანი გამოყოფა ფაქტიურად 1993 წელს განხორციელდა. მათ შორის არ არსებობდა წყალგამყოფი და გამოყოფა განხორციელდა შიდა ადმინისტრაციული ხაზებით.

იუგოსლავიის ისტორია განსხვავებული იყო. სერბები დაუპირისპირდნენ სახელმწიფოს დაშლას და სამხედრო მოქმედებები წამოიწიეს მის თავიდან ასაცილებლად. საშიში იყო შედეგები მიმოფანტული სერბი მოსახლეობისათვის, თუმცა ეს ასევე, პირადი ინტერესის საკითხს წარმოადგენდა. საბჭოთა სტილი სოციალიზმის ჩამოშლის შემდეგ, რეჟიმი ექსკლუზიურ ნაციონალიზმს ეფუძნებოდა, რათა თავისი ძალაუფლება შეენარჩუნებინა. დაშლის შესახებ შეთანხმებული ფორმულის არარსებობის გამო, ეს ადგილები/ზონა, ათი წელიწადზე ნაკლები დროის განმავლობაში ოთხმა შეიარაღებულმა კონფლიქტმა მოიცვა (სლოვენიაში 1991, ხორვატიაში 1991-92 და 1995, ბოსნია-ჰერცეგოვინაში 1992-95 და კოსოვოში 1998-99). სერბი მოსახლეობისათვის სერბების მოსახლეობისთვის ომების შედეგები ერთნაირად კატასტროფული იყო. შედეგებს წარმოადგენდა ახალი სახელმწიფოების შექმნა, სეპარატისტული რეგიონის გადაქცევა სახელმწიფოდ (კოსოვო), სახელმწიფოს რეკონფიგურაცია ფედერაციაში სერბეთსა და მონტენეგროს შორის და საბოლოოდ მისი დაშლა (2006 წელს). სასაზღვრო ხაზები ზოგჯერ შეიძლება ადრე არსებულ ადმინისტრაციულ ხაზებს გაჰყოლოდა და ზოგჯერ (მაგალითად ბოსნიაში) განსაზღვრულიყო ახლით. მოსახლეობის ძირითადი მოძრაობები დასრულდა და ხალხისთვის თავინთ სახლებში დაბრუნების შანსები დაბალი იყო, ამან ასევე, გავლენა იქონია სერბეთის მოსახლეობაზე. დასკვნა ამ გამოცდილებებისგან ის არის, რომ ხელმძღვანელობა, რომელიც მომხრეა ან ეთანხმება სახელმწიფოს დაშლას, შეუძლია განახორციელოს ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა. თუმცა ხშირად ეს ხელისუფლების პირად ინტერესს უპირისპირდება. მდენად, ხელმძღვანელობა, რომელიც ეწინააღმდეგება ასეთი პოლიტიკის გატარებას, ხვდება რა კონკურენტულ ოპოზიციას, შესაძლოა, გაჭიანურებული კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდეს. ორივეს მთავრობას და ოპოზიციას უნდა ჰქონდეს უკეთესი გადაწყვეტილების მიღების უნარი.

ცივი ომის შემდგომი პერიოდი გვიჩვენებს, რომ არსებობდა 70 შეიარაღებული სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტი. მათ დააყენეს მოქმედი მთავრობა რეგიონულ საფუძველზე შექმნილი, შეიარაღებული ოპოზიციის წინააღმდეგ, რომელიც ითხოვდა რადიკალურად განსხვავებულ სტატუსს კონკრეტული ტერიტორიისათვის. მოთხოვნები ეხება ავტონომიას, ფედერალიზმს, დამოუკიდებლობას ან მეზობელ სახელმწიფოსთან გაერთიანებას. ისინი ხშირად მიჰყვებოდნენ სახელმწიფო ორგანოს შესუსტებას, იმ ჯგუფებთან ერთად, რომლებიც მოითხოვდნენ შემდგომ ავტონომიას (ჩეჩნური დაჯგუფებები რუსეთში) ან ცენტრალიზებული მმართველობისადმი დაბრუნება (სუნიტებზე დაფუძნებული ამბოხებულები სადამ ჰუსეინის შემდგომ პერიოდში ერაყში სანყის ეტაპზევე მოითხოვდნენ უფრო ძლიერ ცენტრს მაშინ როდესაც ქურთების დაჯგუფებები და შიიტი არაბების ბევრ წარმომადგენელს უნდოდა მეტი ძალაუფლება შემადგენელ ნაწილებთან შედარებით). ცენტრზე შიიტების კონტროლით, ეს მოცემულობა ახლა მთლიანად შეიცვალა. ამ კონფლიქტების ზოგიერთ შეიარაღებული ფაზა წინ უსწრებდა ცივი ომის დასრულებას. მაგალითად, საქმე ეხება ჩრდილოეთ ირლანდიის, ბასკური პროვინციების, ქურთი მოსახლეობის დავებისა და პალესტინის კონფლიქტს. იგივე შეიძლება ითქვას ნამიბიის კონფლიქტზე სამხრეთ აფრიკაში, და რამდენიმე კონფლიქტზე ინდოეთში, შრი ლანკასა და ბურმაში. ასევე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში არსებობდა გაჭიანურებული კონფლიქტები, როგორც იყო მინდანაო (ფილიპინები) და აღმოსავლეთ ტიმორი (ინდონეზია). ეს მაგალითები გვიჩვენებს, რომ მსოფლიოს უმეტეს რეგიონებს აქვთ გარკვეული გამოცდილება სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში. ისინი ასევე მიუთითებენ, რომ ეს კონფლიქტები შეიძლება გაჭიანურდეს. მსგავსი ტიპის კონფლიქტები წინა პერიოდების მარგინალური გადმონაშთია .. ისინი არ შეესაბამება სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების დამკვიდრებულ პარადიგმას. მათ ჰქონდათ გარკვეული თვისებები, რომლებიც განსხვავდებოდა ანტი-კოლონიალიზმისგან.

როგორც ჩანს, აქტორები, ხელმძღვანელობდნენ თვითგამორკვევისა და ანტი-კოლონიალიზმის გრძნობებით, რომლებიც უფრო მწვავე იყო, ვიდრე დეკოლონიზაციის ბევრი ბრძოლა ცივი ომის დროს. კერძოდ, მჭიდრო კავშირი პოლიტიკური მოთხოვნებსა და ეთნიკურ იდენტობას შორის იყო თვალსაჩინო . ახალი პოლიტიკური ფრონტები და კონსოლიდაცია ნაციონალისტური ფორმირების ფარგლებში ერთი ეთნიკურ ჯგუფის მიზნისთვის იღწვოდა. ისინი გრძნობებზე თანამშობდნენ, რომლებიც დიდწილად აცილებული იყო ანტი კოლონიურ ბრძოლებში.

როგორც ჩანს, ახალი კონფლიქტები, არც ისტორიისა და არც ნაციონალისტური ომის საფრთხეების გაუნალიზებლობის შდეგად ხდებოდა, რაც ცივი ომის შემდეგ დაუფიქრებლობა იყო.. ამ ტიპის კონფლიქტთან ასოცირდება “ეთნიკური კონფლიქტის” ცნება.

გარდა ამისა, ეს ცნება გახდა სინონიმური ხასიათის სეპარატიზმისა და ეთნიკურად ერთგვაროვანი ჰეგემონური სახელმწიფოების ძებნაში. ყველაფერი ეს, ჩანდა უკან სწევდა მსოფლიო 1939 წლამდე პერიოდისაკენ.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების უმრავლესობა ევროპაში ხდებოდა. ეს ძლიერ გავლენას ახდენდა იმ ევროპული თვითშეგნებაზე, რომელმაც წარმატებით დატოვა შოვინისტური ნაციონალიზმის ბნელი დრო. ევროპა ამ ახალი რეალობისთვის არ იყო მზად. აფრიკას, რომელიც ხშირად ეთნიკური კონფლიქტების კონტინენტად აღიქმებოდა, რეალურად უფრო ნაკლები კონფლიქტები ჰქონდა.

აფრიკაში ოპონენტები პირდაპირ იშვიათად უპირისპირდებოდნენ ჩამოყალიბებულ სახელმწიფო სტრუქტურებს. რეგიონალურ, ისტორიულ თუ კულტურულ იდენტობებში განსხვავებებმა მთავრობასთან ბრძოლაში უფრო ჰპოვა გამოხატვა, ვიდრე სახელმწიფოების დაშლაში. იგივე იყო ახლო აღმოსავლეთში, სადაც ქურთები იბრძოდნენ დამოუკიდებლობისთვის, ერთადერთი ისტორიული და ლინგვისტურად განსაზღვრული ხაზის მქონე ტერიტორიისთვის. მაგალითად, პალესტინის სიტუაცია არ არის ისეთი, რომ არაბულ სახელმწიფოში განხეთქილებას ეძიებდეს, მაგრამ მას გააჩნია ანტიკოლონიური ბრძოლის თავისებურებები. ამრიგად, არაბულ ქვეყნებს საშუალება ეძლევათ ხელი შეუწყონ პალესტინის საკითხს მათი თვითგამორკვევისა და სახელმწიფოებრიობის თაობაზე, ამავე დროს, ისინი ეწინააღმდეგებიან მსგავს მისწრაფებებს ქურთულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით.

სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტები ცივი ომის შემდგომ პერიოდში ხშირად რთავდნენ პროცესებში მეზობელ ქვეყნებს. ეს იყო ახალი, რადგან სახელმწიფოები ადრე თავს იკავებდნენ მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში მონაწილეობაზე, სულ მცირე, ღიად მაინც. ისინი სეპარატისტული მოძრაობებისადმი მცირედი ოფიციალური თანაგრძნობით გამოირჩეოდნენ. ცივი ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში, ასეთი აკრძალვები შემცირდა და მეზობლები ქვეყნები ღრმად იყვნენ ჩართული იმაში, თუ რა ხდებოდა მათ საზღვრებს მიღმა. უფრო მეტიც, ცივი ომის ეპოქაში არსებობდა სოლიდარობა მთელ რეგიონებსა და კონტინენტებზე, სხვადასხვა განმათავისუფლებელ მოძრაობებს შორის. ანტიკოლონიური ამბიციაც იყო მათი შერწყმა. დღევანდელ ეპოქაში ეს ასე არ არის.

თითოეული ბრძოლა სხვებისგან განსხვავდებოდა. ყოველი ნაციონალისტური ბრძოლა ხედავდა თავის თავს, როგორც პრინციპში, უნიკალურს და მხოლოდ რამდენიმე განზოგადებას ჰქონდა ადგილი, მაგალითად, თუ იგივე ეთნიკური ჯგუფი ჩართული იყო რამდენიმე განსხვავებულ ბრძოლაში, ან მოწინააღმდეგე მხარე იყო იგივე. საერთაშორისო მოკავშირეების ძიება ეფუძნება ერთგულებას, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც სენტიმენტები წარმადგებდე ერთი და იგივე გლობალური მიზნის ნაწილს. გარდა ამისა, წამყვანი ძალები, როგორც წესი, ნაციონალისტური ან “ეთნიკური” კონფლიქტების მიღმა რჩებოდნენ. აღსანიშნავია, 2013-14 წლების მოვლენები უკრაინაში. რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა ქვეყნის გარეთ, რუსების მდგომარეობაზე საუბარი დაიწყო და, შესაბამისი ქმედებები განახორციელა, როდესაც 2014 წლის მარტში, ყირიმზე კონტროლი დაამყარა და საბოლოოდ მისი ტერიტორიის ანექსირება მოადინა, რუსეთის ფედერაციაში განეწინააღმდეგებინა გზით. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ამგვარი მოქმედებების წარმოებამ გატეხა რუსეთის (და საბჭოთა) პოლიტიკა.

ცივი ომის შემდეგ საერთაშორისო თანამეგობრობასთან დაპირისპირებით სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებს გააჩნდა გარკვეული მახასიათებლები, რაც განსხვავდებოდა კოლონიალური გამოცდილებისაგან და გავლენას ახდენდა მათ გადაწყვეტილებაზე. დეკოლონიზაციის ბრძოლები დასრულდა დედაქალაქზე უარის თქმით. შესაძლოა ეს დასასრული არ იყო ხელმისაწვდომი კონფლიქტებში, ამკარა გეოგრაფიული მახასიათებლების გარეშე, რომლებიც გამოყოფენ ოპონენტებს. სხვა გამყოფი ხაზების გავლებას მოიხსენიებენ შერეულ წარმატებად. ხშირად, გადაწყვეტილებები უნდა მოიძებნოს საერთო ტერიტორიის საზღვრებში. როგორც ჩანს, ეს შეიძლება, რთული აღმოჩნდეს, მაგრამ აღსანიშნავია შემთხვევები, რომ მსგავსი კონფლიქტები მოლაპარაკებების გზით მოგვარდა. მოდით მივმართოთ მათ.

ცივი ომის შემდგომი პერიოდის სამშვიდობო შეთანხმებები

აღსანიშნავია, რომ არსებობს 18 ქვეყანა, რომლებმაც ცივი ომის შემდეგ, ტერიტორიული საკითხები გადაწყვიტეს სამშვიდობო შეთანხმებებით, შეთანხმება მოხდა მხარეთა მიერ და იქონია გამოხატული გრძელვადიანი მოქმედება. ყველა მათგანი ჩამოთვლილია ცხრილში 7.1. დარეგულირება ადასტურებს კონფლიქტების მოგვარების შესაძლებლობას, რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს და სადაც ამ ისტორიის შეთანხმებები იშვიათად არის ხოლმე გაზიარებული მხარეებს შორის. განსხვავებული, თუ არა წინააღმდეგობრივი, ისტორიული ნარატივები კონფლიქტების განუყოფელი ნაწილია. ამგვარად, სამშვიდობო შეთანხმებები ისტორიული ურთიერთობების ცვლილების შედეგია. ეს ასევე ხშირად წარმოადგენს მხარეების მიერ თავი თავის გაგების გზას. ეს ისტორიული ასპექტი არის ის, რაც სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებს ცალკე გამოყოფს. ისინი ხშირად ეხება ხალხს, რომლებიც ერთმანეთთან ახლოს ცხოვრობენ. მათ იციან და ინფორმირებული არის ერთმანეთის შესახებ. კონფლიქტების უმეტესობაში მჭიდრო მეზობლური თანამშრომლობის მტკიცებულება არსებობს. ასევე არსებობს დაშინების და რეპრესიების ანგარიშები. ეს არის ერთი თაობიდან მომდევნოზე გადაცემული ნარატივები, რითაც აძლიერებენ საკუთარ თავს, როგორც სტერეოტიპებს მეორე მხარისათვის.

მეზობლური თანამშრომლობისა და დაძაბულობის ორმაგი დამოკიდებულება შეიძლება იყოს ფაქტორი, რაც ამ კონფლიქტებს განსაკუთრებით არასტაბილურ ხასიათს ანიჭებს. უფრო ადვილია ამ ზომების გასწვრივ მოქმედებების მობილიზება, ვიდრე სხვების. **ამან** წარმოშვა “ეთნიკური უსაფრთხოების დილემის” ცნება, როგორც კონფლიქტის მამოძრავებელი ძალა (კაუფმანი 1996, კაუფმანი 1996, მელანდერი 1999). ადგილობრივ დონეზე, უმცირესობათა ჯგუფები დომინანტურ ჯგუფებთან ურთიერთობაში დაუცველნი გახდებიან და ამ დაძაბულობისგან, მძაფრი ქმედებები შეიძლება დაიწყოს და ზოგჯერ ხელი შეუწყოს კონფლიქტის დინამიკის სწრაფ ტემპში განვითარებას.

მაგალითად, თუ ძალადობა მოხდა ერთი ჯგუფის წევრების წინააღმდეგ, ეს შეიძლება (სწორად თუ არა) მიენეროს სხვა ჯგუფს მთლიანობაში. ეს ჯგუფი თავის ნაბიჯებს გადადგამს საკუთარი თავდაცვის მიზნით, შემდეგ კი - პირველი ჯგუფს - დაუადასტურებს მოსალოდნელ მტრულ განზრახვებს და ამართლებს მის უპირატეს ქმედებებს. ასეთი დინამიკის შესახებ, ცნობები მოდიოდა ზოგიერთი მხირდან, მაგრამ არა ყველასთვის, კონფლიქტები ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში (1999 წლის მელანდერი).

ეთნიკური უსაფრთხოების დილემა მოქმედებს ადგილობრივ დონეზე, რაც მიზნად ისახავს ლიდერების მხრიდან მათ გამოყენებას. ეს არის პარალელურად შიდა უსაფრთხოების დილემა, რომელიც აღწერილია სექციაში 6.2. 6.4 და ასევე სახელმწიფოთაშორისი სიტუაცია, რომლისთვისაც ეს თავდაპირველად განვითარდა (თავი 5). სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში მშვიდობის დამყარება აწყდება პრობლემებს, რომლებიც აშკარად განსხვავდება იმათგან, რასაც სხვა სახის კონფლიქტში ეჭახებიან, ამ პრობლემებს მიეკუთვნება ლტოლვილების დაბრუნება მშობლიურ სახლებში, საიდანაც ისინი შეიძლება იძულებით გადაადგილეს და სხვებით ჩაანაცვლეს.

ცხრილების 6.1 და 7.1-ის შედარებით, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების შესახებ შეთანხმებები, როგორც ჩანს, პრობლემის მოსაგვარებლად უფრო ხშირად გამოიყენება, ვიდრე მივყავართ განახლებული კონფლიქტის პროცესისაკენ

ცხრილი 7.1

სამშვიდობო შეთანხმებები სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში ცივი ომის დასრულების შემდეგ.

კონფლიქტის ადგილი	შეთანხმების წლები	შეთანხმების ნომერი
ანგოლა (კაბინდა)	2006	1
ბანგლადეში (ჩიტანონგ ჰილ ტრაქტსი)	1997	1
ბოსნია-ჰერცეგოვინა (ხორვატია)	1994	1
ბოსნია-ჰერცეგოვინა (სერბეთის რესპუბლიკა)	1995	1
კომოროსი (ანჯუანი)	2000,2001,2003	3
ხორვატია (სერბეთი)	1995	1
საქართველო (აფხაზეთი)	1994	1
ინდოეთი (ბოდოლანდი)	1993	1
ინდოეთი (ტრიპურა)	1993	1
ინდონეზია (აცეჰი)	2002, 2005	2
ინდონეზია (ალმოსავლეთ ტიმორი) ^a	1999	1
ისრაელი (პალესტინა)	1993, 1994, 1995, 1997, 1998, 1999, 2007	8
მალი (აზავადი)	1991, 1992	2
მოლდოვა (დნეპრისპირეთი)	1997	1
ნიგერია (აირი, აზავადი)	1993, 1994, 1995	3
პაპუა ახალი გვინეა (ბუგანვილე)	1991, 1994, 2001	8
ფილიპინები (მინდანაო)	1996, 2001, 2012, 2013	1
სენეგალი (კასამანსე)	2004	1
სუდანი (აბეი)	2011	1
გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდია)	1998	1
იუგოსლავია (კოსოვო) ^b	1999	1
იუგოსლავია (სლოვენია)	1991	1

a ეს შეთანხმება დაიდო სხვა აქტორებს შორის და განხორციელდა შეურიგებელ მხარეებს შორის

b სხვადასხვა შეთანხმებები ხელმოწერილი იქნა სხვადასხვა მხარეების მიერ, კონფლიქტი შეჩერდა 1999.

შენიშვნა: სამშვიდობო შეთანხმებები შეიარაღებულ კონფლიქტებში, სახელმწიფოში ტერიტორიაზე კონტროლთან დაკავშირებით, რომელიც აქტიური იყო 1989-2013 წლებში, ცხრილში მოცემულია შეთანხმებები, რომლებიც ხელმოწერილია, არეგულირებენ შეუსაბამობებს (რეაგირება ან სიტუაციისთვის პროცესის პოვნა) და დადებული იყო დაუზავებელ მხარეებს შორის, და ამთავრებს შეიარაღებული კონფლიქტის ქმედებას. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებები არ შედის. მხარეები ჩამოთვლილია ინგლისური ანბანური თანმიმდევრობით..

წყარო: კონფლიქტების მონაცემთა პროგრამის ენციკლოპედია (Uppsala (UCDP)); ცხრილი 4.2 ამ წიგმიდან; პოგბლადი (2006)

ეს შეთანხმებები ცოტაა, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან გადახედვას და ამგვარად არ არიან შეცვლილი. ეს ასახავს გარკვეულ განსხვავებებს, რომელიც ეხება შიდა დაპირისპირებას მთავრობასა და ტერიტორიებზე. ყოფილი გარიგება კონსტიტუციებთან და პოლიტიკურ შეთანხმებებთან, რომლებიც სავარაუდოდ შეიცვლება, აგრეთვე “ნორმალურ” გარემოებებშიც. ტერიტორიული საკითხების გადაჭრა, **თუმცა, უფრო მუდმივია: საზღვრის დადგენა, ფედერალური სტრუქტურის შექმნა**, რითაც იცვლება გარემო მომავალი პოლიტიკის შემუშავების პროცესში, ისე, რომ უფრო რთული ხდება მისიკიდევ ერთხელ შეცვლა. არსებობს შეუქცევადობა ასეთი შეთანხმებებთან მიმართებაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ეს შეთანხმებები შესაძლოა იყოს უფრო ცოტა, მისაღწევად უფრო რთული, თუმცა ასევე შეიცავდეს უფრო დიდ ცვლილებებს, რომლებიც შესამჩნევია გეოგრაფიულ რუკაზე. გამონაკლისი არის პალესტინისა და ფილიპინებში მინდანაოს დასახლების ხანგრძლივი პროცესი. 2014 წლისთვის, პირველმა მხარემ მოლაპარაკებების პროცესში ახალი კრიზისი დაინახა, ხოლო მეორემ შეთანხმებას მიაღწია.

ჩანაწერი აჩვენებს, რომ ამ ტიპის კონფლიქტების დაახლოებით ერთმა-მეოთხედმა მიაღწია საკითხის მოგვარებას ან ამ მოწესრიგების პროცესზე შეთანხმებას, რომლის შედარებასაც ახდენს ცხრილები 4.1 და 7.1. ამავე პერიოდში არსებობს მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ერთმა მხარემ ნათლად დაამარცხა მეორე, მაგალითად, იძულების წესით, სადავო ტერიტორიაზე, მისი უკან დახევის, ვაპიტულაციის ან იარაღის დაყრის მოთხოვნით. გამარჯვებებს შორის არის, მაგალითად სლოვენისა და ხორვატიის გამოყოფა იუგოსლავიიდან, ასევე, მათ შორის მოლაპარაკებები და შეთანხმებები, ასევე (1991, 1992) ერთრეას გამარჯვება ეთიოპიის თანხმობაზე მის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით (შეთანხმდა 1993 წელს), ინდოეთის მიერ ხალისტანის დამოუკიდებლობის მოძრაობის დამორჩილებას პენჯაბში. (1993 წელს), იემენის გამარჯვება სამხრეთ იემენის გამოყოფის წინააღმდეგ (1994 წელს) და შრი-ლანკის გამარჯვება “თამილელ ვეფხვებზე” (LTTE) (2009 წელს). რამდენიმე მაგალითი გვიჩვენებს, რომ გამარჯვება არ არის ადვილად მიღწეული. წინააღმდეგობა ორივე მხარეს დიდია. ზოგიერთ გამარჯვებას მოსდევს დამარცხებული მხარის მასობრივი გამოსახლება, როგორც ეს მოხდა ხორვატიაში 1995 წელს სერბების შემთხვევაში.

ცხრილში 7.1-ში რამდენიმე შეთანხმება ეხება დეკოლონიზაციის პროცესს და, შედეგად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას: პალესტინას და აღმოსავლეთ ტიმორს. 1989 წლამდე ნამიბიასა და დასავლეთ საჰარას ჰქონდა მსგავსი შეთანხმებები. ისრაელ/პალესტინის შემთხვევის გარდა, სხვა სიტუაციებში უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა დისტანციური კონტროლისგან, და არა ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირი ზემოქმედებისგან. ეს მართებული იყო ნამიბიის დამოუკიდებლობისა და დასავლეთი საჰარის ხელშეკრულებისთვის. პალესტინის ბრძოლაც ამ თვალსაზრისით ჩანს იგივე კუთხით იყო დანახული, როგორც აღმოსავლეთ ტიმორის კონფლიქტი.

ინტერნაციონალური დავები ამ ტერიტორიათაგან ზოგიერთის სტატუსის გამო, გამოეყო მათთვის, როგორც ერთა ლიგის მანდატები (ნამიბია, მაშინ ცნობილი, როგორც სამხრეთ-დასავლეთ აფრიკა, ყოფილი გერმანიის კოლონია და პალესტინა) და ამგვარად გაეროს უსაფრთხოების წესდების თანახმად გახდა მისი სამართალმემკვიდრე. სამხრეთაფრიკა და დიდი ბრიტანეთი ფლობდნენ ამ მანდატებს. დასავლეთ საჰარა იყო ესპანეთის ქვეშ კოლონიური ტერიტორია; აღმოსავლეთ ტიმორი იყო პორტუგალიას კონტროლის ქვეშ. ორივე კოლონიალური ძალაუფლება 1975 წელს გაუქმდა. შემდეგ, მაროკომ აიღო

კონტროლი დასავლეთ საჰარაზე, მის მეზობელზე სამხრეთით და ინდონეზიამ აღმოსავლეთ ტიმორი დაიპყრო, როგორც ეს უკვე განხორციელებული იყო დასავლეთ ტიმორში. ამ ქმედებებს ადგილობრივი მთავრობები ეწინააღმდეგებოდნენ, რითაც საბაბი მისცეს მნიშვნელოვანი საერთაშორისო ოპოზიციის ჩამოყალიბებას. განზრახ დასახლებულ ადამიანთა გამოადგილობრივი ეთნიკური უსაფრთხოების დილემები წარმოიშვა. ეს ყველაზე ცხადი იყო პალესტინის შემთხვევაში, ადგილობრივ მცხოვრებთა გამოსახლება, ებრაელი ემიგრანტების მასიური დასახლება, რასაც მოჰყვა ომის შედეგები 1967 წელს, ებრაული დასახლებები, ასევე მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში (ისრაელის მხრიდან ცალმხრივად უარის გამოცხადებამდე 2005 წელს). ამ მიმართულებით განსაკუთრებით ძლიერი ესკალაცია შეინიშნებოდა პირველი ინტიფადას (1987-93) და კიდევ უფრო მეტი მეორე ინტიფადას (დაახლოებით 2000-06) დროს, პალესტინელების ორი ძირითადი აჯანყება. ეს პრობლემები კვლავაც საერთაშორისო ინტერესს საგანს წარმოადგენს. **გაერო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნამიბიის, დასავლეთის საჰარისა და აღმოსავლეთ ტიმორის გადაწყვეტილებების ძიებაში.** ნამიბიასთან დაკავშირებული კონფლიქტი პირველი იყო, რომელიც ზოგადად აღიარებულ დასასრულამდე მივიდა. დასავლეთი საჰარას უნდა ჰქონოდა რეფერენდუმი, თუმცა ამომრჩეველთა შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული. მაროკომ მოახერხა თავიდან აეცილებინა პროცესის წინსვლა. აღმოსავლეთ ტიმორი გახდა დამოუკიდებელი ქვეყნა, ტიმორ-ლესტე, 2012 წელს. ეს იყო სურვილი გამოხატული აბსოლუტური უმრავლესობით, 1999 წლის აგვისტოში ჩატარებული რეფერენდუმი, რასაც მოჰყვა ა მასობრივი ხოცვლა-ჟლეტა ინდონეზიის ეროვნული გვარდიის მხარდაჭერით. ამან დასაბამი მისცა გაეროს სამშვიდობო ოპერაციებს, პირველად ავსტრალიის მიერ, რათა დაეცვა მიღებული შედეგი. პალესტინის პრობლემას, გაერო ძირითადად გვერდიდან აკვირდებოდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 1978-79 წელს ეგვიპტესა და ისრაელს შორის გაფორმდა შეთანხმებები სახელწოდებით: **“Camp David agreements”**, ამერიკის შეერთებული შტატები იყო მთავარი გარე აქტორი საკითხის მოსაგვარებლად. თუმცა, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ კონფლიქტებში, რომელიც დეკოლონიზაციას უკავშირდებოდა, როგორც ამას ცივი ომის ეპოქაში განსაზღვრავდნენ, გაეროს, სავარაუდოდ, კონკრეტული როლი უნდა ჰქონოდა. ზოგჯერ, გაეროს ეგიდით ჩატარებული პროცესები განსაკუთრებულ ფორმებს იღებს, მათ შორის ერთი ნამყვანი სუბიექტი არ არის შეთანხმების მხარე. საკვანძო მოთამაშეები საკმარისად ინფორმირებული იყვნენ და აღიარებდნენ, რომ შეთანხმდნენ, თუმცა დოკუმენტებს ხელი არ მოაწერეს. ეს გამართლებული ნამიბიაში, სადაც , ნამიბიის ნამყვანი განმათავისუფლებელი მოძრაობა “SWAPO” არ იყო ხელმომწერი და აღმოსავლეთ ტიმორისთვისაც, სადაც ინდონეზიასა და პორტუგალიას შორის შეთანხმება გაფორმდა, როგორც ყოფილი კოლონიურ ძალებს შორის. ორივე შემთხვევაში, გაერო მონაწილეობდა მოლაპარაკებებსა და განხორციელების პროცესში. სავარაუდოდ ამას არ ჰქონდა დიდი მნიშვნელობა, რადგან იგივე აქტორები ჩართულები იყვნენ შემდგომი განხორციელების პროცესში, და კანონიერად მიღებულ მხარეებს წარმოადგენდნენ.

ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენიმე საკითხი ახალ დასახლებებთან მიმართებაში საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობის გარეშე (მალი, ნიგერი და ჩიტაგოგონ-ჰილ-ტრაქტატების რევიონები) იქნა მიღწეული. ეს პრობლემები მთავრობების მიერ განიხილებოდა, როგორც შიდა საქმედები. ეს აზრი აღიარებულ იქნა საერთაშორისო დონეზე. დიდი ხნის მანძილზე, ბრიტანეთი წინააღმდეგობას უწევდა ჩრდილოეთ ირლანდიაში კონფლიქტის დარეგულირებაში საერთაშორისო ინტერვენციას, თუმცა საბოლოოდ

შეთანხმება იქნა მიღწეული, მათ შორის ირლანდიის რესპუბლიკისა და შეერთებული შტატების ჩართულობით. იგივე გრძელდება ნებისმიერი საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციის გარეთ. ანალოგიურად, ინდონეზიამ არ ჩართო გაერო, როგორც მესამე მხარე. ამის ნაცვლად, ფინეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, მარტტი აჰტისაარმა, ქ. ჰელსინკში შუამავლობის გზით გარიგება გააფორმა და მის განხორციელებას მონიტორინგს ევროკავშირის დამკვირვებლები უწევდნენ. 2004 წლის 26 დეკემბერს ცუნამის დიდმა კატასტროფამ, სუმარტაში თითქმის მეოთხედი მილიონი ადამიანის სიკვდილი გამოიწვია, რამაც ხელი შეუწყო ინტერნეტის გაღვივებას ახალი დასახლების მონცობაში. ჩეჩნეთში კონფლიქტისთვის 1996 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული, რომელიც 1999 წელს გაუქმდა, რუსეთმა უარი თქვა საერთაშორისო მონაწილეობაზე. სავარაუდოდ, რთული იყო საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ჩართულიყო პროცესში, როცა კონფლიქტში მონაწილე წამყვანი ხელისუფლება, წინააღმდეგობას უწევდა და როცა ეს უკანასკნელი კონფლიქტის მხარეს წარმოადგენდა.

როგორც ვხედავთ, პატარა და სუსტ სახელმწიფოებსაც ერჩივნათ საკუთარი ძალებით გამკლავებოდნენ პრობლემას მათ სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებთან დაკავშირებით და მათ შეეძლოთ წარმატების მიღწევა.

ამის საპირისპიროდ, იუგოსლავიის კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებული, 1994 და 1995 წლებში მიღწეული შეთანხმებები, ყველა უაღრესად ინტერნაციონალიზებული გახდა. იგივე შეიძლება ითქვას, 1999 წლის კოსოვოში ომზე, სადაც გაიმართა მნიშვნელოვანი მოლაპარაკებები ამ მოვლენებთან მიმართებაში, რომელიც 2008 წლის ცალმხრივი დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებამდე მივიდა. ევროკავშირი, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), გაერო, ნატო და მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, ღრმად იყო ჩართული გადაწყვეტილების ძიების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების მოგვარება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინტერნეტის საგანია, ეს ავტომატურად არ გამოიწვევს საერთაშორისო ჩართულობას საკითხების მონესრიგების პროცესში. ბალკანეთის კონფლიქტებში მთავრობები და ოპოზიცია მიმართავდნენ საერთაშორისო მხარდაჭერას, ამგვარად, მიღწეული იქნა კონფლიქტების ინტერნაციონალიზაცია. ამან გამოიწვია ერთი მხარის, იუგოსლავიის იზოლაცია სლობოდან მილოშვიჩის მმართველობის ქვეშ ეს დასრულდა 2000 წელს, მხოლოდ მისი გადადგომის შემდეგ. ჯერჯერობით არ არსებობს კოსოვოს დამოუკიდებლობაზე შეთანხმება სერბეთის მხარესთან, თუმცა დე ფაქტო ვითარება აღიარებულია. ეს შედეგები არ გულისხმობს, რომ არსებობს სახელმწიფო კონსენსუსი სახელმწიფო სუვერენიტეტისთვის ეროვნული თვითგამორკვევის მხარდასაჭერად, როგორც ეთნიკური უსაფრთხოების დილემის გადაჭრის გზა. საერთაშორისო აქტორებს არ სურდათ ამ პრინციპის დადასტურება კოსოვოს კონფლიქტის დარეგულირებისთვის. თუმცა, შეიძლება აღარ ყოფილიყო მტკიცე კონსენსუსი სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების მოგვარების გზებზე.

დეკოლონიზაციის პრინციპი შესაძლოა გამოეყენებულ იქნას სხვა შემთხვევებში. დემოკრატიული პრინციპი - ნიშნავს მიიღო ის, რასაც კონკრეტული ტერიტორიის მოსახლეობა უჭერს მხარს - რაც ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა. მაგრამ არსებობს წინააღმდეგობები. ბოსნია-ჰერცეგოვინა აღიარებულ იქნა სუვერენულ სახელმწიფოდ, თუმცა მისი წინამორბედის იუგოსლავიისგან, იგი არ იყო აღიარებული. აღმოსავლეთ ტიმორს, დასავლეთი საჰარას და სამხრეთ სუდანს, 2011 წელს მიენიჭათ უფლება კენჭი ეყარათ დამოუკიდებლობისთვის, თუმცა რატომ არ გამოიყენებოდა ეს კოსოვოსთან ან ჩეჩნეთთან მიმართებაში?

სექციაში 7.2, ჩვენ განვიხილავთ გადაწყვეტილებების მოძიების შესაძლებლობებს, იმ კონფლიქტების იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც პირდაპირ არ გულისხმობენ ტერიტორიულ საკითხს. სექციაში 7.3. ტერიტორიული დაყოფის სხვადასხვა ფორმებია წარმოდგენილი, კერძოდ, ავტონომია და ფედერალიზმი. სექციაში 7.4 განვიხილავთ შესაძლო გადაწყვეტილებებს საერთაშორისო ინტეგრაციასთან კავშირში, და სექცია 7.5 ასახავს სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებსა და დემოკრატიას.

7.2 დისკრიმინაციის იდენტიფიცირება და კონფლიქტების მოგვარება

ხშირად ვარაუდობენ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული შიდა სახელმწიფო კონფლიქტების დროს დისკრიმინაციის გამოცდილება არსებობს. ჯგუფებსა და ხალხებს, რომლებსაც მათი მხედულებით არ აქვთ უფლებები, რომლებსაც პატივს სცემენ სამთავრობო უწყებები, და უფლებები რომლებიც მათი მხედულებით უნდა გააჩნდეთ, წარმოშობს უკმაყოფილებას რაც გახდება შემდგომი მოქმედებების დაწყების მიზეზი.

ეთნიკური კონფლიქტის გაგების ეს გზა, წარმოდგენილია პუნქტში 3.3, სოციალური იმედგაცრუების მოდელის გამოყენებით. უფრო სრულ განმარტებას ეძღვნება მე-3 თავი, სადაც მოცემულია ყველა მოდელი. მაშინ შეიძლება არგუმენტის რეფორმულირება შემდეგნაირად. არსებობს ძირეული საჭიროებები, რომლებიც არ დაკმაყოფილებულა. არ არის აუცილებელი, რომ ეს იყოს მატერიალური, ის ასევე შეიძლება იყოს არამატერიალური ხასიათის, მაგალითად კულტურული. სინამდვილეში, ხშირად ამ ორს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. მაგალითად, თუ ადამიანს არ შეუძლია მიიღოს მისი საკუთარი ენა, რათა გამოხატოს კონკრეტული გულისტკივილი ოფიციალურ უწყებებთან მიმართებაში, ეს ადამიანი, მეტად სავარაუდოა, რომ ვერ მიიღებს მის კუთვნილ ასე, რომ ვთავაობ, სოციალური უზრუნველყოფას ან კომერციულგარიგებას. განმეორებითი მოვლენა ასეთი დიფერენცირებული მოპყრობის აიძულებს ზოგიერთებს იდენტობის ჯგუფში მოახდინონ ქმედებების მობილიზაცია. ამგვარად, ხელმძღვანელობა გამოჩნდება და ვარიანტები გამოითვლება რაციონალური მოძრაობის შედეგად. მოქმედებები დაიწყოს, კონფლიქტები იზრდება და რამდენიმე ხნის შემდეგ სახელმწიფო უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდება.

რა არის საჭიროებები რომლებიც იძლევა ასეთი დრამატული ესკალაციის ჩამოყალიბების შესაძლებლობას? ისინი თავიდანვე ამკარა არ არიან. მსოფლიოში დაახლოებით 6,700 ენაა. ბევრი მათგანი სწრაფად ქრება. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია ენების დაცვა და, შესაბამისად, ლინგვისტური ნაციონალიზმი ანალიზის საგნად იქცა.. ხალხის იდენტობა ზოგჯერ მჭიდროდ არის დაკავშირებული ენასთან. ლინგვისტური განსხვავებები შეიძლება იყოს პატარა, ისევე როგორც ეს ხორვატიის, სერბეთისა და ბოსნიის შემთხვევაში გვხვდება, მაგრამ ისინი შეიძლება საკმარისი იყოს იდენტობის პროფილზე მნიშვნელოვანი ელემენტის განსათავსებლად. თუმცა, თავიდანვე ნათელი უნდა იყოს, რომ ენა არ არის ტიპური ფაქტორი, რომელიც ერთ სახელმწიფოს მეორისგან განსხვავებს.

არსებობს ბევრი ქვეყანა, რომლებიც ერთსა და იმავე ენაზე საუბრობენ, თუმცა სხვაგვარად გამოთქვამენ. ინგლისური ენა - ოფიციალური ენაა ბევრ სახელმწიფოში, ისევე როგორც ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუსული, არაბული და ჩინური. ბევრი ენა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, რაც სალაპარაკო იდიომების საზღვრებს მიღმა გაგების საშუალებას გვაძლევს. ეს არის - სკანდინავიის ქვეყნებთან დაკავშირებული შემთხვევა და ინდოეთისა და პაკისტანის მაგალითი (ჰინდი/ურდუ). გარდა ამისა, არიან სახელმწიფოები,

რომლებიც კარგად ართმევენ თავს 2 (ფინეთი), 4 (შვეიცარია) ან 20-ზე მეტი (ინდოეთი) ოფიციალური ენის არსებობას. ახლო ურთიერთობა სახელმწიფოსა და ენას შორის, ასეთი ფორმით, არც თუ ისე მყარია, როგორც შეიძლება თავიდან ჩანდეს. თუმცა, ნაციონალიზმი ხშირად უხმობს ისტორიას და ენას, კონფლიქტების ფორმირებასა და სახელმწიფოს ძიებისაკენ, რომლის წარმოშობაც სავარაუდოდ უფრო კომლექსურია. საზოგადოებას ნათლად შეუძლია ნახოს სარგებელი მნიშვნელოვანი ენობრივი მრავალფეროვნებიდან და სხვა სახელმწიფოებთან ერთად, ერთი და იგივე ენის გამოყენებით.

არსებობს სხვა იდენტობის მატარებლები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ძალადობრივი დისკრიმინაცია. მათ შორისაა განათლების ხელმისაწვდომობა, თაყვანისცემის უფლება, დისკრიმინაცია რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, სამართლებრივი დისკრიმინაციის, ეკონომიკური დისკრიმინაციის, პოლიციის ან შეიარაღებული ძალების მიერ, რომლებმაც გავლენა აქვთ სხვა ჯგუფებს, საჯარო ადმინისტრაციის ხელმისაწვდომობის არარსებობა, პოლიტიკური წარმომადგენლობის არარსებობა და ადამიანის უფლებათა დაცვა, 1966 წლიდან წარმოადგენენ კონფლიქტის ესკალაციის პოტენციურ ელემენტებს. სავარაუდოდ, არცერთ მათგანს დამოუკიდებლად, არ შეუძლია მოგვცეს სრული განმარტება.

ამ შემთხვევაში შესაძლებელია, ჯგუფები მიკერძოებული იყვნენ სხვადასხვა მიზეზების გამო, რომლებიც ხშირად საკმარის საფუძველს პოულობდნენ კონკრეტული მოძრაობის მხარდასაჭერად, იმის და მიუხედავად, ეს მოძრაობა ხელისუფლებაში იყო, თუ ოპოზიციაში. სავარაუდოდ, ნებისმიერი საზოგადოება, ადრეულ რეაგირებას ახდენს და შესაბამისი ზომების მიღება სურს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის აუცილებელი ესკალაცია სტიმულირებდებოდეს იმ მოძრაობებით, რომლებიც ანტიდისკრიმინაციული მოთხოვნების დაცვას ითხოვენ, არამედ ამ მოთხოვნებისადმი მთავრობის რეაქციებით. თუ რეაქციები პროგნოზირებული მიმართულებით წარიმართება, ეს არის რეპრესიული, უარყოფითი ან შეუწყნარებელი, სავარაუდოა, რომ ოპოზიციის მოძრაობა ძალას იკრებს. თუ ეს დამოკიდებულება, უფრო მეტად არის ძალადობრივი რეპრესიების, სამართლებრივი დევნისა და სპეციალური სანქციების გამოყენების საშუალება, სავარაუდოა, ესკალაციის შანსი გაიზრდება. ამდენად, ყველაზე ადრეული გაფრთხილების ინდიკატორი იქნებოდა მთავრობის რეაგირება იდენტიფიცირებული მოთხოვნების შესაბამისად.

მთავრობებისთვის ბევრი შესაძლებლობა არსებობს და მხოლოდ გარკვეული შედეგია კონფლიქტის ესკალაცია. განთავსებისათვის ადრეული ქმედება იქნებოდა უდიდესი შანსი, რომ ასეთი მოთხოვნები კონსტრუქციულ სოციალურ განვითარებაში გადაეტანა. საპასუხოდ, მთავრობამ უნდა განიხილოს ბევრი ჯგუფის მოთხოვნა, რადგან მწირი რესურსების მქონე საზოგადოებაში, ამ დილემის რეგულირება უფრო რთული იქნება, ცხრილი 7.2 წარმოგიდგინებთ გარკვეულ გზებს, რომლის ფარგლებშიც ასეთი მოთხოვნებიც განიხილება საზოგადოების საპასუხოდ. ეს გადანყვეტილებები მიიღწევა კონფლიქტის მოგვარების შვიდი გზის დახმარებით სექციაში 3.5. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კომპრომისების მოძიებასა და დისკრიმინაციის შედეგად წარმოქმნილ კონკურენტუნარიან მოთხოვნებს შორის. ერთ ჯგუფისათვის დისკრიმინაციის აღმოფხვრამ შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა ჯგუფების უფლებებზე; უბრალოდ, შეცვალოს ერთი ჯგუფის უფლებები სხვათა უფლებებით, ეს გამოსავალი არ არის. ეს ხელს უწყობს დისკრიმინაციის სამუდამო განმტკიცებას. ამგვარად, ზომები უნდა აღემატებოდეს დისკრიმინაციას, იმ მეთოდებით, სადაც წინააღმდეგობების შეთანხმება, როგორც შეინიშნება გამოხატავს ყველა ჯგუფის ინტერესს, და აგრეთვე სახელმწიფოს ზოგად ინტერესებს. სამართლებრივი პრინციპები

უნდა მოიძებნოს. უნდა არსებობდეს ვალდებულება გადასინჯოს შანსი, გარკვეული პერიოდის შემდეგ. მნიშვნელოვანია გადანყვეტილებების მიღების პროცედურები. იძულების წესით გონივრული გადანყვეტილების აღსრულებაც კი არ არის მისაღები რაიმეს დაკისრება შესაძლოა, თავად ჩაითვალოს დარღვევად

ცხრილში 7.2 მიღებული გადანყვეტილებების პრაქტიკული გამოყენება მთელს მსოფლიოში შეიძლება მოიძებნოს. ისინი ცდილობენ რთული კონფლიქტების მოგვარებას. საკითხების გადაჭრა შესაძლებელია იმ გზებით, რომლებიც დამაკმაყოფილებელია მონაწილე მხარეებისთვის. საერთო ჯამში, არსებობს ორი ძირითადი სტრატეგია. ერთი არის ინკლუზიური და ინტეგრაციული, რომელიც ცდილობს ყველა ჯგუფის მუშაობა ერთიანი სისტემის ფარგლებში მოაქციოს. იგი განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს ისე, რომ ყველა ინტერესი დაკმაყოფილდეს, მიდგომა გულისხმობს ყველა მხარის ჩართვას და პოულობს პრაქტიკულ პროგრამას, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში მოქმედებს. კიდევ ერთი მიდგომა უფრო ექსკლუზიური და დეცენტრალიზებულია. საჭიროა კონკრეტული ჯგუფებისთვის გადადგმული ნაბიჯები. საერთო სტრუქტურა იგივე რჩება, მაგრამ ცალკეული პირობები განიხილება სხვებთან შედარებით განსხვავებულად, პოზიტიურ ჭრილში, რათა თავიდან აიცილონ წარსული წყენა და სამომავლოდ შექმნან თანაბარი პლატფორმა.

ცხრილი 7.2

გადაწყვეტილებები არა-ტერიტორიულ, იდენტობაზე ორიენტირებულ კონფლიქტებზე

შეუსაბამობა	გადაწყვეტილებები
ენის ხელმისაწვდომობა	რამდენიმე ოფიციალური და ადმინისტრაციული ენა იზიარებენ “უმაღლეს ენას” (superlanguage), ლინგვა ფრანკას (lingua franca)
საგანმანათლებლო სისტემის ხელმისაწვდომობა	თანაბარი ხარისხის რეკვიზიტების რამდენიმე პარალელური სისტემა ერთიანი სისტემისათვის
რელიგიისა და მორალის საკითხებისადმი მიმართვა	რელიგიის თავისუფლება
სამართლებრივი სისტემა	საერთო სამართლებრივი სისტემა, გარკვეული შეღავათებით; ცალკეული სისტემის განუყოფელი ჯგუფები;
ეკონომიკური ინტერესი	დადებითი ქმედება დროის განსაზღვრულ პირობებში. დასახული რესურსები რეგიონების ან სექტორისთვის;
ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა (მინა, წყალი, მინისქვეშა)	ეროვნული კანონმდებლობა განსაზღვრული პირობებით ბუნებრივი რესურსების ადგილობრივი ადმინისტრაცია
მოსახლეობის მოძრაობები (მიგრაციის ლტოლვილები)	დაცვა ძირძველი მოსახლეობის დაბრუნების უფლება დოკუმენტაციის მნიშვნელობა;
პოლიციის, შეიარაღებული ძალების ხელმისაწვდომობა	დასაქმების კვოტა ერთიანი სისტემისათვის მიღების მაღალი მოთხოვნები ტრენინგი ადამიანის უფლებათა სფეროში გამჭვირვალე პროცედურები საკითხების გადასაწყვეტად საეჭვო ძალების დაშლა
ადმინისტრაციის ხელმისაწვდომობა	ერთიანი სისტემების გადანაწილების კვოტა მაღალი მისაღები მოთხოვნები
განხორციელების ზედამხედველობა	დამოუკიდებელი ომბუდსმენი საერთაშორისო მიმოხილვა
პოლიტიკური წარმომადგენლობა	უმცირესობათა უფლებები, მინიმალური წარმომადგენლობა საარჩევნო სისტემა თანაბარი ხელმისაწვდომობით
კონსტიტუცია	ადამიანის და უმცირესობათა უფლებები გარანტია სწრაფი კონსტიტუციური ცვლილების წინააღმდეგ
ადამიანის უფლებები	ადამიანის უფლებები ყველასათვის, დადებითი ქმედებისთვის
საერთაშორისო გამჭვირვალობა	განხორციელების მიმოხილვა საერთაშორისო დაშვება მიღებულია

თითოეული ამ სტრატეგიის შეფასება შეიძლება საზოგადოებაზე მისი მოკლევადიანი და გრძელვადიანი ზემოქმედების თვალსაზრისით

გადაწყვეტილებები, როგორც წესი, არ იყო დადგენილი, როგორც პრევენციული ღონისძიებები, რათა თავიდან იქნას აცილებული მომავალი კონფლიქტი. უფრო მეტიც, ისინი მნიშვნელოვანი აზროვნებისა და ბრძოლის შედეგია, განსაკუთრებით იმ ჯგუფების მიერ, რომლებსაც აქვთ ძლიერი უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მუშაობს საზოგადოება დროის კონკრეტულ მომენტში. დისკრიმინაციის პრობლემებმა მნიშვნელოვნად გაზარდა შიდა კონფლიქტები მსოფლიოს მასშტაბით. ბევრი კონფლიქტი არ ყოფილა შეიარაღებული და არ ჰქონია გავლენა მთავრობის პოლიტიკაზე, სამოქალაქო ომების გარეშე. ფორმირებული მოდელი იყო გამოცდილება სამოქალაქო უფლებების მოძრაობისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში 1960 წლებში. აფრო-ამერიკული მოსახლეობის მოთხოვნებმა შეცვალა პოლიტიკა ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე. მან ასევე შეცვალა რეალობა მოსახლეობის ყველა სეგმენტისთვის.

იგი დიდწილად არაძალადობრივი გზით განხორციელდა. ნობელის მშვიდობის პრემია გადაეცა გამოჩენილ ლიდერს მარტინ ლუთერ კინგ, უმცროსს. ამ მოძრაობის შემოქმედებითობამ არაძალადობრივი მეთოდებისადმი ინტერესი გამოიწვია. ასეთი მეთოდების სისტემატიზაციამ გამოცდილება სხვა კონტექსტში სასარგებლო გახადა, სხვა ბრძოლებისთვის ახალი აზროვნების დანერგვით (შარპი 1973).

თუმცა, ძალადობა ასევე იყო სურათის შენადგენელი ნაწილი. ზოგჯერ ეს იყო სპონტანური და ცუდად ორგანიზებული, მაგრამ მაინც უაღრესად დესტრუქციული, მაგალითად არეულობაში რასაც მოჰყვა 1968 წელს დოქტორ კინგის მკვლელობა. სხვა დროს ეს უფრო მიზანმიმართული იყო და განიხილებოდა, როგორც თავდაცვის საშუალება, როგორც ამას ქომავობდა პარტია - შავი პანთეტრა. შდევად მივიღეთ შეიარაღებული დაპირისპირება პოლიციასთან და თვით დაჯგუფების წევრებს შორისაც. ეს განიხილებოდა, როგორც აუცილებელი, რევოლუციური, საზოგადოების შესაცვლელი გზა. ამან გაზარდა ბენოლა მთავრობის მიმართ და სამოქალაქო ომში გადაზრდის საფრთხე გააჩინა სერიოზულ დისკრიმინაციას, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეიძლება გამოეწვია კონფლიქტის ტიპები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ მე-6 თავში. აშშ-ს შემთხვევაში, ის იშვიათად ითარგმნებოდა, როგორც შემადგენლობიდან გამოსვლის მოთხოვნა. ღირს გავაგრძელოთ მისი შემდგომი მოკვლევა.

კონფლიქტი ორ მხარეს შორის იჩენს თავს ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებაში დისკრიმინაცია გავლენას ახდენს უმეტეს ჯგუფებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ზოგიერთი ჯგუფი დაფასებული და სხვები დისკრიმინირებული. ამრიგად, დისკრიმინაციულ პრაქტიკაში არსებობს ინტერესები, რაც საშუალებას იძლევა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ასეთი პოლიტიკის შესანარჩუნებლად. რეჟიმებს, რომლებსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურთ, შეიძლება გამოიყენონ ეთნიკური განსხვავებები საკუთარი უპირატესობისთვის, როგორც ამას მონმობს, მილოშევიჩის ბატონობა იუგოსლავიაში (1987-2000). ასეთი რეჟიმები შეიძლება იყოს რეპრესიული და მანიპულაციასთან დაკავშირებული, იმისათვის, რომ წამყვანმა ჯგუფებმა შეინარჩუნონ უპირატესობები. ისინი შეიძლება იყონ დაუნდობელი წინააღმდეგობის შეხვედრისას. მათ შეუძლიათ ერთმანეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ჯგუფების თამაში. ზოგიერთი შეიძლება მიიწვიონ ხელისუფლებაში, სხვები შეიძლება სასტიკად შევიწროვდნენ. ამდენად, ოპოზიცია იქნება დასუსტებული და დანაწევრებული. ძნელია ოპოზიციის ორგანიზება ასეთ ვითარებაში. ის მოითხოვს სტრატეგიებს, რომლებიც

ფოკუსირებულია კონკრეტულ საკითხებზე და შესაძლებლობებზე, რათა ენერგიით და შემოქმედებითად განახორციელონ ისინი. მხოლოდ ამის შემდეგ სავარაუდოა, რომ მთავრობები დაინტერესდებიან გადანყვეტილებებით. ზოგჯერ ისინი ატარებენ ნამდვილ რეფორმებს, ბევრ შემთხვევაში კი რჩებიან ვიტრინის აღჭურვისათვის. დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნის მისაღწევად საჭიროა იმის გაგება, თუ როგორ გამოიხატება ძალაუფლება საზოგადოებაში და ახდენს თუ არა ეს სტრუქტურა გავლენას ისეთ ღონისძიებებზე, როგორებიცაა ჩამოთვლილი ცხრილში 7.3. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკრიმინაციის დამთავრება არ არის მხოლოდ სწორი ინსტრუმენტების ფლობა, არამედ მათი მართებული გზით გამოყენების საკითხია.

საკითხები შეიძლება სხვაგვარად განვითარდეს, თუ არსებობს მნიშვნელოვანი, კონკრეტული ჯგუფის რეგიონალური კონცენტრაცია. მას შეუძლია უზრუნველყოს დისკრიმინაციის უფრო მკაფიო გამოცდილება. ეს წინააღმდეგობას უფრო გააადვილებს. ამას შეუძლია გამოიწვიოს მეტი რეპრესია, იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი ხელისუფლება ამ პოტენციალის რეალიზებას მოახდენს. გარდა ამისა, ამ ტერიტორიის ბედი უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ამ ტერიტორიის გარეთ იმყოფება. დისკრიმინაციული ჯგუფების რეგიონულ დონეზე კონცენტრაციამ შეიძლება გამოიწვიოს ესკალაცია. თუ მოცემულ რეგიონში სხვა ჯგუფების წევრებიც არიან, რომლებიც რეალურად სარგებელს იღებენ პოლიტიკით, დამატებითი ელემენტიც თან ერთვის. კოსოვოს კონფლიქტი ამის მაგალითს წარმოადგენს.

მშვიდობიანი დანაწევრება შეიძლება უფრო ადვილად მიიღწეოდეს, თუ ეს კეთდება რეგიონალური თანამშრომლობის მოლოდინში, სადაც ცენტრს აქვს თავისი როლის შეუქცევადი გაგება და სადაც ახალი საზღვრების მართვა შესაძლებელია ისე, რომ ახალი უმცირესობებისთვის, საზღვრის ორივე მხარეს, საკმარისი უსაფრთხოება აქვთ უზრუნველყოფილი. ეს პირობები არ იყო ადვილი შესაგუებელი, თუმცა იმ დროისათვის ისინი რიგ მნიშვნელოვან შემთხვევებს წარმოადგენდნენ. ზოგადად, შეუძლებელია შეუზღუდავი საზღვრების დახაზვა, რომელიც ყველა ადამიანის ჰუმანური თვისებებით დაყოფას შეძლებს. ურთიერთკავშირები ხალხებს შორის ბევრია და მჭიდრო, განსაკუთრებით მაშინ როცა ისინი ცხოვრობენ ინტერაქტიულ რეჟიმში, როგორც ეთნიკური უსაფრთხოების დილემის იდეით. გარდა ამისა, შემოსავლის წყაროს, სავარაუდოდ, ასეთი ნიმუშების შექმნა შეუძლია. გარკვეულწილად თავისუფალ ეკონომიკაში, ხალხის ყველა ფონზე გადალახვს ეკონომიკური ზრდასა და შესაძლებლობებს. უფრო მეტიც, ზოგიერთმა შეიძლება იკითხოს, როგორ შეიძლება ასეთი დაყოფა გადაწყდეს დემოკრატიული გზით. არის უმრავლესობის გადაწყვეტილება

საკმარისი ან უმცირესობს აქვთ ვეტოს უფლება? როგორ შეიძლება რეფერენდუმი ჩატარდეს ზენოლის გარეშე, განსაკუთრებით თუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტს ეხება? ყოფილი ბრიტანეთის, ინდოეთისა და პალესტინის შეთანხმებული დანაყოფების გამოცდილების შესწავლა არ შეიძლება თავიდან იქნას აცილებული. არსებობდა დებატები ამ გაკვეთილების შესახებ (ბელ-პიაკოფი 1996, შაეფერი 1990). სასაზღვრო დაყოფის პრობლემა ის არის, რომ ხალხი მუდმივად გადაადგილდება და, შესაბამისად, ყველა მათი ინვესტიცია, მოგონებები და ფესვები დაზარალებულია. ეს არ არის სავარაუდოდ რაღაც, რაც ხალხს ენთუზიაზმით ეკიდება. გარდა ამისა, ბრალი, სხვა ჯგუფის წინააღმდეგ იქნება მიმართული და, ამრიგად, ომიდან გამომდინარე სიძულვილი შეიძლება უფრო ღრმა გახდეს. არსებობს ორი სახელმწიფო გადაწყვეტილება, რომელიც გადაწყდა ლეგიტიმური გზით. ერთი იყო პასუხისმგებელი ლიდერები ინდოეთის საკითხთან დაკავშირებით და მეორე კი გაეროს გენერალური ასამბლეის საკითხი, პალესტინის შემთხვევაში. ორივე გადაწყვეტილი იყო 60 წლის წინ. ორივემ გამოიწვია ომი. შედეგები ჯერ კიდევ გადასალახია.

ინდოეთისა და პაკისტანის ურთიერთობამ ბირთვული იარაღის რაუნდს მიაღწია. ასევე, როგორც ცნობილია, ისრაელს, აქვს ბირთვული იარაღი. საკითხი, თუ როგორ უნდა დაიცვან პალესტინელების უფლებები, გადაუჭრელი რჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის ის გამოცდილება, როცა შიდა ეთნიკური უსაფრთხოების დილემის გადაწყვეტამ რეალურად გამოიწვია მე-5 თავში განხილული უსაფრთხოების ტიპის დილემები. ერთი გადაწყვეტილება მიღებულია ახალი პრობლემის ფასად.

გვიანი ლტოლვილები სავარაუდოდ, ნებისმიერი სახელმწიფო დაყოფის მთავარი საკითხია. ცივი ომის შემდეგ ზოგიერთმა დასახლებამ ნებართვის ლტოლვილებს დაბრუნების უფლება მისცა, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ეს პერსპექტივა დაუცველი იყო. დეიტონის შეთანხმებები ლტოლვილების დაბრუნებას ითვალისწინებდა და ბევრმა ეს ასეც გააკეთა. ამ შემთხვევაში, ერთადერთი საფრთხის შემცველი შემოსავლის მოძიება იყო. ეკონომიკა არ ვითარდებოდა, ძნელია დაბრუნება და, აქედან გამომდინარე, უსაფრთხოება, რომელიც მრავალ ეთნიკურმა გარემომ უნდა უზრუნველყოფს.

ჩვენ ვხედავთ, რომ დამოუკიდებლობა, ერთხელ მიღწეული და აღიარებული, უზრუნველყოფს კონკრეტული კონფლიქტისათვის, სტაბილურობის ღონისძიების გატარებას. ზოგიერთ შემთხვევაში ასევე არსებობს ეკონომიკური ზრდის გამოცდილებაც. მაგრამ რეგიონში სიტუაციის მკვეთრად შეცვლის იმედი არ არის წარმოქმნილი. რეგიონული თანამშრომლობა უფრო რთულია და დამოუკიდებლობისთვის მოსალოდნელზე მეტ ხარჯებს მოითხოვს. ახალი სახელმწიფო რჩება ეპოქაში, სადაც მისი ძველი მტრებიც არიან. შესაძლებელია მიყვებით ახალ კონფლიქტებს, როგორც ამას აფრიკის რქის შემთხვევაში ვხედავთ. დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის მამოძრავებელ ძალას შეუძლია მიაღწიოს ურთიერთობების შეცვლას. მივიღებთ თუ არა შედეგად ნაკლებ კონფლიქტებსა და უფრო ტოლერანტულ საზოგადოებას ან რეგიონს კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება. ანგარიში ზოგიერთ შემთხვევაში დადებითია, სხვა შემთხვევაში კი უარყოფითი. მნიშვნელოვანია დაიცვან ალტერნატიული მიდგომების განვითარება, სადაც მოიძებნება კომბინაციები და მათი მოგვარებადაყენება შეიარაღებული კონფლიქტის გარეშე.

7.5. სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტები და დემოკრატია

სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების გადაჭრის გზები, რომლებიც განვიხილეთ სექცი-ებში 7.3 და 7.4 მუხლებში, რომელიც ეხება დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ტერიტორიული

დაყოფის საკითხებს, მიუხედავად იმისა, მათი კონფლიქტი ეხება დეკოლონიზაციას თუ ეთნიკურად დაფუძნებულ იდენტობას. ეთნიკური უსაფრთხოების დილემის გადაწყვეტილებები ცალკეულ ერთეულებს ქმნიან, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა ჯგუფების დაცვას. ეს შეესაბამება თვითგამორკვევის საკითხებზე მეტად დაფიქრებას. თუმცა, სავარაუდოდ ეს არის მხოლოდ იდენტობაზე დაფუძნებული კონფლიქტები. უმეტესობა, ალბათ თანაბარი სიფრთხილით უნდა იყოს დაცული, ან კიდევ უმჯობესია, არსებული დანაყოფების მეშვეობით. სექცია 7.2 და ცხრილი 7.2 ზოგიერთ ასეთ შესაძლებლობას გვთავაზობს. ეს მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებს ეხება, რომ ეთნიკური უსაფრთხოების დილემა სრულად უნდა გადაიჭრას და მეტი რადიკალური გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, როგორცაა ახალი ერთეულების შექმნა.

ტერიტორიული გადაწყვეტილებები გულისხმობს ხალხებს შორის უფრო რბილი ან უფრო მტკიცე ხაზების შექმნას, რათა თითოეული მხარის უსაფრთხოება შეიქმნას. კონკრეტული ეთნიკური ჯგუფი შეიძლება უფრო უსაფრთხო იყოს, ახალი საზღვრის დაცვის პირობებში. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი აღმოჩნდება არასწორ მხარეს, ახალი სახელმწიფო სტრუქტურების თვალსაზრისით. ამდენად, არსებობს უსაფრთხოების დამატებითი საზრუნავები და არ არის აუცილებელი მათი საზღვრების ფარგლებში გადაჭრა. დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია ამგვარი ჯგუფების მდგომარეობის გააუმჯობესებს. უფრო სუსტი საზღვრები უფრო უსაფრთხო იქნება ახალი უმცირესობებისათვის. ამავდროულად, ახალი დომინანტური ჯგუფის უსაფრთხოების მოთხოვნები უპირატესობას ანიჭებდა შეუღწევად, მტკიცე საზღვრებს. ზოგიერთი დაძაბულობა შეიძლება გამოსწორდეს უმცირესობათა უფლებებისათვის სანდო ღონისძიებების გატარებით, მაგალითად, როგორცაა დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება. ცხრილში 7.2 განხორციელებული ღონისძიებები შესაბამისობაში იქნება. რაც შეეხება ძლიერ საზღვრებს, ეს უფრო რთული იქნება ლტოლვილთა დაბრუნებისთვის. ეს საკითხი, როგორც ჩანს, უფრო რთულია სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების შემთხვევაში, ვიდრე სამოქალაქო ომებში. სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში ლტოლვილების უფლებების აღდგენა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური შანსების დაბრუნებისათვის. მაგალითად, მათი მიწა და სახლები შეიძლება გადასცემოდა, როგორც წინასწარ განსაზღვრული სამთავრობო პოლიტიკის ნაწილი, მათი იძულების მიზნით. დაბრუნების უფლება შესაძლოა ახალი ხელისუფლების მიერ არ იქნას მიიღებული. ეს რისკები მუდმივი პრობლემა იყო ლტოლვილი მოსახლეობისათვის. კონფლიქტის მოგვარებას ამით ხელი შეეშალა დილემები ქმნის საჭიროებას დაისვას საკითხი, არსებობს თუ არა სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში სხვა გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ჩვენ მაშინ შევხედავთ ინტეგრაციულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც საზოგადოებაში განსხვავებულ ჯგუფებს თანაბარ უფლებებს ანიჭებენ. დემოკრატიისთვის ეს ახალ შესაძლებლობებს ქმნის. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კონფლიქტური სიტუაციები მხოლოდ შეიარაღებულ აქტორებს არ გულისხმობს, რომლებიც ხშირად საბოლოო შეთანხმების მხარეებს წარმოადგენენ, თუმცა გარემოცული არის შეუიარაღებელი აქტორებისგან შემდგარი საზოგადოებით. ზოგიერთი გზა მიჰყვება იგივე მიზნებს, რასაც შეიარაღებული აქტორები იზიარებენ, სხვებს შესაძლებელია განსხვავებული შეხედულებები ამოძრავებდეთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი საზოგადოების ნაწილია და საჭიროა მათი როლის მხედველობაში მიღება.

პირველ რიგში, არსებობს მთავრობის დაყოფის შესაძლებლობა, თუნდაც უმცირესობებზე გავლენის მოხდენით. ყურადსაღებია ფინეთის მაგალითი. ალანდის კუნძულები აღნიშნულია, როგორც ავტონომიური მონცობის ფუნქციონირების მაგალითი. ეს კუნძულები, ძირითადად

შვედურ ენაზე მოსაუბრე მაცხოვრობლებით იყო დასახლებული. 1921 წელს ერთა ლიგის მეშვეობით მიღწეულმა შეთანხმებამ და 1950 წელს გაერომ დაადასტურეს, რომ ეს ავტონომია შეიქმნა, ამ კუნძულებზე შვედური ენისა და კულტურის შენარჩუნების მიზნით. ამგვარად, ამ კუნძულებზე შვედეთსა და ფინეთს შორის, სუვერენიტეტის შესახებ დავა მოგვარდა. თუმცა, ფინეთში ალანდერები წარმომადგენენ შვედურ-ენაზე მოსაუბრე მხოლოდ ერთ ფრაქციას. მათი უპირატესობა ცალკეული ერთეულისთვის არ იყო გაზიარებული სხვების მიერ. ეს არის ის შემთხვევა, სადაც სიუჟეტი ხდება საინტერესო. მოდით მივყვით მას.

შვედეთის სხვა წარმომადგენლები არ იყვნენ დაინტერესებული ავტონომიის შეთანხმებებით, ან სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი, რადგან ამას შეეძლო საზოგადოებაში მათი გავლენა მთლიანად შეემცირებინა. მათ გადაწყვიტეს საკითხი ფინეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში სრული მონაწილეობის გადაწყვეტით. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, რომ შვედური ენა აღიარებული და პატივცემული იქნებოდა, როგორც ეროვნულ ენა. პოლიტიკური პარტია, რომელიც შვედეთისა და ლიბერალური ინტერესების გათვალისწინებით შეიქმნა, და შვედურენოვანი პოლიტიკოსები სხვა პოლიტიკურ პარტიებშიც წარმოიშვა.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანი შვედურენოვანი მოსახლეობის ჯგუფი 5 პროცენტზე მეტს არ შეადგენდა, მოახერხა მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა ეროვნულ პოლიტიკაზე. ამავდროულად, მას შეუძლია იმოქმედოს შვედეთის კონკრეტული ინტერესების დასაცავად, რაც, ძირითადად, კულტურისა და ენის საკითხს შეეხება.

ეს გამოცდილება დასაშვებს ხდის იდენტობაზე დაფუძნებულ კონფლუქტებთან ქმედების ინტერგაციულ გზას. ეს უმცირესობისთვის მოთხოვნილი სტრატეგიაა, თუმცა ის ხდის შემოქმედებითი წვლილის შემტანს მთლიანად საზოგადოებას.. ეს იმას ნიშნავს, რომ უმცირესობა, პირველ რიგში, თავს უმცირესობად არ განიხილავს, არამედ მთელი ქვეყნის საქმეებში ლეგიტიმურ მონაწილედ. ეს თავისთავად საფრთხეს უქმნის ჯგუფს, რომელიც მხოლოდ საკუთარ საქმეებით არის დაკავებული. იგი თავს არიდებს პოტენციურ საფრთხეს ანუ იზოლაციას ავტონომიურ გადაწყვეტილებებში, სახელმწიფოს ძირითადი დინებებიდან, გეტოს მსგავსი პირობებისა და მარგინალიზაციის გათვალისწინებით. ეს არის ინტეგრაციული სტრატეგიის არსი. ეს გამოცდილება გვთავაზობს საინტერესო ვარიანტებს, სადაც შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაციები. ეს შეიძლება იყოს, ინტეგრაციული გადაწყვეტა, რომელიც ავტონომიების ერთდროულად არსებობისგან იძენს ძალას, რაც თავის მხრივ, სარგებლიანს ხდის უმცირესობის მონაწილეობას ეროვნულ საქმეებში.

შესაძლებელია, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ღიაა მხოლოდ სტაბილური დემოკრატიული საზოგადოებისთვის. ეს, რა თქმა უნდა, ქმნის, მნიშვნელოვან წინაპირობას, რომ უმცირესობის უფლებები მიიღება საზოგადოებაში, როგორც სოციალურად, ისე იურიდიულად. ზოგიერთი დემოკრატიული თუ ღია საზოგადოება ამ მიზეზით პრობლემებს აწყდება. არსებობს უმცირესობათა მაგალითები, არჩეულ წარმომადგენელთან ერთად, რომლებიც უმცირესობის ინტერესების გატარებისას ძლიერ წინააღმდეგობის ეჭახებიან. მაგალითად, ეს თურქეთში, ქურთული წარმოშობის საპარლამენტო წარმომადგენლებისთვის განმეორებითი გამოცდილება იყო. მსგავსი პრობლემები ისრაელის სახელმწიფოშიც არსებობს, სადაც ისრაელის არაბი ამომრჩეველი, როგორც ჩანს, სპეციალური არაბული ბილეთებით აძლევს ხმას და მიუხედავად იმისა, რომ ეკავათ ადგილები ქნესეთში, ჯერ კიდევ არ ჩანდნენ ზოგადად ისრაელის საზოგადოებაში, როგორც მმართველი უმრავლესობიდან ლეგიტიმურად მხარდაჭერილი ნაწილი.

მსგავსი ისტორიას ვხვდებით თამილების პოლიტიკური წარმომადგენლობის გამოცდილებით, შრი ლანკას პარლამენტში. “თამილების ვეფხვების” პარტია იყო წამყვანი ოპოზიციური პარტია 1977 წელს და მთავრობის თავდაპირველი ღონისძიებების ინიციატორი, მაგალითად, თამილების ენის სტატუსის გაუმჯობესების ჩათვლით. თუმცა, მთავრობა კიდევ უფრო შემფოთებული იყო სინჰალეზებს (**Sinhalese**) უმრავლესობის თემისადმი და მოლაპარაკებები პრობლემის გადაწყვეტაზე სულ უფრო სტერილური გახდა. 1983 წელს კოლუმბიაში ანტი-თალიმების ამბოხების შემდეგ მთავრობამ გაატარა ცვლილებები, რომელიც აიძულებდა საპარლამენტო დაწესებულებებს რომ მიეღოთ ფიცი, ერთიანი კონსტიტუციის დაცვის შესახებ. თამილების წევრებმა თანამდებობები დატოვეს. გადაწყვეტილების მისაღებად გამართული მოლაპარაკებები, რომლებიც წინ უსწრებდა ამ ღონისძიებებს, განიხილვდა ხელისუფლების გადაცემის შესაძლებლობა (ვრიგინსი 1995).

ჩვენ ასევე შევხვით კვიპროსის გამოცდილებას, სადაც ასევე დემოკრატიული ჩარჩოების ფარგლებში მოღვაწე საზოგადოება არსებობდა. ამდენად, როგორც ეს გამოცდილებიდან ჩანს, უმრავლესობის ლიდერებმა მათი დემოკრატიული მანდატების მიუხედავად, იმ დროისათვის აირჩიეს უმცირესობის წარმომადგენელთა მარგინალიზაციის გზა. ეს არ არის დემოკრატიული პროცედურების კონსოლიდაცია დაზარალებულ ჯგუფებში.

ეს მაგალითები ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც არსებობს აბსოლუტური უმრავლესობა და მას ხშირად შეუძლია მმართვეა უმცირესობის მხარდაჭერის გარეშე. ფინეთში შვედეთის პარტია პოზიციურად პოლიტიკური სპექტრის შუაში იყო მოქცეული. ეს იყო პარტია კოალიციით მემარცხენე, ცენტრალურ და მემარჯვენე ძალებთან. მათი ხმები სამთავრობო უმრავლესობისთვის მნიშვნელოვანი იყო. ეს იყო შრი-ლანკის პარლამენტში თამილების მიერ ადრეულ ეტაპზე შესრულებული როლი. ზოგიერთ სხვა დემოკრატიულ საზოგადოებაში ამგვარ ღონისძიებებს ძირს უთხრიდნენ. ჩრდილოეთ ირლანდიაში კათოლიკე უმცირესობა, ადგილობრივი პოლიტიკური გავლენისგან, გარიყულ იქნა, დე-ფაქტო ერთპარტიული სისტემის მეშვეობით. კვიპროსში, ძალაუფლების გაზიარების ღონისძიებების გატარება, არ იყო დაშვებული გამოცდილების გათვალისწინებით. დემოკრატიული სისტემის დილემა ისაა, რომ დემოკრატიულმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა შეძლონ ჯგუფების ინტეგრირება ან მარგინალიზაცია. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევებში, ისეთი პოლიტიკა იყო გატარებული, რომ უმცირესობა ინარჩუნებდა გავლენას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს კეთდება კონსტიტუციური წესების დარღვევის გარეშე. გრძელვადიანი შედეგები შეიძლება უარყოფითი იყოს დემოკრატიული სისტემისთვის და სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობისთვის, როგორც ჩანს ეს კვიპროსში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, შრი ლანკასა და თურქეთში. საზოგადოებები სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტებში აღმოჩნდნენ, და დიდი სირთულეები ჰქონდათ.

სხვა შემთხვევებში, სადაც უმრავლესობა-უმცირესობათა ურთიერთობა ნაკლებად თვალსაჩინოა, არასტაბილური, დაფუძნებული კოალიციების მიერ მოტანილი ეთნიკური გაყოფა, შეიძლება უფრო მასშტაბური ყოფილიყო. ეს არის ბოსნია ჰერცეგოვინის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს ფორმულის ნაწილი. ამ შემთხვევაში, ვეტოს უფლება მიენიჭებოდა თითოეულ გაერთიანებას. ანალოგიური გეგმის თანახმად, მსგავსი შეთანხმება გაკეთდა კვიპროსში (ჯარსტადი 2001) ისევე, როგორც ანანის გეგმის მეშვეობით 2004 წელს და ვერცერთმა მხარემ ვერ შეძლო თანამშრომლობისთვის საჭირო ატმოსფეროს შექმნა.

ასეთი კოალიციის ფუნქციური მაგალითები უფრო ავტორიტარულ ქვეყნებში გვხვდება. მაგალითად, მალაიზიაში, სადაც ეროვნული ფრონტი, ბარისა ნასიონალი უკვე 40 წელია მართავს ქვეყანას. იგი შედგება სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მქონე გაერთიანებებისაგან. როგორც ოპოზიციური პარტიების შემთხვევაში ხდება, სისტემა უფრო ღიაა, ვიდრე გადანყვეტილებების მიღება დახურულ გარიგებებში, ეროვნულ ფრონტზე მხარეებს შორის. ეს შეესაბამება ეთნიკურად გაყოფილი საზოგადოებისთვის კონსენსუალური პოლიტიკის იდეას (ლიჯპარტი ამ კავშირს ასევე უწოდებდა კონსოლიდაციურს 1975, 1984). მალაიზიის საზოგადოება საოცრად კარგად ფუნქციონირებდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეკონომიკური ზრდის შესრულება გამონაკლისი იყო. ამავდროულად, მას შედეგად მოჰყვა პოლიტიკისა და საზოგადოების ეთნიზაცია. პარლამენტში ყველა პარტია მობილიზებული იყო ეთნიკური ხაზებისადმი მხარდაჭერის გამოსახატად. გაძლიერებული საერთო ინტერესი არის სტაბილურობის შენარჩუნება, რაც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას. ეკონომიკური კრიზისის დროს, ამან შესაძლოა საზოგადოებაში გამოავლინოს ძლიერი დაძაბულობა, როგორც ეს ჩანდა 1980-იან წლებში და 1997-98 წლების აზიის ეკონომიკურ კრიზისში (ჩეიზი 2001 წ.).

დისკუსია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოებრივი ფორმირების კონფლიქტებში არსებობს ინტეგრაციული გადანყვეტილებები. წინაპირობაა ის, რომ ისინი ინიცირებულნი არიან ადრეულ ეტაპზე, იმ დროს, როდესაც ეთნიკური პოლარიზაცია არ იყო განვითარებული ან დამკვიდრებული. შესაძლებელია შეიქმნას ტრადიცია ან ეროვნული თანამშრომლობა. სავარაუდოდ მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული პრაქტიკა რეალურ შანსს აძლევს უმცირესობებს სახელმწიფოს მთლიანი პოლიტიკაში გავლენის მოსახდენად. ლოგიკურია, რომ გავლენა იწვევს პასუხისმგებლობას, ვალდებულება და იდენტიფიკაცია დამატებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც უმცირესობა ხედავს სახელმწიფოს, როგორც “თავისას”, უმრავლესობის მსგავსად. ამის მიუხედავად, დემოკრატიული საზოგადოებების ინტეგრაციული გადანყვეტილებები, სავარაუდოდ, რთულია. არსებობს დემოკრატიის ქვეშ მყოფი ჯგუფების მარგინალიზაციის საფრთხე. უფრო დიდი გამონაკლისი ჯგუფების არსებობა, პრობლემურია დემოკრატიული ჩარჩოს მომავლისათვის. მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, სადამ ჰუსეინის შემდგომი პერიოდის ერაყი, სადაც სუნიტური არაბული ჯგუფი იყო საზოგადოების დიდი ნაწილი, რომელიც ცდილობდა გაენია შეიარაღებული წინააღმდეგობა..

ამას მივყავართ მეორე საკითხთან, არმიის ჯგუფების როლი გადანყვეტილებების შექმნისა და შენარჩუნებისათვის. ჩვენ ამას შევხვით მესამე თავში. სამოქალაქო ომის მოგვარების შემთხვევაში, უფრო ფართო საზოგადოების ჩართვამ მხოლოდ რამდენიმე გადანყვეტილების მახასიათებლები გამოყო. როგორც აღვნიშნეთ, არსებობს გადანყვეტილებები, სადაც ხელმომწერი მხარეები ვერ შეთანხმდნენ ხელშეკრულებაზე (ნამიბია, აღმოსავლეთ ტიმორი), თუნდაც სხვა ჯგუფების უფრო ნაკლები ჩართულობის გამო. ის ფაქტი, რომ ეს კონფლიქტები განპირობებულია სახელმწიფოთაშორისი და შიდა კონფლიქტის დიქტომიით, ნიშნავს, რომ მათი მართვის პროცესი ნაკლებად თანმიმდევრულია. გარდა ამისა, უფრო ფართო მონაწილეობა მოითხოვს დემოკრატიულ სისტემის არსებობას, და ამ შემთხვევაში, დასახელებული რამდენიმე ქვეყანა, სადაც საკითხები უნდა მოგვარდეს, საკმაოდ დახურულია. სამშვიდობო პროცესის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე შეთანხმებამ გამოიწვია ენერგიული დებატები.

ტიპური მაგალითები პალესტინა და ჩრდილოეთ ირლანდიაა, სადაც განიხილეს სხვადასხვა ვარიანტები, სანამ პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. სავარაუდოდ, ორივე შემთხვევაში,

დებატებმა ცხადყო, რომ მოლაპარაკებათა მონაწილეებს მიეცათ არჩევანის საშუალება, რაც მისაღები იყო. ზოგიერთ მიმდინარე შეიარაღებულ კონფლიქტში (შრი ლანკა, თურქეთი, რუსეთი) და ასევე, კვიპროსში, სადაც არსებობს დემოკრატიული პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობს ფართო დისკუსიას, თუმცა, როგორც ჩანს, სირთულეებლთან არის დაკავშირებული მათი წამოწყება.

მიუხედავად ამისა, სამშვიდობო პროცესში შეუიარაღებელი ჯგუფების მონაწილეობის მნიშვნელობა სათანადოდ უნდა იყოს შეფასებული. ჩრდილოეთ ირლანდიაში ირლანდიელი ნაციონალისტური მხარის უიარაღო და უმსხვილესი პარტია, SDLP-ი ჯონ ჰუმეს ხელმძღვანელობით, შემდგომში მშვიდობის ინსტრუმენტს წარმოადგენდა. მისი არაფორმალური კონტრაქტი ბინ ფეინთან ითვალისწინებდა IRA- სთან დროებით დაახლოებას და შესაძლებელს ხდიდა ფართო ნაციონალისტური ძალების მონაწილეობას სამშვიდობო პროცესში.

ასევე არსებობდა ჯგუფები და მხარეები, რომლებიც ჩრდილოეთ ირლანდიის ორ ძირითად საზოგადოებას შორის არსებული უფსკრულის გაღრმავებას ემსახურებოდა. პროფკავშირების მხარის მთავარი აქტორები ყველა, ოფიციალურად, შეუიარაღებელი მოქმედი პირი იყო, ზოგი კი ეჭვგარეშეა, რომ კვლავ შეიარაღებულ დაჯგუფებებთან კავშირში იმყოფებოდა. არაკონსტრუქციული ჯგუფები აუცილებელი იყო კონტრაქტების გაფორმებაში. ამავედროულად, ისინი ითხოვდნენ ალტერნატიულ გზებს, ძირითადად, იგივე მოთხოვნების შესასრულებლად. მაგალითად, ეს იყო, პარტიები ნათელი შეუიარაღებელი დღის წესრიგით, რომლებმაც შეიარაღებული კონფლიქტის დროს არჩევნებში ყველაზე მეტი ხმა მიიღო. სავარაუდოა, რომ შეუიარაღებელ ჯგუფებს შეუძლიათ სხვა კონფლიქტებში იგივე როლი ითამაშონ, მაგრამ ეს მოითხოვს ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობას - რაც ადრე, მით უკეთესი. ამ კონტრაქტების გარეშე, შეუიარაღებელი ჯგუფების მიერ ინიცირებული, შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტული მხარის სოლიდარობის საფრთხედ, რის შედეგადაც ჯგუფები ტერორისტული თავდასხმების სამიზნე ხდებიან. ეს ბედი, უკვე რამდენიმე ადრეულმა ემისრისმა გაიზიარა, მაგალითად, ისრაელის პალესტინის კონფლიქტში.

ცეცხლის შეწყვეტა არ არის მხოლოდ ის, რაც მებრძოლ მხარეებს გარკვეულ მომენტში მოუტანს სარგებელს ან მთლიანად მოსახლეობის დაძაბულობას შეამცირებს, ის ასევე იძლევა უფრო ძლიერი საზოგადოების შანსს, რომ გავლენა იქონიოს მშვიდობის კურსზე. კვლევაში, რომელმაც შეისწავლა ეს საკითხი რაოდენობრივად, (დესირე ნილსონი (2008) აღმოაჩინა, რომ სამშვიდობო შეთანხმებაში, რომელშიც აერთიანებს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს, მეტად სავარაუდოა, რომ მშვიდობამ დიდხანს გასტანოს.

სახელმწიფოებისა და ოპოზიციისთვის თანაბრად არ არსებობს სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტების მარტივი გადაწყვეტილებები. ეს თავი ახდენს ზოგიერთი ამ შესაძლებლობის ილუსტრაციას, რომლებიც შეთანხმდა მებრძოლ მხარეთა შორის. ეს გამარჯვება ხდება რამდენიმე შემთხვევით. სახელმწიფო ფორმირების კონფლიქტები, როგორც წესი გაჭიანურდება. სავარაუდოდ, ისინი საჭიროებენ ადრეულ ქმედებას. მათი მოგვარება, საჭიროა ინტენსიურ ფაზაში გადასვლამდე, ან იმ გადაწყვეტილებებით, რომლებითაც სახელმწიფოებს კონსტიტუციური ვარიაციის საშუალება ეძლევათ. მათი მოგვარება ასევე შესაძლოა, რეგიონულ და საერთაშორისო ჩართულობასთან ერთად.

კონფლიქტების ძირითადი მიზეზების გააზრება: რატომ არის მნიშვნელოვანი საერთაშორისო კრიზისის სამართავად?

მარი დუკი⁹

მარი დუკი მაგისტრის კანდიდატია საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, იგი ორმაგი პროგრამის ხარისხზე მუშაობს კოლუმბიის უნივერსიტეტში და პარიზის მეცნიერებათა აკადემიაში. მან ბაკალავრის ხარისხი პოლიტიკურ მეცნიერებაში მიიღო და აქამად ფოკუსირებულია საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებასა და ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე. 2010 წელს, გლობალურმა კონსორციუმმა უსაფრთხოების ცვლილებებზე, მისი ერთწლიანი ნაშრომი გამოაქვეყნა ჰაიტი-დომინიკის სასაზღვრო ზონაში გენდერულ და ადამიანურ უსაფრთხოებას შორის კავშირზე. მისი აკადემიური ინტერესი კრიზისულ მიგრაციასაც მოიცავს. მარი მუშაობდა ვაშინგტონში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის, აშშ-ის ტრეფიკინგის საწინააღმდეგო პროგრამის მენეჯერად, ასევე პარიზში გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის ოფისში, დაცვის ოფიცერად.

აბსტრაქტი

გაჭიანურებული კონფლიქტების ანალიზი ხშირად სწორად ვერ ადგენს ძირითად მიზეზებს, რამაც გამოიწვია ძალადობა და დასუსტა საზოგადოება. ეს ნაშრომი არის მცდელობა, რომ ნორმალური ანალიზი და კონფლიქტების კვლევის ჰოლისტიკური მიდგომები გამოვლინდეს, კონფლიქტების შესწავლა კრიზისის მართვისა და კონფლიქტების მოგვარების მეთოდების გაზრდას შეუწყობს ხელს. ავტორი ითვალისწინებს ადამიანთა საჭიროებების თეორიას, რომელიც კონფლიქტს განიხილავს, როგორც პროცესის შედეგს, შეუსრულებელი მოთხოვნების და კოლექტიური შიშების მიხედვით. კონფლიქტის ძირითადი მიზეზების გააზრება და მისი ფსიქოლოგიური პარამეტრები მნიშვნელოვანია მდგრადი მშვიდობის მშენებლობისთვის. ამ ნაშრომში ავტორი ავლენს რამდენიმე გაკვეთილს, რომელიც შესწავლილია ბოლოდროინდელი კრიზისიდან კოტდიუარში, ასევე ისრაელ-პალესტინის დავიდან, სადაც აქცენტი გაკვეთებულია ადამიანის საჭიროებების მნიშვნელოვან მიდგომაზე კონფლიქტის მოგვარებასთან მიმართებაში. გაჭიანურებული და ძალადობრივი კონფლიქტების მიზეზების ანალიზის გათვალისწინებით, ავტორი მიიჩნევს, რომ კრიზისის მართვა შეიძლება წარმატებული იყოს, როცა ადამიანის საჭიროებების დაკმაყოფილება ხდება და კოლექტიურ შიშებს მიმართავენ.

შესავალი

ცივი ომის შემდეგ, ბევრმა მკვლევარმა გაანალიზა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები განახლდა და კონფლიქტის ახალი ფორმა წარმოიქმნა. ბიპოლარული სამყარო და მისი მარიონეტული ომები დასრულდა, რაც შიდა კონფლიქტებისკენ მიმავალ გზაზე უკიდურესი ძალადობით ხასიათდებოდა. მკვლევარები ცდილობდნენ, რომ ეს ახალი დინამიკა გაეგოთ, რამაც დებატები და სამეცნიერო საზოგადოების გაყოფა გამოიწვია, რაც ძლიერ გავლენას ახდენდა პოლიტიკოსებზე. მათ შორის ყველაზე გამოჩენილი მეცნიერი, მერი კალდორი იყო, რომელიც ცივი ომის შემდგომი პერიოდის მიზეზებს სწავლობდა. ის „ახალ და ძველ ომებს“ შორის ხარისხობრივ ტრანსფორმაციას აყალიბებდა. მან განმარტა, რომ უკანასკნელი

9 Doucey Marie, "Understanding the root Causes of Conflicts: Why it Matters for International Crisis Management." International Affairs Review, vol. XX, no. (2011).

ათწლეულების განმავლობაში, კონფლიქტები ირაციონალური და მტაცებლური ძალადობით ხასიათდებოდა, ხოლო წინა აჯანყებები ძირითადად რაციონალურად მოტივირებული და პროგრესული იყო. სხვები სამოქალაქო ომებს ეკონომიკური ობიექტებით უყურებდნენ. მაგალითად, პოლ კოლიერი, რომელმაც ეკონომეტრიკული მოდელი შეიმუშავა, ხაზს უსვამდა სტატისტიკურად მნიშვნელოვან ურთიერთობების მნიშვნელობას, ბუნებრივი რესურსების წარმოშობასა და ომის დაწყებას შორის. კერძოდ, ეს მოდელი სამოქალაქო ომში დაქვემდებარების რისკებს განსაზღვრავდა, როგორცაა ცვალებადობა, ბუნებრივი რესურსების სიჭარბე, ცუდი ეკონომიკური მაჩვენებლები, დემოკრატიის ნაკლებობა და რენტის დევნა. კონფლიქტების ეს თეორიზაცია ძირითად განსხვავებებს ეყრდნობოდა, სიხარბეს (აჯანყებები), საჩივრებს (საპროტესტო მოძრაობები) და იგი აცხადებს, რომ თანამედროვე ომები, ძირითადად გაუმაძღრობით არის მართული. მერი კალდორი იზიარებს ამ მოსაზრებას, ახალი ომები შეიძლება განსხვავდებოდეს წინა ომებისგან, მიზნების, მათი მეთოდების და დაფინანსების გათვალისწინებით.

ეს მოდელები ძალზედ მნიშვნელოვანია იმის დასადგენად, გლობალურმა ეპოქამ როგორ მოახდინა გავლენა კონფლიქტებზე და განსაკუთრებული რეზონანსი მიიღო თუ არა პოლიტიკურ სფეროში. ბევრი პოლიტიკოსი ამ ანალიტიკური ჩარჩოებით არის შთაგონებული, რაც კონფლიქტის მოგვარების მიდგომებზე აისახება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოდელები ვერ უზრუნველყოფს კონფლიქტების ნამდვილი მიზეზების ყოვლისმომცველ განმარტებას. რეტროსპექტული შეხედულებები გვიჩვენებს, რომ „რესურსების ომის“ არგუმენტი მხოლოდ ნაწილობრივ ანალიზს აწვდის ბევრად უფრო კომპლექსურ ფაქტორებს, რომლებმაც ლიბერია და კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ომში გადაიყვანეს. რესურსების სიმრავლე და მათი არასწორი მართვა კონფლიქტების ძირითად მიზეზებს არ წარმოადგენს, მაგრამ მეორადი მიზეზების და საშუალებების კომბინაციაა მეომარი მხარეებისთვის ომის გასაგრძელებლად. კონფლიქტის რესურსების ძირითადი მოტივი, როგორც სჩანს, უფრო ტენდენციის ნაწილია, ვიდრე კონფლიქტების მიზეზების გამოვლენის სიმპტომები და განსაზღვრავს დამოკიდებულებას, სადაც მხოლოდ სტატისტიკური კორელაციაა. ეს არგუმენტი დენის სანდოლეს ეკუთვნის, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონტრტერორისტულ მიდგომას აანალიზებს.

„აშშ, როგორც ჩანს, კონფლიქტებს განიხილავდა სიმპტომებად, რომელიც მუსლიმურ ქვეყნებს სხვა ქვეყნებისგან განასხვავებდა, მაშინ როცა ამერიკა შეიჭრა და დაიპყრო ავღანეთი და ერაყი (განსაკუთრებით ეს უკანასკნელი) ძალიან დიდი მოცულობით. უფრო მეტიც, ეს ინტერვენციები, ფაქტობრივად, კიდევ უფრო ამწვავებდა 9/11 ტიპის ტერორიზმის მიზეზებს. ასეთი მზარდი პროდუქტიულობა ის ფასია, რომლის გადახდაც პოლიტიკოსებს შეუძლიათ უარის თქმის შემთხვევაში, სხვაგვარად კონცეპტუალური საშუალებების პრევენცია ხდება, რომელიც კომპლექსური კონფლიქტების სიმპტომების სირთულეს ლახავს.“

ეს განცხადება ხაზს უსვამს ორ ძირითად ელემენტს. პირველი გვიჩვენებს ტერორიზმის პოტენციური მიზეზების გააზრებას, ეს არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ტერორიზმის დინამიკა გავიგოთ. მეორე მხრივ, სანდოლეს ამტკიცებს, რომ ამ დინამიკის ბოლომდე გაუაზრებლობამ შეიძლება საშინლად შეარყიოს მოსალოდნელი შედეგის წარმატება და შესაძლოა კიდევ უფრო გაუარესდეს სიტუაცია. ეს ანალიზი შეიძლება გამოყენებულ იქნას გაჭიანურებული კონფლიქტების გასააზრებლად და ეფექტიანი მშვიდობის მშენებლობის გამონწვევებზე. აქედან გამომდინარე, პოლიტიკოსებმა ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მეთოდები უნდა ჩამოაყალიბონ, რომლებიც ცდილობენ არა მხოლოდ კონფლიქტების

(ექსტემალური ძალადობა) გამოვლინებას, არამედ იმ ძირითადი მიზეზების, რომელიც მას მართავს. ანალოგიურად, მნიშვნელოვანია კონფლიქტების კოლექტიური ფსიქოლოგიის შეფასება და სამშვიდობო პროცესში თვისებრივი შედეგების ინტეგრირება.

ეს სტატია ცდილობს განმარტოს, თუ რატომ არის ინტერდისციპლინარული და მრავალპროფილური მიდგომა კონფლიქტების შესახებ მნიშვნელოვანი საერთაშორისო კრიზისის მართვისათვის. პირველ რიგში, ის იკვლევს იდეას, რომ კონფლიქტები უნდა გაანალიზდეს, როგორც „პროცესი, რომელსაც კოლექტიური საჭიროებები და შიში ამოძრავებს“. ჰელბერტ კელნამი, რომელიც სოციალური ეთიკის პროფესორია ჰარვარდის უნივერსიტეტში, განიხილავს თანამედროვე კონფლიქტების მოგვარების ასეთი მიდგომის შესაბამისობასა და შედეგებს.

„კონფლიქტები, როგორც პროცესი, კოლექტიურ საჭიროებებს და შიშს ამოძრავებს“

კელმანის აზრით, კონფლიქტები უნდა ჩაითვალოს პროცესად, რომელიც უფრო მეტად მართულია კოლექტიური საჭიროებებით და შიშებით, ვიდრე რაციონალური გაანგარიშებისა და ეროვნული ინტერესების მოტივით.

შეუსრულებელი საჭიროებები და ძალადობა

ყველა ადამიანს აქვს ძირითადი საჭიროებები. ამ საჭიროებების ნაწილი ფიზიკურია, როგორცაა საკვები, წყალი და თავშესაფრის აუცილებლობა, მაგრამ არსებითი საჭიროებები სცილდება ამ რამდენიმე ელემენტს, რადგან იგი ფსიქოლოგიურ სფეროს ფარავს. „საჭიროებების“ თეორეტიკოსები, ისევე როგორც კონფლიქტის მკვლევარი ჯონ ბურტონი, ოთხ საჭიროებას განსაზღვრავს, კერძოდ, ეს არის უნივერსალური და არაბრუნვადი (**nonnegotiable**), აქედან გამომდინარე, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ სამშვიდობო მოლაპარაკებების საფუძველი. ეს საჭიროებები არ არის იერარქიული, მაგრამ ყველა ერთად მოიაზრება: უსაფრთხოება და უვნებლობა, რასც ნიშნავს სტაბილურობას და შიშისგან გათავისუფლებას; იდენტობა, რომელიც საჭიროებების თეორეტიკოსების მხრიდან არის განსაზღვრული, როგორც თვით გარე სამყაროსთან მიმართებაში; აღიარება, მათ შორის იდენტობის აღიარება და სხვებისგან აღიარება; ოჯახი და საზოგადოება; და პიროვნული განვითარება, რომელიც მოიცავს პიროვნების თვითრეალიზების გაზომვას ან სხვა სიტყვებით „სიცოცხლის ყველა სფეროში პოტენციალის მიღწევის აუცილებლობას“. საერთო ჯამში, ეს საჭიროებები ბუნებრივად ხორციელდება საზოგადოების მხრიდან, ან სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი პოლიტიკის, საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების მეშვეობით.

თუმცა, თუ ეს საჭიროებები შეუსრულებელია, რადგან სახელმწიფო სწორად ვერ მიმართავს მათ, ან თუ ჯგუფი გრძნობს, რომ ეს საჭიროებები უპასუხოა, ან საფრთხეს ხედავს მოთხოვნილებებზე, შეიძლება ძალადობა აღმოცენდეს. აღქმამ, რაციონალურია თუ არა, დისკრიმინაციის სისტემასთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა უსამართლობამ, შეიძლება სწრაფად გამოიწვიოს იდენტობაზე დაფუძნებული ბრძოლა. ეს ვრცელდება დიალექტურ სიხარბეს მიღმა უკმაყოფილების წინააღმდეგ, რადგან ეს არის საყოველთაო საჭიროებების საკითხი, „ესეც გადარჩენის საკითხია, რათა ხალხი დააკმაყოფილოს“ - ამბობს სელია ჰუდმანი, პროფესორი მშვიდობის კვლევის საკითხებზე და მკვლევარი კონფლიქტზე სოციალური იდენტობის გავლენის შესახებ. ტერმინი „გადარჩენა“ შეგვიძლია გავიაზროთ ლიტერატურულად, მაგალითად, გენოციდის შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ უკიდურესი ძალადობა ცდილობს მთლიანად ან ნაწილობრივ განსაზღვრული ჯგუფის განადგურებას.

გადარჩენის გაგება შეიძლება მისი სიმბოლური მნიშვნელობითაც, როდესაც უხუცესები გრძნობენ თავიანთ კულტურას ან ენა ქრება ან თაობიდან თაობას აღარ გადაეცემა.

საჭიროების დაკმაყოფილების საკითხის განხილვა აუცილებელია კონფლიქტების ფსიქოლოგიური ასპექტის ხაზგასმის მიზნით, განსაკუთრებით შიშის წონის ანალიზისას ძალადობის ესკალაციისთვის. შიში, მისი ლიტერატურული განმარტებით, არის „უსიამოვნო ემოცია, რომელიც საფრთხის, ტკივილის ან ზიანის შედეგად არის გამოწვეული“. შიში ბუნებრივი და საერთო განცდაა, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს პოტენციური საფრთხის იდენტიფიცირება მოახდინონ. თუმცა ჯანსაღი შიში (ან შიში, რომელსაც დამცავი ფუნქცია აქვს) შეიძლება განვითარდეს არაჯანსაღ ან პათოლოგიურ შიშს, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გადაჭარბებული და ძალადობრივი ქმედებები“.

აქედან გამომდინარე, კოლექტიურ შიშებმა, რომლებიც გააქტიურებულია ძირითადი საჭიროებების უგულებელყოფით, შეიძლება გამოიწვიოს ძალადობრივი რეაქციები, როგორცაა ადამიანების საბოლოო მცდელობა, უზრუნველყონ სიცოცხლის აუცილებლობა და შეცვალონ აღქმული უსამართლობა. გარდა ამისა, ძალადობრივი ქმედებები განტკიცებულია მასიური მობილიზაციის გზით: რაც უფრო დიდი ჯგუფი იღებს იარაღს, მით უფრო ლეგიტიმურია ძალადობა დანარჩენი მოსახლეობისთვის. მას შეუძლია შექმნას სწარფი დომინოს ეფექტი და ფართომასშტაბიანი ბრძოლა დააფინანსოს.; ძალადობის დეესკალაცია კიდევ უფრო რთული ხდება.

საიდენტიფიკაციო / უსაფრთხოების ბმული

იდენტობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნილებაა, რომელიც განსაზღვრულია ძირითადი საჭიროებებით, რადგან ეს არის სოციალური მობილიზაციის ძალიან ძლიერი კატალიზატორი. ბევრმა მეცნიერმა ხაზი გაუსვა იდენტობის სიზუსტეს კონფლიქტში და იმ მნიშვნელოვან ფაქტორს, რომ უპირატესობის იდენტიფიცირება პოლიტიკური და საზოგადოებრივი გამონვევების გატარებისას მომხდარიყო. დანიელ როტბარტისა და როუზ ჩერუბინის მიხედვით, იდენტობა იდენტიფიცირებულია საერთო ნარატივების, სიმბოლოების და ჯგუფის განსხვავებებთან, საერთო მნიშვნელობასთან მიმართებაში. ამ ავტორებისთვის „იდენტობაზე დაფუძნებული ძალადობის მიზეზები ხშირად შეიცავს პროტაგონისტების ჯგუფის საერთო ნორმატიულ ვალდებულებებს, რომლებიც ფოკუსირებულია საერთო ინტერესების მქონე პირთა წრის სინამდვილესა და ჯგუფის ნაკლებობაზე“. ეს განსხვავება „ჩვენ“ და „მათ“ შორის არის პოტენციური საზოგადოებრივი ბზარი. ამ თვალსაზრისით, მიზეზობრივი ანალიზით განსხვავებულ მოთამაშეებს შორის ძლიერი კონკურენციის შედეგია კონფლიქტი.

თუმცა, არასწორი იქნებოდა იდენტობის განსხვავება სამოქალაქო კონფლიქტის უბრალო მიზეზით. იდენტობა, რომელიც განიხილება, როგორც სოციალური მშენებლობა და დინამიური პროცესი, სინამდვილეში ალიანსების, მობილიზაციებისა და მანიპულაციების საგანია. ერთის მხრივ, იდენტობა არის კატალიზატორი, მობილიზაციის ვექტორი, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია გამოხატოს თავისი ღრმა შემფოთება და ძლიერი კოლექტიური შიში. მეორეს მხრივ, იდენტობა ასევე იდეალური კრედაა ლიდერებისა თუ მებრძოლებისთვის მათი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად და მათი მოქმედების ლეგიტიმაციისთვის. მოსახლეობის მობილიზება იდენტობის გამოყენებით ბევრად უფრო სწრაფი და ეფექტურია, ვიდრე მობილიზება პოლიტიკური რწმენით. იდეოლოგიურ კონფლიქტებში, როგორცაა ესპანეთის სამოქალაქო ომი, ხალხს ნამდვილად აქვს არჩევანი, რომ მიიღოს მხარეები, რომელსაც ოჯახის გაყოფამდე მივყავართ. პირიქით, როდესაც კონფლიქტები იდენტობის

მობილიზებას ეყრდნობა, ადამიანებს უბრალოდ არ შეუძლიათ თამაშს გარეთ დარჩენა, ან იმიტომ, რომ მათ აქვთ ძლიერი კუთვნილების გრძობა ეთნიკური ჯგუფის მიმართ, ან იმიტომ, რომ ისინი განიხილება მტრის ჯგუფის ნამდვილ წევრებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როცა იდენტობა რისკის ქვეშ არის კონფლიქტში, ისინი თავისუფალი მხედრები ვერ იქნებიან. საზოგადოება ღრმად არის პოლარიზებული და გატეხილი, რამაც მოგვიანებით შერიგებისთვის მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვება.

პოლიტიკური ლიდერები ხშირად მანიპულირებენ იდენტობით და ეთნიკურობით საარჩევნო მიზნებისთვის ან კონფლიქტის მხარდასაჭერად. ეს ეთნოცენტრიზმის სასაზღვრო კონცეფციის ნაწილია, რომელსაც სანდოლე განსაზღვრავს, როგორც „ძალაუფლებას, რომლითაც სარგებლობენ პრივილიგირებულები, რათა შეინარჩუნონ საკუთარი პოზიცია და მათი ჯგუფები სხვების ხარჯზე“. მიუხედავად ამისა, ლიდერების მიერ იდენტობით მანიპულირება არ ნიშნავს იმას, რომ ამ გზით მობილიზებული ხალხი არ გამოხატავს ლეგიტიმურ და ჭეშმარიტ პრობლემებს. მობილიზებული ჯგუფები განსაკუთრებულ რეზონანსის იდენტიფიცირებას ანიჭებენ, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საჭიროებას კონფლიქტის ანალიზისას, რადგან მას მობილიზების და ძლიერი ურთერთქმედების უნარი აქვს ძალადობასა და უსაფრთხოებასთან. გაჭიანურებული სოციალური კონფლიქტების კონცეპტუალიზაციისას, ედუარდ აზარმა და ჩუნგმა ფოკუსირება გააკეთეს მთვარეზე და ადამიანის საჭიროებებზე, რომლის უარყოფამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გაზარდოს ალბათობა, რომ კონფლიქტი უფრო ხანგრძლივი და ძალადობრივი გახდება.

კრიზისის მართვის მნიშვნელობა

კოლექტიური საჭიროებებისა და შიშების მიზეზობრივი ანალიზი აძლიერებს იმ დამოკიდებულებას, რომელიც გაჭიანურებულ და ძალადობრივ კონფლიქტებს მართავს. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, არსებული გაკვეთილი უნდა მივიღოთ არსებული კონფლიქტების მოგვარების პროცესებიდან და ახალი აზროვნება უნდა განვითარდეს თანამედროვე კრიზისების უკეთესად მოგვარებაში.

რეზოლუციების მიმდინარე პროცესების ჩარჩოები

კრიზისების მართვის ამჟამინდელი პრაქტიკა და კონფლიქტის მოგვარების გამონვევები, ხშირად ხაზს უსვამს ყოვლისმომცველი და ჰოლისტიკური მიდგომის ნაკლებობას. სამშვიდობო პროცესი ნამდვილად ვერ იქნება წარმატებული, თუ ის არ აკმაყოფილებს ძირითად საჭიროებებს, რომელიც არ შესრულებულა. ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ვერ მოიძებნა გამოსავალი და არანაირი სამშვიდობო შეთანხმება არ იქნება მდგრადი, თუ ორივე მხარის მოსახლეობის ღრმა შიში არ იქნება გამოხატული. პალესტინელები აცხადებენ, რომ სახელმწიფოებრიობა უფრო მეტ ლეგიტიმურობას იძენს საერთაშორისო სფეროში, როგორც ეს იუნესკოს მიერ ჩატარებული ბოლოდროინდელი არჩევნების შედეგად, პალესტინას სრულ წევრობას ანიჭებს. თუმცა, გაეროში პალესტინის სახელმწიფოებრიობის ფორმალური აღიარებაც კი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ისრაელის და პალესტინის გაყოფის საკითხები დარეგულირდეს და მხარეები შერიგდნენ. ისრაელ-პალესტინის დავა ძირითადად ეფუძნება საჩივრებს, რომლებიც იდენტობას ეხება, როგორ ფუნდამენტურ საჭიროებას. კერძოდ, ისრაელი ამტკიცებს, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების წარუმატებლობა დაკავშირებულია პალესტინის უართან, ისრაელი ებრაულ სახელმწიფოდ ეღიარებინა. იდენტობის აღიარების

მოთხოვნის მთავარი შიში უკავშირდება იმ შესაძლებლობას, რომ ისრაელის სახელმწიფო არ გახდეს ქვეყანა არაბული უმრავლესობით. საჩივრები ისრაელის მიწაზე პალესტინელი ლტოლვილების დაბრუნებით და დემოგრაფიული ცვლილებებით იყო გამოწვეული.

მდგრადი მშვიდობა ვერ მიიღწევა ფართო მასშტაბით, სანამ ყოვლისმომცელი შეთანხმება საბოლოოდ არ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა წყალი, ლტოლვილები, ისრაელის დასახლებები ან იერუსალიმი. იმის გამო, რომ თითოეული ეს საკითხი პირდაპირ გავლენას ახდენს პალესტინისა და ისრაელის სასიცოცხლო საჭიროებებზე, ასევე ღრმა შიშზე, ამ პრობლემების მოგვარება კვლავაც აფერხებს ფართო რეზოლუციას. ანალოგიურად, ადამიანური საჭიროებების ანალიზს შეუძლია დაამტკიცოს პოლიტიკური შეთანხმების ცალკეული როლი რეზოლუციის კრიზისულ პროცესებში. ძალაუფლების გაზიარებისა და საარჩევნო პროცესების ინიციატივები მიზნად ისახავს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მოძიებას, რათა აგრესორებმა ბრძოლა შეაჩერონ, ან ისინი ასევე მიმართავენ მოსახლეობის საჭიროებების და შიშებს? ასეთი კითხვები სისტემატიურად უნდა დაისვას სამშვიდობო პროცესის წარუმატებლად წარმართვის თავიდან აცილების მიზნით. კრიტიკულ მენეჯმენტში გარე უფლებამოსილებების როლის განხილვაც შეიძლება. რადგან ძირითადი ადამიანური საჭიროებების შესრულება სახელმწიფოს პრეროგატივაა, საერთშორისო ჯგუფები და სხვა აქტორები იშვიათად მიმართავენ პოსტკრიზისული განვითარების პროგრამების ჩამოყალიბებას.

გაჭიანურებული კონფლიქტების სამართავად ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა ადამიანის ძირითადი საჭიროებების არასაკმარისი მახასიათებლები. კონფლიქტში ჩართული სხვადასხვა მხარეები თავს იკავებენ მოლაპარაკების მაგიდასთან დაჯდომისგან, რადგან მათ მოთხოვნებზე მოლაპარაკება შეუძლებელია: ისინი უბრალოდ უნდა დაკმაყოფილდეს. ნულოვანი ჯამის თამაშის შიშმა შეიძლება ხელი შეუშალოს მხარეებს შეთანხმების მიღწევაში. აგრესიულმა ჯგუფმა შეიძლება იგრძნოს, რომ მტერთან მოლაპარაკებები აიძულებს მის მოსახლეობას ერთი საჭიროება გაცვალოს მეორე საჭიროების სანაცვლოდ, მაგალითად როგორცაა იდენტობის დაკარგვა უსაფრთხოებისთვის. თუმცა, თუ კონფლიქტის მოგავრების პროცესი სათანადოდ ვითარდება, მაშინ ორივე მხარე მოგებულ რჩება, ამ დროს უსაფრთხოების დილემა ორივე მხარისთვის ირღვევა. თუ ერთი ჯგუფი უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს, სავარაუდოა, რომ ძალადობა შემცირდება და ორივე ჯგუფის კოლექტიური უსაფრთხოება გაუმჯობესდება მათი პირადი მოთხოვნილებების შერულებით.

თანამედროვე კონფლიქტებს შორის, ბოლო დროს, კოტ-დ'ივუარის საარჩევნო კრიზისი შესაბამისი საქმის შესწავლაა, რადგან ის გვიჩვენებს, რომ მხოლოდ პოლიტიკური რეაგირება გადაუჭრელი სამოქალაქო ომის დროს, საკმარისი არ არის იმ საკითხების შესაჭერებლად, რაც საზოგადოებისთვის ფუნდამენტურად გამყოფია. საარჩევნო კრიზისის გათვალისწინებით, გარე აქტორები პოლიტიკურ საკითხს, როგორც კონფლიქტის ფსიქოლოგიურ ასპექტს, უგულებელყოფენ. სამოქალაქო ომი, რომელიც კოტ-დ'ივუარში 2002 წელს დაიწყო, ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს შორის, ძირითადად იდენტობის დაძაბულობის გამო, რამაც ივორიური საზოგადოება ღრმად დაარღვია. უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო ივიორიტის (*ivoirite*) კონცეფციაზე დაფუძნებული დავა, რაც იმას გულისხმობდა, რომ მთავარ კითხვაზე ითხოვდნენ პასუხს, ვინ იყო კოტ-დ'ივუარის ლეგიტიმური მოქალაქე. ცეცხლის შეწყვეტა 2004 წელს არ მოხდა, ქვეყანა კვლავ გაყოფილი იყო ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორ მხარეს შორის, რომელიც ნდობის ზონად არის ცნობილი.

2007 წელს სამშვიდობო შეთანხმებას მოაწერეს ხელი, გუილამე სორო ანუ ლორან გბაგბო პრემიერ-მინისტრად დაინიშნა. ძალაუფლების გაზიარება ღირებული ინიციატივა იყო, დემოკრატიული საარჩევნო პროცესის ჩატარება სავარაუდოდ კონფლიქტების წარმატებულად მოგვარების გამოცდილება იქნებოდა, რადგან ახალი პრეზიდენტის არჩევნები ხალხის სუვერენიტეტის გამოხატულება იყო. თუმცა, 2010 წელს ჩატარებულმა არჩევნებმა გაცილებით უფრო ძლიერი კრიზისი გამოიწვია, ვიდრე ამას ქვეყანა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განიცდიდა. ლორან გბაგბომ არ აღიარა არჩევნებში დამარცხება და უატარაში დარჩა, დამოუკიდებელმა საარჩევნო კომისიამ მალევე გამოაცხადა ის კოტ-დ'ივუარის პრეზიდენტად და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან ფართოდ იქნა აღიარებული, როგორც ქვეყნის ახალი ლეგიტიმური ძალა. ორივე მათგანმა დადო პრეზიდენტის ფიცი ცალკე ცერემონიაზე და მთავრობა ჩამოაყალიბეს. 2010 წლის ნოემბერში, გბაგბოს შეიარაღებულმა ძალებმა და მოკავშირეებმა უატარაში მხარდამჭერთა წინააღმდეგ ძალადობის კამპანია წამოიწიეს. უატარას მიმდევრებმა სამაგიერო გადაუხადეს და შეიარაღებული ძალების მოქმედებამ სამოქალაქო მოსახლეობის მსხვეპრლი გამოიწვია, 2011 წლის აპრილში შეტევაზე გადავიდნენ უკვე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ადამიანის უფლებების ანგარიშის მიხედვით (**Human Rights Watch**), კონფლიქტის დროს სულ ცოტა 3000 ადამიანი დაიღუპა და 150 ქალი გააუპატიურეს.

ცხადია, საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ გააცნობიერა, რომ ივორიური საზოგადოება არ იყო მზად ერთი კანდიდატის დამარცხების მისაღებად, ზუსტად იმიტომ, რომ ისინი კვლავ აღიარებდნენ უსამართლობას და საშიშროებას ხედავდნენ უსაფთხოების კუთხით. ყოფილი პრეზიდენტის ლორან გბაგბოს და პრეზიდენტი ალასან უატარას ინვესტიტურა (თანამდებობაზე ფორმალური დანიშვნა) არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ ძალადობა შეეჩერებინათ და ივორიელ მოქალაქეებს შორის ნდობა განემტკიცებინათ. მიუხედავად უატარას სამართლიანობის და შერიგების საჯარო ვალდებულებისა, ორივე მხარის მებრძოლების მიერ განხორციელებული ექსპრესიები ხელს უშლიდა ნდობის მშენებლობას და სანდოობის აღდგენას ივორიურ (**Ivorian**) საზოგადოებაში .

კოლექტიური საჭიროებები და დიპლომატიის აღდგენა

სახელმწიფო პასუხისმგებელია მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ჯგუფების კოლექტიური საჭიროებების და შიშების მოგვარებაზე, რათა მშვიდობის და უსაფრთხოების აღსრულება უზრუნველყოს. კელმანი ხელს უწყობს „ პრობლემის შემოქმედებითად გადანყვეტის“ მიდგომას. საბოლოო მიზანია ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც სხვების პატივისცემა, ორმხრივი მიმდებლობა, ნდობა და საერთო ღირებულებები ნორმაა და არა გამონაკლისი. ეს პროცესი ინდივიდუალურ დონეზე უნდა ჩატარდეს. მაგალითად, პოლიტიკოსებმა ხელი უნდა შეუწყონ ხალხს, სხვა ადამიანების მიერ წარმოდგენილი პერსპექტიული წინადადებები რომ გაითვალისწინონ, ამბობს კელმანი. სიმბოლური სფერო თითქმის ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მკაცრი პოლიტიკა, რადგან ის ეხება გრძნობებს, აღქმას, და ირაციონალურ შიშებს. აქედან გამომდინარე, არ არის აუცილებელი საზოგადოების «დე-ეთიკაიზაცია» (**"de-ethicize"**), რაც აუცილებლად უსარგებლო ძალისხმევა იქნებოდა. უფრო მეტიც, ინდივიდუალობა უნდა იყოს მობილიზებული, როგორც სოციალური ინტეგრაციისა და უსაფრთხოების ინსტრუმენტი. მიღებულ და პატივცემულ იდენტობებს შორის სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონკურენციას ხელი ეშლება.

სახელმწიფოს აქვს პასუხისმგებლობა მშვიდობის მშენებლობაზე, მაგრამ სამოქალაქო

საზოგადოება მაინც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ორგანიზაციებმა ან მოძრაობებმა, რომლებიც ქვეყანაში პოპულარული და ლეგიტიმურია, მობილიზაცია უნდა გააკეთონ, რომ ეროვნული შერიგების მოტივს ემსახურონ. რწმენაზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს ხშირად კონკრეტული რეზონანსი აქვთ საზოგადოებაში, რადგან მათ შეუძლიათ ისეთი ძლიერი ღირებულებების განხორციელება, როგორცაა შემწყნარებლობა და სხვების პატიება.

საბოლოოდ, საერთაშორისო დიპლომატიამ ხელახლა უნდა განსაზღვროს თავისი როლი სამოქალაქო ომებსა და შიდა კრიზისში. მაგალითად, დიპლომატიამ მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებას შორის შეთანხმებას უნდა შეუწყოს ხელი, პრინციპით „ზემოდან-ქვემოთ“ მიდგომის მართვა უნდა დანერგოს, რათა ადამიანებს პრიორიტეტების განსაზღვრაში დაეხმაროს იმისთვის, რომ ისეთი სისტემა შეიქმნას, რომელიც შემდგომი პროგრესის უზურუნველყოფას შეძლებს. დიპლომატია დიდწილად ხელს უწყობს უფრო მეტად პრობლემის გადაწყვეტის კულტურას, ვიდრე ოპოზიციურ კულტურას. დიპლომატია, როდესაც სწორად არის გამოყენებული პოლიტიკური მშვიდობის მშენებლობის პროცესში, საუკეთესო მიდგომაა. მეცნიერი კონფლიქტის მოგვარების საკითხებში, სუზან ალან ნანი, განმარტავს, რომ „გლობალური მშვიდობის დამყარება გულისხმობს იმას, რომ მშვიდობა უფრო მეტია, ვიდრე მშვიდობის ცნების ცალკეულ, ერთმანეთთან დაკავშირებულ მოვლენებზე ზრუნვა, რომლებიც ერთმანეთს თანმიმდევრულად შეესაბამება“. უფრო მეტიც, ჰოლისტიკური მიდგომა ნიშნავს ძლიერ ხედვას მსოფლიოში მშვიდობის დასამყარებლად, რომელიც პასუხობს მრავალფუნქციური, პრობლემის გადაჭრის მიდგომის საჭიროებას. რეალობა კომპლექსურია და მისთვის დამახასიათებელი სირთულის გამო, მთლიანობაში უნდა იქნას აღქმული.

დასკვნა

კონფლიქტის ფსიქოლოგიური ასპექტი ხშირად უგულებელყოფილია სამეცნიერო კვლევაში, მაშინაც კი, თუ ის საშუალებას იძლევა ძირეული მიზეზები უკეთ გავიაზროთ, რაც უკიდურეს და ირაციონალურ ძალადობას უსვამს ხაზს. კრიზისების მართვის და კონფლიქტების მოგვარების პროცესებმა კონფლიქტების შესახებ გლობალური მიდგომა უკეთ უნდა განავითარონ. იმის გამო, რომ თითოეული კონფლიქტი უნიკალურია და კონტექსტში ხდება მისი განსაზღვრა, ნებისმიერი მოდელი, რომელიც კონფლიქტის მოგვარების მეთოდების განზოგადებას გულისხმობს, მოსახლეობის განსაკუთრებულ საჭიროებებსა და შიშს მიმოიხილავს.

ისრაელ-პალესტინის დავა და კოტ-დ’ივუარის საარჩევნო კრიზისიდან მიღებული გაკვეთილები ადამიანთა ძირითადი საჭიროებების მაგალითებს წარმოადგენს, როგორცაა იდენტობა ან უსაფრთხოება კონფლიქტურ სიტუაციებში. ასევე, ამ გაკვეთილებმა დაადგინეს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება სათანადო შედეგებს იწვევს, ნაწილობრივ, ყოვლისმომცველი შეთანხმების არარსებობა კონფლიქტის ყველა ასპექტში, გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ცხოვრების მიკრო დონეზე.

მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის რაოდენობრივად გაზომვადი და ძნელია ამ შედეგებით ვიხელმძღვანელოთ, მოქალაქეებს ან სხვადასხვა ჯგუფებს შორის ნდობის აღდგენა და კოლექტიური შიშების მოგვარების მცდელობა ძალიან ღირებული იქნება. გაჭიანურებული კონფლიქტების მიზეზობრივი ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავადგინოთ, რომ საბოლოოდ დიპლომატიას შეუძლია ხელახლა განსაზღვროს და უფრო მეტად განავითაროს შემოქმედებითი ინსტრუმენტები, რათა კონფლიქტების ძირითად მიზეზებს და არა მხოლოდ მათი სიმპტომების საფრთხეს სწორად მივმართოთ.

ბიბლიოგრაფია

1. Carnevale Peter J. and Arad Sharon. "Bias and Impartiality in International Mediation." In *Resolving International Conflicts, The Theory and Practice of Mediation*, edited Bercovirch Jacob, 39-53. Boulder, Colorado, Lynne Rienne Publishers, 1996.
2. Wehr Paul and Lederach John Paul. "Mediating Conflict in Central America." In *Resolving International Conflicts, The Theory and Practice of Mediation*, edited Bercovirch Jacob, 55-74. Boulder, Colorado, Lynne Rienne Publishers, 1996.
3. Wallensteen Peter. "Understanding Conflict Resolution." In *Understanding Conflict Resolution*, 1-14, London, SAGE Publications, 2015.
4. Wallensteen Peter. "Armed Conflicts and Peace Agreements." In *Understanding Conflict Resolution*, 15-36, London, SAGE Publications, 2015.
5. Wallensteen Peter. "Analyzing Conflict Resolution." In *Understanding Conflict Resolution*, 37-62, London, SAGE Publications, 2015.
6. Wallensteen Peter. "Analyzing Conflict Resolution." In *Understanding Conflict Resolution*, 63-84, London, SAGE Publications, 2015.
7. Wallensteen Peter. "Conflict Resolution in Civil Wars." In *Understanding Conflict Resolution*, 126-157, London, SAGE Publications, 2015.
8. Wallensteen Peter. "Conflict Resolution in State Formation Conflicts." In *Understanding Conflict Resolution*, 159-194, London, 2015.
9. Doucey Marie, "Understanding the root Causes of Conflicts: Why it Matters for International Crisis Management." *International Affairs Review*, vol. XX, no. (2011).

